საერთაშორისო საზოგადოებრივი ოკულტურ-რელიგიური ჟურნალი

სიცოცხლე 2. № 7 (18)
დეკემბერი 2016 e.v.

აპოკრიფი

მეცნიერების+რელიგია=ჯადოსნური

GeoAstro

Narilla

old_man

tikoroma

ალექსანდრ
ილინსკი

ალექსი
ნავეტნი

ანი
ბეზანტი

გიორგი
გურჯიევი

ოლეგ
ბოკაჩოვი

ოშო
რაჯნიში

ოკულტური და რელიგიური ჟურნალის

აპოკრიფი

საქართველოში

თეთრი მაიმუნის ორდენის ოფიციალური გამომცემლობა

სიცოცხლე 2. № 7 (18).
დეკემბერი, 2016 e.v. (♐5.2 e.n.)

პროექტი დაარსებულია 2003 წელს. ქართულ ენაზე გამოდის 2013 წლის სექტემბრიდან.
გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი: *Fr. Nyarlathotep Otis (ადრიანოვი რ. ო.)*
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში: *გვანცა ფოფხაძე*
დიზაინი შექმნილია რომან — იგორ რჩევსკი.
გარეკანის გაფორმებისას გამოყენებულია მხატვრის "Художник" ნამუშევრები.

ინტერნეტი:
ქართულ ენაზე: http://kat.apokrif93.com/, http://vk.com/apokrif93kat
რუსულ ენაზე: http://apokrif93.com, http://vk.com/apokrif93

ელექტრონული ფოსტა: 93in39@gmail.com

🄯 ჟურნალი «აპოკრიფის» რედკოლექცია და ავტორები, 2016

თბილისი

შინაარსი

სიცოცხლე 2. № 7 (18). დეკემბერი, 2016 e.v. (♐5.2 e.n.)

ოფიციOZo:

ქარტია საერთაშორისო საზოგადოებრივი, ოკულტურ-რელიგიური მიმოხილვის ჟურნალი «აპოკრიფის» ავტონომიური განყოფილების შესაქმნელად ქართულ ენაზე 7

ტრადიციები და წინასწარმეტყველები:

ანი ბეზანტი. ასტრალური შრეების აღწერა. I ნაწილი 11

ოლეგ ბოკაჩოვი. სხეული — ჯიოტიშის თვალსაზრისით..................................17

ალექსანდრ ილინსკი. ნატიფი სხეულები..19

ოშო რაჯნიში. პრანის გამოვლინება შვიდ სხეულში. ნაწილი I-III....................21

ოშო რაჯნიში. თანაგრძნობა — უმაღლესი სიყვარულის გამოვლინება *(ამონარიდები)* 31

Narilla. ემოციური ინტელექტი..34

ოლეგ ბოკაჩოვი. სურვილები..38

old_man. ფსიქიკური დაავადებები არასამედიცინო თვალთახედვით 40

tikoroma. დაოსური სიზმრის პრაქტიკების საფუძვლები.................................43

Narilla. მთვარეულობის მედიტაცია...46

ალექსანდრ ილინსკი. ენერგო-ვამპირიზმი...48

tikoroma. ხუთი სტიქია ადამიანში...53

ოლეგ ბოკაჩოვი. სულიერი განვითარება...56

ოლეგ ბოკაჩოვი. სულიერი განვითარების ტექნოლოგიები 58

ოლეგ ბოკაჩოვი. სულიერი მასწავლებელი 60

Narilla. რა არის ადამიანი? 62

Narilla. ცოდნის პარადოქსი 64

Narilla. უძველესი სწავლება «ყოვლისმცოდნეობის» შესახებ 67

ოლეგ ბოკაჩოვი. ჯიოტიში — ძალთა კანონზომიერებების ცოდნა....................71

გიორგი გურჯიევი. ხედვა რეალური სამყაროდან 74

ოლეგ ბოკაჩოვი. სინათლის მმართველობა 78

ალექსი ნავეტნი (Ananta Aum). გასხივოსნებული (რეალიზებული, სატსანგი) 80

old_man. კარმული კატეგორიები...90

ინსაიდერის გამოცხადება 94

XXI საუკუნის თაობა (შეხვედრა უჩვეულო ახალგაზრდასთან) 99

Narilla. ინდიგო და კრისტალური ბავშვები — მსგავსება და განსხვავება!.....101

ოლეგ ბოკაჩოვი. სისტემა 106

ოლეგ ბოკაჩოვი. მამაკაცი და ქალი...110

ოლეგ ბოკაჩოვი. ქალი — ანგელოზთა სამყოფელი 119

ფიზიოგნომიკა — სახის ფორმა...121

იუმორისა და საღი აზრისთვის!
გააკეთე რაც გსურს — გსურდეს შეუძლებელი!

ჟურნალისა და მისი ცალკეული მატერიალის
კოპირება და გავრცელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ მითითებულია წყარო და ჟურნალის ელექტრონული მისამართი.

რედაქციის აზრი შეიძლება არ დამეთხვეს ავტორისას.

რედაქცია იტოვებს უფლებას
უარი თქვას მატერიალის გამოქვეყნებაზე მიზეზის აუხსნელად.

გამოცემისთვის მზადება დასაწყისი 02.10.2016 წ.

გამოცემა გამოშვებულია 01.12.2016 წ.

ინტერნეტი:
ქართულ ენაზე: http://kat.apokrif93.com/, http://vk.com/apokrif93kat
რუსულ ენაზე: http://apokrif93.com, http://vk.com/apokrif93

ელექტრონული ფოსტა: 93in39@gmail.com

ანგარიში სისტემაში Яндекс.Деньги:	41001416643125
ანგარიშები სისტემაში WebMoney:	Z318373604178, E263825672387, R412990927571, U141526320068, B411510488425, G198524212114
ტელეფონის ნომერი:	89632921917
რუსეთის ზბერბანკის კარტა:	67619600 0053924057
რუსეთის ზბერბანკის რეკვიზიტები:	**Калининградское ОСБ № 8626/01236** **ИНН** 7707083893 **БИК** 042748634 **КПП** 390602001 **к/сч** 30101810100000000634 **р/сч** 47422810920009902000 **Назначение платежа:** Адрианову Роману Олеговичу, **лицевой счёт** № 4230781082001344693448
მისამართი საფოსტო გზავნილებისთვის:	236022, Калининград, ул. Нарвская, д. 17, кв. 11, Адрианову Роману Олеговичу

ოფიცი OZი

ქარტია
საერთაშორისო საზოგადოებრივი, ოკულტურ-რელიგიური მიმოხილვის ჟურნალი «აპოკრიფის» ავტონომიური განყოფილების შესაქმნელად ქართულ ენაზე

ნამდვილი ქარტია ეძლევა **გვანცა ფოფხაძე** (**https://vk.com/id387280474**, **ქ. თბილისი**), — ს იმასზედ რომ იგი წარმოადგენს ოკულტურ-რელიგიურ ჟურნალ «აპოკრიფ»-ს **საქართველოში.** უფლებამოსილება ენიჭება წარმოადგინოს ჟურნალის ინტერესები ქართულ ენაზე საქართველოში. აგრეთვე:

- დამოუკიდებლად (მთავარ რედაქტორთან შეთანხმების და კონსულტაციის შემდგომ) დაამატოს, განავრცოს, დაამუშავოს და თარგმნოს ქართულ ენაზე გამოსაცემი ჟურნალის ნომრისთვის;
- მიიღოს მონაწილეობა ჟურნალის ოფიციალურ მიმართვაში;
- მოიძიოს და დაიხმაროს კორექტორები, მთარგმნელები და ავტორები და ა.შ.;
- დადოს ხელშეკრულებები სხვადასხვა გამომცემლობებთან, ჟურნალ «აპოკრიფის» ბეჭდური ვარიანტის გამოსაცემად;
- მთავარი რედაქტორის თანხმობის შემდგომ — გააკეთოს განცხადება ქართულ ენოვან სივრცეში ჟურნალის სახელით;
- განახორციელოს მოღვაწეობა ოკულტური ცოდნის გავრცელებაში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ჟურნალ «აპოკრიფის» საბაზისო პრინციპებს (ანუ: გამჭვირვალეობა შემეცნებითი მასალების გავრცელებაზე, არადოგმატური და ა.შ. რომელიც იქნება წინასწარ შეთანხმებული ჟურნალის მთ. რედაქტორთან).

ქარტიის უკან გაწვევა, ჩასწორება ან გადაცემა შესაძლებელია ცალმხრივი ან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მთ. რედაქტორთან; ქარტიის მოქმედება, გადაცემა, უკან გაწვევა ან ჩასწორება ძალაში შედის ოფიციალურ რესურსზე ჟურნალის გამოქვეყნების შემდგომ.

ელიას ოტის — ჟურნალის მთ. რედაქტორი

ტრადი
ციები და
წინასწარმ
ეტყველ
ები

ანი ბეზანტი

ასტრალური შრეების აღწერა[1]

I ნაწილი

ადამიანთა გარდაცვალების შემდგომი განცდები

უბედური შემთხვევა, თვითმკვლელობა, ძალადობრივი ან სხვა სახის მოულოდნელი გარდაცვალება, განსხვავდება იმ ადამიანთა გარდაცვალებისაგან, რომელთა სასიცოცხლო ენერგიაც დაეცა ავადმყოფობისაგან ან სიბერისაგან.

თუ ისინი იყვნენ სუფთები და სულიერად მორგებული, მას ინახავენ და სძინავთ ბედნიერად მათი სიცოცხლისათვის განკუთვნილ დრომდე. მაგრამ სხვა შემთხვევაში თვითმკვლელები ან მოულოდნელად გარდაცვლილნი ინარჩუნებენ ცნობიერებას და გარკვეული დროის განმავლობაში განიცდიან თავიანთი მიწიერი ცხოვრების ბოლო სცენას, თან ვერ ამჩნევენ, რომ უკვე დაკარგეს ფიზიკური სხეული და იმყოფებიან ასტრალურ სფეროში. ამ შემთხვევაში ნორმალური გამწმენდი პერიოდი იწყება ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, მანამდე კი ცოცხლად აღიქვამენ ასტრალურ და ფიზიკურ სამყაროებს.

ადამიანმა რომელმაც ჩაიდინა მკვლელობა, ხოლო შემდეგ ის სიკვდილით დასაჯეს, ის განსაწმენდელში კვლავაც და კვლავაც იმეორებს (განიცდის) ჩადენილ მკვლელობის სცენას, მის შემდგომ დაპატიმრებას და სიკვდილით დასჯის სცენას. თვითმკვლელს ავტომატურად ექნება სასოწარკვეთილების და შიშის განცდის განმეორება, რომელიც წინუსწრებდა თვითმკვლელობას და ის კვლავ განიცდის თავის სიკვდილისწინა ბრძოლას.

ერთმა ქალმა, რომელიც ხანძარში დაიღუპა საშინელ განცდებში, თავის ირგვლივ ემოციების ისეთი დიდი ქარბორბალა შექმნა, რომ ხუთი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ეს ტანჯვის სცენა, ველურად ხელს ჰკრავდა მათ, ვინც მის დამშვიდებას ცდილობდა, მაშინ როდესაც სხვა ქალმა, რომელსაც ბავშვი გულზე ეწვინა და საშინელი შტორმის დროს დაიღუპა, შეინარჩუნა სიმშვიდე, სიმამაცე და სრული სიყვარული გულში, გარდაცვალების შემდეგ შევიდა სრული მშვიდი ძილის მდგომარეობაში, სავსე ნათელი და ბედნიერი ხილვებით მოსიყვარულე ქმარსა და შვილებზე.

[1] მთარგმნელი: ano (http://esoteric.ge).

შედარებით ჩვეულებრივი განცდით, უბედური შემთხვევით, გარდაცვალების დროს ადამიანი მაინც ხვდება განსაცდელში, რაც გამოწვეულია მის მიერ ჩადენილი საქციელის გამო და ეს შესალოა არ იყოს ამ ცხოვრებაში ჩადენილი საქციელი. ვინაიდან ცნობიერების სრული შენარჩუნება განსაწმენდელის ქვედა განყოფილებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული დედამიწასთან, ადამიანი კვლავაც სავსეა ინტერესებითა და გეგმებით, რომლებითაც დაკავებული იყო ის სიცოცხლეში. ის აღიქვამს ადამიანებს და ნივთებს, რომლებიც მასთან არის დაკავშირებული. მას ძალიან სურს მოახდინოს ზეგავლენა საქმეებზე. მოკლედ, ძალიან იზიდავს დედამიწა, თუმცა არ გააჩნია ფიზიკური სხეული. ერთადერთი გამოსავალი ასეთ შემთხვევაში არის ის, რომ მოშორდე დედამიწას და მიმართო ცნობიერება უმაღლესისაკენ, მაგრამ მცირედნი ახერხებენ ამას, იმათი დახმარებითაც კი, ვინც ასტრალურ სამყაროში მოხვედრილ ტანჯულ სულებს ეხმარება. არიან არსებები, ვისი მოვალეობაც არის იმათი დახმარება, ვინც დედამიწა დატოვა.

არცთუ იშვიათად ასეთი ტანჯულები, გამოფიტულნი თავიანთი უსაშველო უმოქმედობით, ეძებენ თანადგომას მედიუმ სუბიექტებთან და მათი დახმარებით კვლავ ერევიან მიწიერ საქმეებში. არცთუ იშვიათად ისინი ფლობენ შესაფერის მედიუმებს, იყენებენ მათ სხეულებს, რითაც დიდ პასუხისმგებლობას ჰკიდებენ საკუთარ თავს სამომავლოდ. ოკულტური საფუძვლის გარეშე არ ჩაურთავთ ინგლისელ მღვდლებს ლოცვაში: «ომისაგან, მკვლელობისაგან და მოულოდნელი სიკვდილისაგან გვიხსენი, უფალო!»

განსაწმენდელი

ახლა კი განვიხილოთ განსაწმენდელის სხვადასხვა სფეროები, რომ ცოტა მეტი გავიგოთ იმ პირობების შესახებ, რომელიც ადამიანმა თავისი მიდრეკილებით და სურვილებით ფიზიკურ სიცოცხლეში, გაამზადა თავისი გარდამავალი მდგომარეობისათვის; თან გვახსოვდეს, რომ სასიცოცხლო ენერგიის ხარისხი ნებისმიერ ასტრალურ გარსში და შესაბამისად, ადამიანის მასში ყოფნის ვადაც, ამ სასიცოცხლო ენერგიის ხარისხზეა დამოკიდებული.

თუ მდაბალი ვნებები იყო ენერგიულ მოქმედებაში, მაშინ ასტრალური სამყაროს ყველაზე უხეში მატერია დაიტენება სასიცოცხლო ენერგიით და მათი რაოდენობა იქნება შედარებით მაღალი. ეს კანონი ყველა განსაწმენდელის სფეროში მოქმედებს, ამიტომ სიცოცხლეშიც ადამიანს შეუძლია იცოდეს, თუ როგორ მომავალს უმზადებს ის საკუთარ თავს სიკვდილის შემდეგ.

ასტრალური სამყაროს ქვედა სფეროს აღწერა და მიზეზი რის გამოც მასში ხვდებიან

პირველ ანუ ქვედა განსაწმენდელში მოიაზრება ის, რასაც ინდუისტურ ან ბუდისტურ წერილებში ეწოდება «ჯოჯოხეთი».

ამ მდგომარეობაში გარდამავალი ადამიანი არ თავისუფლდება ვნებებისაგან და მავნე სურვილებისაგან, რომლებმაც ის აქ მიიზიდა. ისინი რჩებიან როგორც

მისი ხასიათის ნაწილი, დამალული, როგორც მისი სულის ნაწილი, და რჩება მანამ, სანამ არ დადგება მომენტი მათი კვლავ გამოვლინებისათვის. ეს მომენტი დადგება მაშინ, როდესაც ფორმირებას დაიწყებს ახალი «სურვილის სხეული», ამავე ადამიანის განსხეულებისათის ფიზიკურ სამყაროში.

ადამიანის განსაწმენდელის ყველაზე დაბალ სფეროში ყოფნა დამოკიდებულია მისი «სურვილის სხეულში» ყოფნაზე (Kama-Rupa), რომელიც ეკუთვნის ამ სფეროს და ის რჩება მასში როგორც პატიმარი, სანამ ამ მატერიის დიდი ნაწილი არ ჩამოშორდება მას, სანამ გარსი იმდენად არ შემოიძარცვება, რომ ადამიანმა შეძლოს შეხება შემდეგ მაღალ სფეროზე.

ამ ადგილის ატმოსფერო არის საშინელი, მძიმე, მწუხარე და უჩვეულოდ დამთრგუნველი. ის ჩანს სავსე ყველანაირი ბოროტი გამოვლინებებით, მტრული სიკეთისადმი და სინამდვილეში ის ასეთიც არის. ეს მძიმე ვიბრაციები იქმნება ადამიანების მიერ, რომლებიც მიიზიდა ამ საშინელმა ადგილმა თავიანთი ბოროტი ვნებებით. ყველა სურვილი და გრძნობა, რომლის გამოწვევაც შეუძლია, აქ პოულობენ მასალას გამოვლინებისათვის, ეს ყველაზე საშინელია ჯურღმულთაგან თავისი საშინელებებით. დაფარული ფიზიკური თვალთახედვისაგან და გამოფენილია აქ მთელი თავისი საშინელებებით. მისი შესახედაობა იმითაც ღრმავდება, რომ ასტრალურ სამყაროში შინაგანი სამყარო გამოიხატება ფიზიკური სახით, და ადამიანი სავსე ბოროტი ვნებებით აისახება სრულიად ფიზიკურ სახეში, მხეცური მადა ასტრალურ სხეულს აძლევს მხეცის ფორმას. ასტრალურ სამყაროში ვერ ითვალთმაქცებ, როგორიც არის სინამდვილეში ადამიანი ისეთია მისი სახეც. ის ან სილამაზეს ასხივებს, თუკი მისი სული კეთილშობილურია, ან დამაფრთხობელია თავისი უსახურობით, თუკი მისი ბუნება უწმინდური იყო.

აი, რატომ ხდება გასაგები თუ ვინ იყვნენ მასწავლებლები, როგორიცაა ბუდა, რომლის შინაგანი ხედვითაც მთელი სამყარო ღია იყო. მათ ნათლად შეეძლოთ აღეწერათ ყველა საშინელი მოჩვენება და გამოსახულება. თანამედროვე ადამიანები მსგავს გამოსახულებებს ეჭვის თვალით უყურებენ მხოლოდ იმიტომ, რომ არ იციან როგორები არიან მატერიისაგან განთავისუფლებული სულები, შეუნიღბავი სახით. თუკი ამ სამყაროში გარყვნილი და მთვრალი გარეწარის სახე ითვლება ამაზრზენად, მითუმეტეს, პლასტიურ ასტრალურ სამყაროში, სადაც მატერია იღებს შესაბამის ფორმას დანაშაულის ჩადენის მცირე სურვილზეც კი — ადამიანი მომენტალურად გამოვლინდება საშინელი ფორმით, გარდამავალი სხვადასხვა ფორმის უსახურობებით. არ დაგვავიწყდეს, რომ ამ ქვედა დონის მოსახლეობა არის ყველაზე საზიზღარ ადამიანთა ნაკრები, რომლებმაც ჩაიდინეს მხეცური დანაშაულები. ერთადერთი, რომლებიც შესაძლოა დროებით მოხვდნენ აქ, არიან თვითმკვლელები, ან რომლებმაც თვიანთი მოქმედებით ზიანი მიაყენეს საკუთარ თავს. მაგრამ ყველა თვითმკვლელი აქ არ ხვდება, იმიტომ რომ თვითმკვლელობები ხდება სხვადასხვა გავლენით და მოტივით, აქ კი ხვდებიან ისინი, რომლებიც თავს იკლავენ, რათა აიცილონ თავიანთი საქციელის გამო მოსალოდნელი სასჯელი. ამ ადგილას ყველა საკუთარი უბედურების შემქმნელია. ფიზიკური სხეულის დაკარგვის გარდა, ადამიანში აქ ამზეურებენ საკუთარ

ვნებებს მთელი თავისი სიშიშვლით, სავსე ბოროტებით, დაუკმაყოფილებელი მისწრაფებებით, აღსავსე შურით და ზიზღით, მოწყურებულნი ფიზიკურ დაკმაყოფილებას. რადგან მათ ფიზიკური სხეული დაკარგეს აღარ შეუძლიათ დაკმაყოფილება, ისინი დაძრწიან დახარბებულები ამ სფეროში, სახლების ირგვლივ და ტავერნებში, ინსპირირებენ რეგულარულად სამარცხვინო ძალადობრივ ქმედებებს, სადაც არიან დასახლებულნი. გულისამრევი ატმოსფეროა ასეთი ადგილების ირგვლივ. ძირითადად ეს ხდება დედამიწაზე მიჯაჭვული ასტრალური სხეულების მიერ, რომლებიც გამოსცემენ ბინძურ სურვილებს. მედიუმები, სუფთა და კეთილშობილური ხასიათის გამონაკლისებით, ძალიან ხშირად ხდებიან მათი თავდასხმის ობიექტები, და მათ შორის ყველაზე სუსტებსართმევენ სხეულს, რათა დროებით იყვნენ მასში. სიკვდილით დასჯილი მკვლელები ძრწიან საშინელებებისაგან და შურისძიების წყურვილისაგან, რომლებიც კვლავაც ხედავენ მკვლელობას და შემდეგ განვითარებულ საშინელ მოვლენებს, რის გამოც მათ აკრავთ საშინელი აზრფორმის ატმოსფერო. ასეთი აზრფორმები მას აკეთებინებს იმას, რაზედაც არის მიმართული. ზოგჯერ იქ შეიძლება იხილოთ ადამიანი, რომელსაც დაუღალავად დაჰყვება თავისი მოკლული მსხვერპლი, რომელიც ვერ აღწევს მას თავს, მიუხედავად მისგან თავის დაღწევის დიდი მცდელობისა. მოკლული, თუკი ის არ არის ადამიანთა ყველაზე დაბალი დონიდან, ამ დროს იმყოფება უგონო მდგომერეობაში, და სწორედ ეს უგონო მდგომარეობა აძლევს შემზარავ სახეს მის სუფთა მექანიკურ აკიდებას მკვლელზე.

აქვე იმყოფება სექტორი ჯოჯოხეთი, იმიტომ რომ უხეში მატერია იზიდავს ასტრალური სხეულის შემადგენელ მატერიას ამ სექტორში. ცხოვრობს მის ირგვლივ მყოფი სახეობების და მრავალრიცხოვანი მსხვერპლის გარემოცვაში, რომლებიც მოძრაობენ და ყვირიან ტკივილებისაგან, რაც უფრო დიდი იყო მათი ვნებების ვიბრაციები სიცოცხლეში, მით მეტ ხანს არიან ამ ასტრალურ სამყაროში. მათ აქვთ სიძულვილის ვიბრაციები, აქ მეორდება ავტომატურად მისი ყველაზე მტანჯველი მომენტები რომლებიც სიცოცხლის ბოლოს გადაიტანა.

სანამ ამ სამწუხარო სფეროს დავტოვებდეთ უნდა გვახსოვდეს, რომ აქ არ არის შემთხვევითი სასჯელები დანიშნული გარე მხრიდან, არამედ უბრალოდ გარდაუვალი მიზეზის შესრულება, რომელიც ადამიანმა თავის სიცოცხლეში შექმნა, შესაბამისად საკუთარი ასტრალური სხეული მიიზიდა უხეში მატერიისაკენ. ამგვარად მან შექმნა ციხე თავისი სულისათვის, და ეს ციხე უნდა იქნას განადგურებული, რათა მან იხსნას საკუთარი სული. ეს ისეთივე გარდაუვალია, როგორც აქ დედამიწაზე ლოთს უწევს იცხოვროს თავის შემზარავ და მოშხამულ სხეულში. რასაც დასთესავ იმას მოიმკი, ასეთია ყველა სამყაროს კანონი, და ამ კანონს თავს ვერავინ დააღწევს.

აქვე უნდა ავღნიშნოთ რომ ასტრალური სხეული იმაზე უარესი არ არის რაც დედამიწაზე ყოფნის დროს იყო, როდესაც ის ქმნიდა ატმოსფეროს თავის ირგვლივ, გაჯერებული უარყოფითი ასტარალური ტალღებით. უბრალოდ ამ უსახურობას ადამიანები ვერ ამჩნევენ, რადგან ისინი დედამიწაზე ასტრალურად

ბრმები არიან. გარდა ამისა, მათ ტანჯვაზე ფიქრის დროს შეგვიძლია თავი იმით დავიმშვიდოთ, რომ ეს დროებითია და წარმოადგენს აუცილებელ გაკვეთილს მათი სულისათვის ბუნების კანონების დარღვევის გამო. ისინი ასევე იძულებული იქნებიან შეისწავლონ ეს კანონები. გაკვეთილი, რომლის გავლაც მათ არ სურდათ დედამიწაზე ყოფნის დროს, რადგან შეპყრობილნი იყვნენ საკუთარ სურვილებზე დევნით, აქ ეძლევათ მათ და მიეცემათ შემდეგ ცხოვრებაშიც მანამ, სანამ ბოროტება ძირფესვიანად არ აღმოიფხვრება. ბუნების კანონები მკაცრია, მაგრამ მოწყალე, რადგან სული მიჰყავს ევოლუციისაკენ, რათა მიაღწიოს უკვდავებას.

ფიზიკური სამყაროს ასტრალური ორეული

ახლა კი გადავიდეთ შედარებით კომფორტულ ზონაში. ასტრალური სამყაროს მეორე განყოფილებას შეიძლება ეწოდოს ფიზიკური სამყაროს ასტრალური ორეული.

ყველა ნივთის და ბევრი ადამიანის ასტრალური სხეული ძირითადად შედგება მატერიისაგან, რომელიც ამ ასტრალურ სფეროს ეკუთვნის, რადგან ის ახლოა შეხებაშია ფიზიკურ სფეროსთან. გარდაცვლილთა უმეტესობა დროებით აქ ყოვნდებიან ცნობიერების სრული შენარჩუნებით. ამ ადამიანთა ინტერესი დაკავშირებულია ტრივიალურ (ვულგარულ) წვრილმან ობიექტებზე, მათ თავისი სული ჩადეს წვრილმანებში. ასევე ისინი, რომლებიც თავისი მდაბალი ბუნების მონები იყვნენ და გარდაიცვალნენ, რომელთაც ვერ ჩააქრეს ფიზიკური სიამოვნებებისადმი სწრაფვა.

სიცოცხლის ფართოდ გამომყენებელი, რომელმაც თავისი ასტრალური სხეული ამ მატერიალისაგან შექმნა, მარტივად რეაგირებს სხვადასხვა გრძნობით გამღიზიანებლებზე. ისინი ამ სხეულით იმიტომ ნარჩუნდებიან სამეზობლოში, რადგან ისინი მიიზიდა ფიზიკური ცხოვრების დროს. ისინი არიან დაუკმაყოფილებელი და განგაშის შეგრძნებით, შეპყრობილნი არიან ტანჯვით, ამ ყოველივეზე მიჯაჭვულნი სურვილების ძალით, რომელთა დაკმაყოფილებაც მათ არ შეუძლიათ. ზოგ მათგანს ძლიერი განსაცდელის გადატანა უწევს და დიდხანს რჩება ადგილზე, სანამ მათი მიწიერი ვნებები არ ამოიწურება. ზოგი მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს თავიანთ ყოფნას ასტრალურ სამყაროში, მიილტვიან რომ მედიუმის სხეულის საშუალებით შევიდნენ დედამიწის საზოგადოებაში, რომელიც მათ ძველებურად აინტერესებთ. მათგან მომდინარეობს ის ბავშვური ტიტინი, რომელიც ყველასათვის ცნობილია, ვინც ნამყოფია საჯაროდ სპირიტუალურ სეანსზე, ქალური ჭორაობა და მოსიარულე მორალი, რომელიც გავრცელებულია დასახლებებსა და დუქნებში. ასე დედამიწაზე მიჯაჭვული სულები არ არიან მაღალგანვითარებულნი. მათი საზოგადოება მეტ ინტერესს იწვევს (მათთვის, ვინც დარწმუნებულია სიკვდილის შემდგომი სულის არსებობაზე), ვიდრე მათი საუბარი სიცოცხლის დროს. და ზუსტად ისევე, როგორც დედამიწაზე: «ისინი თვლიან, რომ მათი პროვინციის ხმაური არის მთელი სამყაროს საუბარი».

სწორედ ამ სფეროდან გარდაცვლილები ცდილობენ რაღაც საზრუნავის გამო შევიდნენ თავიანთ ახლობლებთან კონტაქტში, რომ მოაგვარონ მიწიერი საქმეები, რომლებიც მათ აფორიაქებენ. თუ ვერ ახერხებენ გამოვლენას, ისინი სიზმრით ცდილობენ თავიანთი სურვილის გამოთქმას. ისინი ხშირად კაკუნს და ხმაურს იწვევენ, რომ მიიქციონ ყურადღება. ასეთ შემთხვევებში მოწყალება იქნებოდა, რომ მცოდნე ადამიანი შევიდეს კონტაქტში ტანჯულ სულთან, გაიგოს მისი სურვილი და ამით აარიდოს მას ფორიაქი რაც მას წინსვლაში ხელს უშლის.

სანამ სული იმყოფება ამ სფეროში, მათ ყურადღებას იოლად იპყრობს დედამიწა, თუნდაც მათ არ სურდეთ უკან დაბრუნება, და ასეთი ცუდი სამსახური ეწევა ისეთ შემთხვევებში, როდესაც დედამიწაზე დარჩენილი მეგობრები მას უგზავნიან წუხილს და ცეცხლოვან მიმართვებს, რომ დააბრუნონ ისინი უკან. ამ სასოწარკვეთილებით შექმნილი აზრფორმები, იმყოფება განთავისუფლებული სულის ირგვლივ, ეჯახებიან და ხშირად აღვიძებენ მათ, რომელთაც მშვიდად ეძინათ, ან მიზანმიმართულად იზიდავენ მათ ფიქრებს დედამიწაზე.

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სულს მშვიდად სძინავს, შეუკავებელ ეგოიზმს დედამიწაზე დარჩენილების მხრიდან, ისეთი ზიანის მოტანა შეუძლია, მეგობრები ინანებდნენ ეს რომ იცოდნენ. უსარგებლოა წუხილი გარდაცვლილის მიმართ, ამ ცოდნამ შესაძლოა ახალი ძალა მისცეს რელიგიურ სწავლებას, რომელიც მოითხოვს ღვთის კანონმორჩილებას და ზედმეტი სევდის ჩახშობას.

გასაწმენდელის მესამე და მეოთხე სფეროები მცირედით განსხვავდება მეორე სფეროსაგან. მეოთხე სფერო შედარებით ეთერულია ვიდრე მესამე, მაგრამ მათი საერთო მახასიათებლები ძირითადად მსგავსია. აქ ასევე იმყოფება შედარებით განვითარებული სულებიც, ამ განსაწმენდელში ეს სულები ყოვნდებიან საზღვარის გამო, რომელიც შექმნილია მათ მიერ მიწიერი ინტერესებიდან გამომდინარე, ძირითადად კი მათი ყურადღება მიმართულია წინ და არა უკან, და თუ ძალით არ მივაბამთ მიწიერ განცდებს, ისინი არ შეყოვნდებიან წინ სიარულის დროს. დროებით ისინი მაინც რჩებიან მგრძნობიარენი დედამიწიდან მომდინარე ვიბრაციების მიმართ, და შესაძლოა მათი მიწიერი ინტერესები ისევ გაღვივდეს მწუხარე გოდებით. განათლებულ და მოაზროვნე ადაიანთა უმეტესობა, რომლებიც სიცოცხლეში დაკავებულნი იყვნენ ძირითადად ქვეყნიური საქმეებით, ამ სფეროში რჩებიან სრული ცნობიერებით, და ისინი შესალოა დედამიწასთან ურთიერთობდნენ მედიუმების საშუალებით, ან თავად ეძებდნენ ასეთ ურთიერთობას, ეს უკანასკნელი კი შედარებით იშვიათად ხდება. მათ შეტყობინებებს შედარებით მაღალი ხასიათი აქვთ, ვიდრე ზემოთხსენებულ შეტყობინებებს, რომელიც მოდიოდა განსაწმენდელის მეორე სფეროდან, მაგრამ არც ისინი არიან იმაზე მეტად ღირებული, რასაც ეს ადამიანი სიცოცხლეში ამბობდა დედამიწაზე. სულიერი გასხივოსნება შეუძლებელია მოდიოდეს განსაწმენდელიდან.

ოლეგ ბოკაჩოვი

სხეული — ჯიოტიშის თვალსაზრისით[1]

ჩვენ არ მოგვიგონია ჩვენი სხეული. ის ბუნებრივად წარმოადგენს ჩვენს სულს. ბუნებამ შემოსა სული, რათა მას შეძლებოდა აქ — დედამიწაზე ყოფნა. სხეული თავისი ფორმით იმეორებს სულის ნახატს და მის ურთიერთქმედებას ბუნებრივ გარემოცვასთან.

ჩვენი სხეულის გამოვლინებებით შეგვიძლია დავინახოთ ის ნაკადები, რომლითაც სული ვრცელდება და მოქმედებს ცხოვრების სივრცეში. ეს გაგვიხსნის დიდ რეალობას და ჩვენი არსებობის აზრს, ასევე საშუალებას მოგვცემს, რომ საკუთარ თავს და საკუთარ ცხოვრებას სხვა, უფრო უჩვეულო თვალით შევხედოთ.

დასაწყისისთვის ვცადოთ ჩვენს სხეულში საკუთარი თავის — სულის უფრო კონცენტრირებული ადგილ-მდებარეობის მოძებნა. ადამიანების უმეტესობა ადვილად იპოვის ამ ადგილს «მე»-ს შეგრძნებით და ხელით გულმკერდის ცენტრზე მიუთითებს — იქ, სადაც მკერდი მზის წნულში გადადის.

იმ მომენტიდან, რაც ჩვენი «მე»-ს მიახლოებითი მდებარეობა ვიპოვეთ, იწყება ტანტრა-ჯიოტიში (სანსკრ. ტანუ — სხეული (ტანი), ჯიოტიშ — სულის სინათლე).

ჩვენს სულს — «მე»-ს, ჩვენ ვგრძნობთ, როგორც რაღაც ყველაზე მნიშვნელოვანს, მთავარს, საუკეთესოს და ახლობელს რაც კი გაგვაჩნია — რასაც წარმოვადგენთ. ყველას შეუძლია იგრძნოს, როგორ ფართოვდება სული (Дух) «მე»-ს წერტილიდან პერიფერიისკენ და ხდება სამშვინველი (Душа).

ზემო მიმართულებით მოძრაობისას სამშვინველი იქცევა მკერდის შინაგან სივრცედ, ქვემოთ — მუცლის შინაგანი სივრცედ. ეს ადგილები სხეულში, წარმოადგენენ სამშვინველის სულიერ და მატერიალურ ასპექტებს. გულ-მკერდი და მუცელი სავსეა სასიამოვნო შეგრძნებებით — დევატებით (ღვთაებებით), არსებებით, რომლებიც სხვადასხვა სხეულებსა და სამყაროებში მრავალი ინკარნაციის განმავლობაშ მოვაგროვეთ, და რომლებიც ახლა ჩვენი სამშვინველის სტრუქტურირებას ახდენენ.

სამშვინველის შემდგომმა დინებამ პერიფერიისკენ მოახდინა თავის ფორმირება — ზემოთ და მენჯის — ქვემოთ. თავის და მენჯის შინაგანი სივრცეები სრულიად არ ჰგვანან ერთმანეთს და თვისებებით წინააღმდეგობრივნი არიან. თავში სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობს მრავალი სხვადასხვა არსება, რომლებსაც ჩვენ «აზრებს» ვუწოდებთ. ისინი საიდანღაც ჩნდებიან, ტაშ-ფანდურს

---

[1] მთარგმნელი: Atman.

აწყობენ, აქეთ-იქეთ აწყდებიან, ან უბრალოდ ნელა მიედინებიან. აზრები — ყველაფერზე სწრაფად რეაგირებადი პატარა არსებები არიან, თავის ცენტრი — ჩვენი პიროვნება კი მათ მწყემსავს. მთავარი, რასაც უნდა აკეთებდნენ ჩვენი აზრები სამშვინველისთვის ესაა — დაეხმარონ მას თავისი წყაროს — სულის — გაცნობიერებაში. მაგრამ ამავდროულად ისინი უნდა ეხმარებოდნენ სამშვინველს მისი ყოველდღიური ამოცანების გადაჭრაში.

არსებები მენჯში ბოლომდე ერთგულნი და შემსრულებელნი არიან სულთან მიმართებაში. ისინი უბრალოები და მიამიტები არიან, როგორც ცხოველები, მაგრამ მათი უმეტესობა «უტვინო» და ზანტია. და მხოლოდ ზოგიერთი მათგანია ძალიან უხეში და სწრაფი — ანხორციელებენ დაცვის ფუნქციას და რეაგირებენ საფრთხესა და შიშზე.

თავისი პერიფერიული გამოვლინებებით (თავი-ხელები და მენჯი-ფეხები) სამშვინველი გარესამყაროში მოქმედებს. მეტყველებით და ხელებით იგი ურთიერთობს სხვა სამშვინველებთან. მენჯით და ფეხებით უზრუნველჰყოფს სხეულისეულ მოთხოვნილებებს, იცავს სხეულს სხვა სხეულებისგან მომავალი საფრთხისგან და მოქმედებს ასევე სხეულებრივი სიამოვნებების მისაღებად.

სხეულის ყოველი ნაწილი თავისი არსით წარმოადგენს სამშვინველის განსაკუთრებულ ნაწილს, რომელიც ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტზე აგებს პასუხს. ის ცოდნა და გამოცდილება, თუ სხეულის რომელ ნაწილშია სამშვინველის ესა თუ ის ძალა, საშუალებას მოგვცემს მუდმივად ვიყოთ უფრო მაღალი რეალობის მდგომარეობაში, ვიდრე ეს დამახასიათებელია უმეტესობა ადამიანისთვის. ხოლო სხეულის სხვადასხვა ნაწილის ფორმის ცოდნა საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ადამიანის ბედის ტენდენციები.

სამშვინველს მოსავენ უფრო უხეში (ხორციელი) ცოცხალი ძალები, რომლებიც ახდენენ ჩვენი სხეულის ფორმირებას და მის მართვას. სამშვინველი ყოველთვის მჭიდრო კავშირშია მათთან და უნდა უხელმძღვანელოს მათ. მაგრამ თუ ადამიანმა ამის შესახებ არაფერი იცის, სხეულებრივი ძალები იპყრობენ მის სამშვინველს და საკუთარი თავისთვის იყენებენ. ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ მიიღოს ცოდნა, მიიღოს ამა თუ იმ ძალის გამოცდილება და გახსნას ახალი უჩვეულო შესაძლებლობები, ადამიანი გამუდმებით ცდუნდება საკუთარ თავთან ამა თუ იმ სხეულებრივ სურვილში, ჩვევასა და სისუსტეში.

ტანტრა-ჯიოტიში — ჩვენი სულის მიერ თავის გარემოცვაზე სინათლის გავრცელების ცოდნა და გამოცდილება. შედეგად გარემომცველი ძალები იღვიძებენ და აჩვენებენ თავიანთ მზადყოფნას ჩვენი სულის მსახურებისათვის. ამ საქმეში მთავარია — არ დავკარგოთ საკუთარი სამშვინველის განცდა, რათა არ განვაგრძოთ ტყვეობაში ყოფნა არც გრძნობათა გარე ობიექტებისგან და არც შინაგანი სხეულებრივი სურვილებისგან. ცოდნის და შესაძლებლობების მოპოვებით ჩვენ ვხსნით დიდ პერსპექტივას სამშვინველის განვითარებისთვის და ცხოვრებაში წარმატებისთვის.

ალექსანდრ ილინსკი

ნატიფი სხეულები: მათი ურთიერთქმედება და ფუნქციები[1]

ჩვენს განკარგულებაში დაბადების მომენტიდან ფიზიკური სხეულის გარდა კიდევ სამი სხეულია: **ეთერული, ასტრალური და მენტალური.** თუმცა ყველაზე მეტად მატერიალურ დონეზე ფიზიკური სხეული გამოვლინდება. იგი წარმოადგენს მისი შემადგენელი ყველა ორგანოს და ორგანოთა სისტემის ერთობლიობას, და ყოველი ორგანო, გარდა იმისა, რომ თავის კონკრეტულ ფუნქციას ასრულებს, ჩართულია ასევე ცხოველქმედების მთლიან სისტემაში.

სხეულებში ჩვენ ვიგულისხმებთ ენერგიათა გარკვეულ ნაირსახეობებს, რომლებიც გამოხატულებას ჰპოვებენ ადამიანის ფორმებში, პროცესებში, მდგომარეობებში და ურთიერთობებში.

ეთერული სხეული გამოიმუშავებს ჩაკრების ენერგიას. ხოლო ფიზიკური, ასტრალური და მენტალური სხეულები ახდენენ ამ ენერგიის რეალიზებას ჩაკრების თვისებებში, უნარებში და ურთიერთობებში. ამასთან გამომუშავებული პოტენციალი არაა აუცილებელი, რომ რეალიზებული იქნეს, მაგრამ ენერგია მაინც გამომუშავდება. და პერიოდულად შეგვიძლია დავაკვირდეთ, რომ წამყვანი ზონა ეთერულ სხეულში, მაგალითად მულადჰარა ჩაკრაშია, გამოვლენის უნარები კი უფრო მეორე წამყვან ჩაკრაში — ანაჰატაშია, რადგანაც ამ ჩაკრის გაძლიერებაში ჩადებულ იქნა დრო და ენერგია. სიმართლე რომ ვთქვათ, ეს ჩვეულებრივ ხდება იმის გამო, რომ ადამიანს პრობლემები, ან პოზიტიურად თუ ვიტყვით გადაუწყვეტელი საკითხები ანაჰატას — გულის ზონის შუა ნაწილში აქვს, და საკუთარი თავის არასაკმარისი სიყვარულის გამო იგი ცდილობს სხვებს ემსახუროს, თუნდაც მათგან პაწაწინა «მადლობისთვის». ასეთი გაცვლის შედეგები კი უმეტესობა შემთხვევაში ამ ადამიანშიც და იმაშიც, ვისაც იგი «სიკეთეს აყენებს» დროთა განმავლობაში უფრო და უფრო უარყოფითი ხდება.

ექვსი ჩაკრადან ყოველი: **აჯნა, ვიშუდჰა, ანაჰატა, მანიპურა, სვადჰისთჰანა** და **მულადჰარა** გამოვლენილია ოთხიდან ყოველ სხეულში. და ყოველ ჩაკრასთან ფიზიკურ, ეთერულ, ასტრალურ და მენტალურ სხეულებში დაკავშირებულია ხასიათის, უნარების, შესაძლებლობების ურთიერთობების და ა.შ. გარკვეული თვისებები.

---

[1] მთარგმნელი: Atman.

უფრო ნატიფ სხეულებთან მუშაობისას (ეთერულის შემდეგ) უკვე ზუსტად უნდა ვიცოდეთ, თუ რისი მიღწევა გვინდა. სხეულებშ ბოლო 3-5 წლის განმავლობაშ მყარდება შინაგანი ენერგო-გაცვლა და პირველადი ჩაკრების ურთიერთკავშირი ტრანსფორმატორულ ჩაკრებთან (დაწყებული ანაჰატადან).

სხეულები, განსაკუთრებით ფიზიკური, საკმაოდ სტატიკურნი არიან და სხვა სამი სახის სხეულად გარდაქმნისას, შეცვლა კატეგორიულად აღარ უნდათ. მისთვის მთავარი სიხარული სტატუს-ქვოს შენარჩუნებაა. თუკი ადამიანმა მაინც გააკეთა ზედმეტი აქცენტი ჩაკრაზე, მაშინ ჩვეულებრივ მისი არანორმირებული აქტივაციისას სხეული, ისევე როგორც ჰესი წყალდიდობისას, სიჭარბეს ზემოდან გადმოღვრის. ასეთი გადმოღვრები შესაძლოა გამოვლინდეს ხარხარში, შრომო-ჰოლიკოზის შეტევებში, ცრემლებში, მსოფლიო სევდაში და სხვა ბევრი რამ, რაც ჩვენს ბრძენ ორგანიზმს შეუძია მოიფიქროს, რომ უადგილოდ მოპოვებული ენერგიისგან განთავისუფლდეს.

«ჩემი» აღქმა:

ეთერული სხეული ყველა სხეულს ამარაგებს ენერგიით.

თუკი შეწყდება ენერგიის დინება სხეულთაგან ერთ-ერთში (ან ორში), სხვების ენერგოპოტენციალი მრავალჯერ გაიზრდება. მაგალითად შინაგანი დიალოგის გაჩერების, ძილის, ან «თავშეკავების» დროს.

სხვა სხეულებიდან ეთერული ენერგიის მიღება არ ხდება (თითქმის ისევე, როგორც ვერ დავაბრუნებთ ლიმნიან და შაქრიან ჩაის საწყის ჩაიდ, თუკი ეს საერთოდ საჭიროა).

ეთერული სხეული პასუხს აგებს პოტენციალზე, სხვა სხეულები კი ამ პოტენციალის პროექციაზე რაიმეში.

ეთერული სხეული პასუხს აგებს ენერგიის გამყარებაზე და შენახვაზე, და ასევე ეთერული სხეულის შიგნით (პირველადი ჩაკრების: მულადჰარა, სვადჰისთჰანა, მანიპურა — მეორადში) გარდაქმნის აკრძალვაზე.

მაგალითები:

- რისხვა = ეთერის ენერგია (მანიპურა და სვადჰისთჰანა) + «შეფერილობა» ასტრალური სხეულისგან + ენერგიის მიმართულება მენტალური სხეულისგან (გარეთ, ან შიგნით).
- იდეა = ენერგია + «შეფერილობა» ასტრალური სხეულისგან + მიმართულება მენტალური სხეულისგან

პ.ს. ჩაკრა გამოიმუშავებს ენერგიას ეთერულ სხეულში, ხოლო მისი გამოვლენა ასტრალურ ან მენტალურ სხეულში შეუძლია, გამომუშავებული დონეების (ზედა, შუა ან ქვედა ნაწილის) მეშვეობით, რომლებიც ამ გამოვლინებებს უნარებში, ჩვევებში, თვისებებში, ურთიერთობებში, მიდგომებში, მდგომარეობებში ჰპოვებენ.

მთარგმნელის შენიშვნა: ამ სტატიაში არაა საუბარი უფრო ნატიფ სხეულებზე და უმაღლეს — საჰასრარა ჩაკრაზე.

ოშო რაჯნიში

პრანის გამოვლინება შვიდ სხეულში[1]

ნაწილი I

რა არის პრანა და როგორ ავლენს იგი თავს შვიდი სხეულიდან თითოეულში?

პრანა, ეს ენერგიაა, ცოცხალი ენერგია ჩვენში, სიცოცხლე ჩვენში. თუ ვისაუბრებთ ფიზიკურ სხეულზე, ეს სიცოცხლე ვლინდება ჩვენში როგორც შემომავალი და გამავალი სუნთქვა. ეს ორი ურთიერთ საწინააღმდეგო რამეა. ჩვენ ისინი ერთი და იგივე გვგონია. ჩვენ ვამბობთ — «სუნთქვა», მაგრამ სუნთქვაში ორი პოლუსია: შემომავალი სუნთქვა და გამომავალი სუნთქვა. ყოველ ენერგიაშია ურთიერთ საპირისპირო. ნებისმიერი ენერგია არსებობს ორ საპირისპირო პოლუსს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ იარსებებდა.

საპირისპირო პოლუსები მათი დაძაბულობით და ჰარმონიით ქმნიან ენერგიას, სწორედ ისევე, როგორც მაგნიტური პოლუსები. შემომავალი სუნთქვა სრულიად საპირისპიროა გამომავალისა და პირიქით. ჩასუნთქვა დაბადებას ჰგავს, ამოსუნთქვა კი სიკვდილს. ერთი მომენტის განმავლობაში ორივე ეს მოვლენა ხდება. როცა ჩაისუნთქეთ დაიბადეთ, ხოლო როცა ამოისუნთქეთ მოკვდით. ერთ მომენტშია ჩადებული სიცოცხლე და სიკვდილი. ეს პოლარობაა სასიცოცხლო ენერგიის აწევა და დაშვება. ასე ვლინდება სასიცოცხლო ენერგია ფიზიკურ სხეულში. სასიცოცხლო ენერგია დაიბადა და 70 წლის შემდეგ იგი კვდება. ეს მხოლოდ უფრო ფართო გამოვლინებაა იგივე მოვლენისა. ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა, დღე და ღამე.

ყოველ შვიდ სხეულში: ფიზიკურში, ეთერულში, ასტრალურში, მენტალურში, სულიერში, კოსმიურში და ნირვანას სხეულში იქნება შესაბამისი შემომავალი და გამომავალი მოვლენები. რაც შეეხება მენტალურ სხეულს — შემომავალი და გამომავალი აზრი იმავე ტიპის მოვლენაა, როგორიც სუნთქვა. აზრი ყოველ წამს მოდის თქვენს ჭკუაში და მიდის ჭკუიდან. თავისთავად აზრი ენერგიაა. მენტალურ სხეულში ენერგია ვლინდება როგორც აზრის მოსვლა და წასვლა, ფიზიკურში ვლინდება როგორც სუნთქვა — შემომავალი და გამომავალი.

[1] მთარგმნელი: Atman.

აი, რატომ შეგიძლიათ თქვენი აზროვნების შეცვლა სუნთქვის შეცვლით. მათ შორის შესაბამისობაა. თუ არ ჩაისუნთქავთ, აზრსაც ვერ მისცემთ შემოსვლის საშუალებას. გააჩერეთ სუნთქვა ფიზიკურ სხეულში, და აზრი გაჩერდება მენტალურში. როგორც ფიზიკურ სხეულში ჩნდება უსიამოვნების შეგრძნება, ასევე ჩნდება მენტალურშიც. ფიზიკური სხეული ეცდება ჩაისუნთქოს, მენტალური ეცდება — აზრი მიიღოს. ზუსტად ისევე, როგორც სუნთქვა შემოდის გარედან, და ჰაერი ჩვენს გარეთ არსებობს, ასევე ჩვენს გარეთაა აზრების ოკეანეც. აზრი მოდის და მიდის. თქვენი სუნთქვა შესაძლოა მომდევნო მომენტში ჩემი სუნთქვა გახდეს, თქვენი აზრი კი ჩემი აზრი. ყოველ ჯერზე, როცა სუნთქვას გარეთ გამოისვრით, თქვენ ასევე გარეთ ისვრით თქვენს აზრსაც. აზრი ზუსტად ისევე არსებობს, როგორც ჰაერი. ისვე როგორც ჰაერი შეიძება დაბინძურდეს, ასევე შეიძება აზრის დაბინძურებაც. როგორი მყრალიც შეიძლება იყოს ჰაერი, ასეთივე შეიძლება იყოს აზრიც.

თავისთავად სუნთქვა ეს არაა პრანა. სიტყვა პრანა ნიშნავს სასიცოცხლო ენერგიას, რომელიც ვლინდება ამ ურთიერთწინააღმდეგობებში: ჩასუნთქვაში და ამოსუნთქვაში, შესვლაში და გამოსვლაში. პრანა ეს ენერგიაა, რომელიც ჩასუნთქვას ანხორციელებს, და არა თავად ჩასუნთქვა. ის ენერგიაა, რომელიც ჩასუნთქვას ასრულებს და შემდეგ გარეთ გამოისვრის ჰაერს. ენერგია, რომელიც აზრს ისრუტავს და შემდეგ გარეთ ისვრის, ასევე პრანაა. ეს პროცესი ყოველ შვიდივე სხეულში მიმდინარეობს. ახლა მე ვსაუბრობ მხოლოდ ფიზიკურ და მენტალურ სხეულებზე, რადგანაც ეს ორი სხეული ჩვენთვის ცნობილია, ადვილად შეგვიძლია მათი გაგება, მაგრამ იგივე პროცესი მიდის თქვენი არსებობის ყველა დონეზე.

მეორე — ეთერულ — სხეულს შესვლის და გამოსვლის თავისი პროცესი აქვს. თქვენ შეიგრძნობთ ამ პროცესს ყოველ შვიდ სხეულში, მაგრამ იგრძნობთ ზუსტად ისე, როგორც შემავალი და გამომავალი სუნთქვა, რადგანაც ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ფიზიკურ სხეულს და მის პრანას. მაშინ ყოველთვის არასწორად გაიგებთ. როცა არ უნდა გაგიჩნდეთ სხვა სხეულის, ან მისი პრანის შეგრძნება, თავიდან აღიქვამთ მას როგორც ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა, რადგანაც თქვენ მხოლოდ ამ განცდ

ას იცნობთ, პრანის მხოლოდ ეს გამოვლინება იცით. მაგრამ ეთერულ დონეზე არაა არც სუნთქვა და არც აზროვნება. ამ შემთხვევაში შედის და გამოდის ზეგავლენა, უბრალოდ ზეგავლენა. თქვენ შეხვედით კონტაქტში ვინმესთან, აქამდე უცნობ ადამიანთან. მას არც კი უსაუბრია თქვენთან, მაგრამ მისგან თქვენში რაღაც შემოვიდა. თქვენ ან მიიღეთ იგი, ან განაგდეთ. აქ ნატიფი ზეგავლენაა. შეგიძლიათ ამას დაარქვათ სიყვარული ან სიძულვილი, მიზიდულობა ან განზიდულობა. როცა რაღაც გიზიდავთ ან განგიზიდავთ — ეს თქვენი ეთერული სხეულია და ეს პროცესი ყოველ წამს ხდება. იგი არასოდეს მთავრდება. ყოველთვის ისრუტავთ ზეგავლენას, შემდეგ კი გარეთ აგდებთ. ყოველთვის იქნება მეორე პოლუსი. თუ ვიღაც გიყვარდათ, გარკვეულ მომენტში განზიდულობა

გაგიჩნდებათ მისადმი. ასე რომ სიყვარულის ყოველ მომენტს მოსდევს სიძულვილის მომენტი.

სასიცოცხლო ენერგია პოლარულ ურთიერთწინააღმდეგობებში არსებობს. იგი არასოდესაა ერთ პოლუსზე. ეს შეუძლებელია და რაც არ უნდა ეცადოთ, შეუძლებელს ცდილობთ. არ შეგიძიათ ვინმე გიყვარდეთ ისე, რომ ხანდახან არ გძულდეთ. სიძულვილი იქნება, რადგანაც სასიცოცხლო ენერგია ვერ იარსებებს ერთ პოლუსზე. მეგობარი მტერი გახდება და ა.შ. ეს შესვლა და გამოსვლა მეშვიდე სხეულამდე გაგრძელდება. ვერც ერთი სხეული ვერ იარსებებს ამ პროცესის გარეშე — შესვლის და გამოსვლის. ეს შეუძლებელია. ისევე შეუძლებელია, როგორც ფიზიკური სხეულის არსებობა ჩსუნთქვის და ამოსუნთქვის გარეშე.

როცა საქმე ეხება ფიზიკურ სხეულს, ჩვენ არასოდეს ვთვლით ჩასუნთქვას და ამოსუნთქვას ურთიერთ წინააღმდეგობებად, ამიტომ არასოდეს ვდარდობთ მათზე. ცხოვრება არ აკეთებს განსხვავებას ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას შორის. აქ არაფერია ასარჩევი, ორივე ერთი არსია, ბუნებრივი მოვლენაა. მაგრამ როცა საქმე ეხება მეორე სხეულს, სიძულვილი არ უნდა იყოს, სიყვარული კი უნდა იყოს. აქ თქვენ დაიწყეთ ამორჩევა და ეს არჩევანი დარდს ბადებს. აი, რატომაა, რომ ფიზიკური სხეული როგორც წესი უფრო ჯანმრთელია, ვიდრე ეთერული. ეთერულ სხეულში გამუდმებული კონფლიქტია, რადგანაც მორალურმა არჩევანმა ჯოჯოხეთად აქცია იგი.

როცა თქვენთან სიყვარული მოდის, ნეტარებას გრძნობთ, ხოლო როცა სიძულვილი მოდის — ავადმყოფად გრძნობთ თავს. მაგრამ ის აუცილებლად მოვა, ამიტომ მცოდნე ადამიანი, რომელმაც იცის ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსები, არ დარდობს, როცა იგი მოდის. ადამიანი, რომელმაც პოლუსები შეიცნო, მსუბუქად და თავისუფ

ლად გრძნობს თავს. იგი გაწონასწორებულია, იცის, რომ ეს გარდაუვალია, ამიტომ არ ცდილობს შეყვარებას. არ უყვარს და არც სიძულვილს ქმნის. საგნები მოდიან და მიდიან. მას არ იზიდავს მოსვლა და არ განიზიდავს წასვლა. ის უბრალოდ მოწმეა. მისთვის ეს იგივეა, რაც ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა. ამას ეძღვნება ბუდისტური მეთოდი ანაპანა-სატი-იოგა. იგი გთავაზობთ, რომ მხოლოდ მოწმე იყოთ შემავალი და გამომავალი სუნთქვისა. უბრალოდ იყავით მოწმე... და დაიწყეთ ფიზიკური სხეულით. ანაპანა-სატიში არაფერია ნათქვამი დანარჩენ ექვს სხეულზე, იმიტომ რომ ისინი თანდათანობით თავისთავად გამოვლინდებიან. რაც უფრო მეტად ცნობილი გახდება თქვენთვის ეს პოლარობა, ეს ერთდროული სიცოცხლე და სიკვდილი, დაბადება და სიკვდილი, მით უფრო მეტად გააცნობიერებთ მეორე სხეულის არსებობას. მაშინ სიძულვილისადმი განურჩეველნი გახდებით. სიყვარულია ეს, თუ სიძულვილი, იყავით განურჩეველნი მათდამი, და არ მიეჯაჭვოთ არავის, რადგან თუ მიეჯაჭვეთ, რა დაემართება მეორე პოლუსს? თქვენ ავად გახდებით, დაკარგავთ სიმსუბუქეს, ძალდაუტანლობას. თქვენ ამით ძალას ატანთ საკუთარ თავს.

ბუდა ამბობს: საყვარელი ადამიანის მოსვლას მიესალმებიან, წასვლისას კი ტირიან. საძულველი ადამიანის მოსვლა უბედურებაა, მისი წასვლა კი

ბედნიერება. მაგრამ თუ მიეჯაჭვებით ამ საპირისპირო პოლუსებს, ჯოჯოხეთში აღმოჩნდებით. თქვენი ცხოვრება ჯოჯოხეთი იქნება. თუ თქვენ უბრალოდ მოწმენი გახდით ამ პოლუსებისა, თქვენ ამბობთ: ეს ბუნებრივი მოვლენაა, ბუნებრივია შესაბამისი სხეულისთვის. ეს სხეული მხოლოდ ამის წყალობით არსებობს. სხვაგვარად არ შეუძია არსებობა. და როგორც კი გააცნობიერეთ ეს, მაშინვე გადალახეთ, ამაღლდით ამ სხეულზე. თუ მაღლდებით პირველ სხეულზე, აცნობიერებთ მეორეს არსებობას, ხოლო თუ მაღლდებით მეორე სხეულზე, აცნობიერებთ მესამის არსებობას. დაკვირვება, მოწმედ ყოფნა ყოველთვის სიცოცხლესა და სიკვდილის მიღმაა. ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა ორი განსხვავებული რამაა, და თუ დამკვირვებელი გახდი

თ, აღარც ერთი ხართ და აღარც მეორე. მაშინ ვლინდება მესამე ძალა. ახლა თქვენ უკვე აღარ ხართ პრანას გამოვლინება ფიზიკურ სხეულში. ახლა თქვენ უკვე თავად ხართ პრანა, მოწმე. ახლა ხედავთ, რომ სიცოცხლე ფიზიკურ დონეზე ამ პოლარობის წყალობით ვლინდება. და თუ ეს პოლარობა შეწყდება, ფიზიკური სხეული აღარ იქნება. იგი შეწყვეტს არსებობას. მისი არსებობისთვის აუცილებელია დაძაბულობა. ესაა გამუდმებული დაძაბულობა მოსვლისა და წასვლისა, სიცოცხლისა და სიკვდილისა. იგი ამის წყალობით არსებობს. ყოველ წამს ამ ორ პოლუსს შორის მოძრაობს. სხვაგვარად იგი ვერ იარსებებდა.

მეორე სხეულში ძირითადი პოლარობაა სიყვარული და სიძულვილი. იგი ძალიან მრავალფეროვნად ვლინდება, მაგრამ ძირითადია: მომწონს — არ მომწონს. და ყოველ წამს თქვენი «მოწონება» იქცევა «არ მოწონებად», და პირიქით. ყოველ წამს... მაგრამ თქვენ თითქმის ვერ ამჩნევთ ამას. როცა «მოწონება» «არ მოწონებად იქცევა», თუკი თრგუნავთ ამ ზიზღს და ატყუებთ საკუთარ თავს, რომ ყოველთვის მოგეწონებათ ერთი და იგივე საგანი, ამით ორმაგად ასულელებთ საკუთარ თავს. ხოლო თუ რაღაც არ მოგწონთ, ასევე აგრძელებთ, რომ გეზიზღებოდეთ იგი და ვერ ამჩნევთ მომენტებს, როცა იგი მოგწონთ. ჩვენ ვთრგუნავთ საკუთარ თავში მტრების სიყვარულს და მეგობრების სიძულვილს. ყოველთვის დათრგუნულები ვართ. მხოლოდ ცალმხრივ მოძრაობას ვუშვებთ, ერთ პოლუსს. მაგრამ იმის წყალობით, რომ იგი კვლავ ჩნდება, ცუდს ვერაფერს ვხედავთ მასში. ის დაბრუნდა და ჩვენ მშვიდად ვართ, მაგრამ ეს მოძრაობა არაა მუდმივი, შეუძლებელია იყოს მუდმივი.

სასიცოცხლო ძალა მეორე სხეულში ვლინდება როგორც მიზიდულობა და ზიზღი, მაგრამ ისევე როგორც ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას შორის ფიზიკური სხეულის დონეზე, ასევე ეთერული სხეულის დონეზეც მიზიდულობასა და ზიზღს შორის არ არის სხვაობა. აქ გარემო ზეგავლენაა, ფიზიკური სხეულის შემთხვევაში კი ჰაერი. მეორე სხეული ზეგავლენების ატმოსფეროში ცხოვრობს. შემთხვევით არ ხდება, რომ ვიღაც კონტაქტში შემოდის თქვენთან და გიყვარდებათ იგი. მარტოც რომ იყოთ ოთახში და არავინ მოდიოდეს, თქვენ მაინც ან გიყვართ, ან არ გიყვართ. გარეგნული ვითარება დიდ როლს არ თამაშობს. მიზიდულობა და განზიდულობა გამუდმებით შეცვლიან ერთმანეთს. სწორედ ამ პოლარობის წყალობით არსებობს ეთერული სხეული. ესაა მისი სუნთქვა. თუ ამის

მოწმენი გახდებით, უბრალოდ გაგეცინებათ. მაშინ არ არის არც მტერი და არც მეგობარი. მაშინ უბრალოდ იცით, რომ ეს ბუნებრივი მოვლენაა. თუ გააცნობიერეთ მეორე სხეულის არსებობა, მისი მოწმე გახდით, მოწმე სიყვარულისა და სიძულვილისა, მაშინ შეგიძლიათ შეიცნოთ მესამე სხეული.

ნაწილი II

მესამე სხეული ასტრალურია. ისევე როგორც ზეგავლენაა ეთერულ სხეულში, ასტრალურ სხეულში მაგნეტიზმის ძალებია. მაგნეტიზმია მესამე სხეულის სუნთქვა. ერთ მომენტში თქვენ ძლიერი ხართ, მეორეში კი სუსტი. ერთ მომენტში იმედებით სავსე ხართ, მეორეში კი უიმედოდ ხართ. ერთში თავდაჯერებული ხართ, მეორეში კარგავთ საკუთარი თავის რწმენას. ესაა თქვენში მაგნეტიზმის შესვლა და გამოსვლა. არის მომენტები, როცა გგონიათ რომ ღმერთის დამარცხებასაც კი შეძლებთ, და არის მომენტები, როცა ჩრდილისაც კი გეშინიათ. როცა მაგნეტიზმის ძალა თქვენშია, როცა იგი თქვენში შემოდის, მაშინ დიდებული ადამიანი ხართ, როცა იგი წავიდა, არავინ ხართ. და ეს წინ და უკან მონაცვლეობს ზუსტად ისევე, როგორც დღე და ღამე. წრე ბრუნავს, ამიტომ ისეთ დიად ადამიანსაც კი, როგორიც ნაპოლეონი იყო, ჰქონდა უძლურების მომენტები, და ძალიან მხდალ ადამიანსაც კი აქვს სიმამაცის გაელვებები.

ძიუდოში არის ტექნიკა იმის გამოცნობისთვის, თუ როდისაა ადამიანი უძლური. ესაა ხელსაყრელი დრო მასზე თავდასხმისთვის. როცა იგი ძალებით სავსეა, აუცილებლად დაგამარცხებთ, ამიტომ უნდა ამოიცნოთ მომენტი, როცა მისი მაგნეტური ძალა მიდის და ამ დროს დაესხათ თავს. ასევე უნდა აიძულოთ თავს დაგესხათ მაშინ, როცა თქვენში შემოდის მეგნეტიზმის ძალა. ძალის შესვლა და გამოსვლა თქვენს სუნთქვას შეესაბამება. აი, რატომაა, რომ როცა რაღაც რთული გაქვთ გასაკეთებელი, სუნთქვას იკავებთ.

მაგალითად, როცა მძიმე ქვა გაქვთ ასაწევი, თქვენ ვერ ასწევთ მას ამოსუნთქვის დროს. მაგრამ როცა ჩაისუნთქავთ, ან სუნთქვას შეიკავებთ ჩასუნთქვის შემდეგ, შეძლებთ ამის გაკეთებას. შესაბამისად როცა მოწინააღმდეგე ამოისუნთქავს, თუ ის ნავარჯიშევი არაა, რომ მოგატყუოთ, ეს ის მომენტია, როცა მისგან მაგნეტური ძალა მიდის. ესაა საუკეთესო მომენტი თავდასხმისთვის. ამაშია ძიუდოს საიდუმლო. შეგიძლიათ თქვენზე ძლიერი მეტოქეც კი დაამარცხოთ, თუ

იცით როდისაა იგი შეშინებული და უძლური. როცა მაგნეტური ძალა გამოვიდა მისგან, ის აუცილებლად უძლური იქნება.

მესამე სხეული მაგნეტიზმის ატმოსფეროში ცხოვრობს, ისე როგორც ჰაერში. გარშემო მის ირგვლივ ყველგან მაგნეტური ძალებია. თქვენ ჩაისუნთქავთ და ამოისუნთქავთ მათ. მაგრამ თუ დაიწყეთ ამ ძალების ჭვრეტა, თუ როგორ შემოდის და გადის იგი თქვენში, მაშინ არც ძლიერი ხართ და არც უძლური. თქვენ ამაღლდით ერთზეც და მეორეზეც.

მაშინ აღმოაჩენთ მეოთხე სხეულს — მენტალურ სხეულს, რომელშიც შედის და გამოდის აზრი. მაგრამ ამ შესვლა-გამოსვლასაც შესაბამისობა გააჩნია. როცა ჩასუნთქვის დროს მოგდით აზრი, ამ დროს იბადება ორიგინალური აზროვნება, როცა ამოისუნთქავთ, ეს უძლურების მომენტია. ამ დროს არანაირი ორიგინალური აზრი არ იბადება. ორიგინალური აზრის დაბადების დროს სუნთქვა ჩერდება. ეს შესაბამისობის გამოვლენაა. არაფერი არ იბადება, როცა აზრი მიდის. ის უბრალოდ მკვდარია. მაგრამ თუ ჭვრეტას დაიწყებთ და გააცნობიერებთ აზრების ამ მოსვლა-წასვლას, მაშინ შეძლებთ მეხუთე სხეულის შეცნობას. მეოთხე სხეულის ჩათვლით ამ მოვლენების გაგება არაა რთული, რადგანაც გარკვეული გამოცდილება გაქვთ. მეოთხეს შემდეგ ყველაფერი ძალზე უცნაური ხდება. მაგრამ რაღაცის გაგება მაინც შეიძლება, ხოლო როცა ამაღლდებით მეოთხე სხეულზე, მაშინ ამას კიდევ უფრო უკეთ გაიგებთ.

მეხუთე სხეულისთვის თავად სიცოცხლე წარმოადგენს ატმოსფეროს. ასე რომ მეხუთე სხეულში შესვლა სიცოცხლის წამია, ხოლო გამოსვლა — სიკვდილის. მეხუთე სხეულის გაგებით თქვენ გააცნობიერებთ, რომ სიცოცხლე არაა რაღაც თქვენში არსებული მოვლენა. ის უბრალოდ შემოდის და გადის, ზუსტად ისევე როგორც სუნთქვა. აი რატომ გახდა სუნთქვა და პრანა სინონიმები. ეს მეხუთე სხეულის დამსახურებაა. ამ სხეულში სიტყვა პრანა აზრს იძენს. ეს სიცოცხლეა: შემავალი და გამომავალი. ამიტომაც სიკვდილის შიში გამუდმებით თან დაგყვებათ. თქვენ უბრალოდ აცნობიერებთ, რომ სიკვდილი ახლოსაა, კუთხეში გელოდებათ, ყოველთვის აქაა. სიკვდილის, უმწეობის, სიბნელის შეგრძნება დაკავშირებულია მეხუთე სხეულთან. ეს ძალიან ბნელი და იდუმალი შეგრძნებაა, რადგანაც ბოლომდე ვერ აცნობიერებთ მას. როცა მეხუთე სხეულს მიუახლოვდით და მისი არსებობა გააცნობიერეთ, მაშინ იცით, რომ სიცოცხლე და სიკვდილი მხოლოდ მეხუთე სხეულის სუნთქვაა. ამის გაცნობიერების შედეგად კი ხვდებით, რომ შეუძლებელია მოკვდეთ, რადგანაც სიკვდილი არ წარმოადგენს თქვენთვის დამახასიათებელ ფენომენს, და ასევეა სიცოცხლეც. სიცოცხლეც და სიკვდილიც გარეგნული მოვლენებია, რომლებიც გემართებათ. თქვენ არასოდეს ყოფილხართ ცოცხლები და არასოდეს ყოფილხართ მკვდრები. თქვენ ხართ რაღაც აღმატებული ერთზეც და მეორეზეც. მაგრამ ამ აღმატებულობის, ტრანსცენდენციის გრძნობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ მოვიდეს, როცა გააცნობიერეთ სიცოცხლის და სიკვდილის ძალების ქმედება მეხუთე სხეულში.

ფროიდმა თქვა სადღაც, რომ ერთხელ როგორღაც იგრძნო ეს. იგი არ იყო იოგას ადეპტი, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიგებდა ამას. მან ამას სიკვდილის ნება

დაარქვა და ამბობდა, რომ ყოველი ადამიანი ხანდახან სიცოცხლისკენ ისწრაფვის, ხანდახან კი სიკვდილისკენ. ადამიანში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ნებაა. ნება სიცოცხლისა და ნება სიკვდილისა. დასავლური ჭკუისთვის ეს სრულიად აბსურდული იყო. როგორ შეუძლია ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ნებას ერთ პიროვნებაში არსებობა? მაგრამ ფროიდი ამბობდა, რომ რამდენადაც არსებობს თვითმკვლელობა, უნდა არსებობდეს სიკვდილის ნებაც. არც ერთ ცხოველს არ ძალუძს თვითმკვლელობა, რადგანაც არც ერთს არ შეუძლია თავისი მეხუთე სხეულის გაცნობიერება. იმისთვის, რომ თვითმკვლელობა განხორციელდეს, აუცილებელია ადამიანი აცნობიერებდეს თავის სიცოცხლეს, ცხოველები კი ვერ აცნობიერებენ ამას. მაგრამ აუცილებელია კიდევ ერთი რამ. იმისთვის, რომ თვითმკვლელობა განახორციელოთ, თქვენ ასევე არ უნდა აცნობიერებდეთ სიკვდილის თანამყოფობას. ჩვენ შეგვიძლია თვითმკვლელობა, რადგანაც ვაცნობიერებთ სიცოცხლეს და ვერ ვაცნობიერებთ სიკვდილს. ბუდას არ შეუძლია თვითმკვლელობის ჩადენა, რადგანაც ეს უსარგებლოა, უაზრობაა. მან იცის, რომ სინამდვილეში საკუთარი თავის მოკვლა შეუძლებელია. შეგვიძლია მხოლოდ თავი მოვაჩვენოთ. თვითმკვლელობა ეს მხოლოდ პოზაა, რადგანაც სინამდვილეში არც ცოცხლები ხართ და არც მკვდრები.

სიკვდილი იმყოფება მეხუთე პლანზე, მეხუთე სხეულში. ეს გარკვეული ენერგიის გამოსვლაა. თქვენ ხართ ის, ვისშიც ხორციელდება ეს შესვლა და გამოსვლა. თუ თავი გააიგივეთ პირველთან, შეგიძლიათ ჩაიდინოთ მეორე. თუ თავი გააიგივეთ სიცოცხლესთან, თუ სიცოცხლე შეუძებელი გახდა, მაშინ შეგიძლიათ თქვათ: «მე თავს მოვიკლავ». ეს მეორე ასპექტია თქვენი მეხუთე სხეულის თვითგამყარებისა. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ ეფიქროს თვითმკვლელობაზე. რადგანაც სიკვდილი სიცოცხლის მეორე მხარეა. ეს მეორე მხარე შესაძლოა ან თვითმკვლელობად იქცეს, ან მკვლელობად. თუ სიცოცხლით ხართ შეპყრობილი, თუ ისე ხართ მასზე მიჯაჭვული, რომ გინდათ სრულიად უკუაგდოთ სიკვდილი, მაშინ შეძლებთ, რომ სხვა მოკლათ. სხვისი მოკვლით დააკმაყოფილებთ თქვენი სიცოცხლის წყურვილს. და ამგვარად ფიქრობთ, რომ ამის მერე აღარ მოკვდებით, რადგანაც ვიღაც სხვა მოკვდა. ყველას, ვინც მრავალრიცხოვანი მკვლელობა ჩაიდინა: ჰიტლერს, მუსოლინის, ყველას ძალიან ეშინოდა სიკვდილის. ისინი სიკვდილის გამუდმებული შიშის ქვეშ იყვნენ, ამიტომ ამ სიკვდილის პროეცირებას სხვებზე ახდენდნენ. ადამიანი, რომელსაც სხვისი მოკვლა შეუძლია, გრძნობს, რომ სიკვდილზე ძლიერია. მაგიური ფორმულის თანახმად, იგი თვლის, რომ თუ მოკვლა შეუძლია, ე.ი. სიკვდილი გადალახა, და რასაც სხვებს უკეთებს, სხვები ვერ გაუკეთებენ მას. თუ იმდენი ხალხი დახოცეთ, რომ საბოლოოდ თავი მოიკალით, ეს ამ პროექციის თქვენთან დაბრუნებაა. მეხუთე სხეულში, სადაც თქვენთან სიცოცხლე და სიკვდილი მოდის, არ უნდა ვიყოთ მიჯაჭვული არც ერთზე, არავიზე. თუ მიჯაჭვული ხართ, თქვენ არ იღებთ ამ პოლარობას მთელი სისავსით და ავად ხდებით.

მეოთხე სხეულის ჩათვლით ეს არც ისე რთული გასაგები იყო. მაგრამ სიკვდილის შეცნობა და მისი, როგორც სიცოცხლის მეორე ასპექტის მიღება,

ყველაზე ძნელია. სიცოცხლის და სიკვდილის, როგორც პარალელების, როგორც ერთი და იგივეს შეცნობა, ეს ყველაზე რთულია, მაგრამ ასეთია მეხუთე სხეულის პოლარობა. ესაა პრანის თვისება მეხუთე სხეულში.

ნაწილი III

რაც შეეხება მეექვსე სხეულს, მისი გაგება კიდევ უფრო რთულია, რადგანაც მეექვსე სხეული უკვე აღარაა სიცოცხლე. მეხუთეს შემდეგ ქრება «მე», «ეგო». თქვენ ერთიანი ხდებით ყველაფერთან. ახლა რაც არ უნდა შევიდეს და გავიდეს თქვენში, ეს უკვე თქვენი აღარაა, რადგანაც აღარ არის «ეგო». ყველაფერი კოსმიური ხდება, და ამიტომაც პოლარობა იღებს შექმნის და განადგურების ფორმას. მისი ატმოსფეროა შექმნის ძალა და განადგურების ძალა. ინდუისტურ მითოლოგიაში მათ ეწოდებათ ბრაჰმა და შივა. ბრაჰმა შემოქმედი ღვთაებაა, ვიშნუ შენარჩუნების, ხოლო შივა — დიადი სიკვდილის, განადგურების და გაქრობის, როდესაც ყველაფერი თავის პირვანდელ საწყისს უბრუნდება. მეექვსე სხეული ბრაჰმას და შივას ძალების სფეროს განეკუთვნება.

თქვენთან ყოველ წამს მოდის ქმნილება და ასევე ყოველ წამს ყველაფერი ნადგურდება, ასე რომ როდესაც იოგი ამბობს: «მე ვნახე შექმნა» ან «მე ვნახე პრალაია (დასასრული)», იგი საუბრობს მეექვსე სხეულზე. იქ არ არის ეგო. ყველაფერი რაც მოდის და მიდის, თქვენ ხართ. თქვენ ერთიანნი გახდით ამასთან. დაიბადა ვარსკვლავი? ეს თქვენი დაბადება მოხდა. გაქრა ვარკვლავი? ეს თქვენი გაქრობაა. ამიტომ ინდუისტურ მითოლოგიაში ნათქვამია, რომ სამყაროს ერთი ქმნილება ბრაჰმას ერთი სუნთქვაა. ეს — კოსმიური ძალა სუნთქავს. როცა ბრაჰმა ჩაისუნთქავს, ქმნილება ყოფიერებაში ვლინდება. დაიბადა ვარსკვლავი. ქაოსიდან იქმნებიან ვარსკვლავები. ყველაფერი ყოფიერებას უბრუნდება. ხოლო როდესაც იგი ამოისუნთქავს, ყველაფერი მიდის, ქრება, ყოფიერება არყოფნად იქცევა. აი, რატომ ვამბობ, რომ მეექვსე სხეულის გაგება ძალიან რთულია. მეექვსე სხეული არაა ეგოცენტრული. იგი კოსმიური ხდება. და მეექვსე სხეულში შეიცნობა ყველაფერი, რაც ქმნილებას ეხება. ყველაფერი, რაზეც მსოფლიოს რელიგიები საუბრობენ.

როცა საუბრობენ შექმნაზე, ან დიდ წარღვნაზე, დასასრულზე, საუბრობენ მეექვსე სხეულზე და მასთან დაკავშირებულ ცოდნაზე. დიდი წარღვნა იუდეურ-ქრისტიანულ მითოლოგიაში, ან ბაბილონურ და სირიულ მითოლოგიაში, ან

პრალაია ინდუიზმში — ეს ერთი ამოსუნთქვაა. მეექვსე სხეულის ამოსუნთქვა. ეს კოსმიური განცდაა. თქვენ იქ არ ხართ. ადამიანი მეექვსე სხეულში, ვინც მიაღწია მეექვსე სხეულს, ყველაფერ მომაკვდავს დაინახავს როგორც საკუთარ სიკვდილს. მაჰავირას ჭიანჭველას მოკვლაც კი არ შეუძლია, და არა აჰიმსას (არაძალადობის) პრინციპის გამო, არამედ იმის გამო, რომ ეს მისი სიკვდილიცაა. ყველაფერი, რაც კვდება, მისი სიკვდილია. როცა აცნობიერებთ ამას — შექმნას და განადგურებას — ეს მეექვსე სხეულის ცნობიერებაა. რა საგანიც არ უნდა გაქრეს ყოფიერებიდან, რაღაც ახალი იქმნება. მზე კვდება და სადღაც ახალი იბადება. ეს სამყარო განადგურდება და ახალი გაჩნდება. ჩვენ მეექვსე სხეულშიც კი მიჯაჭვულობა გვაქვს: «კაცობრიობა არ უნდა განადგურდეს». მაგრამ ყველაფერი, რაც იბადება, უნდა მოკვდეს. კაცობრიობაც კი. მისი განადგურებისთვის შეიქმნება ატომური ბომბები. და როგორც კი ამ ბომბებს ვქმნით, მაშინვე ჩნდება მისწრაფება, რომ სხვა პლანეტაზე გადავსახლდეთ. რადგანაც ეს ბომბები მიუთითებენ, რომ დედამიწა პოტენციურად თავის დასასრულს მიუახლოვდა.

ბრაჰმა, ეს მეექვსე სხეულის არსებაა. მეექვსე სხეულში თქვენ ბრაჰმა ხდებით. სინამდვილეში თქვენ გებულობთ ბრაჰმას და შივას — ორივე პოლუსს. და ვიშნუ ამ პოლარობის გარეთაა. ისინი ქმნიან ტრიმურტის — სამებას: ბრაჰმა, ვიშნუ და შივა. თუ თქვენ ჭვრეტთ ბრაჰმას და შივას, მაშინ თქვენ იცით მესამე, რომელიც ვიშნუა. ვიშნუა თქვენი რეალობა მეექვსე სხეულში. აი რატომ გახდა ვიშნუ ყველაზე ცნობილი ამ სამს შორის. ბრაჰმას იხსენებენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იგი შემოქმედი ღმერთია, მას ერთ-ორ ტაძარში თუ ეთაყვანებიან. მას პატივს უნდა სცემდნენ, მაგრამ სინამდვილეში არ სცემენ პატივს. შივას უფრო მეტადაც კი ეთაყვანებიან, ვიდრე ვიშნუს — სიკვდილის შიშის გამო. მისი თაყვანისცემა ჩვენი სიკვდილის შიშიდან გამომდინარეობს. მაგრამ ცოტა თუ ეთაყვანება ბრაჰმას, რადგან აქ არაფერია საშიში. ჩვენ უკვე შექმნილები ვართ, ასე რომ ბრაჰმაზე აღარ ვფიქრობთ. იგია შემოქმედი, ამიტომ ყველა ტაძარი მისთვის უნდა შენდებოდეს, მაგრამ ასე არ ხდება. ყველაზე მეტად შივას ეთაყვანებიან. ამიტომაცაა მისი სახელობის ამდენი ტაძარი. მისი სიმბოლიზებისთვის ქვაც კი საკმარისია, წინააღმდეგ შემთხვევაშ ძნელი იქნებოდა ამდენი კერპის შექმნა. ამიტომ ქვაც საკმარისია. უბრალოდ დადგით სადმე ქვა — ესეც თქვენი შივა. (იგულისხმება შივა-ლინგამი. მთარგმნ. შენიშვნა)

იმის გამო, რომ ჭკუას ასე ეშინია სიკვდილის, გვერდს ვერ ავუვლით შივას. მისი თაყვანისცემა ბუნებრივია. მაგრამ ვიშნუ უფრო ძირითადი ღვთაებაა. აი რატომ არიან რამა და კრიშნა ვიშნუს გამოვლინებები. ღვთაებრივი გამოვლინების ყოველი ავატარი ვიშნუს გამოვლინებაა. ბრაჰმა და შივაც კი ვიშნუს ეთაყვანებიან. ბრაჰმას შეუძლია იყოს შემოქმედი, მაგრამ იგი შემოქმედია ვიშნუსთვის. ეს ვიშნუს ორი სუნთქვაა — შემავალი და გამომავალი. ბრაჰმა — ჩასუნთქვა, შივა — ამოსუნთქვა. ვიშნუ კი მეექვსე სხეულის რეალობაა.

მეშვიდე სხეულში ყველაფერი კიდევ უფრო რთული ხდება. ბუდამ მეშვიდე სხეულს უწოდა ნირვანა-კაია, გასხივოსნების სხეული, რადგანაც ჭეშმარიტება, აბსოლუტი მეშვიდე სხეულშია. მეშვიდე სხეული ბოლოა, ამიტომ მასში შექმნა და

განადგურებაც კი არაა, არამედ არის ყოფნა და არყოფნა. მეშვიდე სხეულში ქმნილება ყოველთვის რაღაც სხვისი შექმნაა და არა თქვენი. შექმნა იქნება რაღაც სხვისი შექმნა, ხოლო განადგურება რაღაც სხვისი განადგურება, და არა თქვენი. რადგანაც ყოფნა თქვენი ყოფნაა და არ ყოფნა თქვენი არ ყოფნა. მეშვიდე სხეულში ყოფნა და არყოფნა, არსებობა და არ არსებობა სუნთქვის ორი მხარეა. არაა საჭირო არც ერთთან გაიგივება. ყველა რელიგია შეიქმნა მათ მიერ, ვინც მეშვიდე სხეულს მიაღწია. და აქ ენას მხოლოდ ორი სიტყვის გამოხატვა შეუძლია: ყოფიერება და არ ყოფნა. ბუდა არ ყოფნის ენით საუბრობს, გამომავალი სუნთქვის ენით, რადგანაც იგი ამბობს: «რეალობა არაფერია». შანკარა საუბრობს ყოფიერების ენით და ამტკიცებს, რომ საბოლოო რეალობა ბრაჰმანია. შანკარა პოზიტიურ ცნებებს იყენებს, ბუდა კი ნეგატიურს, რადგანაც მან ამოსუნთქვა არჩია. მაგრამ ეს ერთადერთი არჩევანია, რაც შეუძლია ენას შემოგვთავაზოს. მესამე არჩევანი ის რეალობაა, რომელზეც შეუძლებელია რაიმეს თქმა. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება ითქვას, ესაა — «აბსოლუტური ყოფიერება» ან «აბსოლუტური არ ყოფნა». ამის თქმა შეიძება იმიტომ, რომ მეშვიდე სხეული აღემატება ამას. აქ ჯერ კიდევაა შესაძებელი ტრანსცენდენცია. მე შემიძლია რამე ვთქვა ამ ოთახზე, თუკი გავალ აქედან. თუ მოვახდენ ამ ოთახის ტრანსცენდენციას, გავალ აქედან და მივაღწევ სხვას, მაშინ შემიძლია გავიხსენო ეს ოთახი, მაგრამ თუ აქედან გავალ და უფსკრულში გადავიჩეხები, მაშინ ვერაფერს ვიტყვი ამ ოთახზეც კი. აქამდე, ყოველ სხეულზე საუბრისას შეგვეძლო სიტყვებით მოვჭიდებოდით, სიმბოლოებით გამოგვეხატა მესამე წერტილი, რადგანაც ამ დუალობების გარეთ მყოფი სხეულიც რჩებოდა. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მეშვიდე სხეულის ჩათვლით. მის იქით არაფრის თქმა არ შეიძება, რადგანაც იგი ბოლოა. მის მიღმა უსიტყვობაა.

მეშვიდე სხეულში გვიწევს ავირჩიოთ ყოფნასა და არ ყოფნას შორის, დასტურის და უარყოფის ენას შორის. არის მხოლოდ ორი არჩევანი. ერთია ბუდას არჩევანი, რომელიც ამბობს: «არაფერი არ რჩება», ხოლო მეორე არჩევანი შანკარას არჩევანია. იგი ამბობს: «ყველაფერი რჩება». რადგანაც საქმე ეხება ადამიანს, სამყაროს. ამ შვიდ განზომილებაში, შვიდ სხეულში სასიცოცხლო ენერგია მრავალ სფეროში ვლინდება. ყველგან, სადაც სიცოცხლის აღმოჩენა შეიძლება, არსებობს ეს პროცესები: შესვლის და გამოსვლის პროცესი. ამ პოლარობის გარეშე სიცოცხლე ვერ იარსებებს, ასე რომ პრანა ეს ენერგიაა, კოსმიური ენერგია, და პირველად ფიზიკურ სხეულში ვეცნობით მას. პირველად იგი ვლინდება როგორც სუნთქვა, და შემდეგაც სუნთქვად რჩება, სხვა ფორმებში: ზეგავლენებში, მაგნეტიზმში, აზრებში, სიცოცხლეში, ქმნილების პროცესში, ყოფიერებაში. როგორც კი ვაცნობიერებთ და ვჭვრეტთ მესამე წერტილს დუალიზმის გარეთ, მაშინვე ვმაღლდებით წინა სხეულზე. გადავდივართ პირველიდან მეორე სხეულში და ა.შ. მაგრამ მეშვიდე სხეულს მიღმა უსხეულობაა, უფორმობაა. მაშინ თქვენ გახდით წმინდა. მაშინ თქვენ აღარ ხართ დაყოფილი, აღარ არის პოლუსები. მაშინ არის ადვაიტა (არა ორი), არის ერთიანობა.

ოშო რაჯნიში

თანაგრძნობა — უმაღლესი სიყვარულის გამოვლინება[1]

(ამონარიდები)

თანაგრძნობა — უმაღლესი სიყვარულის გამოვლინება

წიგნში თავმოყრილია ოშოს საუბრების ის ნაწილი, სადაც ის გვასწავლის ცხოვრებას საკუთარი თავის, გარშემომყოფების და მთელი სამყაროს (არსების) მიღებას და სიყვარულს.

მომწიფებულ, სრულყოფილი სიყვარული არის თანაგრძნობა.

«თანაგრძნობა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს, რომ თქვენ ღებულობთ ადამიანთა არასრულყოფილებასა და სისუსტეს. არ ელოდებით, რომ ისინი მოიქცევიან ისე, როგორც ღმერთები. თქვენ აღიარებთ ყოველი ადამიანის ღირსებას, ეხმარებით ადამიანებს იმის გაცნობიერებაში, რომ გასხივოსნება ყოველი ადამიანის ბუნებაში დევს».

...ბუდას თანახმად სუნთქვა — ეს საფუძველია. ღრმა, მოდუნებული, გაცნობიერებული სუნთქვა თქვენ გაძლევთ საოცარ სიჩუმეს, სიმშვიდეს და მოდუნებას: თანდათან თქვენ დნებით, იხსნებით და ქრებით. თქვენ აღარ ხართ ცალკეული კუნძული, იწყებთ ვიბრირებას მთელ არსებასთან ერთად. თქვენ აღარ ხართ ცალკეული ნოტი, არამედ მთელი სიმფონიის ნაწილი. ამ დროს იბადება თანაგრძნობა.

თანაგრძნობა წარმოიშვება, როდესაც თქვენ აცნობიერებთ თქვენს კავშირს ყველა ადამიანთან, როდესაც ხედავთ, რომ თქვენ — ყველას ნაწილი ხართ და ყველა შენი ნაწილია. არავინ არ არის განცალკევებული. როდესაც ქრება განცალკევებულობის ილუზია, წარმოიშვება თანაგრძნობა. თანაგრძნობა არ არის დისციპლინა.

[1] მთარგმნელი: ano (http://esoteric.ge).

მაიტრი ბავანა

კითხვა: არის ბუდისტური მედიტაციის ტექნიკა, რომელსაც ეწოდება მაიტრი ბავანა. ის იწყება იმით, რომ თქვენ ეუბნებით საკუთარ თავს: «დიახ მე ვიქნები ჯანმრთელი, მე ვიქნები ბედნიერი, ვიქნები თავისუფალი მტრებისაგან, ვიქნები თავისუფალი არაკეთილმოსურნეთაგან». გრძნობით განმსჭვალულნი ვაწარმოებთ ამ აზრებს.

მედიტაციის შემდეგ ეტაპზე ამ გრძნობას თქვენ ავრცელებთ სხვა ადამიანებზე. თავდაპირველად წარმოიდგენთ ადამიანებს, რომლებიც გიყვართ და ჩუქნით მათ ამ მშვენიერ გრძნობას. შემდეგ ამას ავრცელებთ იმ ადამიანებზე, რომლებიც ნაკლებად გიყვართ და ასე აგრძელებთ მანამ, სანამ არ იგრძნობთ თანაგრძნობას იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც ვერ იტანთ. ადრე ამ ტექნიკის შესრულების დროს ვგრძნობდი, რომ ის მიხსნიდა სხვა ადამიანებს და მივატოვე ეს პრაქტიკა, რადგან მასში შევნიშნე რაღაც სახის თვითჰიპნოზი. მე ისევ მიზიდავს ეს ტექნიკა, მაგრამ უკვე დავიბენი: ისევ გავაგრძელო? რას იტყვით?

პასუხი: მაიტრი ბავანა — ეს ერთ-ერთი ყველაზე მოქმედი ტექნიკაა. ნუ გეშინია, რომ აღმოჩნდები თვითჰიპნოზის ქვეშ. ეს არ არის თვითჰიპნოზი. სინამდვილეში ეს ანტიჰიპნოზია. გარეგნულად ეს მეთოდი ჰიპნოზს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში პირიქითაა. ეს ისეა, თითქოს თქვენ მოხვედით ჩემთან სახლიდან ფეხით, ახლა კი ბრუნდებით. თქვენ ისევე დაბრუნდებოდით ფეხით, როგორაც მოხვედით. განსხვავება ისაა, რომ ამჯერად თქვენ ზურგით იქნებოდით ჩემი სახლისკენ. გზა იგივე იქნებოდა, მაგრამ როდესაც ჩემთან მოდიოდით, სახით იყავით ჩემსკენ, მაგრამ ახლა ჩემთან მოდიხართ, ზურგით ჩემსკენ...

ადამიანი უკვე დაჰიპნოზებულია. საკითხი იმაში არ არის, თქვენ ექვემდებარებით თუ არა ჰიპნოზს. თქვენ უკვე ხართ დაჰიპნოზებული. ყველა მიმდინარე პროცესი საზოგადოებაში არის ჰიპნოზი. ვიღაცას უთხრეს, რომ ის ქრისტიანია. შემდეგ კი ამას ისე ხშირად უმეორებდნენ, რომ მისი ტვინი მიეჩვია ამ აზრს და ის თავის თავს მიიჩნევს ქრისტიანად. ვიღაც ინდუსია, ვიღაც მუსულმანი — ეს ყოველივე უკვე ჰიპნოზია. თქვენ უკვე ხართ დაჰიპნოზებული. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ უბედური ხართ — ეს ჰიპნოზია. თუ ფიქრობთ, რომ ძალიან ბევრი პრობლემა გაქვთ — ეს ჰიპნოზია. რადაც არ უნდა ვლინდებოდეთ — ეს არის გარკვეული სახის ჰიპნოზი. საზოგადოებამ შემოგტენათ ეს იდეები და ახლა გატენილი ხართ ამ იდეებით და კონცეფციებით.

მაიტრი ბავანა — ეს ანტიჰიპნოზია: ეს არის მცდელობა ბუნებრივი ცნობიერების დაბრუნების. ეს არის მცდელობა, რომ დაგიბრუნდეთ თქვენი ნამდვილი სახე. ეს არის მცდელობა, რომ დაგაბრუნოთ თქვენი დაბადების მომენტში, სადაც საზოგადოებას ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიხართ. როდესაც ბავშვი იბადება, ის იმყოფება მაიტრი ბავანაში. მაიტრი ბავანა ნიშნავს მეგობრობის მაღალ გრნობას, სიყვარულს, თანაგრძნობას. როდესაც ბავშვი იბადება, მისთვის უცხოა სიძულვილი. მან იცის მხოლოდ სიყვარული. სიყვარული თანდაყოლილი გრძნობაა. სიძულვილი — შეძენილი. სიძულვილს, ეჭვიანობას, სიბრაზეს, ძალადობას ბავშვს ასწავლის საზოგადოება.

სიკეთის მოყვარული და სხვა განდიდების მანიები

თანაგრძნობა ცნობიერების უმაღლესი გამოვლინებაა. ესაა სურვილი განთავისუფლდე სიბნელისაგან. ესაა სურვილი განთავისუფლდე ყველა კავშირისაგან. ესაა სურვილი გაიწმინდო შხამისაგან.

მაგრამ თანაგრძნობა — არ არის სიკეთე. სიკეთე არის ხარისხი, რომელიც ამყარებს ეგოს. როდესაც ვინმეს მიმართ ხართ კეთილი, ამ დროს თქვენ გრძნობთ, რომ აღემატებით მას. ამის მიღმა იმალება ღრმად დამალული შეურაცხყოფა — თქვენ ამცირებთ მას და ეს თქვენ სიამოვნებას განიჭებთ. აი, რატომ არ შეიძლება სიკეთის პატიება. ის ვის მიმართაც იყავით კეთილი, სადღაც გულის სიღრმეში ის ინახავს წყენას თქვენს მიმართ და აუცილებლად გადაგიხდით სამაგიეროს. ეს იმის გამო ხდება, რომ სიკეთე მხოლოდ გარეგნულად ჰგავს თანაგრძნობას, მაგრამ მას არაფერი აქვს თანაგრძნობასთან საერთო, მას გააჩნია სხვა ფარული მოტივები.

თანაგრძნობა არამოტივირებულია — მას არ გააჩნია არანაირი მოტივები. თქვენ გასცემთ მხოლოდ იმიტომ, რომ გაქვთ რაღაც, რასაც გასცემთ და არა იმიტომ, რომ სხვა საჭიროებს ამას. თანაგრძნობაში სხვისი გათვალისწინება არ ხდება. იმის გამო, რომ თქვენ იმდენი გაგაჩნიათ, რომ თქვენ ივსებით, თანაგრძნობა ბუნებრივია, როგორც სუნთქვა. სიკეთე გამომუშავებული ურთიერთობაა. სიკეთე — თვალთმაქცობის განსაკუთრებული ფორმაა, ეს ანგარიშია, არითმეტიკაა.

...სიკეთე ამყარებს ეგოს, თანაგრძნობა კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ეგო გაქრება. ლექსიკონებში ნათქვამია, რომ თანაგრძნობა სიკეთის სინონიმია, მაგრამ არსის ლექსიკონში ასე არ არის.

...გამომუშავებული სიკეთე თქვენ ძალიან ეგოისტად გაქცევთ. შეხედეთ: კეთილი ადამიანები ძალიან ეგოისტები არიან, სასტიკ ადამიანებზე გაცილებით ეგოისტები. სასტიკი ადამიანი ყოველ შემთხვევაში თავს ცოტა დამნაშავედ გრძნობს, მაგრამ ე.წ. კეთილი ადამიანი გადასარევადაა, ის სხვებთან შედარებით ღვთაებრივია, სხვებზე უკეთესია. ის სრულიად ეგოცენტრულია ყველაფერში, რასაც აკეთებს. ყოველი მისი აქტი და მოქმედება მის ეგოს კვებავს. დღითი დღე მისი სიდიადე იზრდება. ეს ეგოს გამოვლინებაა.

ესაა პირველი რაც უნდა იცოდეთ: თანაგრძნობა არ არის ე.წ. სიკეთე. მასში არის სიკეთის არსებითი ნაწილი — სირბილე, თანაგრძნობა, ემპათია, შემოქმედება, დახმარება. მაგრამ თქვენ არ ქმნით თანაგრძნობას, ის უბრალოდ მიედინება თქვენში, ის მომდინარეობს არსიდან, თქვენ ხართ ბედნიერი და მადლიერი, რომ არსმა აგირჩიათ თქვენ, როგორც გამტარი. თქვენ ხდებით გამჭვირვალე, თქვენში მიედინება თანაგრძნობა, თქვენ მას ხელს არ უშლით. ასეთი თანაგრძნობა სუფთა სიკეთეა ეგოს გამოვლინების გარეშე.

Narilla

ემოციური ინტელექტი

ემოციური ინტელექტი (Emotional intelligence (EI) არის უნარი გაანალიზო როგორც საკუთარი, ისე სხვა ადამიანების ემოციები, გამიჯნო ერთმანეთისაგან სხვადასხვა შეგრძნება, დააფიქსირო მათი წარმომშობი მიზეზები და გამოიყენო ემოციური ინფორმაცია საკუთარი ფიქრისა და ქცევისთვის სასურველი მიმართულების მისაცემად.

ამდენად, ემოციური ინტელექტი ერთგვარად გულისხმობს ემოციათა გაცნობიერებას მათი ეფექტურად გამოყენების მიზნით.ცნობილია ემოციური ინტელექტის თეორიის განვითარების სამი მოდელი, რომლებიც ერთმანეთს ქრონოლოგიურად მოსდევენ და წინამორბედი მომდევნოს განაპირობებს:

1. **უნარ-ჩვევების მოდელი** (ability model), რომელიც განავითარეს პეტერ სალოვეიმ და ჯონ მეიერმა (Peter Salovey and John Mayer); მათი თეორიის თანახმად აქცენტი კეთდება იმ ინდივიდუალურ უნარ-ჩვევებზე, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი წარმართავს თავის ემოციურ ინფორმაციას და იყენებს მათ სოციალური გარემოს ნავიგაციის, ანუ მართვის მიზნით[1];
2. **ხასიათის/შტრიხის მოდელი** (trait model)[2], რომელიც განავითარა კონსტანტინე ვასილი პეტრიდმა;
3. **შერეული მოდელი** (mixed model), რომელიც აერთიანებს წინა ორივე მოდელს: უნარ-ჩვევებისა და ხასიათის/შტრიხის მოდელებს. ემოციური ინტელექტის ეს მოდელი გულისხმობს უნარებისა და ხასიათის ისეთ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ლიდერობისთვის, დანიელ გოლმანის (Daniel Goleman)[3] მიხედვით.

გარდნერის მრავლობითი ინტელექტი და ემოციური ინტელექტი

---

[1] Salovey, Peter; Mayer, John; Caruso, David, «Emotional Intelligence: Theory, Findings, and Implications», Psychological Inquiry: 197-215, 2004.

[2] Petrides, Konstantin; Furnham, Adrian, «Trait Emotional Intelligence: Psychometric Investigation with Reference to Established Trait Taxonomies», European Journal of Personality: 425-448, 2001.

[3] Goleman, Daniel, What Makes a Leader?, Harvard Business Review, 1998.

1983 წელს ჰოვარდ გარდნერმა თავის წიგნში «მეხსიერების აგებულება: მრავალმხრივი ინტელექტის თეორია»[1] (Frames of Mind: The Theory of Multiple Intelligences), განავითარა იდეა, რომ ინტელექტის ტრადიციული ტიპი IQ განწირულია მარცხისთვის, რადგან ის ვერ ხსნის ადამიანის ძირითად კოგნიტიურ ანუ შემეცნებით და სააზროვნო უნარებს, მათ შორის ემოციურ უნარებს. ავტორმა შემოიტანა ე.წ. მრავალმხრივი ინტელექტების (Multiple Intelligences) ცნება. მან რვა სახის ინტელექტი გამოყო: ლინგვისტური, მუსიკალური, ლოგიკური, მათემატიკური, სივრცითი, სხეულებრივ-კინესტეთიკური, ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური. გარდნერის თანახმად, სხვადასხვა კულტურასა თუ საზოგადოებაში სხვადასხვა ინტელექტის სახეა აქტუალური და დაფასებული იმის მიხედვით თუ რა ღირებულებებს ანიჭებენ უპირატესობას. გარდნერის ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური ინტელექტის ცნებას უკავშირდება ემოციური ინტელექტის ცნება (EI), რომელიც ოთხ ძირითად კომპონენტს აერთიანებს[2]:

1. ემოციის ზუსტად და შესატყვისად აღქმის, შეფასების და გამოხატვის უნარი;
2. აზროვნებისას ემოციების გამოყენების უნარი;
3. ემოციების გაგების, ანალიზის, ემოციური ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარი;
4. საკუთარი ემოციების რეგულირების უნარი.



ემოციური ინტელექტის გაზომვებმა აჩვენა, რომ EI არ არის კორელაციაში IQ-სთან მიმართებით, ემოციური ინტელექტი გარემოს გავლენას განიცდის და ზრდასრულებთან უფრო განვითარებულია, გარდა ამისა, ქალებს ემოციების აღქმაში გაცილებით დიდი უპირატესობა აქვთ, ვიდრე მამაკაცებს.

---

[1] Gardner, H.. Frames of mind. New York: Basic Books, 1983.

[2] Smith, M. K., «Howard Gardner and multiple intelligences», The Encyclopedia of Informal Education, 2002, downloaded from http://infed.org/thinkers/gardner.htm on October 31, 2005.

გოლმანის თეორია ემოციური ინტელექტის შესახებ[1]



ამერიკელმა ფსიქოლოგმა დანიელ გოლმანმა (Goleman, 1946-) ჩამოაყალიბა ემოციური ინტელექტის თეორია, რომელიც არის ადამიანის უნარი, გაიგოს საკუთარი გრძნობები, გამოხატოს სხვის მიმართ ემპათია და მოახდინოს ემოციების ეფექტური რეგულირება/მართვა. საინტერესოა, რომ ემოციური ინტელექტის დონე/ხარისხი არ დგინდება გონებრივი ინტელექტის საზომი ტესტებით. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის წარმატების წინასწარმეტყველებისათვის უფრო მნიშვნელოვანია მაღალი დონის ემოციური ინტელექტის ქონა, ვიდრე მაღალი დონის ზოგადი, პერსონალური ინტელექტისა. განასხვავებენ ემოციური ინტელექტის ხუთ ძირითად უნარს: თვითშემეცნება, თვითრეგულაცია, მოტივაცია, ემპათია და სოციალური უნარ-ჩვევები:

1. **თვითშეგნება/თვითშემეცნება** — ემოციის ზუსტად და შესატყვისად აღქმის, შეფასების და გამოხატვის უნარი; თვითშემეცნების დროს ადამიანი აცნობიერებს საკუთარ განცდებს, რაც მას ეხმარება გადაწყვეტილების მიღებასა და საკუთარი შესაძლებლობების სწორად შეფასებაში;
2. **თვით—რეგულაცია** — აზროვნებისას ემოციების რეგულირებისა და გამოყენების უნარი; თვითრეგულაცია გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი ემოციების მართვის უნარს, რაც მოიცავს სტრესული სიტუაციების დაძლევას, იმედგაცრუების და მარცხის გადატანას.
3. **სოციალური უნარები** — ემოციების გაგების, ანალიზის, ემოციური ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარი; სოციალური უნარ-ჩვევები, თავის მხრივ, მოიცავს:
    - ურთიერთობის წარმართვისა და სოციალური სიტუაციების ზუსტი აღქმის უნარს;

[1] http://nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16524

- ურთიერთობის დროს ზომიერების დაცვას;
- სხვების ადვილად დაყოლიების, ლიდერობის, მოლაპარაკებებისა და დისკუსიების წარმართვის უნარს;
- ურთიერთთანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის საფუძველზე პრობლემების გადაჭრის უნარს.

4. **ემპათია** — გაანალიზო სხვა ადამიანების ემოციები განსაკუთრებით მაშინ, როცა იღებ რაიმე გადაწყვეტილებას; ემპათია ანუ თანაგანცდა ნიშნავს სხვა ადამიანების გრძნობების გაგების უნარს. ამ ემოციურ უნარს სხვანაირად «ადამიანური ურთიერთობის» უნარსაც უწოდებენ. ეს არის სხვა ადამიანების თანაგრძნობასა და ემოციების გაგებაზე დამყარებული ურთიერთობის უნარი, რომელიც მჟღავნდება სხვების მიმართ კეთილგანწყობასა და სოციალური სიტუაციების სწორ შეფასებაში. მკვლევარები ფიქრობენ, რომ ემოციური კომუნიკაციის 90% არავერბალურია. სხვა ემოციური უნარების მსგავსად, ემპათია არის შინაგანი თვისება, რომელიც ყალიბდება გამოცდილებით. ჩვილი ბავშვები 3 წლის ასაკში განიცდიან ემპათიას, როცა ისინი გამოხატავენ წუხილს სხვა ბავშვის ტირილზე. უფრო პატარა ასაკშიც კი ბავშვები იმიტაციის საშუალებით სწავლობენ რეაქციის გამოხატვას სხვა ადამიანის მწუხარებაზე. თუმცა ამ უნარის განვითარებისთვის საჭიროა უფროსებმა შეამჩნიონ და ხელი შეუწყონ მათი ემოციების განმტკიცებას.
5. **მოტივაცია** — მიზანსწრაფულობა, სურვილი მიაღწიო მიზანს და წარმატებას. მოტივაცია გულისხმობს მიზნის მისაღწევად ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. განმარტებითი ლექსიკონი / ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ნაწ. 2: განათლების სპეციალისტებისათვის, წიგნზე მუშაობდნენ: სიმონ ჯანაშია და სხვ., თბილისი, 2008.
2. გერიგი რ., ზიმბარდო ფ., ფსიქოლოგია და ცხოვრება , თბილისი, 2002.
3. Gardner, H., Frames of mind. New York: Basic Books, 1983.
4. Goleman, Daniel, What Makes a Leader?, Harvard Business Review, 1998.
5. Petrides, Konstantin; Furnham, Adrian, «Trait Emotional Intelligence: Psychometric Investigation with Reference to Established Trait Taxonomies», European Journal of Personality: 425-448, 2001.
6. Salovey, Peter; Mayer, John; Caruso, David, «Emotional Intelligence: Theory, Findings, and Implications», Psychological Inquiry: 197-215, 2004.
7. Smith, M. K., «Howard Gardner and multiple intelligences», The Encyclopedia of Informal Education, 2002,
downloaded from http://infed.org/thinkers/gardner.htm on October 31, 2005.
8. http://nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16524

ოლეგ ბოკაჩოვი

სურვილები[1]

ყოველი ჩვენგანი — პირველ რიგში სულია, არსია, ცოცხალი, მაგრამ უხილავი ცეცხლია, რომელიც ვლინდება გარეგნულად გამოვლენილ სივრცეში, ანათებს მას თავისი ყურადღებით და მოქმედებს მიწიერი სხეულის მეშვეობით. სული იწვის შიგნიდან, თავისი არსიდან. მაგრამ იმისთვის, რომ მოცემულ სივრცეში იმოძრაოს, მან სხვა არსებები უნდა შთანთქოს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მის წვას.

სულის ცეცხლი, ისევე როგორც ცეცხლის ნებისმიერი სახე, ყოველთვის უხილავია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მისი ალი დავინახოთ — მასში გარედან შესული წვადი და აალებადი ნაწილაკები. ჩვენი სულის ალს ჩვენი სხეული წარმოადგენს. იგი შთანთქმულია გარე სივრციდან საკვების მეშვეობით. სხეულს თან ვატარებთ, რათა თანდათან დაიწვას და ხელი შეუწყოს ჩვენს გადაადგილებას სივრცეში. იგი, როგორც სანთლის პარაფინი, ადამიანს გამოვლენილს და ხილვადს ხდის, როგორც ალი ხდის ხილვადს ცეცხლს.

როცა ჩვენი არსის ცეცხლი, სხეულით შემოსილი, სივრცეში მოძრაობს, სხეული იფიტება და შიმშილს გრძნობს — ძლიერ სურვილს, მიიღოს გარედან ის, რამაც უნდა დააკმაყოფილოს. ამასთან სურვილი ძალიან მწველია, მტანჯველია და შიგნიდან გვწვავს.

სიტყვა «желание» (სურვილი) ჰგავს სიტყვას «жалиться» (კბენა), ან «жаловаться» (წუწუნი). რაღაც გვკბენს, გვექავება, გვწვავს. სანამ არ მოვიშორებთ ამ ქავილს, ვერ ვისვენებთ. სურვილს უკმარისობის ბუნება აქვს, არასრულობის, ძლიერი საჭიროების.

სანსკრიტზე მშიერ არსებას, რომელიც მზადაა შიმშილის და მოთხოვნილების გამო შეჭამოს ნებისმიერი გზად შემხვედრი, ეწოდება «რაქშასი», ანუ დემონი. ის არსებები ჩვენში, რომლებიც ჰბადებენ სურვილებს, გვწვავენ და ითხოვენ მათი საჭიროების სასწრაფოდ დაკმაყოფილებას — არიან პატარა დემონები, რაქშასები. ჩვენში ყველაზე დიდი და ხშირი სურვილია — ვისუნთქოთ და ვიკვებოთ. ეს სურვილები განპირობებულია შეგრძნებით: «თუ არ ვისუნთქებ, ან არ შევჭამ, მოვკვდები». ამ ძირითადი სურვილებით ადვილად შეგვიძლია ვიგრძნოთ ჩვენს სხეულში ორი მთავარი რაქშასი. ერთს სუნთქვა უნდა, მეორეს კი ჭამა.

სხეული გამუდმებით საჭიროებს ჰაერის ცეცხლოვან არსებებს, რომლებსაც ჩვენ «ჟანგბადს» ვეძახით. კუჭი ხშირად საჭიროებს არსებებს, რომლებსაც გარე სივრციდან მოვიპოვებთ და საჭმელად ვაწვდით მას. ასევე არიან პატარა რაქშასები — ჩვენი გრძნობათა ორგანოები. ისინი ითხოვენ, რომ შესაბამისი

[1] მთარგმნელი: Atman.

შთაბეჭდილებები მივაწოდოთ. კანი შეხების შეგრძნებებს ითხოვს, თვალი — სინათლეს და ხატ-სახეებს, სმენა — შესაბამის ბგერებს და ა.შ.

სურვილების არსებობის აზრი მხოლოდ იმაშია, რომ გვაიძულოს გარე სივრცეში მოძრაობა და ჩვენი სხეულისთვის საჭირო ჰაერის, საკვების და შთაბეჭდილებების (სიამოვნებების) მოპოვება. თუ არ იქნება სურვილები, ვერ შევძლებთ და არ მოგვინდება მოქმედება. ზოგი სურვილი (რაქშასი) გვაიძლებს თვალი გავახილოთ და ცხოვრების სივრცე შევიცნოთ. სხვა სურვილები (რაქშასები) გვიბიძგებენ, რომ გარე სივრცეში ჩვენი გრძნობათა ორგანოების დამაკმაყოფილებელი მოვლენები ვეძებოთ.

ის, რაც გვიბიძგებს გარე სივრციდან სხვადასხვა არსებების მოპოვებას, მოიხმარს მიღებულს, ხარჯავს, და შემდეგ კვლავ მოითხოვს (სწყურია). ეს ხდება გამუდმებით და განუწყვეტლივ გვამყოფებს მოთხოვნილებებში და ამ სამყაროსადმი მიჯაჭვულობაში.

სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, უნდა, რომ მასში დავრჩეთ და ხელი შევუწყოთ მის არსებობას, ისევე როგორც ქალს უნდა, რომ მამაკაცი ყოველთვის მის გვერდით იყოს, გამუდმებით შედიოდეს მასში და აცოცხლებდეს მას, არსებობის აზრს აძლევდეს მას. ასევე სახლიც კარგად გრძნობს თავს, როცა მასში ვიღაც ცხოვრობს და სარგებლობს მისით.

დედამიწა გვაკავებს, რათა შეინარჩუნოს თავისი არსებობა. გამუდმებით გვთავაზობს ახალ — ახალ შესაძლებლობებსა და ცდუნებებს. ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამ სამყაროს გარეშე შეუძლებელია არსებობა, კვლავ და კვლავ დაიბადებიან დედამიწაზე. ხოლო ისინი, ვინც ხვდება სურვილების, სამყაროსთან ურთიერთქმედების მთელ მექანიკას, მაგრამ განზრახვა აქვთ უფრო უფრო შორს იარონ, უფრო მაღალი სამყაროებისკენ, მეტად აღარ დაიბადებიან დედამიწაზე. ასეთ ადამიანებს «გასხივოსნებულებს» უწოდებენ. მათ აქვთ სხეულში სურვილები (რაქშასები), მაგრამ ეს სურვილები მშვიდები არიან და არ აცდენენ მათ მაღალი სივრცის, მაღალი სამყაროების განცდისგან.

ახლა, ვიცით რა სურვილების ბუნება, შეგვიძლია ადეკვატური დამოკიდებულება ვიქონიოთ მათთან. ისინი გვეხმარებიან მიწიერი მიზნების მიღწევაში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან გადარჩენასთან და დედამიწაზე გვარის გაგრძელებასთან. მათ გააჩნიათ დემონური, ანუ დაბალი ბუნება, რომელიც აუცილებელია დედამიწაზე ცხოვრებისთვის.

ამიტომ სურვილები საჭიროებენ გამუდმებულ კონტროლს და ძალაუფლებას მათზე. თუ თავისუფლებას მივცემთ მათ, ისინი დაანგრევენ ადამიანის და მისი გარშემომყოფების ცხოვრებას.

ადამიანები, რომლებიც თავიანთი სურვილების (რაქშასების) მმართველობის ქვეშ ცხოვრობენ,— ძალიან ეგოისტურნი (დემონურნი) და დამანგრეველნი არიან.

ხოლო თუ ადამიანს აქვს ძლიერი სურვილები, მაგრამ მკაცრი კონტროლის და ძლიერი მართვის ქვეშ ჰყავს ისინი, მაშინ მას შეუძლია გააჭენოს მათზე, როგორც ძლიერ ცხენებზე, თავისი მიზნებისკენ, და შეასრულოს თავისი ცხოვრებისეული დანიშნულება.

old_man

ფსიქიკური დაავადებები არასამედიცინო თვალთახედვით

ფსიქიკური დაავადებები, კერძოდ შიზოფრენია გამოიხატება კონტაქტის დაკარგვით გარესამყაროსთან, საკუთარ თავზე კონცენტრაციით. ავადმყოფს ესმის ხმები, აქვს ჰალუცინაციები, მოქმედებს შინაგანი ბრძანებების შესაბამისად. მედიცინა ასეთ მოვლენას ფსიქიკურ აშლილობას ეძახის. დაავადებას, ანუ გადახრას გარკვეული სტანდარტისგან, რაც სოციუმში ადამიანის ფუნქციონირებისთვის არის საჭირო და რის კრიტერიუმებსაც თავად სოციუმი განსაზღვრავს. მაგრამ, არასამედიცინო კუთხით თუ შევხედავთ, ეს არის უბრალოდ ცნობიერების განსხვავებული მდგომარეობა.

არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სწორედ ასეთი განსხვავებული ცნობიერება აქვთ, მაგრამ ძალისხმევისა და საკუთარ თავზე მუშაობის შედეგად შეძლეს ამ მდგომარეობის კონტროლი და დარჩნენ სოციუმისთვის მისაღებ წევრებად. ისინი სამყაროს გაცილებით ფართოდ აღიქვამენ, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანები. თვითონ ამაზე ბევრს არ საუბრობენ, რადგან იციან, რომ «არასწორად» გაუგებენ. მათი რიცხვი ძალიან მცირეა. ასეთი სიმპტომები უმეტესად აშინებს ადამიანებს. ისინი არ არიან მზად გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია, არ აქვთ ცოდნა და თანდათანობით უჩნდებათ შიში. ამას საზოგადოებაში არსებული

სტერეოტიპებიც ამლიერებს, რაც საბოლოოდ ადამიანის ფსიქიკის სრული შერყევით სრულდება.

ამის საპირისპიროდ, ზოგიერთი ჯანმრთელი ადამიანი ცდილობს ამ განსხვავებულ ცნობიერებას მიაღწიოს ე.წ. «მესამე თვალის», შუბლზე განლაგებული მე-6 ენერგეტიკული ცენტრის — აჯნა ჩაკრის გააქტიურებით. როდესაც ეს ხდება, ადამიანი ხედავს არარსებულ არსებებს, ესმის ხმები, მოსდის ინფორმაცია მომავლის შესახებ და სხვ. მაგრამ ის ცნობიერად უკვე მზად არის ამისთვის და არ ეშინია. შეშლილად არ თვლის თავს. სწორედ ამაშია განსხვავება.

საყურადღებოა, რომ არაერთ ცნობილ ფსიქიატრს ფსიქიკურ დაავადებებთან დაკავშირებით უღიარებია: «ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვაქვს რეალურად თუ რასთან გვაქვს საქმე!» კარლ გუსტავ იუნგი შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტებზე დაკვირვებისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს გარკვეული საზღვარი ქვეცნობიერებასა და ცნობიერებას შორის. ხატოვნად ეს შეგვიძლია ბადის სახით წარმოვიდგინოთ. ეს ბადე ფილტრავს ქვეცნობიერიდან მომავალ ინფორმაციას და ცნობიერს მხოლოდ მცირე ნაწილს აწვდის, ისიც უმეტესად სიზმრების სახით. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანს ასეთი «ბადე» არ ჰქონდეს ან იმდენად თხელი იყოს, რომ ქვეცნობიერიდან მომდინარე ინფორმაცია პირდაპირ, მზა სახით მიეწოდებოდეს. შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტებში იუნგმა სწორედ ეს შენიშნა.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარკვეული სახის ფსიქიკური დაავადებები არის სწორედ ისეთი მდგომარეობა, როცა ასტრალური სამყარო იწყებს ჩვეულებრივ ლოგიკურ აზროვნებაში შემოჭრას. ის ჰალუცინაციები, რასაც შიზოფრენიით დაავადებულები ხედავენ ზოგ შემთხვევაში შეიძლება მართლაც იყოს ასტრალური არსებები, საგნები და სხვადასხვა ხატება. ისინი არსებობენ, ოღონდ არა იმ რეალობაში, რომელსაც ჩვენი, «ჩვეულებრივი ადამიანის» ფსიქიკა აღიქვამს. ამავე დროს საინტერესოა ის ფაქტიც, რომ შიზოფრენიით დაავადებულები სიზმრებს ვერ ხედავენ... ეს კი რას ნიშნავს? გამოდის, რომ სიზმრის სამყარო მათ რეალურ ცხოვრებაში შემოდის.

დადგენილია, რომ შიზოფრენიით დაავადებული ადამიანები ხედავენ არა მხოლოდ აუხსნელ საგნებს, არამედ არქეტიპულ ნიშნებს, სიმბოლოებს და ა.შ. შესაძლებელია, რომ ავადმყოფმა რამდენიმე საათის განმავლობაში მიიღოს იოგის პოზები, მისდა უნებურად, როცა ჩვეულებრივ მდგომარეობაში მათ შესახებ არაფერი იცოდა. ეს შემთხვევითი არ არის. მაგალითად, ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთში ფსიქიკური დაავადებები ითვლებოდა წმინდად.

სხვა საინტერესო საკითხია თუ რატომ მოდის სული დედამიწაზე ასეთი მდგომარეობით? რა განაპირობებს ამას? ერთმნიშვნელოვნად ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ ეს სულის ბუნებასთან უნდა იყოს კავშირში. ზოგიერთი მეტად მგრძნობიარე და ემოციური სული ტრავმირებული წინა ცხოვრებებით, იბადება სუსტი ფსიქიკის მქონე ადამიანის სხეულში და/ან სხვადასხვა მიზეზით გახსნილი აქვს ქვეცნობიერის კარი უფრო ფართოდ ვიდრე სხვებს, რაც იწვევს მისი ცნობიერების განსხვავებულ მდგომარეობას.

არაერთი თანდაყოლილი ფიზიკური თუ სულიერი დაავადება ხომ სწორედ კარმულია. შეიძლება ეს ვინმემ არ დაიჯეროს, მაგრამ დღევანდელი მეცნიერებისთვისაც უკვე საიდუმლო აღარ არის, რომ სხვადასხვა სახის ნეგატიური ემოცია (შური, წყენა, მრისხანება და სხვა) აზიანებს სხვადასხვა ორგანოს. ჩვენს დაავადებებს ჩვენვე ვქმნით. ეს მომენტი თვითონ კარმასაც კარგად ხსნის. არა როგორც სასჯელს, არამედ როგორც ჩვენ მიერ შექმნილ რეალობას როგორც ამ, ისე მომდევნო ცხოვრებებში.

როგორია დღეს შიზოფრენიით დაავადებულთა მკურნალობის მეთოდები? თანამედროვე ფსიქიატრიული მედიცინა მედიკამენტოზური მკურნალობის საშუალებით ცდილობს სიმპტომების ჩახშობას. ხოლო, ვფიქრობთ, გაცილებით პროგრესული მიდგომა იქნება პაციენტს კონტროლი და ერთი მდგომარეობის მეორისგან გამიჯვნა ასწავლოს.

tikoroma

დაოსური სიზმრის პრაქტიკების საფუძვლები[1]



ჩინეთის წმინდა მთებში, მიუვალ ადგილებში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც სიზმრების ხილვის უსასრულო შესაძლებლობებს იკვლევდნენ. ისინი იყვნენ პრაქტიკოსები, რომლებმაც საზოგადოებისგან შორს, ბუნებაში უბრალო ცხოვრება აირჩიეს. მათ დაოსებს უწოდებდნენ. დაო ნიშნავს გზას — ცხოვრების ბუნებრივ გზას. დაოსური ცოდნა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული, იმიტომ არა, რომ მათი პრაქტიკები საშიში იყო, უბრალოდ, მათი სულიერი განვითარების

[1] Nick Barrett-ის მიხედვით.

მთავარი ასპექტი იყო საზოგადოებისგან გარიდება, რადგან თავის თავში ავითარებდნენ გავრცელებული შეხედულებებისგან ძალიან განსხვავებულ იდეებს.

საუკუნეების განმავლობაში მათ ძალზე ეფექტური და ერთიანი სისტემა განავითარეს, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის შესაძლებლობათა სრული პოტენციალის გამოყენებას. დაოსები არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ჯანმრთელობის შენარჩუნებითა და მშვიდი ცხოვრებით. მათი პრაქტიკები მხოლოდ ფიზიკური სხეულის სიჯანსაღეს არ ეხებოდა, არამედ უფრო დახვეწილი და უხილავი — ენერგეტიკული სხეულების პოტენციალის ამოქმედებასაც ითვალისწინებდა.

დაოსური პრაქტიკების ძირითადი ასპექტია ენერგიასთან — სასიცოცხლო ძალასთან მუშაობა. მთელი სამყაროს, ფიზიკური თუ დახვეწილი პლანების, არსებობის საფუძველია ჩი (QI) ენერგია, რომელიც ფართო სპექტრით ვლინდება სხვადასხვა დონესა და სიხშირეზე — ყველაზე ნატიფიდან, რაც თვალით უხილავია და მხოლოდ გაწმენდილი, მშვიდი გონებითა და ამაღლებული ცნობიერებით აღიქმება; შედარებით მკვრივი პლანი, რომელსაც ემოციურ დონეზე აღვიქვამთ და ყველაზე მყარი ჩვენი ფიზიკური სამყარო. შედარებისთვის, ეს ჰგავს რადიაციას, რომელსაც ვერ შევიგრძნობთ, ასევე ელექტროენერგიას, რომელთან შეხებასაც აღვიქვამთ როგორც შოკს და ქვა, რომლის აღქმაც გაცილებით იოლია. დაოსები თვლიდნენ, რომ ეს განცალკევებული სამყაროები კი არაა, არამედ მთლიანი, რომელიც სხვადასხვა სიხშირის სახით ვლინდება.

დაოსებმა შეისწავლეს თუ როგორ მოძრაობდა ენერგია სხეულში და შექმნეს სასიცოცხლო ძალის ნაკადების სქემა, რასაც ჰქვია ენერგო მერიდიანები. მერიდიანებში ენერგიის მოძრაობაზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასიცოცხლო ნაკადის გადაკეტვა სხეულში ორგანოს დაავადებად გამოვლინდება. მათ მოიფიქრეს ვარჯიშები, დიეტები და მედიტაციები ენერგიის დინების დასარეგულირებლად. თუმცა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მათ შენიშნეს, რომ ემოციური მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენდა ენერგიის მოძრაობის ხარისხზე. მაგალითად, სიბრაზის დროს გულისცემა და სუნთქვა ხშირდება, სისხლის მიმოქცევა ჩქარდება. ამ დროს დაძინება რთულდება, გონება მომართულია და ადამიანი საათებს ატარებს საკუთარ თავთან დიალოგში, განსჯაში. ბოლოს და ბოლოს, როცა დაღლილი სხეული დაძინებას მოახერხებს, ის სიზმარშიც სტრესულ სიტუაციაში აღმოჩნდება.

ემოციების სამართავად დაოსებმა მრავალი ვარჯიში მოიფიქრეს, მათ შორის, «შიდა ღიმილის» პრაქტიკა, რომლის დროსაც პრაქტიკოსი შინაგან ორგანოებს უგზავნის ღიმილს და მადლიერების გრძნობას, რათა მათკენ მიმართოს დადებითი ემოციების ტალღა. ასევე იყენებენ სამკურნალო ბგერებს, რომლებიც ასტიმულირებს სასიცოცხლო ორგანოების ვიბრაციას, რაც ხსნის დაძაბულობას და ენერგიის ბლოკირებას.

დაოსური პრაქტიკების შედეგად — მერიდიანებში ენერგიის სწორი დინების აღდგენით და შინაგანი ორგანოების გაწმენდის შემდეგ — სიზმრის ხარისხი იცვლება, მღელვარება და კოშმარები ქრება, სიზმრები ჰარმონიული და სასიამოვნოა.

დაოსები თვლიან, რომ დაძინება მედიტაციურ მდგომარეობაში შესვლას ჰგავს. როცა ჩვენ ძილზე ვსაუბრობთ, მხოლოდ ფიზიკურ სხეულს ვგულისხმობთ, ხოლო ნატიფი ენერგეტიკული სხეულები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ. ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, როგორ გადაგვაქვს ყურადღება ნატიფ სხეულში. ამას მღვიძარებიც ხშირად ვაკეთებთ. მაგალითად, სკოლაში მოსაწყენ გაკვეთილზე ჯდომისას, მასწავლებელი რაღაცაზე საუბრობს, ჩვენ კი გონებით სხვაგან მივდივართ, უფრო სასიამოვნო რამეზე ვფიქრობთ. ჩვენი ყურადღება შორსაა კლასისა და გაკვეთილის პროცესისგან. თუ ამ დროს მასწავლებელი გვთხოვს, მისი სიტყვები გავიმეოროთ, ჩვენ უკან დაბრუნება გვიხდება, მაგრამ არ შეგვიძლია მის კითხვას პასუხი გავცეთ. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვამბობთ, რომ ვოცნებობთ, ვაკეთებთ რაღაცას, რისი დანახვაც ფიზიკურად შეუძლებელია. ამას დაოსები «ოცნებას» კი არა, ყურადღების ნატიფ დონეზე გადატანას უწოდებენ. სწორედ ეს ხდება ძილის დროსაც.

24 საათის განმავლობაში ჩვენი ყურადღება არ არის ჩართული განუწყვეტელ ფიზიკურ საქმიანობაში. რაღაც საკითხები ფოკუსირდება ნატიფ სხეულებში. მაგალითად, შეიძლება ვფიქრობდეთ მეგობარზე, რომელიც ახლა პლანეტის მეორე მხარეს იმყოფება. ზოგჯერ, თუ ჩვენი ყურადღება ძლიერად ფოკუსირდება ამ საკითხზე, მოულოდნელი რამ ხდება: ტელეფონი რეკავს. ეს ჩვენი მეგობარია შორეული ქვეყნიდან და გვეუბნება, რომ გავახსენდით. ამ მოვლენას ჩვენ დამთხვევას ვუწოდებთ. დაოსებისთვის კი ცნობილია სასიცოცხლო ძალის სრული შესაძლებლობები — როცა ყურადღება გადაგვაქვს შორს მყოფ პირზე, ჩვენ ვკონტაქტობთ ნატიფი სხეულების მეშვეობით. გეოგრაფიულ მანძილს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

როცა ვიძინებთ, ჩვენი ყურადღება გადადის განზომილებაში, რომელიც არ არის შეზღუდული დროითა და სივრცით. ენერგეტიკული პრაქტიკებით ნატიფ დონეზე ამოუწურავი შესაძლებლობები გვეხსნება. დაოსებმა უარყვეს აზრი, რომ სიზმარი ფიზიკური რეალობიდან გამომდინარეობს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია სიზმარი ნახოთ რეალური მოვლენების გავლენით, მაგრამ ეს ერთადერთი ვარიანტი არ არის. ის, რაც მატერიალურ პლანზე ვლინდება, მხოლოდ ფრაგმენტია ჩვენი სრული არსებობისა. ამას დაოსები ფრაგმენტულ ხედვას უწოდებენ.

Narilla

მთვარეულობის მედიტაცია

დაიწყეთ სამი დღით ადრე მანამ, სანამ დადგება შემდეგი სავსემთვარეობა. გამოდით და დადექით გაშლილ სივრცეში, შეხედეთ მთვარეს და დაიწყეთ რწევა. შეიგრძენით საკუთარი თავი იმგვარად, თითქოს თქვენ ყოველივე მიუძღვენით მთვარეს — გახდით როგორც რაღაცით მართული. უყურეთ მთვარეს, მოდუნდით და უთხარით მას, რომ თქვენ მზად ხართ, უთხარით, რომ მას შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რასაც კი მოისურვებს. რაც არ უნდა მოხდეს, მიიღეთ ეს. თუკი გრძნობთ რწევის სურვილს, ამოძრავდით, ხოლო თუ გსურთ იცეკვოთ და იმღეროთ — გააკეთეს ეს. მაგრამ ყოველივე უნდა გაკეთდეს ისე, თითქოს თქვენ ხართ მართული — არ უნდა იყოთ მოქმედი, რადგან ეს ყველაფერი თავისით ხდება. თქვენ უბრალოდ ინსტრუმენტი ხართ, რომელზედაც უკრავენ. გაიმეორეს ეს სამი დღის განმავლობაში მანამდე, სანამ დადგება სავსემთვარეობა და მას შემდეგაც, რაც მთვარე სულ უფრო და უფრო დაიწყებს კლებას, თქვენ იგრძნობთ მეტ ენერგიას. თქვენ იგრძნობთ საკუთარ თავს სულ უფრო მეტად მართულად. სავსემთვარეობის ღამეს კი იქნებით სრულიად შეპყრობილი. ერთსაათიანი ცეკვისა და სიგიჟის შემდეგ, თქვენ იგრძნობთ ისეთ სიმსუბუქეს, როგორიც აქამდე არასდროს არ განგიცდიათ.

ოშო

მე: ვაღიარებ რა სამყაროში მოქმედ დეტერმინიზმის პრინციპს, საჭირო ინფორმაცია საჭირო დროს მოდის და თვით შემთხვევითობებიც კი ერთ აუცილებლობას ქმნის.

თარგმნის მიზეზი და მიზანი: 27/28 სექტემბერს, დაფიქსირდა სავსემთვარეობა და ე.წ. «სისხლიანი მთვარე» (Blood Moon) ერთსა და იმავე დროს. მსგავსი ასტრონომიული და ასტროლოგიური ფენომენი იშვიათი მოვლენაა (მოიხსენიებენ როგორც «სუპერ მთვარე») და 1900-იანი წლებიდან დღემდე სულ 5-ჯერ მოხდა და 2033 წლის 8 ოქტომბრამდე აღარ განმეორდება. მოგეხსენებათ, რამდენად ინდივიდუალურია მთვარის ზეგავლენა თითოეულ ადამიანზე და ასევე არაპროგნოზირებადი მისი კონკრეტული გამოვლინება ყოველდღიურობაში, ზოგისთვის მას უდიდესი დამატყვევებელი ძალა აქვს, ჰიპნოტური ზემოქმედება, ზოგისთვის კი ემოციური ფონი შედარებით სტაბილურად წარიმართება.

ოშოს მიერ შემოთავაზებული უამრავი სახის მედიტაციას შორის, ერთ—ერთია სავსემთვარეობასთან დაკავშირებული მედიტაცია, რომლის დროსაც ადამიანი ხდება მთვარის ენერგიის გამტარი.

მცირე დაკვირვება: როგორც უმრავლესი აღმოსავლური სწავლება, თეორიულთან ერთად, პრაქტიკულ საფუძვლებსაც მოიცავს, ამდენად თეორია პრაქტიკის გარეშე არაფრით ფასობს. თუმცა შეიძლება მაინც იყო რისამე თეორეტიკოსი, ოღონდ არა აღმოსავლური სწავლებების შემთხვევაში, სადაც თეორია აუცილებლად პრაქტიკითაც უნდა იყოს გამყარებული. ამით კი იმის თქმა მსურს, რომ საკუთარ თავზე უნდა გამოცადო ყოველივე წაკითხული. ოშოს რაც შეეხება, ის ნაწერიდანვე უბიძგებს მკითხველს რაღაც ქმედებისაკენ, ამაშია მისი შთამაგონებელი ძალა სიტყვების მეშვეობით.

ალექსანდრ ილინსკი

ენერგო-ვამპირიზმი[1]

ხშირად ადამიანებში, რომლებიც ეზოთერიკებს მიაკუთვნებენ თავს, ჩნდება ამა თუ იმ ფორმის საშინელი ისტორიები ენერგოვამპირებზე. თითქოს თავად სიტყვა ვამპირშია ჩადებული რაღაც ჯადოსნური ძალა. სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით პროზაულია. ამიტომ გადავწყვიტე ნათლად და გასაგებად გადმოვცე ეს საკითხი.

ენერგია სუფთა სახით მხოლოდ ეთერულ სხეულში იმყოფება. სხვა სხეულებში ენერგია უკვე ტრანსფორმირებულია: ფიზიკურ სხეულში — კუნთებად, ძვლებად, და სხვა ქსოვილებად; ასტრალურში — ემოციურ და გრძნობიერ ურთიერთობებად და მდგომარეობებად; მენტალურში — აზრებად და იდეებად. ეთერული სხეულიდან ენერგიის «წართმევა» შესაძლებელია მხოლოდ ორი ეთერული სხეულის უშუალო კონტაქტის დროს, ეს კი ნიშნავს, რომ ენერგო-გაცვლის მონაწილეები ერთმანეთისგან ერთ მეტრამდე მანძილზე უნდა იდგნენ.

თუ თქვენს გვერდით (დაახლოებით ერთ მეტრში) დგას ადამიანი, მაშინ უმეტესობა შემთხვევაში ეთერული ენერგიების გაცვლა ხდება უმეტესწილად ავტომატურად (გაუცნობიერებლად). თქვენში «გადმოიღვრება» ენერგიის ნაწილი იმ ზონებიდან, რომელიც მეორე ადამიანს სუსტი აქვს, და პირიქით, აძლევთ ენერგიას იმ ზონებში, რომელიც მას უფრო ძლიერი აქვს. იმის ალბათობა, რომ ადამიანს შეუძლია «აიღოს» ენერგია პირდაპირ სხვა ადამიანების ეთერული სხეულიდან ან სამყაროს ნებისმიერი სხვა ნაწილიდან (მზიდან, წყლიდან, ჰაერიდან ან მიწიდან), უკიდურესად მცირეა. თუკი ასეთი უნარი არსებობს, ეს მთლად ადამიანი ვერ იქნება, — ეს არსება უფრო მაგს, ან გურუს ჰგავს.

ე. წ. ენერგოვამპირიზმის სხვა შემთხვევებში კი ენერგო-გაცვლა სხვა სქემით მიმდინარეობს. თქვენი თანამოსაუბრე გიქმნით პროვოკაციას: «გაწვებათ» ან შეურაცხყოფას გაყენებთ — მანიპურა, იწვევს პროვოცირებას შეცოდებაზე ან იწვევს დანაშაულის გრძნობას — ანაჰატა, უადგილოდ ბილწსიტყვაობს ან ძალადობს სექსუალურ პლანზე — სვადჰისთჰანა და ა.შ... და თქვენ თანამოსაუბრესთან ემოციური რეაგირებით ენერგიას აძლევთ მას. მაგრამ ეს უკვე

[1] მთარგმნელი: Atman.

სულ სხვა ენერგიაა, ესაა ძირითადად ასტრალური სხეულის ენერგია, ემოციების და გრძნობების თემა, ბუნებრივია მენტალურის შეფერილობით — «კეთილი» სურვილების და ურთიერთობის სახით. და რაც ყველაზე მთავარია, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, მისცემთ თუ არა თანამოსაუბრეს ენერგიას. ან თუ სხვაგვარად ვიტყვით, თუ თქვენ აყვებით პროვოკაციას, თავად ახდენთ სასიცოცხლო ენერგიის ტრანსფორმაციას ეთერული სხეულიდან ასტრალურში და «გადაღვრით» პროვოკატორში. ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, რომ თქვენ თვითონ აძლევთ ამ ენერგიას და არავინ არ გართმევთ. ძირითადი დასკვნა ისაა, რომ ჩვენი ემოციური სტაბილურობა საუკეთესო «თავდაცვაა» ენერგოვამპირიზმისგან.

გარდა ამისა შეგვიძლია გამოვყოთ ორი დონე ასეთ ენერგო-გაცვლაში: გაუცნობიერებელი და გაცნობიერებული.

გაუცნობიერებელი ენერგოვამპირიზმის ვარიანტები:

1. ამის შესახებ ზემოთაც წერია, რომ როცა თანამოსაუბრეს ჩაკრა უფრო ძლიერი აქვს, შესაძლოა ენერგიის ბუნებრივი გადადინება სუსტიდან ძლიერში, ეთერული სხეულების კონტაქტის დროს, მაგრამ შესაბამისად სხეულები ერთმანეთთან ახლოს უნდა იყვნენ.
2. როცა პროვოკატორი იწვევს ძლიერ ემოციებს და ხანგრძლივ გრძნობებს, დონორში ამოქმედდება ასტრალური და მენტალური სხეულები. შიშის და ეჭვიანობის ემოციების დროს დონორი ენერგიას მანიპურადან (პრესიდან) გასცემს, აღფრთოვანების დროს ვიშუდჰადან (ყელი) და სვადჰისთჰანადან (სექსუალური ცენტრი). აქ უკვე მნიშვნელობა არ აქვს მანძილს, ენერგიის გაცვლა ნებისმიერ მანძილზეა შესაძლებელი.
3. არის მასობრივი ვამპირიზმის ვარიანტი, მაგალითად — ჰიტლერი, ასეთი ადამიანები ხშირად თავად არიან სუსტნი და ძალას იმ ხალხის მასიური თავყრილობიდან იღებენ, რომლებიც მათ უსმენენ, თუმცა ხშირად ისინი გამტარები არიან — სხვადასხვა ძალების ან ეგრეგორების რეტრანსლიატორები. ამ ადამიანებს ძალის წერტილში (ბრბოს ყურადღების ცენტრში) ყოფნით ბერვი რამის გაკეთება შეუძლიათ, განსაკუთრებით თუკი ხვდებიან ამას, მაგრამ მაყურებლების და თაყვანისმცემლების გარეშე დარჩენილები სუსტნი და უმწეონი ხდებიან, და რაღაცით დოზის გარეშე დარჩენილ ნარკომანს გვაგონებენ.
4. არსებობენ ასევე «სტიქიური ვამპირები», რომლებსაც დისბალანსი შეაქვთ ერთ ან რამდენიმე სტიქიაში, ძირითადად საკუთარი დისბალანსის გამო. ხშირად მათი ჩუმი თანდასწრების დროსაც კი ჭკნება ყვავილები, მათ გაურბიან ცხოველები და გაუცნობიერებლად ერიდებიან ადამიანები (არის ასეთი გეო-პათოგენური ზონები ტყეშიც, სადაც ყველაფერი ძლივს-ძლივობით იზრდება და შემოდგომაც ამ ადგილიდან იწყებს შემოსვლას). უმეტესწილად ესენი არიან ხანდაზმული ადამიანები რთული ბედით, ბუნებისგან რაიმე ძღვენით დაჯილდოებულნი და ბუნებისა და საკუთარი ძალების წინაშე სერიოზული დარღვევების მქონენი.

5. თვითვამპირიზმის ვარიანტი, ანუ საკუთარი თავის ჭამა და კრიტიკა. ვამპირიზმის სხვა სახეებისგან განსხვავდება იმით, რომ ენერგია არსად არ მიდის, უბრალოდ «იწვება» არაკონსტრუქციული თავით — აჯნათი.
6. არსებობენ ვამპირები — რაღაც ძალებთან ვალში მყოფნი. მათ წარსულში ძალიან ისურვეს ნორმალური ადამიანური ამოცანები ამ ამოცანებთან შეუსაბამო ძალების მეშვეობით, შეკვეთით გადაეწყვიტათ... თუ ისინი არ იხდიან დანაპირებ საფასურს, რომელიც რაღაც ქმედებებზემდგომარეობს, მაშინ ისინი კარგავენ მნიშვნელოვან ენერგიას და ძალების აღსადგენად ახდენენ ახლობლების და ძვირფასი ადამიანების გაუცნობიერებელ პროვოცირებას, რითაც ინგრევენ საკუთარ ოჯახურ ბედნიერებას და ბიზნესს.

გაცნობიერებული ვამპირიზმის ვარიანტები:

1. ხშირად გავრცელებული «ტვინიკოსის» (головастик) (აჯნას) ვამპირიზმის ვარიანტი, როცა ადამიანი წარმოიდგენს (ფანტაზიორობს), თუ როგორ «სწოვს» ენერგიას ჩაკრიდან, ადამიანიდან და ადამიანთა ჯგუფიდან, და ამ დროს რაიმე შესაბამისი პროცესის ვიზუალიზაციას ახდენს. ასეთი მინი-დრაკულებისთვის დამახასიათებელი გამოთქმებია — «მე ისინი შევჭამე», «მთელი დისკოთეკა გადავჭამე», «მთელი ენერგია გამოვწოვე» და ა.შ. დიდ ურავლესობაში ასეთი ტექნიკები ახლოსაა პლაცებოს ეფექტთან და არა რეალურ უნარებთან.
2. ხშირად გავცრელებულია ვარიანტი, როცა პროვოკატორი გაცნობიერებულად იწვევს ძლიერ ემოციებს დონორში და მის ასტრალურ და მენტალურ სხეულებს ამუშავებს. ამასთან ასეთი ქმედების მოტივი შეიძლება იყოს როგორც პათოლოგიური სადისტური სიამოვნება, ასევე «სიკეთის მიყენების» სურვილი, მაგალითად ხისტი ტექნიკების გამოყენებისას ფსიქოლოგიურ ან ტექნიკურ ტრეინინგებში.
3. არის ზემოთ აღწერილი მასობრივი ვამპირიზმის ვარიანტიც, იმ განსხვავებით, რომ ადამიანმა იცის რას აკეთებს. ამ შემთხვევაშიც მოტივები შეიძლება დიამეტრალურად განსხვავებული იყოს. ერთ მხარეს არიან ტოტალიტარული სექტების ხელმძღვანელები ან პოლიტიკური ტირანები, მეორე მხარეს კი ადამიანები, რომლებმაც ცხოვრება სხვების მსახურებას მიუძღვნეს. ჩვეულებრივ ამ უნარებით გამოირჩევიან არტისტული ბუნების ადამიანები, რომლებსაც სცენის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. თუკი შეხვდებათ სერიოზული ხალხი, სერიოზული მიზნებით, მათ იციან როგორ აიღონ ენერგია მასისგან, და ასევე როგორ მისცენ ენერგია მასას. ერთი სიტყვით ოსტატები არიან. თუმცა მოტივები შეიძლება სრულიად განსხვავებული ჰქონდეთ.

ყოველი ჩვენგანი რაღაც ზომით ვამპირის ან დონორის როლშია ხოლმე, უმეტესწილად გაუცნობიერებლად. მაგრამ გაცნობიერებული ვამპირიზმის ან დონორობის შემთხვევაში, რაც დამახასიათებელია ექსტრავერტებისთვის, მთავარია — ქმედებების შინაგანი მოტიოვაცია. სწორედ ეს განსაზღვრავს, რას წარმოადგენს ვამპირიზმი ან დონორობა — სიკეთეს თუ ბოროტებას.

არსებობს მედალის სხვა მხარეც: ადამიანები, რომლებიც მხოლოდ თავის ენერგიაზე დაყრდნობით ცხოვრობენ, რომლებიც მათ ეთერულ სხეულში გამომუშავდება, არიან ე.წ. ინტრავერტები. გაცნობიერებულ ვამპირიზმს ისინი არასოდეს არ მიმართავენ, გაუცნობიერებლად კი ხდება ხოლმე, რომ დონორებს განეკუთვნებიან. რაც ყველაზე საინტერესოა, სხვისი ენერგიისგან თავად ხდებიან ცუდად, ამიტომ გაცნობიერებულად არასოდეს აკეთებენ ამას.

პ.ს. ჩემი აზრით, ენერგეტიკულად განვითარებული ადამიანის ამოცანაა — იცოდეს ენერგიის გაცემაც და მიღებაც, ერთ ადამიანთან ურთიერთობაში, მასიურ აუდიტორიასთან, და რა თქმა უნდა საკუთარ თავთანაც. ასეთი ურთიერთქმედებების მოტივები კი ყველას საკუთარი აქვს. ასეთი უნარები საჭიროა ბავშვების აღზრდის დროს, მასიური მოტივაციური ღონისძიებების ჩატარების და კიდევ უამრავ შემთხვევაში.

ავიღოთ ასეთი სიტუაცია — წარმოვიდგინოთ, რომ ენერგოპროვოკატორს თქვენზე ძლიერი მანიპურა (პრესის ზონა) აქვს, თქვენში კი წამყვანი აჯნაა — თავის ზონა (საკმაოდ გავრცელებული მაგალითია), როგორ უნდა ვიურთიერთოთ, რომ ენერგიაც შევინარჩუნოთ პრესის ზონაზე, და... კარგი ურთიერთობაც. ხშირად, მაგალითად ჩემთვის ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ენერგიები.

გთავაზობთ შაბლონურ მაგალითებს, რომლებიც მოქმედების სახელმძღვანელო კი არაა, არამედ აზრის განწყობისთვის და იმის მიღებისთვისაა, რაც ისედაც უკვე ძლიერი გაქვთ.

№	მეთოდი	მაგალითი
1	დამაზუსტებელი კითხვა	— წადი, მომიტანე კონსპექტი!— როგორ (როდის) ჯობია ეს გავაკეთოთ? — თქვენ ნამდვილად გინდათ ეს?
2	დაბრუნებული კითხვა	— თქვენ უნდა ათვალიეროთ თუ უნდა იყიდოთ?— და თქვენ უნდა გაყიდოთ თუ კითხვები უნდა მისვათ?
3	მისადაგება (მოტივირების შეცვლა)	— აიღე, დათვალე ფული!— სწორედ ამის გაკეთებას ვაპირებდი!
4	პირობის წამოყენება	— წადი მაღაზიაში, პური იყიდე!— როგორც კი ჩამოწერ სიას, რა უნდა ვიყიდო, მაშინვე წავალ!

5	პაუზა	— მე გადამიხდიან ტაქსის ფულს!?— შევთანხმდით, ვიფიქრებ ამ საკითხზე.
6	მოდი ერთად ვიფიქროთ	— ადექი, წადი და გადადგი მაგიდა!— მოდი ერთად ვიფიქროთ, როგორ ჯობია ამის გაკეთება!
7	დიაგნოსტიკა	— ჰკითხე ჩემს კლიენტებს, რა უნდათ!— და შენ რას აკეთებ ახლა? (კითხვა ფარულ მოტივებზე)
8	საუბრის აჩქარება (забалтывание)	— აჰა, აიღე!— მე რა თქმა უნდა შემიძლია ავიღო ეს საგანი, ასევე სხვა ნებისმიერი, მაგრამ როგორც ვხვდები «კარმიული» თვალსაზრისით ეს ვერანაირად ვერ გააუმჯობესებს ჩვენი ურთიერთობის ბალანსს. უფრო მეტიც, კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როცა ერთ არასწორ ქმედებას ადამიანი ბედი, უფრო მეტიც, მთელი ხალხი ან მთელი სახელმწიფოები დანგრევამდე მიჰყავდა...
9	თხოვნა	— მომეცი ჩემოდანი!— და არ შეგიძლია, რომ სხვა სიტყვებით მთხოვო?
10	კითხვა მიზეზების შესახებ	— წადი, მომიტანე პირსახოცი!— დამისახელე ხუთი მიზეზი, რატომ უნდა გავაკეთო ეს?!

სხვათა შორის ბავშვები ასეთი ინფორმაციის მიღების შემდეგ თავდასხმის იარაღად იყენებენ მას. იყო შემთხვევა საზაფხულო ტრეინინგზე, როცა მოზარდეს აუხსნეს მეტყველებასთან და ჩაკრებთან დაკავშირებული ინფორმაციის ანა-ბანა. და ტრეინინგის ბოლოს ბავშვებს ბილეთები უნდა გაეყიდათ სიმბოლურ ფასად. და ერთი ყმაწვილი «ტვინიკოსი» (головастик), უფროსების ბიზნეს-ტრეინინგის მონაწილესთან მივიდა — ქალბატონი კი «მსხვილი» (როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით) ლიდერი იყო, — ბილეთის ყიდვა შესთავაზა და უარის მიღებისთანავე ჰკითხა: «დამისახელეთ თუ შეიძლება სამი მიზეზი, რის გამოც არ გინდათ ბილეთის ყიდვა», რითაც ბიზნეს-ქალბატონი ტრანსში ჩააგდო, რადგანაც აჯნა მისთვის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ზონა გახლდათ. ცოტახნიანი «სტუპორის» შემდეგ ქალბატონმა იყიდა ბილეთი...

მთარგმნელის შენიშვნა: ალბათ ზოგიერთი მკითხველისთვის უცნობი იქნება ენერგეტიკულ სხეულებთან და ჩაკრებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია (აჯნა, მანიპურა, ეთერული სხეული და ა.შ.), ამიტომ ამ თემებს მოგვიანებით განვავრცობ, მაგრამ ენერგოვამპირიზმი იმდენად აქტუალური თემაა, რომ გადავწყვიტე ქრონოლოგიურად უფრო ადრე შემომეთავაზებინა...

tikoroma

ხუთი სტიქია ადამიანში

დაოსური სწავლება ბუნების 5 ელემენტს იცნობს — ესაა წყალი, ხე, ცეცხლი, მიწა და ლითონი. წყალი შეესაბამება ზამთრის სეზონს, ხე — გაზაფხულს, ცეცხლი — ზაფხულს, მიწა — ნაბუნიობას და ბუნიობას, ლითონი — შემოდგომას. ადამიანში ხუთივე ელემენტი გამოვლინდება, თუმცა შესაძლოა ერთ-ერთი მათგანი დომინირებდეს, ან ორი-სამი ელემენტის გავლენა გამოიკვეთოს. ელემენტთა გამოვლენის სიძლიერე ადამიანში მის პირად რიტმს აყალიბებს. თითოეულ ელემენტს აქვს გარკვეული ძალა და ნაკლი, ხოლო მათი შესწავლა წარმოდგენას გვიქმნის ადამიანის ფიზიკურ, ემოციური და სულიერი მდგომარეობის შესახებ.



წყლის ელემენტი: ზამთრის რიტმი, განასახიერებს თესლს, ემბრიონს, პოტენციალს.

წყლის სტიქიის, იგივე ზამთრის სეზონის ადამიანი ნორჩი, გამოუცდელი, სუფთა სულის პიროვნებაა, რომელიც ბავშვური ენთუზიაზმით მოქმედებს. ზამთრის სუსტი მზის გამო ენერგეტიკული რესურსები შეზღუდული აქვს, ამიტომ მისი აქტიურობა დიდხანს არ გრძელდება. თუმცა შეუძლია საკუთარ თავშივე მოიძიოს და წრაფად აღიდგინოს ძალები.

წყლის ადამიანებს ახასიათებთ შენელებული რეფლექსები, ღრმად ჩაფიქრდება, დინჯი საუბარი, დადიან აუჩქარებელი ნაბიჯით და რწევით.

მათი მთავარი თვისებაა სიმამაცე, რაც სტრესულ მდგომარეობაში შიშად იქცევა.

ხის ელემენტი: გაზაფხულის რიტმი, განასახიერებს ზრდას (მატებას), ახალი სიცოცხლის ძალასა და ამტანობას.

ხის სტიქიის ადამიანი ძლიერი და პრეტენზიულია, სამართლიანია და სხვებისგანაც ამას მოითხოვს. საკუთარ თავში დარწმუნებულია, რადგან სწორად მსჯელობს და გონივრულ გადაწყვეტილებებს იღებს. შესაძლოა გახდეს ქედმაღალი, ხისტი და თავნება.

ხის ადამიანები საუბრობენ ხმამაღლა, მერყევი, ცვალებადი ინტონაციით, ასევე დადიან ცვალებადი ნაბიჯით, ადგილზე ცმუკავენ, სხარტად მოძრაობენ.

სტრესულ მდგომარეობაში მათი სიჯიუტე აღშფოთებად გადაიქცევა.

ცეცხლის ელემენტი: ზაფხულის რიტმი, შესრულება.

ცეცხლის სტიქიის ადამიანი მოჰგავს ტყის ხანძარს, რომელიც სწრაფად ვრცელდება ყველა მიმართულებით და ალში ხვევს ყველაფერს, რაც გზად შემოხვდება. ცეცხლის ადამიანი გულით მოქმედებს, არის თბილი, თანამგრძნობი, მხიარული გარშემომყოფების მიმართ, ქარიზმატულია, იოლად ხიბლავს ხალხს, შეუძლია ადვილად მოიპოვოს ნდობა და აქვს სხვებზე ზეგავლენის მოხდების უნარი.

საუბრობენ სიცილით, ჟესტებით, ზოგჯერ არა მხოლოდ ხელებს, არამედ მთელს სხეულს იყენებენ სათქმელის გამოსახატავად.

სტრესულ მდგომარეობაში მათი სიხარული და ვნება პანიკად და ისტერიად იქცევა.

მიწის ელემენტი: ბუნიობის (გვიანი ზაფხულის) რიტმი — მოსავლის აღება.

კონცენტრირებული, ორიენტირებული და გარდამავალი — სრულყოფილი ბალანსი...

მიწის ადამიანი მყარად ფლობს ცოდნას, არის სამართლიანობის სიმბოლო, სტაბილური და კარგი წინამძღოლია. მიწის ელემენტი მოსავლის აღების, სიმრავლის, კვების, ნაყოფიერებისა და დედაშვილური ურთიერთობების ხელშემწყობია.

მიწის სტიქიის ადამიანი არის მომთმენი, სანდო, ლოგიკური, მილიტარული, ჯიუტი, ძალიან ენერგიული, მართავს მომსახურების და მოვალეობის სფეროებს;

ლითონის ელემენტი: შემოდგომის რიტმი — დასასრული.

ლითინი შეესაბამება ასევე ჰაერის ელემენტს, ეს არის გრავიტაცია, დედამიწის მინერალები, ციურ სხეულთა ნიმუშები, ელექტროგამტარი და მაგნიტური ძალები. მათ განსაზღვრული სტრუქტურა აქვთ, მაგრამ გადადნობისას ახალი ფორმის მიღებაც შეუძლიათ.

ლითონის ადამიანი დგას ცასა და მიწის შუა, მისი ენერგია მშვიდი და ნათელია, ჯერ კიდევ გამოუყენებელი და თვითმყოფადია.

შემოდგომა განასახიერებს დასასრულს, ძველის კვდომას ახლის შესაქმნელად.

შემოდგომის ხალხი ისწრაფვიან სრულყოფილებისკენ, ამაღლებული იდეალებისკენ, განწმენდისკენ. სურთ აღმოფხვრან ყოველივე, რასაც უწმინდურად მიიჩნევენ — იდეები, ქცევა თუ სისტემა. ლითონის ადამიანებს ესმით «მსოფლიოს სევდა» და აქვთ ნიჭი თესონ სიკეთე, პატიოსნება და ერთიანობა.

სტრესულ მდგომარეობაში შემოდგომის ადამიანი შესაძლოა გახდეს ზედმეტად სერიოზული, ან დეპრესიული, თავს არიდებს მხიარულებას, ვეღარ იღებს სიამოვნებას.

საუბრობენ ქვითინის მსგავსი ხმით, სიარულისას თითქოს სრიალებენ, დადიან თავაწეული წინ მიმართული მზერით.

ოლეგ ბოკაჩოვი

სულიერი განვითარება[1]

როგორ დავკავდეთ «სულიერი სრულყოფით»?

თანამედროვე ადამიანის პრობლემა სულიერი განვითარების კუთხით იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცდილობს ავარჯიშს თავისი სული (Дух), აღზარდოს, აკონტროლოს და განავითაროს იგი. ასე გვასწავლეს ნების ძალის აღზრდა. მაგრამ როგორ შეიძლება ასეთი დამოკიდებულება ჩვენს წყაროსთან, მამასთან ან უფრო ძლიერ არსებასთან — სულთან? ასეთი დამოკიდებულება შეიძება მხოლოდ უფრო სუსტი, უმწეო და პატარა არსების მიმართ. ჩვენი სული ასეთი არაა. ის ჩვენი შემქმნელია. ვცდილობთ რა, განვავითაროთ ჩვენი სული, ამით ვაკნინებთ მას და ვცდილობთ ჩვენი პატარა, ეგოისტური «მე»-ს მსახური გავხადოთ.

სულიერი განვითარება — ესაა პირველ რიგში ურთიერთობების განვითარება ჩემსა (ზედაპირულ «მე»-ს, რომელსაც მე ვაცნობიერებ ჩემში) და სულს (უფრო ღრმა «მე»-ს, რომელიც მე მაცნობიერებს) შორის. უფრო ღრმა «მე» მიცნობს მე. მე კი ჯერ კიდევ არ ვიცნობ მას, მაგრამ ვხვდები მის არსებობას მისი თანმყოფობის ნიშნებით და გამოვლინებებით. და ამ ნიშნების მეშვეობით სიღრმეში უნდა მივყვე მას. ჩემი სულიერი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შევიგრძნობ და აღვიქვამ ჩემში მისი არსებობის ნიშნებს, რამდენად სტაბილური ვიქნები ამ სურვილში.

[1] მთარგმნელი: Atman.

არაა საჭირო სულის განვითარება. სინამდვილეში ხომ სული არაა სუსტი. ეს მე ვარ სუსტი სულის აღქმაში, მისადმი ყურადღებაში, მცდელობაში, რომ შევიგრძნო იგი. უნდა განვავითაროთ ჩვენი მგრძნობელობა სულისადმი, ჩვენში მისი მიღების უნარი, როგორც ცოლი იღებს თავის ქმარს, შვილი იღებს თავის მამას. ჩემი სულიერი დონე მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად შემიძლია საკუთარ თავში სულის შემოშვება, ჩემზე, ჩემს ცხოვრებაზე მმართველობის უფლების მიცემა, მისი მსახურება. სულიერი ზრდა ხდება მხოლოდ იმ ძალის მსახურების მეშვეობით, რომელიც არსებობას მაძლევს.

ხშირად მეჩვენება, რომ საკვების ან სხვებთან ურთიერობების გარეშე არ შემიძლია არსებობა. რა თქმა უნდა, ეს სიმართლეა. მაგრამ ეს ჩემი განსაზღვრული სულიერების სიმართლეა, რომელშიც თითქოს შემიძლია სულის გარეშე არსებობა, აი საკვების გარეშე კი არანაირად არ შემიძლია. ამ მდგომარეობაში არსებობის ძალის წყაროდ საკვები მეჩვენება. ზოგიერთი ადამიანი იმასაც კი ფიქრობს, რომ არსებობის ძალა ფულია. თუ მათ წავართმევთ თავიანთ მილიონებს, შეიძება თავიც კი მოიკლან, რადგან ჩათვლიან, რომ მათი არსებობა დასრულდა. ალბათ ადამიანს არჩევანი აქვს იმაში, თუ რა ჩათვალოს თავისი არსებობის ძალად.

მაგრამ იმისთვის, რომ არ ვიხეტიალოთ არსებობის სხვადასხვა ილუზორულ წყაროებს შორის, ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს იგი სინამდვილეში. ამისთვის ვეცდებით, რომ მთელი ძალისხმევა მოვიკრიბოთ და არ ვიარსებოთ თუნდაც ერთი წუთით. საეჭვოა, რომ ეს გამოგვივიდეს. რაღაც პერიოდი რომ არ ვიკვებოთ, ეს შეგვიძლია. ისიც კი შეგვიძლია, რომ რაღაც დროის განმავლობაშ არ ვისუნთქოთ. აი საკუთარი არსებობის გაუქმება კი ნამდვილად არ შეგვიძლია. ამიტომ საკვებს, ჰაერს და მითუმეტეს ფულს არანაირად არ შეუძიათ ჰქონდეთ პრეტენზია ჩვენი სიცოცხლის წყაროდ ყოფნაზე. მათ შეუძლიათ იყვნენ დამხმარეები, რომლებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ იმისთვის, რომ უკეთ შევიგრძნოთ სული. მაგრამ არანაირად არ უნდა ვიყოთ განწყობილი მათდამი, როგორც სიცოცხლის მომცემი უფრო ძლიერი არსებებისადმი.

ჩემი სულიერება დამოკიდებულია მხოლოდ ჩემს ურთიერთობაზე სულთან. სული ისედაცაა ჩემში, ყოველ უჯრედში, მოლეკულასა და ატომში, ყოველ აზრსა და ემოციაში. მაგრამ ჩემი მგრძნობელოა მისადმი შეზღუდულია. მე ჯერ კიდევ არ ვარ სრულყოფილი სულის მსახურებაში, მოსმენაში. მე უნდა ვიგრძნო ყოველი იმპულსი, რომელიც მისგან მომდინარეობს, მაგრამ იმისთვის, რომ უფრო მგრძნობიარე გავხდე, უფრო სუფთა უნდა ვიყო. სულიერი სისუფთავე არ გულისხმობს რაღაცის სრულიად მოშორებას. მე ხომ უნდა ვიგრძნო რაღაც სულთან მიმართებაში. თავად შეგრძნებები გულისხმობენ რაღაც არსებულ მოვლენებს ჩემში, როგორც სულის წარმომადგენელში. ჩემში არსებული ზოგიერთი შეგრძნება ან მოვლენა (არსება), უნდა მეხმარებოდეს სულის შეგრძნებაში უფრო ძლიერად, ნაცვლად იმისა, რომ ხელს მიშლიდეს. მთელი ჩემი ცხოვრება მიმართული უნდა იყოს იმაზე, რაც მეხმარება სულის უფრო ძლიერად განცდაში. ასეთია ჩემი მსახურება სულისადმი.

ოლეგ ბოკაჩოვი

სულიერი განვითარების ტექნოლოგიები[1]

რა წარმოადგენს სულიერი განვითარების ტექნოლოგიას?

— ყველაფერი, რასაც მე აღვიქვამ და ვგრძნობ, წარმოადგენს საშუალებას ან ინსტრუმენტს საკუთარ თავში სულის შეგრძნების უნარის განვითარებისთვის.

ეს მართლაც ასეა. ყველაფერი, რასაც აღვიქვამ და ვგრძნობ, უნდა მეხმარეობდეს უფრო ძლიერად ვიგრძნო, ანუ შევიცნო ჩემი სული — ჩემი ცხოვრების მმართველი. სულთან მიმართებაში შეგრძნების, მოსმენის, მორჩილების და მსახურების ნებისმიერი ტექნოლოგია განავითარებს მის ჩემს თავშ შეგრძნების უნარს. თუ სულის გულისთვის ქვებს გადავზიდავ ერთი ადგილიდან მეორეზე, ჩემი სული უფრო ძლიერად შეგრძნებადი გახდება. თუ სულის გულისთვის ვიცეკვებ, ის უფრო გაძლიერდება ჩემში. თუ სულის გულისთვის საფრთხეებში აღმოვჩნდები, ან პირიქით, სიამოვნებებში, იგი ამით უფრო გაძიერდება. მნიშვნელოვანი არაა — რას ვაკეთებ. მნიშვნელოვანია — რისთვის ვაკეთებ.

მაგრამ საკმარისი არაა, უბრალოდ ვუთხრა საკუთარ თავს — «ამას მე ჩემი სულის გულისთვის ვაკეთებ», შემდეგ კი ვაკეთო და სრულიად დავივიწყო ის, ვისი გულისთვისაც ვაკეთებ. თუ საყვარელი ადამიანისთვის ვაკეთებ რაიმეს, ჩემი მოქმედების ყოველ მომენტში მასზე ვფიქრობ, ვგრძნობ, მწყურია, რომ ვასიამოვნო. იმედი მაქვს, რომ ადვილად მიიღებს ჩემი მოქმედების ნაყოფს,

[1] მთარგმნელი: Atman.

როგორც ძღვენს მისადმი, იმისთვის, რათა უფრო ძლიერი გავხადო იგი. მხოლოდ ასეთი მოქმედება სულის გულისთვის შეიძლება ჩაითვალოს მსხვერპლშეწირვად მის მიმართ, ანუ სულიერი განვითარების ტექნოლოგიად.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ სულისთვის რაიმეს გაკეთება ადვილია, დაე სცადოს. ჩვენი პირველი ზრახვა შესაძლოა იყოს სურვილი — ვაკეთოთ ჩვენი სულისთვის ის, რაც გვსიამოვნებს. მაგალითად, ვეუბნები საკუთარ თავს — «ამ ნამცხვარს სულის გულისთვის შევჭამ». ვიწყებ ნამცხვის ჭამას და ის ისეთი გემრიელია, რომ უფრო მეტადაც კი მომწონს, ვიდრე სული. «რა კარგი ტექნოლოგია მოვიფიქრე — შევჭამ ნამცხვარს საკუთარი სიამოვნებისთვის, ამასობაში კი სულიც გამიძლიერდება». ეს საკუთარი თავის მოტყუებაა. სულის ნაცვლად ნამცხვრის არსი გაიზრდება ჩვენში.

სულიერი განვითარების ყველაზე რთული ტექინოლოგიები — ეს ის ტექნოლოგიებია, რომლებიც სიამოვნებას გვანიჭებენ. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ სექსუალური ტექნოლოგიები ან მცენარეთა, სოკოთა და სხვა იმ არსებათა გამოყენება, რომლებიც ამა თუ იმ ძალას გვაძლევენ, როგორც დამხმარეებს სულის განვითარებისთვის. ეს ტექნოლოგიები სახიფათოა იმით, რომ თავად ტექნოლოგია, ანუ თავად დამხმარე სული, მსახურის ნაცვლად შესაძლოა შეუმჩნევლად ჩვენს ბატონად იქცეს, საკუთარი თავის გაძიერებისთვის გამოგვიყენოს და სულის ძალა წაგვართვას.

მოვლენათა ასეთი განვითარების თავიდან აცილება საკმაოდ რთულია, თუ ჩვენი ნებით მივდივართ ასეთი არსებების შესახვედრათ. გაცილებით უფრო ადვილია გამოვიყენოთ ის ტექნოლოგიები და არსებები, რომლებიც არასასიამოვნოა ჩვენთვის. მაგალითად, შიმშილობა, ნებისმიერი ასკეტური პრაქტიკა, რაღაც სასარგებლო საქმისთვის მსახურება. თუ გაცნობიერებულად ვწირავთ რაღაცას უფრო მაღალი ძალისთვის, ამით ძალას მოვიპოვებთ. ეს სულის განვითარების ფაქტიურად წაუგებელი ტექნოლოგიაა.

მე არ ვარ სულის გულისთვის ტანჯვის ფილოსოფიის მომხრე. მე ყველა შესაძლებლობას მივესალმები სულიერი განვითარებისთვის. მაგრამ ყოველმა ჩვენგანმა უნდა აირჩიოს ის საშუალებები, რომლებიც მის სულთან ახლოსაა თვისებებით და დონით. მე უფრო მეტი ეჭვის თვალით ვუყურებ იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც გვთავაზობენ სულთან მიახლოებას კომფორტულად და სასიამოვნო კომპანიაში, და ასევე ტექნოლოგიებს, სადაც ვიღაც ყველაფერს შენს მაგივრად აკეთებს, და გთავაზობს მხოლოდ მოდუნდე და ხელი არ შეუშალო, სანამ არ გაგასხივოსნებენ. ვერანაირი მასწავლებელი ვერ მოგცემთ გასხივოსნებას. ის ხომ მხოლოდ გზას გაჩვენებთ. ხოლო პირადი ძალისხმევების და ნაბიჯების გადადგმა სულთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, ყოველ თქვენგანს თვითონ მოგიწევთ.

ოლეგ ბოკაჩოვი

სულიერი მასწავლებელი[1]

სულის ძალის ძიების გზაზე ჩვენ აუცილებლად შეგვხვდება მრავალი ბილიკი ან ღია შესაძლებლობა, და საჭირო იქნება ავირჩიოთ ყველაზე შესაფერისი იმისთვის, რომუსაფრთხოდ და უმტკივნეულოდ ვიმოძრაოთ უფრო დიდი ძალის მოპოვებისკენ. ამაში შეუძლია დაგვეხმაროს იმას, ვინც უკვე იცნობს სულის იმ დიდ ძალას, რომელზეც ჩვენ მხოლოდ ვოცნებობთ. ამასთან ასეთი მასწავლებელი აუცილებელი არაა იყოს ადამიანი. უბრალოდ ადამიანისგან უფრო ადვილია დარიგებების მიღება სწრაფად, გასაგები ფორმით და გასაგებ ენაზე.

თუ მასწავლებლად ავიყვანთ არა ადამიანს, არამედ სხვა არსებას, ყველაფერი დამოკიდებული იქნება ჩვენს შორის ურთიერთგაგებაზე. მასწავლებელი შეიძლება იყოს უფრო ძლიერი არსება, რომელთანაც ახლო და უბრალო ურთიერთობა გვაქვს. რაც უფრო ნაკლებად სხეულებრივია ეს არსება, მით უფრო მეტი ძალა აქვს მას, მაგრამ ასევე უფრო რთულიცაა მასთან ურთიერთობა, რადგან არ არსებობს მკაფიოდ გამოხატული ნიშნები მისი თანმყოფობისა და დარიგებებისა.

ამიტომ მიღებულია, რომ მასწავლებლად მივიღოთ ადამიანი — სულთან ურთიერთობის უფრო მეტი გამოცდილებით. მაგრამ ადამიანთანაც კი უნდა ვეძებოთ ურთიერთობის ფორმები, შედარებით უფრო მარტივი იმისთვის, რომ ამისგან ორივემ მიიღოს ძალა. მასწავლებელიც ღებულობს ძალას იმით, რომ მას უჩნდება დამჯერი და მონდომებული მოსწავლე. მასწავლებელი ხომ იმ ძალას ემსახურება, საითკენაც მოსწავლე მიჰყავს, ისევე როგორც მოსწავლე ემსახურება

[1] მთარგმნელი: Atman.

მას. მოსწავლის მოპოვებით, მასწავლებელი მეტ ძალას გრძნობს თავის მსახურებაში.

სულიერი მასწავლებლის არჩევა — მარტივი საქმე არაა, და ამავე დროს ძალიან მარტივია. ძნელია ამაზე რაღაც ერთმნიშვნელოვნის თქმა. შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ საქმე მასწავლებელში კი არა, მოსწავლეშია. ბევრი ფიქრობს: «დაე ჯერ გამოჩნდეს ჩემს ცხოვრებაში ადამიანი, რომელიც დაამტკიცებს, რომ მისი ნდობა შეიძლება სულიერების საკითხში. დავაკვირდები მას, და თუ ყველაფერი დამაკმაყოფილებს, გავხდები მისი მოსწავლე».

მასწავლებელი მოდის, როცა ადამიანი უკვე იმყოფება მოსწავლის მდგომარეობაში.

მოსწავლეობის მდგომარეობას სწავლა სჭირდება, ამისთვის უნდა მოვემზადოთ. მთელი ჩვენი ცხოვრება — ეს მოსწავლის მდგომარეობისთვის მზადებაა. უნდა გვინდოდეს ცოდნის მოპოვება იმაზე მეტადაც კი, ვიდრე მასწავლებლის მოპოვება. უნდა მივიდეთ იმ მდგომარეობამდე, როცა გულწრფელად ვეტყვით საკუთარ თავს — «მე ისე მინდა ცოდნის მოპოვება, რომ მასწავლებელიც რომ არ მოვიდეს, მაინც მოსწავლე გავხდები. მზად ვარ მივიღო ყველაფერი, რასაც ცხოვრება მეტყვის ჩემზე. დაე მომიყვეს ჩემზე გასაგები ფორმით, ჩემთვის სასიამოვნო ადამიანის ან სხვა არსების მეშვეობით. მე მზად ვარ მივიღო ცხოვრების სივრცისგან ყველაფერი, რისი მოცემაც მას სურს». მაშინ მოვა მასწავლებელი, ჩაგკიდებთ ხელს და წაგიყვანთ ცოდნისკენ.

იმავე დონით, როგორითაც მოსწავლეს უნდა ცოდნის მოპოვება, მასწავლებელსაც უნდა ცოდნის გადაცემა. ისევე როგორც მოსწავლე ეძებს მასწავლებელს, მასწავლებელიც ეძებს მოსწავლეს. მოსწავლის პოვნა ისეთივე რთულია და ამავე დროს ისეთივე მარტივი, როგორც მასწავლებლის პოვნა. თუ მასწავლებელი იმყოფება მოსწავლის მდგომარეობაში თავისი მასწავლებლის მიმართ — სულით უფრო ძლიერი არსების მიმართ, მაშინ მასაც უჩნდება მოსწავლე.

დიადი მასწავლებლების ტრადიცია — ეს დიადი მოსწავლეების ტრადიციაა.

Narilla

რა არის ადამიანი?



ადამიანი ფილოსოფიაში არის პრობლემა, რადგან მან არ იცის თუ ვინ არის და როგორია მისი ონტოლოგიური ადგილი სამყაროში.

ფილოსოფიაში დაისმის კითხვა, თუ რა არის ადამიანი? ამაზე სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარი პასუხი არსებობდა. ადამიანმა განვლო თავისი ყოფიერების გრძელი გზა, სანამ «აქ» და «ახლა» მოაღწევდა და ის კვლავ განაგრძობს სვლას. ეპოქალური გააზრების მიხედვით, ადამიანის მიბაძვის საგანი იყო გმირი, წმინდანი, რევოლუციონერი, ზეკაცი, ტელეწამყვანი, კინო-ვარსკვლავი და ა.შ.

თუ ადამიანის გენეტიკური ფუნქცია აზროვნებაა, აქედან გამომდინარეობს შემდეგი: ისტორიის ადრეული პერიოდებიდან მოყოლებული ადამიანმა მიაღწია ამგვარი «მოაზროვნის» მდგომარეობას. ფორმულირება კი ასეთი იყო ***Homo sapiens***, რაც განსაზღვრავდა ცხოველს, რომელსაც აზროვნება შეუძლია.

ადამიანი, როგორც ***Homo Faber***, უკვე იარაღის მქონე და მწარმოებელ არსებად წარმოგვიდგება. აქ ის უკვე ბუნებას იმორჩილებს და მისი მბრძანებელი ხდება.

Homo ludens — ადამიანი მოთამაშე, რომელიც ქმნის სამყაროებს სამყაროში ღვთის წაბაძვით, ქმნის თამაშით, მიზანი კი მასშივეა, რაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია.

Homo tatus «მთლიან ადამიანს» ნიშნავს. ეს არის ადამიანის ის სახე, რომელსაც ჩვენ მუდმივად ვეძებთ. ეს არის გრძელი გზა კოსმოსთან, პირველსაწყისთად გასაერთიანებლად. «გამთლიანება» საკუთარი თავის აღმოჩენას უკავშირდება და თავის მხრივ, დაუსრულებელი პროცესია — მთელი ცხოვრება გრძელდება და შესალოა ისიც კი არ იყოს საკმარისი. ამ გზაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტუიცია, სიზმრები, ხილვები, რომელთა ჭვრეტა და მართვა ადამიანმა უნდა ისწავლოს.

დაბოლოს ჩნდება ადამიანის კიდევ ერთი განსაზღვრება ***Homo Sapiens Cyberneticus***. თანამედროვე ადამიანს უწევს რეალურ, წარმოსახვით და

ვირტუალურ სამყაროებში ცხოვრება. ამგვარმა მრავალმხრივმა არსებობამ განაპირობა კიდევ ერთი მოდელის ე.წ. კიბერპანკების გაჩენაც. ესაა ადამიანი, რომელიც შემოქმედებითად იაზრებს მისთვის ხელმისაწვდომ ყველანაირ ინფორმაციულ რესურსს. სიტყვა «კიბერნეტიკა» კი გულისხმობს ადამიანის (მექანიზმის) მიერ ინფორმაციის მიღებას, შენახვასა და გადაცემას და ასევე მის მართვას. ამდენად, კიბერპანკი არის «მესაჭე» ის, ვინც რეალობას მართავს.

მიუხედავად იმისა, თუ როგორ გაიგებოდა ადამიანის ბუნება, ტემპერამენტი, რელიგიური მსოფლმხედველობა, მორალური პრინციპები, საზოგადოება მუდამ ცდილობდა ადამიანის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას და თუნდაც ახალი ადამიანის შექმნას. ადრე ამას ადამიანს ავალდებულებდნენ ან აიძულებდნენ გარეშე ძალები, იქნებოდა ეს რელიგია, თუ სახელმწიფო იდეოგოლია; მაგალითად, ქალაქ-სახელმწიფო სპარტა თავისი მოქალაქეების «სპარტანულ აღზრდას» მოითხოვდა. ახალ დროში კი მიმდინარეობდა ადამიანის იდეოლოგიური აღზრდა (ფაშისტური და სოციალისტური რესპუბლიკები). გარდა ამისა, არის ადამიანის მართვის ფარული და შენიღბული ფორმებიც. ესაა მანიპულაცია, რომელიც პოლიტტექნოლოგიების აუცილებელი ელემენტია. იგი იყენებს რეკლამას, პიარსა და იმიჯის შექმნის მეთოდებს. ამ დროს ადამიანს შეგნებულად უყალიბებენ სტერეოტიპულ შეხედულებებს, გემოვნებას, მისწრაფებას, ლტოლვებს, ინტერესებს. ამგვარი ერთიანი და ერთფეროვანი სტანდარტების საშუალებით ადვილია ადამიანის მსოფლმხედველობის კონტროლი, უხეშად რომ ვთქვათ.

თუმცა დღეს ადამიანს მაინც აქვს თავისუფლება და ტექნიკური საშუალებანი გარდაქმნას საკუთარი თავი. უკვე XX საუკუნეში ადამიანს მიეცა საშუალება თავად აერჩია საკუთარი იდენტობა. ის ცდილობს სრულყოს საკუთარი თავი არა მარტო ზნეობრივი და ინტელექტუალური კუთხით, არამედ გარეგნობის მხრივაც. იდენტურობა აღარ არის ის, რაც ადამიანს დაბადებიდანვე მოგვეცემა, მათ შორის არც სახელი, არც გვარი და არც სქესი. ერთი მხრივ, იდენტურობა არჩევანის საგანია, მეორე მხრივ, ის დაცული უნდა იყოს მუსკულტურული და კროსკულტურული ზეგავლენისაგან — ეს კი ადამიანისაგან მოითხოვს მუდმივ ზრუნვას საკუთარი იდენტურობის შესანარჩუნებლად.

ადამიანი დაინტერესებულია მუდამ საკუთარი თავის გარდაქმნით (სრულყოფით). მას ამისათვის ჰყავს მოდელი, ან ორიენტირი, რომელსაც თავის ბაძვის ობიექტად აქცევს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანი არასოდეს ყოფილა კმაყოფილი თავისი ყოფიერების წესით.

ახალი ფილოსოფიური ხედვაც კი გაჩნდა ადამიანის დანიშნულების შესახებ, რომლის ავტორიცაა ცნობილი ფილოსოფოსი ერიკ ფრომი. იგი სვამს კითხვას «ვიქონიოთ თუ ვიყოთ?» (To have or to be). როგორც ჩანს, თანამედროვე ადამიანი გახდა მომხმარებლი. მას მუდამ რაღაც უნდა და ბევრი რამ სჭირდება. ამასთან, ადამიანი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რაც სურს, ის ჰქონდეს კიდეც. ყოფნას რაც შეეხება, თანამედროვე ადამიანი უნდა პასუხობდეს ეპოქის მოთხოვნილებებს, რათა განვითარდეს და ჩამოყალიბდეს პიროვნებად. ძნელია იმის თქმა, რომელი მხარე გადასწონის — ***to be or to have?***

Narilla

ცოდნის პარადოქსი

ცოდნა ერთ-ერთი იმ არამატერიალურ შენაძენთაგანია, რომელიც ჩვენს სულიერ სამყაროს ამდიდრებს. უდავოა, რომ ის უდიდეს წარმმართველ როლს ასრულებს ადამიანის ყოფიერებაში. ის ანიჭებს ჩვენს ყოველ მოქმედებას გარკვეულ საზრისსა და მოტივს. ამიტომაცაა, რომ ცოდნა ადამიანის ადამიანურობის სპეციფიკური მახასითებელია, როგორც თავისთავად მოცემული ბუნებრივი ნიშანი. ადამიანის კლასიკური განმარტებაც ასწორედ ამაზე მეტყველებს — «ადამიანი გონიერი ცხოველია».

ცოდნის პარადოქსი ისაა, რომ ადამიანი უდიდეს ენერგიასა და დროს ხარჯავს ცოდნის შეძენაზე, თან ის ყოველთვის მიისწრაფვის მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ცოდნა. მაგრამ მისი ეს მიდრეკილება აბსოლუტური, სრულყოფილი ცოდნის მოპოვებისა, ყოველთვის ისჯებოდა. ამის უამრავი მაგალითია ცნობილი, დაწყებული მითოლოგიიდან და დამტავრებული ისტორიული ცნობებით. პრომეთემ ღმერთებისაგან მოპარული ცეცხლი ადამიანებს გადასცა, ასწავლა მისი მოხმარება და ხელოსნობა. სამაგიეროდ ზევსმა ადამიანებს წაართვა მომავლის ხედვის უნარი, საკუთარი ყოფიერების არსის წვდომის შესაძლებლობა, ხოლო პრომეთეს მარადიული სასჯელი განუწესა.

ოიდიპოსი იყო ადამიანურ სიბრძნეს ნაზიარევი, რის გამოც შეძლო ამოეხსნა სფინქსის გამოცანა. მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა ადამიანური ყოფიერების საიდუმლოება, მისი ეს უპირატესობა ამპარტავნებაში გადაიზარდა. ამპარტავნება კი ყოველთვის ისჯებოდა ღმერთების მიერ; ოიდიპოსს განსაცდელი მოუვლინეს, რითაც, დაანახეს, რომ მან არათუ ის იცოდა, თუ ვინ არის ადამიანი, არამედ, არ იცოდა, თუ ვინ იყო თავად იგი. ამით შენარჩუნდა განსხვავება ადამიანურ და ღვთაებრივ ცოდნას შორის და რომ ერთის მიერ მეორის გაგება და მოპოვება სახიფათოა.

ბიბლიის მიხედვით კი ღმერთმა ადამი გააფრთხილა, რომ არ გაესინჯა ხე ცნობადი. მაგრამ ეს აკრძალვა დაირღვა, რის შედეგადაც ადამიანმა შეიძინა სიკეთისა და ბოროტების გარჩევის ცოდნა. ადამი სამოთხიდანაც გააძევა ღმერთმა და უკვდავებაც დაკარგა.

მითოლოგიაში არსებობს საკრალული ცოდნის მარადიული პრობლემა. ყველგან, სადაც ამ თემას ეხებიან, შედეგი ყოველთვის ერთია: აკრძალულ ცოდნასთან ზიარება ისჯება! ეს ერთგვარი ტაბუა, რომელიც დადებულია ადამიანსა და ღმერთს შორის იმის ნათელსაყოფად, რომ მათ შორის პრინციპული განსხვავება და გადაულახავი დისტანცია არსებობს. ადამიანს არა მხოლოდ არ აქვს საკრალურ ცოდნასთან ზიარების უფლება, არამედ არ აქვს არც იმის უნარი, იცოდეს ყველაფერი და რაც მთავარია, იყოს ჭეშმარიტები ცოდნის მფლობელი. მაგრამ მას აქვს ერთი შესაძლებლობა — მისწრაფება მოიპოვოს ცოდნა, ცოდნა, რომელსაც ექნება აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზია. მაგრამ სიბრძნე ისეთივე სუბიექტური მონაპოვარია, როგორი სუბიექტურიც თავად ადამიანი შეიძლება იყოს. ამიტომ უყურებდნენ კრიტიკულად პირველი ფილოსოფოსები მათ წინამორბედ სოფისტებს: ფილოსოფოსები მხოლოდ «სიბრძნისმოყვარულობას» (φιλοσοφία) ესწრაფვოდნენ, ხოლო სოფისტებს ჰქონდათ პრეტენზია, რომ ისინი უკვე იყვნენ გარკვეული სიბრძნის მატარებელნი და შესაბამისად — «ბრძენნი» (σοφιστής).

ისტორიულად იცვლებოდა ჭეშმარიტი ცოდნის ნიშნები და ცოდნის როლი და დანიშნულება ადამიანის ცხოვრებაში. ჭეშმარიტი ცოდნის პირველ სახედ მიიჩნიეს მეტაფიზიკური ცოდნა. იგი იყო ადამიანური ყოფიერების წარმმართველი. შემდგომში ცოდნის პროტოტიპად იქცა თეორიული ცოდნა, რომელიც გვაძლევდა ცოდნას ობიექტური რეალობის შესახებ. მოდერნიზმის ეპოქა კი აცხადებდა, რომ მან იცოდა ჭეშმარიტი სინამდვილე თავისთავად. შემდგომ ცოდნის ჭეშმარიტ სახედ მიიჩნევდნენ ექსპერიმენტულ ცოდნას, ცოდნას, რომელსაც შეუძლია სინამდვილეზე ზემოქმედება და გარდაქმნა და მის თვითმიზანს არ წარმოადგენს რეალობის ასახვა, რადგან ის ისედაც მოგვეცემა ჩვენ შეგრძნებებში. ასეთი «ცოდნა ძალაა» (ფრ. ბეკონი) — აქ იგულისხმებოდა მეცნიერული, დასაბუთებასა და ექსპერიმენტს დამყარებული ცოდნა. ეს იყო ცოდნის ახალი, არა სპეკულატიური, არამედ პრაგმატული გაგება. დღეს ჭეშმარიტი ცოდნის სახეა ინსტრუმენტალური ცოდნა. რეალურად, ის მართლაც იქცა ინსტრუმენტად ადამიანის ხელში. ამგვარი ცოდნის ჭეშმარიტების საზომია

ის, თუ რამდენად ეხმარება ადამიანს პრაქტიკული მიზნების განხორციელებაში, ეფექტურობასა და ეკონომიკურ ზრდაში. ამავე ცოდნას შეუძლია გააკეთოს პროგნოზი იმასთან დაკავშირებით, თუ რა იქნება ეფექტური აქ და ახლა. მომავალი, ცოდნის შეფასების თვალსაზრისით, სიახლეებს გვთავაზობს: იცვლება დამოკიდებულება ცოდნისადმი და იზრდება მისი მოცულობა (არსებობს იმდენი ინფორმაცია, რამდენიც აქამდე არასდროს ჰქონია კაცობრიობას), განსხვავებული გახდა ასევე ინფორმაციის მიღების გზები. ამ მხრივ კი ცოდნა ენერგიად იქცა, ადამიანი შეუძლია მიიღოს ინფორმაცია არა მხოლოდ ვერბალურად (წაკითხვით, მოსმენით და ა.შ.), არამედ ენერგიის დონეზეც.

ცოდნის კიდევ ერთი პარადოქსი ისაა, რომ ადამიანი დიდ დროს, ენერგიასა და სახსრებს ხარჯავს ცოდნის შესაძენად, მაგრამ ამდენი ძალისხმევის შედეგაც მოპოვებული «ცოდნა» გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეიძლება დავიწყებულ იქნას. ხოლო თუ სიცოცხლეშივე არ დაავიწყდა, სიკვდილთან ერთად მაინც გაქრება. ყოველ ახალ თაობას კი ხელახლა მოუწევს დაიწყოს შემეცნების პროცესი და თავიდან აღმოაჩენს ამ «ცოდნას», რომელიც უკვე მისი საკუთარი იქნება და არ ექნება ორგანული კავშირი მანამდე არსებულ ცოდნასთან.

ცოდნის გამოყენების არეალს რაც შეეხება, ეს კიდევ ერთი პრობლემაა; საქმე ის გახლავთ, რომ ცოდნა ადამიანის ხელში ერთნაირ გამოყენებას ვერ ჰპოვებს, სხვანაირად ვერც იქნება. მაგრამ არსებითი მომენტი ისაა, რომ ცოდნა შეიძლება გამოიყენოს ადამიანმა როგორც სასიკეთო იდეების განხორციელებისთვის, ისე შეიძლება ბოროტების სამსახურში ჩააყენოს. ამიტომ, ყოველი ახალი ცოდნა ადამიანის შინაგანი ბუნების გამოცდის საშუალებაცაა. მას შეუძლია აირჩიოს და ამის მიხედვით, გამოიყენოს თავისი ცოდნა. ერთი მხრივ, ადამიანი თავის ცოდნას გამოიყენებს იმისათვის, რომ შექმნას იდეალური სახელმწიფო, გამოიგონოს პერპეტუმ მობილე, განივითაროს ფარული უნარები და იყოს საზოგადოებისთვის კეთილდღეობის მომტანი სხვა პროექტების ავტორი; მეორე მხრივ, ადამიანის მეცნიერული ცოდნის შედეგია ატომური იარაღი, კლონირება, ეკოლოგიური პრობლემები და გარემოს დაბინძურება. ცოდნა თანამედროვე ცივილიზაციის ატრიბუტია, უმისოდ პროგრესი წარმოუდგენელი, რადგან მისი საფუძველია, მაგრამ ამავე დროს, ის ქმნის პრობლემებსაც.

ამდენად, ადამიანი თავად ხდება საკუთარი ცოდნის წარმმართველი და ამ მხრივ, ცოდნის ზრდასთან ერთად მას მეტი თავისუფლება ენიჭება.

Narilla

უძველესი სწავლება «ყოვლისმცოდნეობის» შესახებ

სტატია და ლექცია ეკუთვნის ოლეგ ბოკაჩოვს (დჰანურს)

«ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია...» — ეს ფრაზა რატომღაც გაზიარებულია ადამიანთა უმრავლესობის მიერ, როგორც დაურღვეველი ჭეშმარიტება. მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ წარმოადგენს შეზღუდული ცნობიერების სასოწარკვეთილ გამოძახილს, რომლამდეც მივყავართ არასწორ განათლებას, რაც, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ, მიღებულად ითვლება ჩვენს დროში.

გზა — «ყოვლისმცოდნეობისკენ» გაკვალულია თავად ბუნების მიერ, ამიტომ ეს მდგომარეობა, სრულებით არ საჭიროებს რაიმე სპეციალურ ძალისხმევას გასავითარებლად. ყოვლისმცოდნის მდგომარეობის მისაღწევად აუცილებელია მხოლოდ სწორ და ჭეშმარიტ მექანიზმებზე დაფუძნებული განათლება.

თვითონ სამყარო წარმოადგენს ცოდნას. ჩვენს გონებას არ შეუძლია ჩააზას თავისი ყურადღების ცენტრში მთელი სამყარო გამოვლენილ დონეზე. მაგრამ ეს ამოცანა არც ისე რთულია, თუ შევხედავთ სამყაროს უფრო მეტად ფაქიზ, ნაკლებად გამოვლენილ დონეზე და ის იქნება სრულიად მარტივი. ის შეიძლება

მოიცავდეს მთელ ტყეს და არა ერთ ხეს, რომელსაც ერთ ხელისგულსაც კი შემომავლებთ.

ძველი სიბრძნე ამბობს — «ცოდნა აგებულია ცნობიერებაში», რაც აღნიშნავს პირდაპირ კავშირს ცნობიერების განვითარების ამა თუ იმ საფეხურსა და იმას შორის, რაც თვითონ ადამიანმა იცის.

შემეცნება — ესაა ფანჯარა, რომლიდანაც ჩვენ ვუყურებთ მსოფლიოს. თუ ფანჯარა პატარაა, მაშინ ჩვენ ვმსჯელობთ უზარმაზარ სამყაროზე იმ მცირე ფრაგმენტის საშუალებით, რომელსაც ვხედავთ თვალსაწიერის საშუალებით. მაშინ მიღებული ცოდნა იქნება არასრული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის არ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად. დიახ, ეს იქნება ცოდნა, მაგრამ გამოყვანილი, მიღებული თითონ ცოდნაზევე აღმოცენებული და ძალზე შეფარდებითი. ეს თავიდანვე შესამჩნევი იქნება, როდესაც აღქმის თვალსაწიერი გაფართოვდება. ჩვენ დავინახავთ, რომ აქამდე გაკეთებული დასკვნები არ იყო მართალი და რომ ჩვენ გვიყალიბდება ახალი ცოდნა, რომელიც იქნება უკვე დანახულზე დაფუძნებული. ამ აზრით, ცოდნა შესაძლოა იცვლებოდეს მანამ, სანამ აღქმის ფანჯარა არ გაფართოვდება უსაზღვროებამდე. და მაშინ კი ჩვენ დავინახავთ იმ **ცოდნას,** რომელიც არასდროს არ იცვლება — მართალი, აბსოლუტური ცოდნა, რომელიც არ საჭიროებს ანალიზსა და დასაბუთებას.

ასე რომ, ძველმა რიშებმა (სანსკ. რიშები «მხედველნი»; ის, ვინც ბრძენია) თავიანთ ცნობიერებაში შეიცნეს, როგორც სიცარიელეში, აზროვნების ერთიან სიბრტყეზე როგორ იბადება **ბუნების კანონები,** რომელიც აწესრიგებს სამყაროს. მათ შეიცნეს ამ პროცესების ციკლურობა, რომელიც ვრცელდება სივრცეზე და ქმნის დროს. ბუნების კანონების ერთი ციკლის მათემატიკური სიზუსტის არსებობის გამო რიშებმა შეძლეს გადმოეცათ ეს ცოდნა სწავლების სახით, რომელსაც ჰქვია «ჯიოტიშ», რაც სანსკრიტულად აღნიშნავს «ნათელს». ჯიოტიში გაანათებს ყველაფერს, რაც ჩვენ გვაინტერესებს და მაშინ ის ხდება ნათელი — იქნება ეს წარსული, აწმყო, თუ მომავალი. ამიტომ არის ის ვედების ის ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია «ყოვლისმცოდნეობის» ხარისხზე, ანუ «ჯიოტი-მატი-პრაგია» — ინტელექტის გამოღვიძებულ მდგომარეობას მოგვცემს, ჭეშმარიტებას გამოგვარჩევინებს.

თუ ინტელექტი საკმარისად გამოფხიზლებული არაა , რათა გამოარჩიოს ჭეშმარიტება უშუალოდ, ჯიოტიში იძლევა მათემატიკური სიზუსტის გამოთვლებს ამისათვის. მათემატიკურად გამოსაანგარიშებელ საშუალებად და შესწავლის ობიექტად კი ითვლება ადამიანის დაბადების დრო.

ამ აზრით, ჯიოტიში — ესაა ძველი მათემატიკური სწავლება ცხოვრების მსვლელობის კანონზომიერებათა შესახებ, როგორც ახლანდელ დროში, ისე წარსულსა და მომავალში. ამ სწავლების საფუძველზე შესაძლოა არა მხოლოდ იმის ცოდნა, თუ ვითარდება მოვლენები ცხოვრებაში ამჟამად, არამედ ისიც შესაძლებელია, რომ ისინი შეცვალო ან კორექტირება გაუკეთო. ამ შეუფასებელი ცოდნის გამოყენებით, ადამიანს შეუძლია გაიგოს ძლიერი და სუსტი მხარეები თავის ხასიათში, ქცევებში, ჯანმრთელობის კუთხით და საერთოდ, ყველაფერი

თავის ცხოვრებაზე, იმისათვის, რომ გახდეს უფრო წარმატებული თავის სფეროში — ბიზნესში, ოჯახში, შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და ა.შ. განსაკუთრებით ამის ცოდნა აუცილებელია ბავშვების აღზრდის შემთხვევაში, რამდენადაც მათი შესაძლებლობების პოტენციალი ჯერ დაფარულია როგორც თვითონ მათთვის, ისე მათივე მშობლებისთვის. ამგვარი დამოკიდებულებით, ჯიოტიში მისცემთ საშუალებას, რომ თავიანთი შვილი მივიდეს იმ გაგებამდე, რომ სწორი ორიენტირი აირჩიოს ცხოვრებაში და აირიდოს ან შეამციროს წარუმატებლობები, პრობლემები.

ჯიოტიში დაფუძნებულია იმ გაგებაზე, რომ ადამიანი მიიჩნება გამოხატულებად იმ სამყაროული გონისა, რომელიც ერთდროულად მართავს როგორც მთლიან პროცესებს ადამიანის გონებასა და სხეულში, ისე უსასრულოდ მრავალსახოვან სამყაროში. ამიტომ ადამიანის დაბადების მომენტში შესაძლებელია მისი ორგანიზმის ძლიერი და მსუსტი მხარეების გამოყოფა, ცხოვრების იმ პერიოდების გამოყოფა, როდესაც შესაძლებელია ამ პრობლემების გამწვავება ან გამოსწორება, ასევე იმის გაგებაც, როდის და როგორ შეიძლება ამ პრობლემების აღმოფხვრა. ამისათვის უნდა შევადგინოთ ადამიანის დაბადების რუკა, რომელიც მოიცავს ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროს, ჯანმრთელობის, კეთილდღეობის, ნათესაური კავშირების, პროფესიის, სულიერი განვითარების ჩათვლით და ა.შ.

პირველი კონსულტაციისას სპეციალისტი ადგენს ადამაინის ცხოვრების რუკას, რომლის საფუძველზეც შედგება დანარჩენი მომავალი კონსულტაციები. ამ კონსულტაციებშივე შედის ცხოვრების დონე და ტენდენტიები.

ჯიოტიშს აქვს შემდეგი ნაწილები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია კონსულტაციის ჩატარება.

მუჰურტა

«კარგი დასაწყისი — საქმის ნახევარია»[1]. მუხურტა — ესაა ხელსაყრელი მომენტების არჩევანი ამა თუ იმ საქმისა თუ შემთხვევის წამოსაწყებად: საქმიანი შეხვედრების, ქორწინების, მკურნალობის, ოპერაციის, მოგზაურობისა და სხვ. მაგალითისთვის, ჯიოტიშის სპეციალისტს შეუძლია გადახედოს გარკვეულ პერიოდს, ვთქვათ, ორი ან ოთხი კვირის მომცველ პერიოდს, იმისათვის, რომ შეარჩიოს ყველაზე შესაფერისი დღე და საათი რაიმე საქმის დასაწყებად. საქმე ისაა, რომ დროის ნებისმიერი მომენტი ატარებს ნაკლებ ან მეტ ხარისხს. როდესაც ჩვენ ვიწყებთ რაიმე სახის ქმედებას დროის რომელიმე მომენტში, დროის ამ მომენტის ხარიხსი გავლენას ახდენს ქმედების ხარისხსა და მის შედეგზე. ამდენად, ძალზე საჭიროა იმ დროის ამოცნობა, რომელიც ხელსაყრელია ამ ქმედებისათვის.

[1] «კარგი დასაწყისი საქმის ნახევარზე მეტია» (არისტოტელე).

თავსებადობის ტესტი

თავსებადობის ტესტი ხელს უწყობს ჰარმონიის შექმნასა და არასასურველი კონფლიქტების თავიდან არიდებაში ორ ანდა რამდენიმე ადამიანს შორის. ეს კი მიიღწევა დაბადების რუკის ყოველმხრივი ანალიზის საშუალებით, რომლის დროსაც გადაიხედება ადამიანის ჰარმონიული და დისჰარმონიული ტენდენციები. ამგვარი ტესტი მისაღებია ჩატარდეს ქორწინებამდე ანდა ნებისმიერი სხვა სახის ურთიერთობის შემთხვევაში, საქმიანი ურთიერთობის ჩათვლით.

დაბადების დროის დაზუსტება

ფაქტიური დაბაბდების დროის დაზუსტება განსაკუთრებით აუცილებელია ყველანაირი სახის ურთიერთობებში, რამდენადაც ის საფუძველია კონსულტაციის სისწორისთვის. დაბადების ზუსტი დროის გამოანგარიშება შეუძლია ჯიოტიშის სპეციალისტს დამკვეთის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ნამა-კარანა — სახელის პირველი მარცვალი

სახელის ხელსაყრელი პირველი მარცვალი განსაზღვრავს ახლადმოვლენილი შვილების დაბადების რუკას. სწორად არჩეული სახელის პირველი მარცვალი ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გვქონდეს კარგი ჯანმრთელობა, წარმატება, განვითარება და ბედნიერება როგორც ადამიანის ცხოვრებაში, ისე კომპანიის შემთხვევაში. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ბგერები ფლობენ ძალიან ძლიერი ზეგავლენის უნარს ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიურ ბუნებაზე. სწორი სახელი — ეს ნიშნავს ისეთი ბგერების ერთობლიობას, რომლებიც ძალზე ზუსტად გამოხატავენ ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიურ ვიბრაციებს. ამ ბგერების განმეორების ან მოსმენის შემთხვევაში იქმნება რეზონანსის ეფექტი, რომელიც აძლიერებს და ახანგრძლივებს სიცოცხლეს, ინარჩუნებს ჯანმრთელობას და იცავს სხვადასხვა სახის პრობლემებისაგან.

ოლეგ ბოკაჩოვი

ჯიოტიში — ძალთა კანონზომიერებების ცოდნა[1]

ჩვენ ვიმყოფებით უდიდეს ძალთა მუდმივი ზეგავლენის ქვეშ, იმ არსებათა გავლენის ქვეშ, რომლებსაც მრავალი უფრო მცირე არსება ემსახურება. ყოველი ჩვენგანი — ასევე ძალაა — ერთ-ერთი სინათლის არსება იერარქიის სისტემაში. იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ ჩვენი ადგილი ცხოვრებაში, რომელი ძალები და როგორ მოქმედებენ ჩვენზე, საჭიროა მთელი მეცნიერება. ასეთ მეცნიერებას წარმოადგენს ჯიოტიში. იგი გვიჩვენებს ჩვენს ცხოვრებას, როგორც უდიდესი ძალების — გრაჰების კომბინირებულ ზეგავლენას, რომლებიც ყოველ წამს გვიპყრობენ ცნობიერების, ჭკუის, გრძნობების, სხეულისა და გარშემომყოფი რეალობის ყოველდღიური მოვლენების დონეზე.

გრაჰები ჩნდებიან ცნობიერების ერთიანი ველიდან და თავის ყველაზე გამოვლენილი სახით ჩვენი მზის სისტემის პლანეტებად ვლინდებიან.

დედამიწასთან და მასზე კონკრეტულ წერტილთან — ადამიანთან დაკავშირებით — განლაგებულია გრაჰების იერარქიული სისტემა, რომლებიც გვეხმარებიან უკეთ ვიგრძნოთ ჩვენი სული — არსებობის ძალა — მთავარი ძალა, რომელიც არსებობას აძლევს მმართველ სურიასაც (მზეს). ეს ნიშნავს, რომ თუ ადამიანი მიმართულია თავისი სულის მსახურებისკენ, მაშინ მზეც კი მას მოემსახურება. ხოლო თუ ადამიანი სათანადოდ არ ემსახურება თავის სულს, მაშინ ყველა გრაჰა (პლანეტა) რთულ ბედს უქმნის მას და ეს ბედი ადამიანს უსამართლოდ ან ძალიან მძიმედ ეჩვენება.

უმეტეს შემთხვევაში თანამედროვე ადამიანი თავის გადაწყვეტილებებში და მოქმედებებში ყველაზე ნაკლებად ხელმძღვანელობს საკუთარი სულის (Дух) კარნახით. ამიტომ გრაჰები კარნახობენ მათ თავიანთ პირობებს და აიძულებენ ამა თუ იმ ძალას ემსახურონ. ისინი ადამიანთან მიმართებაში თავს ავლენენ უფრო როგორც მკაცრი მშობლები, ვიდრე მისი მსახურები და შანიც (სატურნიც) კი — სურიას (მზის) ყველაზე ძველი მსახური, ადამიანს ძალიან მკაფიო და სასტიკ პირობებში ჩააგდებს და უმაღლესი მოვალეობის გაცნობიერებისკენ წარმართავს მას.

თუ ჩვენ უბრალოდ დედამიწის ბედს განვიხილავთ, მაშინ ყველა გრაჰა (ძალა ანუ პლანეტა) იერარქიულად განლაგდება დედამიწასთან მიმართებაში მათი მოძრაობის სიჩქარის მიხედვით და ღებულობს მას (დედამიწას), როგორც ყველა გრაჰას ზეგავლენის მიმღებ არსებას.

---

[1] მთარგმნელი: Atman.

ყველაზე ნელი გრაჰა შანია (სატურნი). უფრო სწრაფია რაჰუ-კეტუ, კიდევ უფრო სწრაფი გურუ (იუპიტერი), შემდეგ მანგალა (მარსი), სურია (მზე), შუკრა (ვენერა), ბუდჰა (მერკური) და ჩანდრა (მთვარე). პლანეტების ეს რიგი განსაზღვრავს დედამიწაზე დროის დინებას, მის საათებს; დაწყებული კვირას, მზის ამოსვლის პირველი საათიდან, დღე-ღამის ყოველ საათს ზემოთმოცემული თანმიმდევრობით მართავს კონკრეტული პლანეტა (რაჰუ-კეტუს გარდა) და ახალი დღე უწყვეტ და მარადიულ თანმიმდევრობაში, იწყება გრაჰათი, რომელიც კვირის მოცემულ დღეს მართავს. ასე იქმნება კვირის დღეთა სახელწოდებები (პლანეტების სახელების მიხედვით).

პლანეტათა იერარქია დედამიწასთან მიმართებაში მოძრაობის სიჩქარის მიხედვით, აჩვენებს, რომ სურია (მზე) იმყოფება იმ ადგილას, სადაც უნდა იმყოფებოდეს დედამიწა. მზის სისტემაში დედამიწა მეოთხე ადგილზეა სიჩქარით, ხოლო დედამიწის სისტემაში მზე იმყოფება მეოთხე ადგილზე და, შესაბამისად, დედამიწაზე (ადამიანზე) ზეგავლენის დონითაც. ამ ორ სისტემაში დედამიწა და მზე ადგილებს ცვლიან. ამგვარად მამა (მზე) საშუალებას აძლევს თავის შვილს მართოს ძალთა საკუთარი სისტემა, თვითონ კი მეოთხე ხდება, თავისი შვილის ნაცვლად, ამ სისტემაში.

თუ მზის სისტემაში ბუდჰა (მერკური) მზის უახლოესი თანამგზავრია, დედამიწის სისტემაში დედამიწის უახლოეს თანამგზავრს ჩანდრა (მთვარე) წარმოადგენს. მთვარის მდგომარეობასa და მის თვისებებს განსაზღვრავს ცის კაბადონის ის სეგმენტი, რომელშიც იგი იმყოფებოდა ჩვენთვის საინტერესო მომენტში.



ცის კაბადონი, რომელზეც პლანეტები მოძრაობენ, ჰგავს ცნობიერების ველს, რომელზეც გრაჰები (ძალები) მოძრაობენ. იგი პირობითად დაყოფილია 12 თანაბარ სეგმენტად — ზოდიაქოს ნიშნად (ეს მოდის ბერძნული სიტყვა «ზოო»-დან, «ზოდიაქო» ნიშნავს «ცხოველთა წრეს»), რომლებიც აჩვენებენ წელიწადის 4 სეზონს, რომელთაგანაც თვითოეული შედგება სამი თანაბარი პერიოდისგან (თვეებისგან). ამგვარად 12 პერიოდი მთელი წლის განმავლობაში აღინიშნება მზის მდებარეობით 12 ნიშანში, რომლებიც სხვადასხვა ცხოველების სახით გამოისახებიან. ყოველ სეგმენტს განსაზღვრული თვისებები აქვს და ამა თუ იმ გრაჰათი (პლანეტით) იმართება.

ჩანდრას (მთვარის) მდგომარეობა (თვისება) დაბადების დროს განისაზღვრება ცის იმ სეგმენტით, რომელშიც იგი აღმოჩნდა ამ მომენტში. თუ იგი

აღმოჩნდა იმ სეგმენტში, რომელიც მის ბუნებას აძლიერებს, დაბადებული ადამიანი ბედნიერი იქნება. თუ ცის (ცნობიერების ველის) სეგმენტი ასუსტებს მის ბუნებას, ადამიანს ცხოვრებაში მრავალი განსაცდელი ელის. მთვარის ამ ორ მდგომარეობას შორის არის განსხვავებული თვისებების მქონე კიდევ 10 სეგმენტი, სადაც მთვარე სხვადასხვანაირად გრძნობს თავს, მაგრამ მთლიანობაში არც თუ ისე ცუდად, იმიტომ რომ მთვარე არც ერთი გრაჰასადმი არაა მტრულად განწყობილი.

ჩანდრა (მთვარე) ყველა გრაჰას შორის ყველაზე მეტად ავლენს ადამიანის სამშვინველის თვისებებს დედამიწაზე ინკარნაციაში. ცის სეგმენტი (ზოდიაქოს ნიშანი), რომელშიც იმყოფებოდა ჩანდრა (მთვარე) დაბადების მომენტში, იწოდება «დაბადების ნიშნად», ან «მთვარის ნიშნად».

ჩანდრა (მთვარე) ქმნის დედამიწის და შესაბამისად კაცობრიობის სულის (სამშვინველის) გამოვლენის პირველად გარსს. ბუდჰა (მერკური) მეორეა მოძრაობის სიჩქარით, ამიტომ იგი წარმოადგენს მეორე ძალას დედამიწის გარშემო იერარქიაში. მესამეა შუკრა (ვენერა). მეოთხე — სურია (მზე), მეხუთე — მანგალა (მარსი), მეექვსე — გურუ (იუპიტერი), მეშვიდე — რაჰუ-კეტუ, მერვე — შანი (სატურნი).

სატურნის, როგორც ყველაზე ნელი პლანეტის, მდებარეობა დედამიწასთან მიმართებაში ტრანზიტულ რუქაში, აჩვენებს იმ მკაცრ პირობებს და ჩარჩოებს, რომლებშიც მთელი დედამიწა იქნება. გურუ (იუპიტერი) მიუთითებს იმ თვისებებზე, რომლითაც სავსე იქნება დედამიწის სივრცე. რაჰუ-კეტუს მდგომარეობა აჩვენებს, თუ როგორი სახის იქნება სხვადასხვა ხელობნური თუ ბუნებრივიხასიათის მოულოდნელი გავლენები დედამიწაზე. მანგალას (მარსის) მდებარეობა აჩვენებს ცეცხლის სტიქიის წარმომადგენელი არსებების ზეგავლენის ხასიათს და დონეს. სურიას (მზის) მდგომარეობა აჩვენებს სხვადასხვა სისტემათა მმართველების ხასიათს. შუკრას (ვენერას) მდებარეობა აჩვენებს იმ ძალთა გაძლიერებას ან შესუსტებას, რომლებიც იძლევიან ნაყოფებს (ბავშვებს), საკვებს, სიამოვნებებს, სილამაზეს და სხვა ამგვარ მოვლნებს. ბუდჰას (მერკურის) მდებარეობაგვაჩვენებს სხვადასხვა არსებათა ურთიერთობას დედამიწაზე. ჩანდრას (მთვარის) მდებარეობა აჩვენებს ყველა ცოცხალი არსების მდგომარეობას დედამიწაზე. როცა მთვარე იზრდება (ივსება), დედამიწაც ასევე ივსება ცოცხალი არსებებით, იზრდება და ვითარდება. განსაკუთრებით სასიკეთოა, როცა მთვარე ერთდროულად თან ზრდადია და თან მისთვის სასიკეთო ნიშანში იმყოფება.

ყოველ ცალკეულ ადამიანთან მიმართებაში, გარდა მთვარის მდებარეობისა ნიშანში, ასევე მნიშვნელოვანია ამ ადამიანის დაბადების ნიშანი და სახლი, რომელშიც ამ მომენტში მთვარე იმყოფება.

ძალთა მდგომარეობის დაკავშირება დედამიწასთან და კონკრეტულ ინდივიდთან მიმართებაში, ესაა ჯიოტიშ, ყოვლისმცოდნეობის მეცნიერების ხელოვნება.

გიორგი გურჯიევი

ხედვა რეალური სამყაროდან[1]



ნიუ-იორკი, 13 მარტი, 1924 წელი

თვითდაკვირვება

თვითდაკვირვება ძალიან რთულია — რაც უფრო შეეცდებით ამას, მით უფრო დარწმუნდებით. ახლანდელ დროში თქვენ გჭირდებათ ამის პრაქტიკა არა შედეგის მისაღებად, არამედ იმის მისახვედრად, რომ თქვენ არ შეგიძლიათ თვითდაკვირვება! ადრე თქვენ გეგონათ, რომ ხედავთ და იცით საკუთარი თავი. მე ვსაუბრობ საკუთარი თავის ობიექტურ აღქმაზე. ობიექტურად თქვენ თქვენი თავის დანახვა არ შეგიძლიათ 1 წუთითაც კი, იმიტომ, რომ ეს სხვა ფუნქციაა, ეს არის დახელოვნებულის, ოსტატის შესაძლებლობა. თუ გგონიათ, რომ შეგიძლიათ თვითდაკვირვება 5 წუთი ან 20 წუთი ან 1 წუთი — ესეც ასევე არასწორი ხედვაა. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ არ შეგიძლიათ თვითდაკვირვება, მაშინ ეს სწორი შეხედულებაა. მიხვიდეთ ამგვარ შეგნებამდე — აი თქვენი მიზანი!

ამ მიზნის მისაღწევად თქვენ უნდა გამოავლინოთ შეუპოვარი მცდელობა, მონდომება. როცა თქვენ გამოავლენთ მონდომებას, შედეგი არ იქნება თვითდაკვირვება — ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მაგრამ მცდელობა გაამყარებს თქვენს ყურადღებას. თქვენ ისწავლით უკეთ კონცენტრირებას — ეს ყველაფერი გამოგადგებათ მოგვიანებით და შემდეგ თქვენ შეძლებთ გახსოვდეთ საკუთარი თავი. თუ თქვენ იმუშავებთ კეთილსინდისიერად, თქვენ შეძლებთ საკუთარი თავის დამახსოვრებას, არა ხშირად, არამედ იშვიათად, იმიტომ, რომ გახსოვდეს საკუთარი თავი მოითხოვს ბევრს, ეს არც ისე იოლია, ის ძვირად ფასობს. თვითდაკვირვება თქვენთვის საკმარისია რამდენიმე წელი, ნუ შეეცდებით დაკავდეთ სხვა რამით და თუ თქვენ იმუშავებთ კეთილსინდისიერად, თქვენ დაინახავთ იმას, რაც გჭირდებათ. თქვენ ახლა გაქვთ მხოლოდ ერთი ყურადღება — ან სხეულზე, ან გრძნობებზე.

[1] მთარგმნელი: ano (http://esoteric.ge).

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი 1930 წელი

კითხვა: როგორ შეიძლება გამოვიმუშაოთ ყურადღება?

პასუხი: ადამიანებს არ გააჩნიათ ყურადღება, თქვენი მიზანი უნდა იყოს მისი შემუშავება, თვითდაკვირვება შესაძლებელია მხოლოდ ყურადღების შეძენის შემდეგ. დაიწყეთ წვრილმანებით.

კითხვა: რა წვრილმანებით შეიძლება დავიწყოთ? რა უნდა გავაკეთოთ?

პასუხი: თქვენი ნევროზული, აფორიაქებული მოძრაობა, ცნობიერად თუ არაცნობიერად, საშუალებას აძლევს ყველა ადამიანს დაინახოს, რომ თქვენ არ ხართ ავტორიტეტი, თქვენ ხართ უბრალოდ ჯამბაზი, ამ აფორიაქებული ქმედებებით თქვენ არ შეიძლება იყოთ ვინმე.

პირველი რაც უნდა გააკეთოთ — უნდა შეაჩეროთ ეს ქმედება. გაიხადეთ ეს თქვენს მიზნად, აიძულეთ თქვენს ოჯახს, რათა დაგეხმაროს ამაში, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება თქვენ მოიპოვოთ ყურადღება. ეს არის ქმედების მაგალითი.

მეორე მაგალითი: ნამდვილი პიანისტი ვერ შეძლებს სრულყოფილ დაკვრას, თუ თავიდან არ დაიწყო პატარ-პატარა ეტაპებით, თუ თქვენ გინდათ დაუკრათ პრაქტიკის გარეშე, თქვენ ვერასოდეს შეასრულებთ მუსიკას ღირსეულად, მუსიკა რომელსაც თქვენ შეასრულებთ — იქნება კაკაფონია, რომლის მოსმენაც ადამიანებს დატანჯავთ და შეიძულებენ მას, იგივე ეხება ფსიქოლოგიურ იდეებს, იმისათვის, რომ რამე შეიძინოთ, საჭიროა ხანგრძლივი პრაქტიკა, შეეცადეთ თავიდან განახორციელოთ პატარა ქმედებები. თუ თავიდანვე თქვენი ქმედებები იქნება რაღაც დიდი — თქვენ ვერაფერს მიაღწევთ, თქვენი ქმედებები იქნება კაკაფონიური მუსიკის მსგავსი და გამოიწვევს მეზობლების თქვენდამი სიძულვილს.

კითხვა: რა უნდა გავაკეთო?

პასუხი: არის ორი სახის ქმედება — ავტომატური და ქმედება მიზნის შესაბამისად. ავიღოთ რამე საგანი, რომლის გაკეთებაც არ შეგიძლიათ და გადააქციეთ ეს თქვენს მიზნად. ნურაფერი შეგიშლის ხელს, გქონდეთ მხოლოდ ეს მიზანი, თუ თქვენ შეძლებთ ამის გაკეთებას, მე თქვენ მოგცემთ უფრო მნიშვნელოვან დავალებას. ახლა თქვენ გაქვთ სურვილი აკეთოთ თქვენთვის ძალზედ რთული საგნები — ეს არანორმალური სურვილია, თქვენ მათ შესრულებას ვერასოდეს შეძლებთ და ასეთი სურვილი თქვენ გაკავებთ აკეთოთ მცირე საგნები, რომლებიც თქვენ შეგეძლოთ გეკეთებინათ. გაანადგურეთ ეს სურვილები, დაივიწყეთ დიდი სურვილები. დაისახეთ მიზნად თქვენი პატარა, მავნე თვისებების განადგურება.

კითხვა: მგონი ჩემი დიდი ნაკლია ძალიან ბევრი ლაპარაკი, თუ მე შევეცდები ვილაპარაკო ნაკლები, იქნება ეს კარგი დავალება?

პასუხი: თქვენთვის, რა თქმა უნდა! თქვენ ყველაფერს აფუჭებთ თქვენი ლაპარაკით, როდესაც თქვენ ბევრს საუბრობთ, თქვენს სიტყვებს ფასი ეკარგებათ, შეეცადეთ დასძლიოთ ეს ჩვევა, თუ ამას შეძლებთ, მე თქვენ მოგცემთ მომდევნო დავალებას, თუ რა უნდა გააკეთოთ.

კითხვა: რომ გამოვავლინოთ მოთმინება სხვების მიმართ, იქნება ეს დავალება კარგი?

პასუხი: მოთმინება გამოვავლინოთ სხვების მიმართ — ეს დიდებული საქმეა, ბოლო საქმეა ადამიანისათვის. ეს შეუძლია მხოლოდ სრულყოფილ ადამიანს. დაისახეთ მიზნად აიტანოთ ერთი გამოვლინება, ერთი სახის, რომლის ატანაც თქვენ არ შეგიძლიათ ნევროზულობის გარეშე, თუ თქვენ მოინდომებთ ამას — შეძლებთ. სურვილის გარეშე ვერაფერს შეძლებთ. სურვილი ყველაზე ძლიერია სამყაროში. ყველაფერი ხდება გაცნობიერებული სურვილის მიხედვით.

კითხვა: მე ხშირად ვიხსენებ ჩემს მიზანს, მაგრამ არ მყოფნის ენერგია, ვაკეთო ის, რაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

პასუხი: ადამიანს არ ყოფნის ენერგია მიზნების განსახორციელებლად იმიტომ, რომ მისი ენერგია, რომელიც გამომუშავდება ღამე პასიურ მდგომარეობაში, იხარჯება უარყოფით გამოვლინებებზე — ესაა ავტომატური გამოვლინებები. მას ვისაც შეუძლია ავტომატურად გაიხსენოს მიზანი, მაგრამ არ გააჩნია ძალა მის მისაღწევად, მე ვურჩევ შემდეგ პრაქტიკას: დაჯექით განმარტოებულ ადგილას ერთი საათით მაინც, მოადუნეთ ყველა კუნთი, მიეცით ასოციაციებს მოძრაობის საშუალება, მაგრამ არ აყვეთ მათ, უთხარით: თუ თქვენ ახლა მომცემთ საშუალებას ვაკეთო ის, რაც მე მინდა, მოგვიანებით მე დავაკმაყოფილებ თქვენს სურვილებს. ისე უყურეთ თქვენს ასოციაციებს, თითქოს ისინი ეკუთვნოდეთ ვიღაც სხვას. მოახდინეთ მათი იდენტიფიკაცია. 1 საათის შემდეგ აიღეთ ქაღალდი და დაწერეთ მასზე თქვენი მიზანი, ხოლო სხვა დანარჩენს თქვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, ეს ფურცელი ხშირად წაიკითხეთ, გაიმეორეთ ეს ყოველდღიურად, ამგვარად ის გახდება თქვენი ნაწილი — თავიდან თეორიულად, შემდეგ კი რეალურად.

ენერგიის გამოსამუშავებლად ეს პრაქტიკა ჩაატარეთ ყოველდღე სიმშვიდეში, კუნთების სრული მოდუნებით, თითქოს ისინი იყოს მკვდარი. დაახლოებით 1 საათის შემდეგ, როცა თქვენში ყველაფერი დაწყნარდება, მიიღეთ გადაწყვეტილება, რომელიც ეხება თქვენს მიზანს. არ მისცეთ უფლება თქვენს ასოციაციებს, რომ გადაგყლაპონ. დაისახეთ მიზანი და შემდეგ შეასრულეთ ის — ეს იძლევა მაგნეტიზმს, შესაძლებლობას, რომ გააკეთოთ.

(ძირითადად საკითხი ამ შემთხვევაში ეხება: ენერგიის დაგროვებას, მიზნის დასახვას, მაგნეტიზმს...)

კითხვა: რა არის მაგნეტიზმი?

პასუხი: ადამიანს გააჩნია 2 სუბსტანცია: სუბსტანცია აქტიური სხეულის და სუბსტანცია აქტიური ასტრალური სხეულის. ორივე სუბსტანციის შერევით ყალიბდება მესამე შერეული სუბსტანცია, იკრიბება სხეულის სხვადასხვა ნაწილებში, ასევე მის ირგვლივ და ქმნის განსაკუთრებულ ატმოსფეროს, პლანეტის ირგვლივ ატმოსფეროს მსგავსს. სხვადასხვა პლანეტების ატმოსფეროები ყოველთვის მოიპოვებს ან კარგავს ამა თუ იმ სუბსტანციას სხვადასხვა პლანეტების ზეგავლენით. ასევე ადამიანი, გარემოცული სხვადასხვა ადამიანებით, ჰგავს პლანეტას, რომელიც გარშემორტყმულია სხვა პლანეტებით. როგორც ცნობილია,

როცა 2 ატმოსფერო, რომლებიც არიან სიმპათიურნი ერთმანეთის მიმართ, ხვდებიან, მათ შორის წარმოიქმნება კავშირი, ატმოსფეროს მოცულობა იგივე რჩება, მაგრამ იცვლება მისი ხარისხი. ადამიანს შეუძლია მართოს მისი ატმოსფერო, ის, როგორც ელექტროობა, ფლობს უარყოფით და დადებით პოლუსებს, რომელთაგან რომელიმე მხარეს შეგვიძლია ვაიძულოთ გაზრდა. ადამიანის სურვილი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, ასტრალური მატერია ყოველთვის ეწინააღმდეგება ფიზიკურ მატერიას. ძველად მღვდლები ადამიანებს კურნავდნენ დალოცვით, ზოგჯერ ჭირდებოდათ ავადმყოფისათვის დაედოთ ხელი, ზოგის განკურნება შეიძლებოდა ახლოდან, ზოგის — დისტანციურად. წმინდა მსახური არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია სუბსტანციების შერევა და სხვების განკურნება. ის მაგნეტიზიორია. ადამიანებს არ ჰყოფნით შერეული სუბსტანციები, სიცოცხლის მაგნეტიზმი, ამ შერეული სუბსტანციის შეხედვა შესაძლებელია. აურა ან ციალი — ეს რეალური რამ არის, მისი შეხედვა ზოგჯერ შესაძლებელია წმინდა ადგილებში ან ეკლესიებში. იმისათვის, რომ მიიღოთ ეს სუბსტანცია, პირველ რიგში, ის უნდა გამოიმუშაოთ. ის გამოვლენილია ყურადღებაში და გამომუშავდება გაცნობიერებული მოქმედებით და შეგნებულ განსაცდელში, წვრილმანების შეგნებულ კეთებაში, აქციეთ რაიმე წვრილმანი თქვენს მიზნად და თქვენ გამოიმუშავებთ მაგნეტიზმს, ელექტროობის მსგავსად, მაგნეტიზმის კონცეტრირება და მისი დინება გარკვეული მიმართულებით შესაძლებელია.

ოლეგ ბოკაჩოვი

სინათლის მმართველობა[1]

სამყაროს სინათლე მართავს. «სინათლე» და «სამყარო» — ეს სინონიმებია რუსულ ენაზე («на всем свете» = «во всём мире»).

ყოველი არსებული მოვლენის არსი — სინათლეა, დაწყებული კვანტიდან, ყველა არსების ჩათვლით და დამთავრებული მზით, რომლის სიმრავლეც გალაქტიკებს და სამყაროებს ქმნის, რომელთა არსიც ასევე ნათელია. იგი აერთიანებს ყველას და ყველაფერს. იგია ჭეშმარიტი მმართველი. ვერავინ ვერასოდეს წაართმევს მას მმართველობას.

ბნელი — ესეც არსებული მოვლენაა. მაგრამ იგი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ნათელი არსებობს. სიბნელე სინათლის ჩრდილებს ქმნის, აღნიშნავს მმართველს და ემსახურება მას.

ბნელი — ეს სიმრავლეა, რომელიც ერთი ჭეშმარიტი ნათლიდან მოდის. სიბნელეს წყარო არ გააჩნია. არსებობს მხოლოდ სინათლის წყარო. ყოველი არსება მხოლოდ არსისგან იშვის. არსი კი სინათლის წყაროს წერტილია. როცა ნათელი მოდის, ბნელს აღარ შეუძლია დარჩენა და ქრება. ბნელს არ შეუძლია განაგდოს ნათელი, რადგანაც იგი მსახურია. ერთი ვერ ემსახურება ყველას, მაგრამ ერთს შეუძლია მართოს ყველა. ასეთია ნათელის კანონი.

როგორც კი სინათლის წყარო ჩნდება, ყველა არსება მისკენ მიიწევს და მის გარშემო ლაგდებიან იმ დაშორებით, რომელსაც დასაშვებად თვლიან თავიანთი არსებობისათვის. ყოველი არსება ვერ ბედავს მიუახლოვდეს სინათლის წყაროს იმდენად, რომ მის ადგილას დადგეს. არსებებს შეუძლიათ მხოლოდ ის ადგილი განსაზღვრონ, რომელსაც სინათლესთან დამოკიდებულებაში დაიკავებენ. ყველა არსება, წარმოადგენს რა თავისი არსით მანათობელს, თავიანთ არსებობას სინათლის წყაროსგან მხოლოდ გარკვეულ მანძილზე გრძნობენ ისე, რომ წყარომ არ ჩაყლაპოს მათი ინდივიდუალური ნათება. მაგრამ ამავე დროს ყოველი არსება იზიდავს და ყლაპავს შედარებით ნაკლებად მანათობელ არსებას თავის გარშემო და უფრო ძლიერად ნათდება. და შესაბამისად ამით იძენს შესაძლებლობას, რომ უფრო მეტად მიუახლოვდეს საყოველთაო სინათლის წყაროს. ამგვარად ბუნებრივად ვლინდება იერარქიის პრინციპი სამყაროს მართვაში — იმ სამყაროსი, რომლის ორგანიზებასაც ესა თუ ის არსება ახდენს. სამყაროები უსასრულოდ მრავალია. ისინი ყველანი განსხვავდებიან მათი ორგანიზატორი არსებების ინდივიდუალური თავისებურებების მიხედვით.

ჩვენი სამყაროს სივრცეში სინათლის და სასიცოცხლო ძალის წყარო — მზეა. იგია — მმართველი. როცა მზე (მისი არსი) მოვიდა ჩვენს სივრცეში, სივრცე მისი

[1] მთარგმნელი: Atman.

მმართველობის ქვეშ განლაგდა, და მის გარშემო გამოვლინდნენ არსებები — მისი დამხმარეები — პლანეტები. ყოველი პლანეტა თავისი არსით ასევე მზეა (პლანეტის ბირთვი), რომელიც თავის გარშემო უამრავ არსებას წარმოქმნის სხვადასხვა მინერალების, წყლის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს სახით. ყოველი არსება პლანეტაზე — ასევე პატარა მზეა, რომელიც თავის გარშემო სხეულს ქმნის — სისტემას, რომელიც ამ არსებას სიცოცხლეს უნარჩუნებს. ყოველი სისტემა მრავალი პატარა არსებისგან შედგება, რომლებიც მმართველ არსებას — სინათლის წყაროს — ემსახურებიან.

მზე არა მხოლოდ სიცოცხლეს აძლევს ყველა არსებას, არამედ წარმოადგენს ცვლილებების, მოძრაობის და განვითარების მიზეზს. იგია — ჩვენი სამყაროს დროისა და სივრცის მიზეზი. იგი დღისა და ღამის, ზაფხულის და ზამთრის, წლის უფრო პატარა ციკლების, ფიზიოლოგიური არსებების შინაგანი რიტმების, ქსოვილთა უჯრედების, მოლეკულების, ატომების და კვანტების პულსაციის მიზეზია.

როცა მმართველი ჩნდება, ყველაფერი მას ერთს უნდა დაემორჩილოს. მხოლოდ მაშინ იმუშავებს ყველაფერი ჰარმონიულად, როგორც მთლიანი ორგანიზმი — უზენაესი არსების ორგანიზმი — რომელსაც ჩვენს სამყაროში მზე წარმოადგენს. ძველ დროში ასეთი წარმომადგენელი ხალხში მეფე იყო. მეფე — უძველესი გვარის წარმომადგენელია, რომელმაც ძალა დააგროვა და მზადაა პასუხისმგებლობა აიღოს სხვა გვარებზე, რომლებიც ერთიანობაში ერებს ქმნიან. მეფე ემორჩილება მზეს — რადგანაც მისი წარმომადგენელია. მას შეუძლია მხოლოდ სინათლის პრინციპებით იხელმძღვანელოს. რადგანაც როგორც კი გადაუხვევს ამ პრინციპს, მისი მმართველობა დასრულდება. ხალხი აღარ დაუჯერებს მას, აღარ ემსახურება მას, შეიძულებს მას. ამიტომ მეფეს არ შეუძლია არ ემსახუროს სინათლეს. იგი მისით უნდა გაიჟღინთოს და უფრო მეტად მოიპოვოს მისი ძალა. ადამიანების რწმენა ძლიერი და სამართლიანი მეფისადმი მათ არსშია ჩადებული. სინათლის მსახურების სურვილი დაბადებიდანა არსებობს ჩვენში. ყოველ ჩვენგანს უნდა რომ სინათლის მსახური იყოს. მაშინაც კი, თუ გარეგნულად ჩვენივე თავისთვის და გარშემომყოფებისთვის დამანგრეველად ვმოქმედებთ, პირვანდელად მაინც ჩვენი სინათლისადმი სწრაფვით ვხელმძღვანელობთ. მაგრამ არ გვაქვს რა სათანადო აღზრდა და ცოდნა, მრავალ შეცდომას ვუშვებთ, რომლებიც უმაღლეს მიზანს ფარავენ ჩვენგან. შეუძლებელია სიცარიელით ვიყოთ აღვსილნი. შესაძლოა აღვივსოთ (აღვიზარდოთ) მხოლოდ არსებების მიერ, მხოლოდ სინათლის მიერ. ცოდნა და ხედვაც ასევე მხოლოდ სინათლის შეგვიძლია და სინათლისვე წყალობით. სიბნელის დანახვა შეუძლებელია, შეუძლებელია სიბნელის წყალობით დანახვაც. გრძნობათა მრავალფეროვნების სიხარულის განცდაც მხოლოდ სინათლის მეშვეობითაა შესაძლებელი. სიბნელე — ეს ერთფეროვნებაა, გათანაბრებაა, ყველაფერი თანაბარია. სინათლისთვის ყველაფერი თანაბარი არაა. სინათლისთვის ყველაფერი არსებობს — ყველა შესაძლებლობა და ყველა არსება, რომელთაც თავიანთი ადგილი აქვთ მზის ქვეშ.

გასხივოსნებული (რეალიზებული, სატსანგი)

ალექსი ნავეტნი (Ananta Aum)[1]

ინტერვიუერი ეზოთერიკული ფორუმის წევრი David Monny

კითხვები შეადგინეს ფორუმის წევრებმა

წინამდებარე სტატია წარმოგიდგენთ გასხივოსნებული (რეალიზებული, სატსანგი) ალექსი ნავეტნის (Ananta Aum) ინტერვიუს, სადაც საუბარია ბევრისთვის საინტერესო თემებზე, მათ შორის: რელიგიაზე, სიყვარულზე, თვითშემეცნებაზე, გასხივოსნებაზე და რაც მთავარია, ეს ყველაფერი, ზოგად ცოდნასთან ერთად, მის პირად გამოცდილებასაც ეფუძნება.

თიკო

— რა არის გასხივოსნება?

— ეს ბევრს სხვანაირად ესმის, პირველ რიგში, ეს არის გონების სიმშვიდე. როდესაც არ შეუძლია არანაირი აზრის გამოთქმა, ამას ქვია აბსოლუტურად ცარიელი გონება და ამასთანავე, აბსოლუტური ჰარმონია.

— როგორ მივაღწიოთ გასხივოსნებას?

— ეს ასე იოლად არ მიიღწევა, ჩვეულებრივ ცხოვრებაში, როდესაც ადამიანს სურს რაღაცას მიაღწიოს, აქ ეს არ არის საერთოდ მისაღები, გასხივოსნება კი პირიქით. მას ვისაც უნდა რაღაცის მიღწევა, სწორედ ის უნდა შესწიროს, ის ვისაც უნდა რაღაცის მიღწევა ეს არის გონება, ის რაც ადამიანს თავისი თავი ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში ის ყოველთვის არის, ეს არის აბსოლიტური სიყვარული.

— რა დაემართება ადამიანს, თუ ვერ მიაღწია გასხივოსნებას?

[1] მთარგმნელი: ano (http://esoteric.ge).

— ყველა ფიქრები და ოცნებები რომელიც აქვს, მოკლედ დედამიწა არის დიდი მაგნიტი, ჩვენი ფიქრები და ოცნებები რკინის პატარა ნამცეცები, ესიგი როდესაც ადამიანი კვდება და რჩება ეს რკინის ნამცეცები, მაშინ მისი დარჩენილი ტვირთი ისევ იქ მიიზიდავს, რისკენაც ის ოდესღაც მიილტვოდა, სანამ ამ ყველაფერს ის არ გადაიტანს ემოციურად, რაც დიდხანს გრძელდება კაცობრიობისათვის. მაგრამ იოგები ამას თავის თავში აკეთებენ და გაცილებით სწრაფად აღწევენ ამას, შეიძლება ითქვას ჰოპ და ვსიო.

— აქვს თუ არა მნიშვნელობა ადამიანი კეთილია თუ ბოროტი?

— ავიღთ სუბიექტი და ობიექტი ყველაფერი რისგანაც ადამიანი შედგება, დარჩება სუფთა მაგნეტიზმი, მაშინ გამოდის ასე რომ მკვლელები ან ქურდები ასე უბრალოდ არ არსებობენ, არსებობს ასევე მაგნიტი რომელსაც ეწოდება მსხვერპლი, ანუ ეს ადამიანები განიცდიან შიშს რომ იქნებიან მოკლულები ან გაქურდულები, და ეს ნიშნავს რომ ისინი იზიდავენ გაუცნობიერებლად მკვლელს ან ქურდს. ამიტომ სანამ ამას ადამიანი არ გააცნობიერებს ეს ურთიერთქმედებაში იქნება.

ამიტომ მაგალითად თუ ადამიანი ყოველდღე გაიმეორებს მე ვარ სიყვარული, ეს გაჩერდება. ეს მაგნეტიზმი გაჩერდება მსხვერპლის და თავდამსხმელის.

— რა არის ცოდვა?

— ის შეგრძნება, რაც გაჯაჭვებს სხეულთან, ემოციური შეგრძნებები, ადამიანი ეჯაჭვება არაპოზიტიურ განცდებს, როგორიცაა სიხარული, სიყვარული, არამედ პირიქით შიში, სიძულვილი, და ა.შ. ეს არის ცოდვა.

— რეინკარნაცია არსებობს?

—კი ისეთი რაღაცა რაც არის მიზეზი და შედეგი რაც არის კარმა, ის ისევ დაიბადება ოღონდ არ ახსოვს წინა ცხოვრება, რაც შეეხება გასხივოსნებულს ანუ ავატარს მას ახსოვს მანამდე რაც იყო, აი რა განსხვავებაა.

— აქვს თუ არა სული ცხოველებს?

— რა თქმა უნდა, აი, მაგალითად კატა, თუ მას უყვარს მივა ადამიანთან და თუ მოვეფერებით დაიწყებს ხრუტუნს, რაც მათ ადამიანისაგან განასხვავებს, ეს არის ის რომ მათ არ აქვთ სხეულში ისეთი მექანიზმი რომ შეძლონ გაცნობიერება.

როდესაც ადამიანში ხდება გამოღვიძება, თავიდან ხდება გაორება, ის აკვირდება თავის აზრებს, იმიტომ რომ როდესაც ხდება ნამდვილი მეს გაღვიძება, ის აცნობიერებს ჭეშმარიტ მეს და ამავდროულად ცხოველურ ეგოს, რომელიც იკვებება ემოციებით, და როდესაც ადამიანი ნებაყოფლობით ემორჩილება თავის ნამდვილ მეს ცხოველური ეგოთი შემდეგ ხდება სრული გასხივოსნება.

— არსებობს მატერიალური, მენტალური და ასტრალური სხეულები? და თუ გაივლის სიკვდილის შემდეგ ამ სფეროებს ადამიანი?

— კი, ეს ისევ მიზეზ-შედეგზეა დამოკიდებული, მაგალითად, როგორნიც არიან ნარკომანები, ალკოჰოლიკები, ისინი ხვდებიან ძალიან ბნელ სფეროში, ხოლო ადამიანები, რომლებიც ასე თუ ისე მიხვდნენ კარგისა და ცუდის გარჩევას და მოსინჯეს პოზიტივი, მაშინ ისინი ხვდებიან ასტრალურ შუქში. ის ადამიანები, ვინც ცხოვრებაში შემოქმედებით იყვნენ დაკავებულნი სიტყვაზე მუსიკას ქმნიდნენ ან წერდნენ წიგნებს და ა.შ. ისინი მენტალური ადამიანები არიან.

ოშო

— რა არის სიყვარული?

— ეს არ არის სინამდვილეში ემოცია, მაგალითად, ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობა, ანდა ქალისა — თავისი შვილისადმი — ეს ჯერ კიდევ ემოციური სიყვარულია. მაგრამ ქალს თავისი შვილისადმი იმაზე მეტი სიყვარული აქვს, ვიდრე ემოციური. მაგრამ ის რაც არის სიყვარული, ეს არის ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება, უნდა მოაშოროს ადამიანს ყველა ფორმა და ობიექტი, რაც თავისი შემადგენელი ნაწილი ჰგონია — ყველა სახე და წარმოდგენები, როგორადაც მას თავისი თავი წარმოუდგენია, სახელწოდება, რასაც თავის თავს უწოდებს და ასევე ყველანაირი ფერი მოიშოროს, რის მერე არის სიყვარული.

რა არის სიყვარული? — ის ვინც ამ კითხვას სვამს... ის არის მხოლოდ გონებით ნაწარმოები.

— ვინ არის ადამიანი?

— თუნდაც ადამიანმა გულწრფელად რომ კითხოს თავის თავს ვინ არის და გადადებს ყველანაირ ურთიერთწინააღმდეგობებს, რა არის ურთიერთწინააღმდეგობები? ეს არის ტვინის მექანიზმი, ანუ ტვინს ასე შეუძლია მუშაობა: გუშინ-დღეს, შავი-თეთრი, კეთილი-ბოროტი, ეს ყველაფერი ურთიერთწინააღმდეგობებია, და ნიშნავს იმას რომ ადამიანი ეს არანაირად არ არის, ეს ასევე ნიშნავს რომ ის სხეული არასოდეს არ არის,

ანო

— რატომ შექმნა ღმერთმა მატერიალური სამყარო?

— როდესაც სიყვარული იყო სიცარიელე, აბსოლიტურად არაფერი, მან ისიც არ იცოდა რომ სიყვარულია, მან არ იცოდა თავისი თავი, ის არის უსხეულო, უფერო, უფორმო, მას უნდოდა თავისი თავის შეგრძნება რაღაც განცალკევებულისაგან, რომ გაეყო თავისი თავი და შემდეგ შეეცნო თავი კვლავ. დიახ, ეს არის ის, რასაც გასხივოსნებული ოსტატი უწოდებს თამაშს.

ამდენად, გამოეყო თავის თავს, რომ ჰქონოდა ეს შეგრძნებები: ხედვა ამ გონებრივი სამყაროსი, სმენა, შეგრძნება, გემო, ხოლო როდესაც ადამიანი ისევ მოიშორებს თავის 5 გრძნობას ის შევა ყველგანმყოფის სამყაროში.

მატერიალური ცხოვრება არის სურვილის იმპულსი, ამიტომ ყველა ოსტატი და ბუდაც ამბობდა მოკალი სურვილი, მაგალითად როდესაც ადამიანი აკვირდება თავის აზრებს რასაც ხედავს გარე და შიგა სურათებს და არ აძლევს ამას არანაირ გრძნობებს, ეს ნიშნავს განზე გამდგარს, განცალკავებულს, თუ ადამიანს მოვიყვანთ გრძნობაზე ის იწყებს სიცოცხლეს, თუ აზრს მოვიყვანთ გრძნობაზე,

— რატომ არაფერი ვიცით და ვიწყებთ ნულიდან.

— ადამიანი როდესაც ამ სფეროში შემოდის ყველაფერი იცის, მაგრამ რადგან მანამდე ბევრი ილუზორული წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე, მას ეფარება ფარდა და ხდება ის რასაც ეწოდება მაია, ილუზია. ეს ფარდა უშლის ხელს დაინახოს თუ ვინ იყო მანამდე.

ადრე ერთ ინდოელ პრინცთან მივიდა ერთი ბერი და დაუტოვა წარწერა ტილოზე, პრინცმა იფიქრა რომ მას რაღაც დაავიწყდა მაგრამ ის უკვე წასული იყო, შემდეგ წაიკითხა და ეწერა ვინ ვიყავი სანამ დავიბადებოდი? და ამ წინადადებამ ისე ააღელვა, არ შეეძლო არც ჭამა არც ძილი, სულ იმეორებდა გონებაში ვინ ვიყავი დაბადებამდე? ამ კითხვამ ისე ააფორიაქა ის წავიდა იმ ბერთან მონასტერში, მან უარი თქვა მეფობაზე და გახდა ბერი, რეკომენდაციას ვუწევ ამ ფილმს მას ჰქვია «ძენის ოსტატი» სწორედ მას შეემთხვა ასე, ბოდჰიდჰარმა იყო ის პრიცი. ის იყო ბრძოლის ხელოვნების ფუძემდებელი, შაოლინის სკოლაში და სწორედ მან ჩამოაყალიბა კუნგფუ როგორიც ახლა არის.

— რატომ იტანჯება ადამიანი?

— იმიტომ რომ თავი ჰგონია ის, რაც სინამდვილეში არ არის, როდესაც ადამიანი თავის თავს შეიცნობს ის ამავდროულად ღმერთსაც შეიცნობს, შეიცნობს თავის თავს ე.ი. ღმერთს შეიცნობს.

— რატომ ვართ ეგოისტები?

— კარგი კითხვაა, საქმე იმაშია რომ, ემოციურ ბუნებას არ აქვს სხვა თვისება, ანუ ემოციურ ბუნებაში ანუ ამ 5 გრძნობას უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობთ ვიდრე საკუთარ თავს, აქედან იბადება ეგოიზმი, ის რაც არის გრძნობა ეს არის გამოყოფილი, მაგრამ თუ დავაკვირდებით ჩვენს გრძნობებს მივხვდებით რომ ეს გრძნობები ჩვენ არ ვართ, და ყველაზე მარტივი საიდუმლო, ის რისი დაკვირვებაც ჩვენ არ შეგვიძლია, ანუ განუჭვრეტელი, სწორედ ის ვართ. ყველაზე მარტივი ესაა რასაც ვერ ვხედავთ ის ვართ, როცა ვაკვირდებით ჩვენს ფიქრებს ეს მაინც დაკვირვებადია, და ეს არ ვართ, ის ვინც ამ ყველაფერს აკვირდება ის ვართ.

— რატომ ისახავს ადამიანი მიზნებს და შემდეგ სურს ამ მიზნების მიღწევა?

— ამ კითხვის არსი იმყოფება თავად სიყვარულში, ყველანაირი მიზანი, როგორიც არ უნდა იყოს მატერიალური თუ სულიერი, ყველა ეს მიზანი მიანიშნებს იმას რომ ჩვენ ვეძებთ მხოლოდ სიყვარულს. აი მაგალითად ადამიანი მიისწრაფის რომ იყიდოს ავტომობილი, დააგროვა თანხა მის შესაძენად რომელიც მას დიდი ხანია სურს, მაგრამ ეს რას ნიშნავს, სანამ ის ავტომობილს იყიდიდა ამ ობიექტში მან ჩადო ბევრი ბედნიერება, სიხარული და სიყვარული. როგორც იქნა ის ყიდულობს ამ ავტომობილს და ყველაფერი რაც მასში ჩადო ემოციურად, დროთა განმავლობაში ეს ყველაფერი ამოიწურება, პირველი თვე ის ძალიან ბედნიერია რომ მან ეს ავტომობილი შეიძინა, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ავტომობილი ხდება სტანდარტული, ეს სიყვარულის და სიხარულის ილუზია თანდათან ქრება და ის ხედავს მხოლოდ ობიექტს, სად გაქრა სიყვარული? ყველა ციკლი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი დასაწყისიდანვე ეძებს მხოლოდ სიყვარულს, მაგრამ ილუზორულად ფიქრობს რომ ის იმყოფება სადღაც და არა მასში. სადღაც ობიექტებში ან სუბიექტურ მიზნებში.

— რატომ მოუნდა ღმერთს დაეყო თავისი თავი ასე მრავალ არსებად? და მე დავამატებ ამ კითხვაზე ასე, მაგალითად მას შეეძლო შეექმნა მარტო ადამიანი რომელიც შეიცნობდა თავის თავს და არ შეექმნა მწერები, ცხოველები ანუ არსებები რომელთაც არ შეუძლიათ თავის შეცნობა.

— კარგი, ის იყო იმპულსი სურვილი, ცოდნოდა თავისი თავი ყველანაირ ფორმაში, ანუ როგორ ვთქვა, ადამიანი რომელიც აღწევს ნირვანას, მის წინ ავტომატურად, შინაგანი ხედვით ის ხედავს მის ყველა გარდასხეულებას, არა მარტო მის 1000 ან 100 ათას ადამიანურ განსხეულებას, არამედ იმასაც კი როგორ იყო ის თავდაპირველად ქვაც კი, მცენარე შემდეგ ცხოველი და ადამიანი. ის ამ ყველაფერს განიცდის კი, თუ მან მიაღწია საბოლოო მიზანს_ნირვანას.

— რატომ დავიბადე სხულში, რატომ მომინდა ან როლის თამაში?

— დიახ, ეს კითხვა უკვე იყო სხვა ფორმითაც დასმული. რომ დაიბადები ეს იმას ნიშნავს რომ ადამიანს წინა ცხოვრებაში ქონდა ბევრი ფიქრები და სურვილები, მიწიერი მიზიდულობის მიმართულებით, რაღაც ემოციური განცდები, მხოლოდ ემოციური გრძნობები იზიდავს.

— რა არის ნათლობა?

— ქრისტიანული ნათლობა დღეს არ არის ის, რასაც ქრისტე აკეთებდა. ქრისტე ცეცხლით ნათლავდა. და პირველი ელემენტი არის ცეცხლი, საერთოდ. ცეცხლში ნათლობა ცოდვების წვას ნიშნავს. როგორც ადამიანს სიცხე რომ უწევს და ბაქტერიები იწვებიან, ასეთივე ცეცხლი დიდი მასშტაბით წვავს ცოდვებს.

ადამიანი ფიქრობს რომ სიცხე ცუდია სინამდვილეში, სიცხე არის ის რაც ანადგურებს ვირუსს ან ბაქტერიას, ავადმყოფობას. ესეც იგივე სიცხეა ოღონდ უფრო ძლიერი და ანადგურებს იმას რასაც ინდუიზმში ეწოდება სამსკარა, ანუ ცოდვები, წვავს ამ ცოდვებს და უკვე ადამიანი მონათლულია ამ ცეცხლში.

— რატო ხდება სიცხით განადგურება და არა უბრალოდ განდევნა მავნე ბაქტერიების?

— იმიტომ რომ ცეცხლი არის პირველი ელემენტი, ფიქრის თვისება არის ცეცხლი.

დედამიწის თვისებაა ჩვენი სხეული.

ემოციურის თვისება ანუ ასტრალური სხეულის ეს წყალია, დენადობა.

მენტალური სხეულის თვისება ცეცხლია.

ჰაერის თვისება ეს უკვე ის არის რაც ვართ სინამდვილეში. ეს აბსოლიტური სუფთა სულია,

და როდესაც ადამიანი გამოდის ამ ყველაფრის მიღმა, რჩება აბსოლიტური ტრანსცედენტული მდგომაეობა, ამ ელემენტების მიღმა.

დავითი

— რა ხდება სიკვდილის შემდეგ და რა იყო სანამ დავიბადებოდი?

— სინამდვილეში ადამიანი არ გრძნობს არანაირ ტკივილს იმასთან დაკავშირებით რაც არის სიკვდილი, სიკვდილი საერთოდაც არ არსებობს, იმიტომ რომ რაც სინამდვილეში არის ადამიანი, ის გადადის ცნობიერების სხვა მდგომარეობაში, ასე ვთქვათ ამ სამყაროში ადამიანი თავს თვლის ყინულის ნატეხად, როდესაც ხდება სიკვდილი შეიძლება ითქვას ყინულის ნატეხი თქვენ დადეთ ტაფაზე ის გახდა ლღვობადი, ამ ლღობის პროცესში ადამიანი გადადის სხვა უფრო ფაქიზ მდგომარეობაში.

— და შემდეგ ხდება ისევ მაგნეტიზმი, მოზიდვა და ხელახალი დაბადება?

— დიახ, მაგრამ რასაც ის მანამდე აკეთებდა, მედიტირებდა, იძახდა «ომ» ან სულ ერთია რომელ რელიგიას ეკუთვნოდა ადამიანი, ყველაზე მთავარი არის ის, თუ რამდენად გულწრფელია ის თავისი გულის სიღრმეში. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი, სწორედ ეს მოახდენს ზეგავლენას მის შემდგომ დაბადებაზე. უფრო სწრაფად, მოხდება მისი გამოღვიძება და როდესაც ის გაიღვიძებს, ის თავის სულიერ საქმიანობას გააგრძელებს იქიდან, სადაც წინა ცხოვრებაში შეწყვიტა, უბრალოდ, გააგრძელებს.

— მაგალითად, ადამიანი გასხივოსნდა, შესაძლებელია თუ არა, რომ მან ეს დაკარგოს?

— გასხივოსნება არის გრძნობითი შეგრძნებებისაგან გათავისუფლება, თუ ადამიანმა მოიშორა გრძნობითი აღქმები, სწორედ ეს გრძნობები ქმნიან კარმას მიზეზშედეგობრიობას, ამ გრძნობითი და აზრობრივი აღქმის მიღმა აღარაფერი ხდება. თუ ადამიანი ამ ყველაფრისგან გათავისუფლდა უკან უკვე შეუძლებელია დაბრუნება, უკან უკვე აღარაფერია...

— გქონია თუ არა სამადჰი ან რაიმე მსგავსი განცდა?

— არის მხოლოდ 2 სახეობის სამადჰი, რომელიც შეიძლება რეალურად ჩაითვალოს, დანარჩენებს არ აქვს მნიშვნელობა, ეს არის სავიკალპა სამადჰი და ნირვიკალპა სამადჰი. შეიძლება ითქვას, რომ სავიკალპა სამადჰი, თუ კი განიცადა ადამიანმა წინა ცხოვრებაში, ამ ცხოვრებაში მას ეს შეიძლება მომენტალურად შეემთხვეს, სწრაფად. სხვებს შეიძლება გაუგრძელდეთ 1-2 დღე, ღმერთთან ურთიერთობის ამ დროს მათი სხეული შესაძლოა საერთოდ აღარ სუნთქავდეს.

— ანუ არ სუნთქავენ?

— დიახ, ეს არის ნამდვილი სამადჰი. ნირვიკალპა სამადჰი ეს უკვე საბოლოო ეტაპია

— თქვენ განიცადეთ სამადჰის ეს მდგომარეობა?

— ის ახლაც ხდება, როდესაც უკვე ნირვიკალპა სამადჰი მოხდება, ადამიანი არ სუნთქავს და ეს შეიძლება გაგრძელდეს 3-დან რამდენიმე თვემდე და თვეობითაც კი. მაგალითად ჩემის ოსტატი სამადჰის ამ მდგომარეობაში რამდენიმე წელი იყო.

დაბოლოს, არის კიდევ ერთი სამადჰი, რომელიც იშვიათად მოიხსენიება, ეს არის საჰაჯი სამადჰი. გაგიგონიათ ალბათ არის ასეთი ადამიანი სახელად ბაბაჯი, მის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის არ არის მოკვდავი, 1970 წელს ინდურ გამოქვაბულში, მან უბრალოდ მეტერიალიზება მოახდინა 16 წლის სხეულში უბრალოდ გამოქვაბულში სხეული მატერიალიზდა და 14 წლის შემდეგ განმატერიალიზდა უბრალოდ ჰოპ და დაიშალა ატომებად, ეს არის სამადჰის უმაღლესი საფეხური,

ასეთივე იყო იესო ქრისტე, ცნობიერების ამ მდგომარეობაში, ის ავიდა ჰაერში და გაქრა.

— არის თუ არა განსხვავება სამადჰისა და გასხივოსნებას შორის?

— სამადჰი არის გასხივოსნება, არის ისეთი კითხვებიც, რომ ადამიანები შედიან სამადჰიში და არ არიან გასხივოსნებულნი, თუ ადამიანი შედის სამადჰიში, მაგრამ აქვს რაიმე გრძნობები, მაშინ ის მიიზიდება მიწისაკენ. როდესაც ადამიანს აქვს ტრანსცენდენტული გამოცდილება, ის განიცდის ერთიანობას ყველაფერთან, რაც არის ირგვლივ, მაგრამ ჯერ კიდევ არის გონებაში რაღაც ნაწილი, ჯერ კიდევ არის გაყოფა, მაგრამ უფრო ნაკლები — ეს არის სავიკალპა სამადჰი. ნირვიკალპა სამადჰის დროს, ის დარჩენილი ნაწილი გონებაში, რაც გაყოფას იწვევს, ბოლომდე იწვევა. ამგვარად, ხდება ეგოს საბოლოო და სამუდამო განადგურება. ადამიანი გრძნობს აბსოლუტურ, უსაზღვრო მყოფადობას და სადაც არ უნდა იყოს ადამიანი, ის გრძნობს აბსოლუტურ ერთიანობას ატმანთან.

ის არის ერთიანი სამუდამოდ, როგორც იესომ თქვა: «მე და მამა ერთნი ვართ».

— თქვენ განიცადეთ რომელიმე?..

— ნაწილობრივ ნირვიკალპა კი.

— გამიგია რომ გასხივოსნებული ადამიანი არასოდეს გააკეთებს რაიმე ცუდს, ეს რას ნიშნავს? ანუ ისინი ირჩევენ კარგს? და კიდევ მაგალითად ადამიანი კლავს ვინმეს ამ დროს ვინ კლავს ეგო თუ ნამდვილიმე? შეიძლება გასხივოსნებულმა რომ ვინმე მოკლას?

— რასაც ქვია ეგო ის მიისწრაფის ყოველთვის თავისი საკუთარი გამოცდილებისაკენ, თუ ასე ვიტყვით ვინ არის ადამიანი სინამდვილეში მზის გავლენის ქვეშ, ადრე ბევრი ადამიანი თაყვანს სცემდა მზეს, მაგრამ სინამდვილეში არა მზეს არამედ რაც იმყოფება მის მიღმა, იგივე რაც არის ადამიანი, და რაც შეეხება ემოციებს ისინი ეკუთვნით მთვარეს, ანუ მთვარე არის ყველა ემოციის ბუნება, ამიტომ მთვარე ზემოქმედებს ემოციებზე, და თავის მხრივ მზე სრულიად სხვაგვარად,

— ეს ასტროლლოგიას ეხება ხომ?

— ეს ნებისმიერ ადამიანს ეხება

— რეალური არის რასაც ასტროლოგები პროგნოზირებენ ხოლმე?

— ნამდვილი ასტროლოგები ძალიან იშვიათობაა, და ასტროლოგია ზემოქმედებს მხოლოდ იმ ადამიანზე ვინც ჩვენ თავი გვგონია, მაგრამ ვინც ვართ სინამდვილეში მასზე არანაირი ასტროლოგია არ ზემოქმედებს.

ეგზისტენსი

— როდესაც ადამიანი იპოვის თავის მეს, რატომ არის ეს მე რაღაც კარგი? და არა მაგალითად ცუდი?

— როდესაც არამიანი აღმოაჩენს შინაგან ნეტარებას. მაგალითად რა არის ნეტარება როდესაც ადამიანი განიცდის ძლიერ სიხარულს, ავტომობილის ყიდვის დროს ეს არის სიხარულის ძლიერი ემოციური გრძნობა, ახლა წარმოიდგინეთ, რომ ყველა თქვენი სურვილები როგორებიც არ უნდა ყოფილიყო გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი, ისინი მომენტალურად სრულდებიან. თუ მხოლოდ 1 ავტომობილის ყიდვა ანიჭებს ადამიანს სიხარულს როგორი შეგრძნება იქნება როდესაც ყველა სურვილი ერთდროულად სრულდება, ეს არის ნეტარება.

— ანუ ეს ატმანი არის კარგი? და არაა ცუდი?

— როდესაც გონება მიბრუნდება ატმანისაკენ დაიწყებს მასში სრულიად ბოლომდე ჩატვირთვას, ეს ფილმებშიც ჩანს მაგალითად ავიღოთ ბუდა, როდესაც ის ზის ნეტარი ღიმილით, მოკლედ ადამიანი ისეთ ნეტარებაში შედის მის წინ ყველაზე გემრიელი საჭმელი სასმელი და ა.შ. მისთვის ეს დოლივით იქნება. ასეთი მდგომარეობაა. როდესაც განიცდი მუდმივ სიხარულს და ბედნიერებას.

— შეიძლება ადამიანი მიბრუნდეს ატმანისაკენ და ის ცუდი აღმოჩნდეს?

— არის ასეთი განცდები როდესაც ადამიანი გრძნობს ნეტარებას, მაგრამ რაღაც მისი ნაწილი ძლიერ შიშს და ტკივილს, ანუ ეს განცდა არის ეგოს სიკვდილის წინა კონვულსია, როდესაც ინდილიდი გაიხსნება ატმანში ის გაიცდის თავისი ინდივიდუალობის გამო. იმიტომ რომ ამ განზავების შემდეგ ადამიანი აღარ მოახდენს საკუთარი თავის ინდივიდუალიზებას.

როდესაც ერთი ადამიანი მივიდა ბუდასტან უთხრა მე მინდა ბედნიერება. ბუდამ უთხრა მოიშორე საკუთარი თავი, შემდეგ ეგოისტური მინდა და დარჩება ბედნიერება. აი რა არის არა ინდივიდუალიზება.

დავითი

—რომელი რელიგია არის სწორი?

— მაგალითად, თქვენ წინ არის ვაშლი, მაგრამ თქვენ არ იცით როგორია ის: მჟავე, ტკბილი თუ წყლიანი? ამგვარადვე, ნებისმიერი რელიგია არის ასეთივე ზედაპირული, ხოლო როდესაც ვაშლს გასინჯავთ, თქვენ მიხვდებით, რომ ის ტკბილია, თანდათან უახლოვდები გულს და ეს ცენტრი თქვენ ხართ, ასე რომ ყველაფერი ზედაპირულია და შეიძლება მართალიც იყოს, ამიტომ თავად რელიგია ან მისი ფორმა არ არის მნიშვნელოვანი ან როგორ ცეს თაყვანი, არამედ ის რომ ადამიანი გულწრფელი იყოს. თავისი გულის მიმართ ან როგორც ამბობენ საკუთარი გულის ტაძართან. სწორედ ამ დროს მოაქვს მას ნაყოფი.

— ამით ჩემი შეკითხვები დასრულდა და შეიძლება შემდეგაც რომ შეგეხმიანო?

— დიახ, რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, როდესაც ადამიანები მეხმიანებიან, მირეკავენ, ყოველთვის მიხარია!

— ბოლოს კი ყველას გვაინტერესებს ერთად შეგიძლია რაიმე ისეთი პრაქტიკული რჩევები მოგვცე, რითაც შეიძლება თავისუფლების მიღწევა?

— კარგით აგიხსნით თვითონ მე რატომ მივმართე იმ მეთოდს თავად როგორც მედიტირებდა ბუდა. ეს არ ნიშნავს რომ ამ რელიგიას მივეკუთვნები, უბრალოდ არსი მდგომარეობს თავად ტექნოლოგიაში ანუ აბსოლიტური ცოდნა, მაგალითად აიღეთ ორი სადენი ერთი არის პლიუსი მეორე მინუსი და თუ მათ შეაერთებთ წარმოიქმნება ელექტრული მუხტი. სწორედ ასევეა როდესაც ადამიანი ზის გადაჯვარედინებული ფეხებით, თუნდაც სკამზე იჯდეს, და როგორც ბუდამ ერთად რომ შეკრას, ეს არის ელექტრო სადენის შეერთება და ადამიანის ირგვლივ წარმოიქმნება წრე, ანუ ჩაკეტილი სისტემა, ამ ტექნოლოგიის არსი ჩაკეტილ სისტემაში მდგომარეობს, ყველაფერი გაცილებით მალე ხდება.

ხელები ასე. თითების შეერთებით ენერგეტიკული წრედი იკვრება

ამ ყველაფერს არ უნდა მიუდგე მხოლოდ ადვაიტას პოზიციით, მაგრამ ადვაიტა ყველაზე მეტად გვეხმარება, რათა დამშვიდდეს გონება, როგორც ჩვენი ეპოქის ცნობილმა ინდოელმა მასწავლებელმა, ტარანამანძა იუგანანდამ თქვა, ამაშიც დამალულია თავისი საკუთარი ტექნოლოგია.

ავიღოთ ადამიანის ტვინი, ტვინის ქვედა ნაწილი, როდესაც ადამიანი ძირს ეშვება ფიქრებით, რაღაც გაუცნობიერებელ სურათებში, ის გრძნობს პრობლემებს, შიშს... მოკლედ, ტვინის ქვედა ნაწილი ეს არის — ქვეცნობიერი.

ადამიანი, რომლის ტვინის შუა ნაწილი ზღვარზე მდებარეობს, შემოქმედებითია: წერს, აზროვნებს, ქმნის მუსიკას და ა.შ.

ხოლო, როდესაც ადამიანი ცდილობს თავის ტვინის ზედა ნაწილზე კონცენტრაციას, სადაც ზეცნობიერი მდებარეობს, მაშინ შესაძლებელია ნირვანას მიღწევა.

არსებობს ამის პრაქტიკებიც, მაგალითად, ერთხელ ბუდა სთავაზობდა ადამიანს, რომ თავის შუა ნაწილიდან იქ, სადაც მდებარეობს ადამიანის პირველსაწყისი ენერგია, აეხედა გვირგვინის გაჭოლვით ზემოთ, ანუ დახუჭული თვალებით გვირგვინის გაჭიმვით ზევით გახედვა.

დასაწყისისათვის ეს ადამიანისათვის შესაძლოა იყოს პრობლემატური ანდა რთული, იმიტომ რომ ჩვენი ჩვეულებრივი ყურადღება ყოფით ცხოვრებაში მიჩვეულია, რომ ვიყუროთ წინ ან ძირს, ზემოთ ყურებას არასოდეს არა ვართ მიჩვეული.

ამიტომ თავიდან რთულია, რომ ყურადღება მიმართო ზემოთ, თუმცა თანდათან ეს შესაძლებელი ხდება და თან — ძალდატანების გარეშე. იმისათის, რომ არ დავიძაბო, ნელ-ნელა უნდა დავიწყოთ გამჭოლად ზემოთ ყურება და მივეჩვიოთ — ეს არის დაწყებთი სტადია.

ამ პრაქტიკის შემდეგი ეტაპია ის, რომ ადამიანი გავიდეს სხეულის და გონების საზღვრებს მიღმა.

ის მდებარეობს აჯნა ჩაკრას ადგილას, რომელსაც მესამე თვალს უწოდებენ, როდესაც ხდება მეტი გასხივოსნება, ადამიანი აცნობიერებს, რომ სინამდვილეში ის ამ სამყაროსაც კი არ უყურებს ამ ორი თვალით, არამედ ის იყურება სწორედ მესამე თვალით, ანუ ნამდვილი თვალით, ხოლო რაც უფრო მეტად ვააქტიურებთ ამ თვალს, მით უფრო ჭეშმარიტად აღვიქვამთ სამყაროს.

— თუ განვითარდა ეს თვალი, მაშინ შესაძლებელია, წარსულის ან მომავლის დანახვა?

— როცა ვაღწევთ ნირვაკალპა სამადჰის ავტომატურად იხსნება სიდჰები, ანუ ზე შესაძლებლობები.

და ეს ყველაფერი უკვე სამუდამოდ იხსნება.

— და გასხივოსნებულ ადამიანს ყველაფერი ეცოდინება? რომ ახლა ვიღაც მოვა ჩემთან, რა იქნება ხვალ ან ის, თუ როდის მოვკვდები?

— კი. ჩემს მაგალითს გეტყვი: ასეთ ადამიანს აღარ აინტერესებს თუ რა შეემთხვევა. მაგალითად, ბუდას ჰყავდა ერთი საყვარელი მოწაფე ანანდა, ბუდა მას ეუბნება, რომ მათ უნდა გაიარონ ჭალები. წავიდნენ ჭალებში, გზად ცოტახანს დაისვენეს და მოდის ვიღაც ადამიანი. სწორედ ეს ადამიანი ეძებდა ბუდას, ანუ ასეთი რამეც შეიძლება მოხდეს, როგორც ამ შემთხვევაში: იყო ერთი ახალგაზრდა ღმერთის მაძიებელი, სახელად პაპაჯი. მას ბავშვობაში კრიშნა ეცხადებოდა და ესაუბრებოდა. მაგრამ რომ გაიზარდა მიხვდა, რომ რაღაც მაინც აკლია და დაიწყო ძებნა პასუხებზე. ერთ დღეს მასთან ბერის სახით ვიღაც მივიდა და უთხრა თუ გინდა ნახო ღმერთი ამა და ამ ადგილას მიდიო. პაპაჯიმაც დაუჯერა რადგან წმინდანს გავდაო. ხოდა რომ მივიდა ამ ადგილას იქ დახვდა იგივე პიროვნება და ეს პიროვნება იყო რამანა მაჰარიში, რომელიც 24 საათის განმავლობაში იჯდა აშრამში იჯდა. არასდროს გადიოდა არსად!..

წყარო: http://www.esoteric.ge/forum/index.php?showtopic=2263 источник

ვიდეოები: ინტერვიუ ალექსი ნოვეტნისთან (ნაწილი I) *видео*

ინტერვიუ ალექსი ნოვეტნისთან (ნაწილი II)

old_man

კარმული კატეგორიები

ადამიანის წინა ცხოვრებაში არსებული სიძნელეები, რაც მის ამჟამინდელ ცხოვრებაში ვლინდება, იყოფა ოთხ ძირითად კარმულ კატეგორიად. ამ კატეგორიებად კი იმიტომ ვაჯგუფებთ, რომ უფრო ადვილად გადავჭრათ ჩვენს ცხოვრებაში არსებული პრობლემები და მივაკვლიოთ მათი წარმოშობის სათავეს. ყველა ჩვენი ცხოვრება და იქ მიღებული გაკვეთილები ერთმანეთთან გადაჯაჭვულია.

ახლანდელ ცხოვრებასა და ჩვენი პიროვნების ფორმირებაზე წინა ცხოვრებების მოვლენები დიდ გავლენას ახდენს. კარმულად შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების საშუალებად გვევლინება გაცნობიერება. როცა მივხვდებით წარუმატებლობის ნამდვილ მიზეზს, უკვე ადვილად ვიღებთ სწორ გადაწყვეტილებას. კარმა ყოველთვის გვაძლევს შესაძლებლობას გამოვავლინოთ თავისუფალი ნება და არჩევანის თავისუფლება. კარმისგან გათავისუფლება დაფუძნებულია იმაზე, რომ ადამიანი იაზრებს საკუთარ შეცდომებს, რათა მსგავსი რამ აღარ გაიმეოროს და მისთვის მისაღები მომავალი შეიქმნას.

მაღალ განზომილებებში არსებობენ ე.წ. «კარმის მბრძანებლები», ანგელოზების მსგავსი არსებები, ვინც ზედამხედველობს თითოეული ადამიანის ბედს. თხოვნის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ადამიანებს გარკვეული მინიშნებები მისცენ და ასეთი სახით დაეხმარნონ, თუმცა ცხოვრებაში პირდაპირ არასოდეს ჩაერევიან. თუკი ადამიანი დასახმარებლად მათ მიმართავს, მინიშნებები შეიძლება მოვიდეს როგორც სიზმარში, ისე რეალურ ცხოვრებაში, გარკვეული მოვლენებისა და ადამიანების საშუალებით.

თუკი კარმა ადრე წარმოედგინათ როგორც მკაცრი და შეუბრალებელი კანონი, დღეს მასზე შეხედულება იცვლება. თითქმის ყველაფერი ექვემდებარება განკურნებას და პირველ რიგში ეს პირად ურთიერთობებს ეხება. თუ თქვენს ცხოვრებაში რაღაც ისე არ ხდება, ეცადეთ გაარკვიოთ ამის მიზეზი და იპოვნოთ ვითარების გამოსწორების საშუალება.

კარმის ზემოაღნიშნული ოთხი კატეგორიაა:

1. დაავადებები;
2. ურთიერთობები;
3. ცხოვრებისეული სიტუაციები;
4. ხასიათის თვისებები და ცუდი ჩვევები.

კარმის პირველი კატეგორია მოიცავს **ფიზიკურ დაავადებებს**. სანამ ადამიანი დასახმარებლად კარმის მბრძანებლებს მიმართავს, ჯერ უნდა გაერკვას ამ დაავადებების გამომწვევ მენტალურ და ემოციურ მიზეზებში. თუმცა, ზოგიერთი ავადმყოფობა არ იკურნება, რადგან ზოგ შემთხვევაში, ძალიან ძლიერია ის დარტყმა, რასაც სხეული იღებს. მაგრამ, ადამიანმა მიზეზი მაინც უნდა ეძებოს, რომ ეს შემდეგ ცხოვრებაშიც არ გადაჰყვეს. თუ კარმული გათავისუფლებისას განსაკუთრებით მძიმე დაავადებისგან ვერ განიკურნებით, შვებას მაინც იგრძნობთ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასაც გაიუმჯობესებთ.

შეიძლება გაგიჩნდეთ შეკითხვა — როგორ გავიგო ჩემი «უბედურების» მიზეზი თუ წინა ცხოვრებიდან არაფერი მახსოვს? ეს ხომ უსამართლობაა? — უსამართლობა არ არის. როგორც წესი, თუ დააკვირდებით თქვენს ცხოვრებაში განმეორებად, ერთი არსის მქონე მოვლენებს, ასევე სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას საკუთარ ხასიათის ნეგატიურ თვისებებსაც დაინახავთ, მაშინ მარტივად აღმოაჩენთ იმ მიზეზებს, რის გამოც ესა თუ ის ავადმყოფობა გტანჯავთ.

კარმის შემდეგი კატეგორიაა **ურთიერთობები**. ამ ცხოვრებაში ჩვენი ნაცნობები, მეგობრები, პარტნიორები როგორც წესი, არაერთი ცხოვრების განმავლობაში ჩვენს გვერდით ცხოვრობდნენ. ურთიერთობები კი ყოველთვის კარგად ვერ ეწყობოდა. ყველა ცხოვრებაში გვხვდება რთული სიტუაციები და ტანჯვა, გამოწვეული კონფლიქტებითა და სხვადასხვა სახის გაუგებრობით. გახსოვდეთ, ის ვინც ამ ცხოვრებაში გვაწყენინებს, გვაბრაზებს და სირთულეებს გვიქმნის, არის ჩვენი ყველაზე კარგი მასწავლებელი, რადგან ამის გაცნობიერება განვითარებისა და შეცდომების გამოსწორების საუკეთესო საშუალებაა. თუ ვინმეზე გულში წყენას ჩაიდებთ და ამ ცხოვრებაში იგივეთი ვერ უპასუხებთ, ეს ნიშნავს, რომ შემდეგ ცხოვრებაში იგივეს ეცდებით. ეს კი ნიშნავს, რომ ჩათრეული აღმოჩნდებით კარმულ წრე-ბრუნვაში და ამ მოჯადოებული წრის გაწყვეტას, პირველ რიგში, შეძლებთ სამაგიეროს გადახდაზე უარის თქმით და ამგვარად, შემდეგ ცხოვრებაში ამ ნეგატივისგან თავისუფალი იქნებით. ანუ კარმას დაწვავთ!

კარმის მესამე კატეგორიაა **ცხოვრებისეული სიტუაციები.** მაგალითად, თუ მთელი ცხოვრება ზევრს მუშაობთ და მაინც ღარიბი ხართ, შეიძლება ამის მიზეზი იყოს ის, რომ წინა ცხოვრებაში სიმდიდრეს არასწორად განკარგავდით, იყავით ძუნწი ადამიანი და ა.შ. სიღარიბე შეიძლება განპირობებული იყოს დანაშაულის გრძნობით. შესაძლებელია, წინა ცხოვრებაში საკუთარ თავს შთააგონეთ, რომ სიღარიბეს იმსახურებთ.

ხშირად ის გადაწყვეტილებები, რამაც დადებითი როლი შეასრულა თქვენს წინა ცხოვრებაში, შეიძლება ახლაც გაგახსენდეთ, მაგრამ უკვე აღარ გამოგადგეთ. აქაც საჭიროა დაკვირვება და გაცნობიერება. როგორ აღიქვამთ ცხოვრებას? ხომ არ გაქვთ გამჯდარი რაღაც სტერეოტიპი, მაგალითად ის, რომ პატიოსანი ადამიანი ღარიბი უნდა იყოს? ან ის, რომ ცხოვრება ტანჯვაა და ნამდვილ ბედნიერებას დედამიწაზე ვერ ეღირსებით? თუ ასეთი რამ შენიშნეთ, სცადეთ ეს ნეგატიური პროგრამები პოზიტიური აფირმაციებით ჩაანაცვლოთ.

მეოთხე კატეგორია ეს არის **ხასიათის თვისებები და ცუდი ჩვევები**. ხასიათის ნეგატიური თვისებები ასევე საჭიროებს კარმულ გათავისუფლებას. მაგალითად, დაიანა სტაინი, ავტორი წიგნისა «კარმული განკურნება», წერს, რომ მას ჰქონდა ცუდი თვისება — ადამიანს საუბრისას ხშირად აწყვეტინებდა, რაც გარშემომყოფთათვის შემაწუხებელი ხდებოდა. დიდი ხნის განმავლობაში ის დამოუკიდებლად ცდილობდა ამის მიზეზი გაერკვია, თუმცა ეს ვერ მოახერხა და დასახმარებლად კარმის მბრძანებლებს მიმართა. სთხოვა, რომ ამ უარყოფითი თვისებისგან სამუდამოდ გაეთავისუფლებინათ.

ამ კატეგორიაში შეგვიძლია მოვაქციოთ ფობიებიც, რაც ხშირად პირდაპირი შედეგია წინა ცხოვრებაში მიღებული ტრავმებისა. თუ ადამიანს პანიკურად ეშინია წყლის, დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ წინა ცხოვრებაში წყალში დაიხრჩო.

ამგვარად, ეს ოთხი კარმული კატეგორია გვაძლევს საშუალებას გავერკვათ კარმის იმ სფეროებში, რაზეც პირველ რიგში, უნდა ვიმუშაოთ. მაგრამ, სანამ ჩვენი კარმის შეცვლას ვეცდებით, მნიშვნელოვანია მისი მუშაობის მექანიზმს გავეცნოთ.

ინსაიდერის გამოცხადება[1]

რაღაც უცნაური რამ მოხდა ფორუმზე godlikeproductions.com რამდენიმე დღის განმავლობაში, რამაც ფორუმელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ვიღაც, ვინც თავს ინსაიდერს უწოდებს, ამტკიცებდა, რომ ის ეკუთვნის, იმ ოჯახის ხაზს, რომელიც მართავს სამყაროს და შეგვპირდა ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გაცემას. თავიდან ეს ხუმრობას ჰგავდა, რამდენიმე კითხვაზე ჩვეულებრივი პასუხი იყო გაცემული, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მკვეთრად შეიცვალა.

[1] მთარგმნელი: ano (http://esoteric.ge).

ნებისმიერმა, ვინც ერკვევა დიალექტიკაში, იცის, რომ პასუხები (კითხვით ფორმაში) ინსაიდერის მხრიდან მიზანმიმართულად აპროვოცირებდა სხვებს, რომ დაესვათ შეკითხვები, რამაც გამოიწვია შემდეგი მოვლენები. ინსაიდერის პირველი შეკითხვა იყო შემდეგი: «თქვენ გგონიათ, რომ გარკვეულ პლანეტაზე ცხოვრობთ? და ნამდვილად ცხოვრობთ თქვენ მასზე?»

ხოლო მომდევნო პასუხები, რომლებიც მან გაგვცა, უთითებდა მის მიერ ფილოსოფიის, ისტორიის, მეტაფიზიკის, რელიგიის, მაგიის, პოლიტიკის... ღრმა ცოდნას. ეს პასუხები იყო ძალიან ორიგინალური და კონკრეტული, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა გვაიძულა, რომ დავფიქრებულიყავით.

საოცარია ის, რომ ინსაიდერი კითხვებს პასუხობდა ძალიან სწრაფად. კითხვების თემები იყო სხვადასხვა შინაარსის, ხოლო პასუხები ჩნდებოდა წამიერად. ეს როგორ შეიძლება? ინტერნეტიდან კოპირებით? მე გულმოდგინედ შევამოწმე და ვერ ვიპოვე ინტერნეტში იწ წინადადებები, რომლებიც ინსაიდერმა დაწერა. ვიგრძენი რომ უბრალო ადამიანს ასეთი რამ არ შეუძლია.

ინსაიდერის პირველი გამოცხადება (პირველად გამოჩნდა ინგლისურენოვან ფორუმზე 2005 წელს).

ინსაიდ: მე ელიტური ოჯახის წევრი ვარ, რომელიც თქვენ გეჯავრებათ... დამისვით კითხვები და მე გაგცემთ პასუხებს.

რატომ? იმიტომ რომ შემიძლია.

ფორუმ: რა არის «ელიტური ოჯახი?»

ინსაიდ: ასეთი სახელი გამოიყენება. ოჯახები რომლებიც ძალიან დიდი პერიოდის განმავლობაში მართავენ მათ, ვინც არ ეკუთვნით მათ სისხლით.

ფორუმ: რას ფიქრობ პრობლემაზე «peak oil» (ნავთის მაქსიმალური მიღების მომენტი, რის შემდეგაც მოგების მოცულობა მნიშვნელოვნად ეცემა)

ინსაიდ: გარკვეულ წრეებში ცნობილია, რომ ის გამომუშავდება. დედამიწა მეტ ნავთს აწარმოებს აირისაგან. გინდ დამიჯერეთ გინდ არა, ეს ბუნებრივი პროცესი შემდეგი პრინციპით მუშაობს — «რაც მეტს იღებთ, მით მეტი ინახება ბალანსის შესანარჩუნებლად». გამოიკვლიეთ ფუტკრების მეთოდი, რითაც ისინი აწარმოებენ თაფლს და მიხვდებით. გარდა ამისა, დედამიწაზე ბევრი ადგილია, მდიდარი ბუნებრივი წიაღისეულით, რომელსაც ადამიანის ხელი ჯერ არ შეხებია.

ფორუმ: რაა საერთო ელიტური ოჯახის ხაზში?

ფორუმ: გქონია როდესმე სექსი ბავშვთან?

ინსაიდ: გაიგე, რომ გენეალოგიური ხაზი არჩეულ იქნა მმართველობისათვის. ის არ გაჩენილა ჰაერიდან. სულები, რომლების ამ ხაზში ევლინებიან, ირჩევიან ღვთაებრივი კანონის მიერ.

მეორე შეკითხვა უჩვენებს, რომ შენ ძალიან ბევრს კითხულობ აიკას (დევიდ აიკი «შეთქმულების თეორიის» ავტორი), ეს უბრალოდ გამოიყენება, როგორც ხელსაწყო. მაგრამ მე გიპასუხებ, არა.

ფორუმ: ბოდიში. მე არავინ მმართავს და არც არასოდეს მმართავდა ვინმე!

ინსაიდ: ძველი ანდაზაა: იდეალური მონა ის არის, ვინც ამბობს: «მე არ ვარ მონა». ეს ისეა, როგორც ალკოჰოლიკი, რომელიც ამბობს, რომ ის არ არის ალკოჰოლიკი, ამიტომ ის ყოველთვის დარჩება ალკოჰოლიკად. აზრი გასაგებია?

ფორუმ: სად ხართ, ელიტარებო, გონებრივად ავადმყოფ ნათესავებს სად მალავთ, რომლებიც მრავალსაუკუნოვანი ინცესტის შედეგად ჩნდებიან?

ინსაიდ: ეს მითია, რომ ინცესტი ყოველთვის პრობლემას ქმნის. თუ ორი მშობელი ატარებს გენს, რომელიც საუკეთესოა ხარისხით, ვიდრე დანარჩენების...

ფორუმ: რატომ დაუშვით, რომ ჩვენ გავმრავლებულიყავით კურდღლებივით, თუკი ზედმეტი მოსახლეობა თქვენთვის საფრთხეს წარმოადგენს?

ინსაიდ: 1. ჩვენ არ დაგვიშვია ეს. თქვენ იმაზე მეტი ძალაუფლება გაქვთ, ვიდრე გგონიათ. 2. გადავსებული მოსახლეობა ჩვენ ხელს არ გვიშლის.. ესეც მითია.

ფორუმ: რას ფიქრობს «ელიტარული ოჯახის» წარმომადგენელი http://godlikeproductions.com ფორუმზე?

ინსაიდ: რაც მეტადაა ადამიანები დაყოფილი, მით უფრო იოლი სამართავი არიან. თუ მათ გავხდით თავდაჯერებულს იმით, რომ მათ ხელში უჭირავთ ხმალი (იარაღი), რითაც მათი აზრით ისინი ხდებიან ძლიერები და შეუძლიათ იბრძოლონ «ბნელ ძალებთან», მაშინ როდესაც ეს უბრალოდ კბილსაჩიჩქნია.

ფრთხილად უნდა იყო იმასთან ვისაც ამ ხმალს აძლევ ტრინიტი. იცი, რომ არა მხოლოდ წარმოთქმა არამედ სიტყვის დაწერაც კი გამოსცემს გამოსხივებას, და ეს პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს?

თქვენ გგონიათ, რომ იბრძვით გარკვეულ მხარეს. მაგრამ მე გეტყვით, რომ აქ დაწერილი სიტყვების უმრავლესობა თქვენს მხარეს არ ეხმარება.

ფორუმ: რა რელიგიური მიმდინარეობის ხართ?

ინსაიდ: რელიგიები «ჩვენი» შექმნილია.

ის რელიგიები, რომლებიც ახლა პოპულარულია, სრული კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. კონკრეტულად ამის შესახებ ვერ მოგიყვებით, მაგრამ ქრისტიანობა, იუდაიზმი, ისლამი, ბუდიზმი, ოდნავ ცრუ გზაზე არიან. არსებობს ჭეშმარიტების გული, მაგრამ ის იყვინთება გაუკუღმართებულობის ზღვაში... თქვენთვის, რომ აარჩიოთ, გისურვებთ წარმატებებს.

ჩვენს რწმენას არ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ეს დაკავშირებულია რთულ ღვთაებრივ კანონთან.

ფორუმ: რას იტყვით მსოფლიო ეკონომიკის შესახებ?

ინსაიდ: შეთქმულების თეორეტიკოსები იმაში არიან მართალი, რომ ეკონომიკა ეყრდნობა ფულს, რომელიც არ არსებობს, ის არც იყო და არც იარსებებს. ის ვინც ფლობს ბანკებს, ასევე ფლობენ მასობრივ კომუნიკაციებს და პოლიტიკას, ასე რომ თქვენ იჯერებთ იმას, რაც მათ სჭირდებათ.

ფორუმ: როდის მოხდება თავთავის და ღვარძლის გადარჩევა? თუ თქვენ გსურთ, რომ მოიშოროთ თავთავი და დაიტოვოთ ჩენჩო, როგორც მონები? ნებისმიერ შემთხვევაში ეს როდის მოხდება? დავიღალე ცრუ წინასწარმეტყველებებით, გთხოვთ, იყავით გულწრფელი ამჯერად.

ინსაიდ: 100% ით დარწმუნებული ვარ სამყაროს დასასრული არ მოხდება, ყოველ შემთხვევაში ისეთი, როგორც ყველას წარმოუდგენია. სამყაროს აღსასრული, როგორც თქვენ გიხსნიან სხვადასხვა წყაროები, სინამდვილეში არასოდეს ყოფილა ნაგულისხმევი ამ ადგილისათვის.

დადგება დრო, როდესაც ყველა იქნება განთავისუფლებული, მაგრამ ეს არ არის მასობრივი მოვლენა, უფრო ინდივიდუალურია... იმუშავეთ საკუთარ თავზე.

ფორუმ: საინტერესოა, ელიტა რატომ არ ხელმძღვანელობს? უფრო იმას გავს, რომ ისინი პარაზიტობენ საზოგადოებაზე.

ინსაიდ: თევზები ოკეანეში ვერ ხედავენ, რომ ჩიტები ცაში დაფრინავენ.

ფორუმ: მიგიღია შენ ან შენს ოჯახს მონაწილეობა ოკულტურ რიტუალში, თუ კი როგორია მისი ხასიათი?

ინსაიდ: რიტუალს აქვს დანიშნულება, რაც უმრავლესობისათვის გაუგებარია. რიტუალი ემსახურება უმაღლეს არსებებთან კავშირს, რომლებიც ამ ყოფის გეგმას ხელმძღვანელობენ.

ჩვენ ჩვენს სამუშაოს ვაკეთებთ.

ფორუმ: უნდა გითხრათ, რომ თქვენმა ღვთაებრივმა კანონმა კარგად «იხმარეთ» ეს პლანეტა და მისი მოსახლეობა!

ინსაიდ: შენი ტიპის მორწმუნეები ვერ ხვდებიან, რომ ეს თქვენ თვითონ გააკეთეთ და არავინ აკეთებს ამას თქვენს გარდა.

სხვათაშორის, რაც ახლა დაწერე, ამით გაიხანგრძლივე დედამიწაზე ყოფნა კიდევ ერთი დაბადებით... ვიზიარებ მწუხარებას.

*

კითხვებს უსვამენ და ეს აღარ პასუხობს მერე ისევ უმეორებენ ერთი და იგივეს: ბილ გეითსი შენზე მაგარი თუ არის, არაბი ხარ თუ სადაური, ნატაშა ვინ არის, დედოფალ ელიზაბეტზე რას იტყვი? ... ინსაიდერი ეუბნება, ჩამოაყალიბეთ წესიერად, რაც გაინტერესებთ და სისულელეებზე არ ვპასუხობ, ხოლო თუ გაინტერესებთ ცნობილი სახეების შესახებ, ისინი ელიტარულ ოჯახს არ ეკუთვნიანო. ხოლო ჩემს რასას მნიშვნელობა არ აქვს, ეს არაფერს ნიშნავს.

ფორუმ: როგორ მუშაობს ვიზუალიზაცია?

ინსაიდ: ის მუშაობს ყველასთვის. საჭიროა განსაზღვრულ დონეზე ასვლა პირად განვითარებაში. ეს ნიშნავს, ცხოვრობდე მკაცრი წესებით ყველაფერთან მიმართებაში, რასაც აკეთებ ცხოვრებაში, წვრილმანებშიც კი. ადამიანთა უმეტესობას არ გააჩნია არც დისციპლინა, არც თავშეკავება, რომ ამ დონეს მიაღწიოს. ზოგიერთები აქ ამტკიცებენ, რომ ეს შეუძლიათ, მაგრამ მე ვიცი სავარაუდოდ, მიუხედავად იმისა რომ წარმოდგენა არ მაქვს მათი ცხოვრების შესახებ, ისინი ძალიან შორს არიან ამისგან, ვიდრე მათ გონიათ.

«ვიზუალიზაცია» მუშაობს, იმიტომ რომ ეს — არსებითი საშუალებაა, რომ შექმნა ამ მატერიალურ სამყაროში.

სამყარო — ცოცხალი არსია, რომელიც იყენებს თავის გონებას, რომ შექმნას, მის მიერ შექმნილს, შეუძლია ფლობდეს ასეთივე ძალას.

ფორუმ: ვინ იყენებს აიკას? (დევიდ აიკი «შეთქმულების თეორიის» ავტორი) და რატომ?

ინსაიდ: აიკმა იცის სიმართლის არსი და ცდილობს მის გადმოცემას. თუმცა ის ვერ ხვდება, რომ სინამდვილეში ეს მის წინააღმდეგ მუშაობს.

რეპტილიური ხაზის შესახებ ინფორმაცია მას მიაწოდა «ოჯახის» ადამიანმა. 7-8 თვის განმავლობაში მას ბომბავდნენ «მსხვერპლით», რომლებმაც დაინახეს ტრანსფორმაციები, სატნური რიტუალები და ა.შ. ასე რომ მას არ შეეძლო არ დაეჯერებინა ეს. ზოგჯერ «თვითმხილველებს» უგზავნიდნენ დღეში რამოდენიმეჯერ. სხვებს აიკის მსგავსად (ასეთები იმაზე მეტია, ვიდრე თქვენ გგონიათ) კვებავდნენ მსგავსი ისტორიებით.

მე ნამდვილად არა ვარ რეპტილია.

ფორუმ: გამარჯობა ინსაიდერ!

თქვენ ღვთაებრივი საძმოს წევრი ხართ? თქვენ — «მე» ხართ? ის ხართ, ვინც მართავს მატრიცას?

ცნობისმოყვარე გონებას სურს იცოდეს, მოვლენებით დაბნეული ვარ. თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ გვძულხართ, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გძულდეს ღვთაებრივი სამყაროს წარმომადგენელი არსება! შემდეგ თქვენ წარმოადგენთ «ელიტური ოჯახის ხაზს» დედამიწაზე, მაგრამ რა ვუყოთ სულების სამყაროს? ისევ დავიბენი. შეგიძლიათ ახსნათ? უბრალოდ რას წარმოადგენს ელიტა, რომელიც როგორც თქვენ ამბობთ, გვძულს, და რომელმაც როგორც ჩანს, იცის ყველა «საიდუმლოებები»?

ინსაიდ: თქვენ დაბნეული ხართ იმის გამო, რომ სხვა ვერსიები მიიღეთ როგორც «სიმართლე» და გეგონათ რომ გქონდათ სამყაროს ერთიანი სურათი, მაგრამ იმან, რაც მე ვთქვი, გააქარწყლა მაგის დიდი ნაწილი.

«ოჯახთან» დაკავშირებით არსებობს რაღაც გაუგებრობები... და აქ დასმული შეკითხვები ამას ადასტურებს. მაგრამ ამას აქვს მიზეზი და ეს ემსახურება გარკვეულ მიზანს.

ჩვენ ამ სამყაროთი იმაზე მეტად არ ვმანიპულირებთ, ვიდრე დაშვებულია ღვთაებრივი კანონით. ჩვენ გაძლევთ ინსტრუმენტებს, ხოლო თუ როგორ გამოიყენებთ მათ ეს თქვენი საქმეა. ინსტრუმენტი შესაძლოა გამოიყენო ბოროტად, მაგრამ არავინ გაიძულებთ მათ ასეთ გამოყენებას... თქვენ თავად ირჩევთ. ამიტომ იმის შეძულება, ვინც ინსტრუმენტები მოგაწოდათ, და რომელსაც საკუთარი ნებით იყენებთ, რომ «შესცოდოთ», ეს იგივეა რომ შენიღბოთ საკუთარი კვალი.

თქვენ იმას იღებთ, რაც დაიმსახურეთ. ასე მუშაობს ეს სამყარო.

ჩვენ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, იმავეს აკეთებთ თქვენც.

არის ძველი ანდაზა... რომელიც არ წერია საჯარო წერილებში: ეშმაკმა არ იცის, რომ ის ეშმაკია — ის ფიქრობს, რომ ის ღმერთია.

ალბათ. სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს რომ ხალხი ეთაყვანება «ბოროტებას», და ფიქრობენ, რომ «კეთილს» ემსახურებიან.

«შენ ვერ ხვდები სინამდვილეში, რას წარმოადგენს ეს სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ».

XXI საუკუნის თაობა

(შეხვედრა უჩვეულო ახალგაზრდასთან)[1]

გიორგი 2011 წელს ეზოთერული ცოდნის ფორუმის (http://esoteric.ge/forum/index.php) საშუალებით გავიცანი. მაშინ სულ რაღაც 16 წლის ბიჭი იყო, თუმცა, თანატოლებს არ ჰგავდა. ისეთი საკითხები აინტერესებდა, რაც მის ასაკში იშვიათობაა. საუბრობდა ენერგეტიკაზე, ადამიანის აურაზე, ტელეკინეზზე. ეს არ იყო მხოლოდ თეორიული ცოდნა. მაშინვე შეატყობდით, რომ იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე ამჟღავნებდა. შეიძლება ამის მიზეზი იყო ის, რომ ლაპარაკი არ უყვარდა, მოსმენა ერჩივნა. რამდენიმე თვის შემდეგ შემთხვევით გავიგე, რომ გიორგი უნიკალურ უნარებს ფლობს.

თუ რა ფენომენთან გვაქვს საქმე, დღეს ბლოგის მკითხველები თავად გიორგისგან შეიტყობენ.

გიორგი, მოდი, მოკლედ გააცანი მკითხველს რა უნარები გაქვს და რაში იყენებ.

— მე აღვიქვამ ადამიანის აურას. ვხედავ შინაგანი ორგანოების ფერს და ამის მიხედვით შემიძლია დავადგინო ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

როდის მიხვდი, რომ სხვებისგან განსხვავდებოდი?

— როცა ადამიანს ვუყურებდი, ვხედავდი ფერებს და მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ სხვები ამას ვერ ხედავდნენ. ხშირად, ამის გამო ვერ მიგებდნენ. როცა მეგობრებს ვეუბნებოდი, რომ მათ გარშემო ჩანდა ფერები, ამას ჩემს ფანტაზიად თვლიდნენ ან ეგონათ, რომ ფსიქიკური დარღვევა მქონდა.

უფრო კონკრეტულად, როგორ აღიქვამ დაავადებულ ორგანოს? მაგალითად, თუ ადამიანს სიმსივნური დაავადება აქვს.

— მე ვიცი ჯანმრთელი ადამიანის ორგანოების ფერი. სწორედ ამის მიხედვით შემიძლია განვსაზღვრო. მაგალითად, თუ ადამიანის ფილტვს

[1] ესაუბრება: old_man.

ნაცრისფრად ვხედავ, ეს იმის მაუწყებელია, რომ ამ ორგანოზე სიმსივნური დაავადება სჭირს.

მაგრამ ფილტვზე თუ სხვა სახის დაავადება აწუხებს, მაშინაც ნაცრისფერი იქნება?

— არა. ყველა დაავადებას თავისი კონკრეტული ფერი აქვს და ფერთა ტონალობაც ავადმყოფობის სტადიების მიხედვით იცვლება.

ისეთი შემთხვევა გქონია, რომ შენი დიაგნოზი არ გამართლებულა?

— მე შეიძლება დავინახო, რომ ადამიანს რომელიმე ორგანო წესრიგში არ აქვს და ამის შესახებ ვუთხრა. თუმცა, მან შეიძლება მიპასუხოს, რომ არ აწუხებს და არც არასოდეს შეუწუხებია. უბრალოდ, იმ პერიოდში ფიზიკურ დონეზე სიმპტომები ჯერ არ აღენიშნება, შეიძლება არც ანალიზებში გამოჩნდეს რამე, მაგრამ ენერგეტიკულ დონეზე ვხედავ, რომ პროცესი დაწყებულია და შეიძლება ავადმყოფობა რამდენიმე წლის შემდეგ გამოუვლინდეს. ამიტომ ჩემს ნათქვამს ყურადღება უნდა მიაქციოს.

გამოდის, რომ შეგიძლია დიაგნოსტირება. მკურნალობ კიდეც?

— ვმკურნალობ, მაგრამ იშვიათად.

რატომ?

— ასაკიდან გამომდინარე, ზოგი სკეპტიკურად მიყურებს. პაციენტები მეტწილად ჩემი მეგობრები და ახლობლები არიან. თუ ჩემთან უცხო ადამიანები მოდიან, მიწევს ერთი და იგივე დამღლელ კითხვებზე პასუხის გაცემა. შეიძლება ითქვას, მცდიან. ხოლო, როცა ზუსტად ვეუბნები ინფორმაციას მათი ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, გაოგნებული რჩებიან.

მკურნალობისას რა მეთოდებს იყენებ?

— მართალი გითხრათ, მკურნალობის მეთოდები საფუძვლიანად შესწავლილი არ მაქვს, თითქოს ბუნებრივად ვიცი. ვმკურნალობ აკუპუნქტურულ წერტილებზე ზემოქმედებით. ასევე, ვიყენებ რეიკის სამკურნალო სისტემას.

გიორგი, ხარ 18 წლის სიმპათიური ბიჭი, დიდ ცხოვრებას ახლა იწყებ. როგორ ფიქრობ, ხომ არ არსებობს იმის საშიშროება, რომ სხვა ტიპისგატაცებებმა და მისწრაფებებმა შენი უნარების რეალიზაციას გარკვეულწილად ხელი შეუშალოს? თუ გიფიქრია ამაზე?

— მართალი გითხრათ, არ მიფიქრია. ბოლომდე ჩამოყალიბებული არ ვარ და ზუსტად ვერ გეტყვით რა მინდა და რა მისია მაქვს ამ ცხოვრებაში.

ცხოვრებაში სხვა რა ინტერესები გაქვს?

— მე არ ვთვლი, რომ ვინმესგან რამით გამოვირჩევი. ჩვეულებრივი ბიჭი ვარ. მიყვარს მეგობრებთან ერთად გართობა, მუსიკა და არც საწინააღმდეგო სქესის მიმართ ვარ გულგრილი.

დიდი მადლობა, გიორგი. გისურვებ წარმატებებს!

— მადლობა თქვენ. იმედია, კითხვებს ამომწურავად გავეცი პასუხი და ბლოგის მკითხველიც კმაყოფილი დარჩება.

ჩვენი ბლოგის მკითხველებს კი გეტყვით, რომ მომავალშიც არაერთ საინტერესო ადამიანს შევხვდებით.

Narilla

ინდიგო და კრისტალური ბავშვები — მსგავსება და განსხვავება!

ინდიგო ბავშვი არის ისეთი ბიჭი ან გოგო, რომელშიც ვლინდება ახალი და უჩვეულოფსიქოლოგიური თვისებები, ყოფაქცევის ნიმუში — საზოგადოდ, აქამდე რომ არ ყოფილადადასტურებული. ამ მოდელის საოცრად უნიკალური ფაქტორი მოუწოდებს მშობლებსა დამასწავლებლებს, რომ შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება და აღზრდა ასეთი ბავშვების მიმართ,რათა დაეხმარონ მათ ცხოვრებაში ბალანსისა და ჰარმონიის მიღწევაში და თავიდან აცილონიმედგაცრუება.

ლი ქეროლი & იან ტობერი

ინდიგო ბავშვები ევლინებიან დედამიწას ბოლო 100 წლის განმავლობაში. ადრეული ინდიგოები იყვნენ პიონერები და გზის მჩვენებლები. II მსოფლიო ომის შემდეგ, ინდიგოების მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი რაოდენობა დაიბადა. როგორც არ უნდა იყოს, მათი დაბადების შემთხვევები იყო ძალზედ იშვიათი და არა ისეთი ხშირი, როგორიც ეს 1990-იან წლებში და ამის შემდგომ შეინიშნებოდა. ყოველ შემთხვევაში, 2000-იანი წლების შემდეგ და დღეისათვის ინდიგოების გასაოცრად დიდი რაოდენობა იბადება და იბადებიან უფრო მეტად განვითარებული შესაძლებლობებითა და გაზრდილი ტექნოლოგიური და შემოქმედებითი გამოცდილებით.

ინდიგო ბავშვები ყოველდღიურად ევლინებიან ამ სამყაროს. ისინი არიან საკმაოდ ძალმოსილნი და მიზნად ისახავენ იყვნენ სხვათა გიდები, რათა შევიდეთ ცნობიერების ახალ ერაში, როგორც უწოდებენ «ახალ ოქროს ეპოქაში».

ინდიგოს ჯგუფი შედგება უფრო მოზრდილებისგან 7-დან 30 წლამდე[1], რომლებიც, საბოლოო ჯამში, ერთიანდებიან «ინდიგო ბავშვების» სახელწოდებაში. ისინი ვერ შეესაბამებიან საერთო სიტუაციას ისეთ ადგილებში, როგორიცაა სახლი, სკოლა და სამსახური. ინდიგოები არიან აქ, რათა დაარღვიონ საზღვრები, რელიგიური, საგანმანათლებლო და სხვა სახის ლეგალური სისტემები, რომლებიც მიზანსა და მთლიანობას მოკლებულნი არიან. იმისათვის, რომ განახორციელონ ეს, ისინი დაჯილდოებულნი არიან ტემპერამენტით, სიმამაცითა და გამბედაობით.

ის მოზარდები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს და რომლებიც საერთო ფასეულობებთან შესაბამისობაში არიან, შესაძლოა ვერ უგებდნენ ინდიგოებს. ამ უკანასკნელთ ხშირად უსვამენ ფსიქოლოგიურ დიაგნოზს, რომელსაც მეცნიერები უწოდებენ ყურადღების დეფიციტს ჰიპერაქტიური მოშლილობის ფონზე (Attention Deficit with Hiperactivity Disorder (ADHD), ანუ ყურადღების ნაკლებობას (Attention Deficit Diorder (ADD). სამწუხაროა, როდესაც ისინი იძულებულნი არიან მედიკამენტები მიიღონ, რის შედეგადაც ხშირად იტანჯებიან ტრავმებით, რადგან, სინამდვილეში, ისინი დაბადებულნი არიან მსუბუქი ფორმის სტრესული მოშლილობებით. მათი პიროვნულობა სისტემატიურად იმარხება მედიკამენტებისა და ხანდახან რელიგიის ქვეშაც.

ინდიგო ბავშვებს შეუძლიათ იგრძნონ არაკეთილგანწყობა, როგორც ძაღლებს გააჩნიათ საფრთხის განცდა. ინდიგოებმა იციან როდის ატყუებენ, როდის მზრუნველობენ და როდის მანიპულირებენ. ამ კოლეტივის დანიშნულებაა წარგვიძღვნენ ახალ სამყაროსთან ინტეგრაციისკენ.

ინდიგოები ხშირად ვარდებიან წინააღმდეგობაში თავიანთ მშობლებთან, უმეტესად კი მამასთან მიმართებაში; ისინი გრძნობენ უზარმაზარ დაპირისპირებას მამის მხრიდანაც და საერთოდ, ოჯახის მამრობითი წარმომადგენლების მხრიდან, განსაკუთრებული რეაგირება აქვთ ოჯახის უფროსის ნერვულ აშლილობებსა და შესაბამისად, კონფლიქტებზე. ინდიგოები ზრუნავენ იმაზე, რომ გაუგონ ადამიანებს, თუმცა მიუხედავად ამისა, მათსავე ბუნებაშია ტენდენცია, რაც წარმოქმნის გათიშულობას მათსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც მიიჩნევენ «არათავისიანებად». ინდიგოები როდესაც თავს შემოჭილად და შეზღუდულად გრძნობენ, ხშირად ამჯობინებენ, რომ გაწყვიტონ ურთიერთობა მათზე ძალაუფლების მქონე პირებთან, ხშირად თავიანთი ცხოვრების სადავეებს თვითონვე იღებენ ხელში, მიდიან სახლიდან, პოულობენ თავიანთ გზას, იმის მიუხედავად, იწონებენ თუ არა მათ საქციელს, თუ ცხოვრების წესს.

ინდიგო ბავშვები დაბადებიდანვე განიცდიან რაღაც დანაკლისს და ერთგვარი კავშირის არქონას მამასთან, აშკარა უგულვებელყოფას ბიოლოგიური მამისას. მათ ხშირად უჩნდებათ დიდი სურვილი იმისა, რომ ჰყავდეთ ძლიერი ხელმძღვანელი. ისინი საჭიროებენ მაგალითს ხალხიდან და ყველაზე მეტად ისინი ითხოვენ პატივისცემას სამყაროსგან.

[1] ეს მონაცემი არის პირობითი იმის გათვალისწინებით, რომ დროში ცვალებადია.

იმის გამო, რომ ინდიგოები განიცდიან კეთილშობილური ავტორიტეტის ნაკლებობას, დიდი მისწრაფება აქვთ ჩაებღაუჭონ ძალაუფლების მქონე ისტორიულ პიროვნებებს, უფრო ხშირად კი დიქტატორებს. ინდიგოებს დიდად ხიბლავთ ისეთი ხალხი, როგორნიც არიან ნერუ, მუსოლინი, ჰიტლერი, ფრანკო; ასევე იზიდავთ ძველი ცივილიზაციები, რომის იმპერატორები, ძველი მეფეები, სხვადასხვა ხალხთა მითოლოგიები და ძველი დროის გმირები, ანუ ისეთი ადამიანი, რომელიც დიდ ძალას/ძალაუფლებას ფლობდა.

რა განსხვავება არსებობს ინდიგო და კრისტალურ ბავშვებს შორის?

ინდიგო და კრისტალური ბავშვები ქმნიან ორ ჯგუფს; პირველნი არიან ისინი, რომლებიც ინდიგოებად დაიბადნენ და ამჟამად, ასრულებენ თავიანთ ტრანსმისიას კრისტალურ ფაზაში გადასასვლელად. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი გაივლიან სერიოზულ სულიერ და ფიზიკურ ტრანსფორმაციას უკვე სქესობრივი მომწიფების პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესი გააღვიძებს მათ «კრისტალურობას» მათსავე ცნობიერებაში და ამგვარი ზემოქმედებით ისინი დაუკავშირდებიან ევოლუციურ ტალღას, ე. წ. «ადამიან-ანგელოზებს».

მეორე ჯგუფი კი შედგება იმ ინდივიდებისაგან, რომლებიც დაიბადნენ ინდიგოს თვისებების გარეშე, მაგრამ შეიძინეს კრისტალური ცნობიერება თავიანთი შრომისმოყვარეობითა და გულმოდგინებით, რომელიც მიმართეს, განსაკუთრებით, სულიერი წინსვლისკენ. ეს ადამიანები არასწორად აღიქმებიან და ხშირ შემთხვევაში, გაუგებარნი რჩებიან გარშემომყოფთა მხრიდან,

უმთავრესად კი ამაში იგულისხმება მათი ქცევები საზოგადოებაში, სკოლის გარემო-პირობებსა და სხვა ხალხმრავალ ადგილებში. მათ ხშირად უსვამენ ADD-ის (Attention Deficit Disorder) დიაგნოზს ან სხვა სახის ფსიქოლოგიურ შიზოფრენიასა თუ მძიმე დეპრესიას.

ტერმინები «ინდიგო» და «კრისტალი» გაჩნდა ამ ორი თაობის აღსანიშნავად, რომ ამით მოეხდინათ მათი აურის ფერისა და ენერგიის დეტალიზება. ინდიგო ბავშვებს აქვთ ძალზე ბევრი ინდიგო-ლურჯი თავიანთ აურაში. ეს არის «მესამე თვალის ჩაკრის» ფერი, რომელიც წარმოადგენს ენერგო-ცენტრს განთავსებულს შუბლთან, ზუსტად, თვალებს (წარბებს) შორის და რომელსაც ეწოდება აჯნა, რიგით მეექვსე ჩაკრა. კრისტალური ბავშვების უმრავლესობას კი აქვს ოპალისფერი აურა, თავისი უმშვენიერესი მრავალფეროვნებით პასტელის ტონებში.

ინდიგოებს ბევრი საერთო ნიშან-თვისება აქვთ კრისტალურ ბავშვებთან. ორივე თაობა ავლენს მაღალმგრძნობელობასა და ინტუიციას. რაც არ უნდა იყოს, ისინი მაინც არ არიან იდენტურნი; ინდიგო მიდრეკილია, რომ ჰქონდეს მეამბოხე სული და მძიმე ტემპერამენტი, ხშირად ჯანყდებიან, განსხვავებით კრისტალებისგან.

რა ვიცით ინდიგო, კრისტალურ, ბავშვებზე?[1]

1. აქვთ თავიანთი გამოკვეთილი ცხოვრებისეული მისია, მაგრამ ამავე დროს გრძნობენ, რომ სამყარო არაა მოწყობილი მათი გემოვნების შესაბამისად —ისინი იწუნებენ მას.
2. არიან მაღალი ცნობიერების მატარებელნი და აქვთ ისეთი ცოდნა, რაც მათ ასაკთან შედარებით, როგორც წესი, შეუსაბამოა.
3. გამოხატავენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას მსოფლიოში გავრცელებული და დოგმატური რელიგიების — ქრისტიანობის, იუდაიზმისა და ისლამის — მიმართ.
4. აქვთ სიძნელეები წესრიგთან დაკავშირებით, ან კანონმორჩილ საზოგადოებასთან.
5. აღიქვამენ სამყაროს სხვაგვარად, ვიდრე ამას აკეთებს, ჩვეულებრივ, ადამიანთა უმრავლესობა.
6. აქვთ ძლიერი ინტუიცია.
7. არიან ტელეპატიურნი.
8. კარგად ერკვევიან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში.
9. აქვთ უფროსობის/აღმატებულობის/ზედამხედველობის შეგრძნება.
10. ბუნებით არიან მაძიებელნი (ეძებენ პირს, რომელიც იქნება ავტორიტეტი).
11. აქვთ შეგრძნება იმისა, რომ დაიბადნენ, რათა განახორციელონ თავიანთი ცხოვრებისეული მისია და მიაღწიონ წარმატებას.

[1] ბევრი რამ ჩემი დაკვირვების შედეგად მაქვს დამატებული პუნქტების სახით უკვე საზოგადოდ არსებულ ინფორმაციაზე.

12. თავს გრძნობენ იზოლირებულად და მარტოდ თავიანთ წარმოდგენასა თუ რწმენაში.
13. თავს გრძნობენ ძალზედ ჩაკეტილებად თავიანთ ბიოლოგიურ მშობლებთან და მეგობართანაც კი.
14. იციან ჯდომა ლოტოსის პოზაში (ან იოგის სხვა რომელიმე პოზაში) ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში.
15. თავს გრძნობენ ანტისოციალურ არსებებად.
16. არიან ძალზედ მგრძნობიარენი მაშინაც კი, თუ გარეგნულად არ ემჩნევათ ეს.
17. ჰქონდათ/აქვთ მძიმე ბავშვობა.
18. არიან ვეგეტარიანელები ან ამცირებენ ხორცის შემცველობას თავიანთ რაციონში.
19. მათ ყურადღებას იქცევს სახელი ლუციფერი (აქვთ უდიდესი ემოციონალური შეგრძნება, როდესაც ეს სახელი ესმით, ან ამბობენ).
20. ხშირად ხედავენ ნათელ სიზმრებს.
21. მეტწილად გამოირჩევიან დიდი, ფართო და ღია ფერის თვალებით, ხშირად გიჟური გამოხედვითაც კი.
22. აქვთ განსხვავებული გარეგნობა, შეიძლება ახასიათებდეთ კრისტალის მსგავსი სილამაზე და კლდეების მაგვარი სისადავე.
23. ისინი ხშირად იჭერენ საკუთარ თავს იმაში, რომ არიან უმიზეზოდ აგრესიულნი, ან სასოწარკვეთილნი/გაუწონასწორებელი სულიერი განწყობილება აქვთ.
24. აქვთ კარგი გემოვნება და აფასებენ ხარისხს.
25. ახასიათებთ რკინისებრი ნებისყოფა.
26. ძლიერი ხასიათისანი არიან, გამბედავნი და შეუპოვარნი.
27. იზიდავთ ძველი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციები, როგორიცაა შუამდინარული (შუმერულ-ასურულ-ბაბილონური), ეგვიპტური, ინდური, ჩინური, იაპონური და ანტიკური (ძველი ბერძნული/რომაული) ცივილიზაციები და სხვ.
28. იზიდავთ ისეთი ადამიანები ან არქეტიპები, რომელთაც ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვეს ან უარყოფით პიროვნებებად ითვლებიან. მაგალითად, სატანა, ალექსანდრე მაკედონელი, ვლად დრაკულა, ადოლფ ჰიტლერი, მაჰათმა განდი და სხვ.
29. არიან შემოქმედნი, არტისტულნი და მარალინტელექტუალურნი.
30. ლაპარაკობენ თავიანთ წარსულ ცხოვრებაზე, როცა იყვნენ პატარები, მაგრამ გაიზარდნენ და ამის შესახებ ავიწყდებათ.
31. ხშირ შემთხვევაში, მათი ფიზიკური მონაცემები არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, ინდიგო ბიჭია, გოგო, მოზარდი, თუ ბავშვი...
32. ხშირ შემთხვევაში ლაპარაკს სწავლობენ საკმაოდ გვიან და მიზეზი ამისა, არის უსიტყვო კომუნიკაციისადმი მიდრეკილება.
33. ემალებიან ხალხს ადრეულ ასაკში 1-4 წლამდე.

ოლეგ ბოკაჩოვი

სისტემა[1]

სისტემა — ესაა ის, რაც გამოვლენაში და გაძლიერებაში ეხმარება რაღაც არსს. სისტემა არ ბადებს არსს, არამედ მხოლოდ ავლენს, აღნიშნავს და ემსახურება მას.

თუ ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს დავუსვამთ კითხვას — შეუძლია თუ არა რომელიმე კოლექტივს მართავდეს არა ვინმე კონკრეტულად, არამედ სისტემა? იგი გიპასუხებთ, რომ ეს შეუძებელია, რადგანაც სისტემა — ეს მხოლოდ მართვის ინსტრუმენტია და არა მმართველი. თავისთავად სისტემას არ შეუძლია მართოს, იგი ყოველთვის მეორადია იმასთან მიმართებაში, ვინც შექმნა მართვისთვის, ვინც ინარჩუნებს და სულს შთაბერავს. ავტომობილი არ დადის მძღოლის გარეშე. ფირმა არ მუშაობს მეპატრინის გარეშე. ჩვენი სხეული არ ცხოვრობს სულის გარეშე.

მინდა მივულოცო დედამიწის მაცხოვრებლებს. ჩვენ წარმატებულად მოვახდინეთ რეალიზაცია და ახლა ვიმეორებთ და ვამყარებთ საკუთარ თავზე იმ ექსპერიმენტის შედეგს, რომელშიც მივაღწიეთ იმას, რომ სისტემა გვმართავდეს.

ჩვენ საკუთარი შიშის ხაფანგში მოვექეცით — შიშის, რომ ვინმე გვმართავდეს. შედეგად ჩვენ გმართავს «არავინ», ცარიელი ადგილი.

პირველ რიგში ჩვენ უარი ვთქვით იმაზე, რომ გვმართავდეს ძალა, რომელიც არსებობას გვაძლევს. ამას ადვილად მივაღწიეთ — უბრალოდ უარი ვთქვით მისი ჩვენს ცხოვრებაში ცხადი არსებობის დაჯერებაზე. დავიწყეთ ფიქრი, რომ ამ ძალის გარეშე გავიტანდით თავს და მეცნიერების, კულტურის, განათლების,

[1] მთარგმნელი: Atman.

საზოგადოების, კანონის და საკუთარი თავის გარეთ გამოვაცხადეთ იგი. ამგვარად ჩვენ თითქოს განვაცხადეთ: «არ არსებობს არანაირი ძალა, რომელიც არსებობას გვაძლევს. ჩვენ თავად ვაძლევთ მას საკუთარ თავს იმით, რომ ვიკვებებით, გარედან ჩვენი ნეირონების სხვადასხვა გამღიზიანებლებს აღვიქვამთ. შედეგად ჩვენმა ნერვულმა სისტემამ ჩვენში დაბადა ილუზია, რომ არსებობს რაღაც პიროვნებისმაგვარი, ან სულისმაგვარი, რომელიც სხეულთან მიმართებაში რა თქმა უნდა არარეალურია». ღმერთი უკანონო მმართველად გამოცხადდა. ან არსებობს კი იგი საერთოდ? მატერია ნამდვილად არსებობს, მაგრამ ღმერთის არსებობა ჯერ კიდევ დასამტკიცებელია. და ვინ დაიწყებს ამის მტკიცებას? რა თქმა უნდა მატერიალისტები — ისინი ვინც ღმერთს უარყოფენ. ისინი ზუსტად დაამტკიცებენ არსებობს თუ არა იგი. ამაში შეგვიძლია ეჭვიც არ შეგვეპაროს. და თუ ღმერთი არ არსებობს ჩვენ თვითონ შეგვიძლია საკუთარი ცხოვრების მართვა. ასე გაჩნდა იდეა — «ჩვენ თვითონ შეგვიძლია». თვითმართვადი სისტემა, სადაც ღმერთის ადგილი არაა.

ცნება «ჩვენ» — მრავლობითია. «ჩვენ» — ეს სისტემის ელემენტებია. სისტემის წინაშე ჩვენ თანასწორნი ვართ. «ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ!» — გაიჟღერა ვიღაცის ლოზუნგმა. მინდა ვკითხო ამ ადამიანს, ვინც ეს პირველად თქვა: ნუთუ ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ?

როგორც არ უნდა ვარწმუნებდე საკუთარ თავს, მიჭირს დაჯერება, რომ სხვისი ტოლი ვარ. ჩვენ ვცხოვრობთ სიცოცხლის მრავალფეროვანი ფორმების სამყაროში. ადამიანებიც კი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. არც ერთი არ ჰგავს მეორეს. ყველანი ძალიან განსხვავებულნი ვართ. სწორედ ამაშია ცხოვრების მრავალფეროვნების სიხარული, განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობის ბედნიერება.

უარი ვთქვით რა ადამიანების აშკარა განსხვავებულობაზე, ჩვენ გამოვაცხადეთ «**ძმობა და თანასწორობა**», მაგრამ არ გვითქვამს, რომ განვსხვავდებით, და თანასწორნი ვართ მხოლოდ სისტემის წინაშე, ან ღმერთის წინაშე. მაგრამ რადგანაც ღმერთი არ არსებობს, რჩება სისტემა — ჩვენი ღმერთი. ღმერთის წარმომადგენელი დედამიწაზე შესაბამისად უნდა მოვაშოროთ. არ არსებობს ღმერთი და არ არსებობს მისი წარმომადგენელი. მიგვიფურთხებია ძველი გვარებისთვის, რომლებიც რწმენით და სიმართლით ემსახურებოდნენ ღმერთს. ყველა **თანასწორი** უნდა იყოს.

შესაბამისად, ვინ იქნება მმართველი, თუკი ყველანი თანასწორნი ვართ?

თანასწორებს შორის ვერავინ იქნება უკეთესი ან უარესი, მაღალი ან დაბალი. ე.ი. უნდა შემოვიღოთ მთელი ხალხის მმართველობა, რათა მართოს ყველამ და ყველა პასუხს აგებდეს ყველაფერზე. მაშინ ხმა მივცეთ და ავირჩიოთ ერთი ადამიანი, რომელიც გვმართავს, და ამავე დროს დავემორჩილებით მას. რა კარგი და ჭკვიანური იდეაა — «ყველასთვის ავირჩიოთ ერთი მსახური, რომელიც ყველაფერს მართავს». ამ იდეის «გონივრულობისგან» აღფრთოვანებული ვარ. მაგრამ არც თუ ისე გასაგებია — ეს რჩეული გვმართავს თუ გვემსახურება? თუ გვმართავს, მაშინ რით განსხვავდება მეფისგან? ალბათ მხოლოდ იმით, რომ არ

განაცხადებს — მეფე ვარო და არ იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ მმართველობაზე. ხოლო თუ გვემსახურება, მაშინ როგორ ემსახურება ყველას ერთად? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ყველას ერთი მსახური გვყავს. ანუ ერთი მსახური ემსახურება არათუ ორ ბატონს, არამედ მრავალს. მაგალითად, თუ მე მინდა, რომ ჩემმა მსახურმა ერთი საქმე გააკეთოს, ჩემს მეზობელს კი სხვა რაღაც უნდა, როგორ მოიქცევა ჩვენი საერთო მსახური?

შედეგად ჩვენ ავირჩიეთ «მმართველი», რომელიც ამბობს, რომ ჩვენი «მსახურია». პასუხისმგებლობას თავის მართვაზე არ იღებს, რადგანაც იგი მხოლოდ «მსახურია», და მას უბრალოდ არ შეუძლია ყველას ემსახუროს — რაც არ უნდა იყოს «მმართველია». მაგრამ მთელი აბსურდი იმაშია, რომ თუ ეს ჩემი «მსახური» არ აკეთებს იმას, რასაც ვეუბნები, ვერც კი გავაგდებ მას. და თუ იგი პასუხისმგებლობას არ იღებს ჩემზე მართვაში, მე ვერ ვანდობ მას საკუთარ თავს. ვერ გავაკეთებ იმას, რასაც მეტყვის.

ყოველი, ვინც ამას წაიკითხავს იტყვის: «მართალია, სწორედ ასეა ყველაფერი. დაე ჩვენმა მმართველებმა გადაწყვიტონ, ვინ არიან, მსახურები თუ მმართველები».

მაგრამ სინამდვილეში ეს კითხვა მიმართულია ყოველი ცნობიერი ადამიანისადმი: — მაშ, ვის ვემსახურებით? ან ვის ვმართავთ?

ეს ხომ ჩვენ გვინდა დემოკრატია — ხალხის მმართველობა. ეს ხომ ჩვენ გვინდა არჩევნებზე დეპუტატები და პრეზიდენტი. ეს ხომ ჩვენ ვმუშაობთ სისტემაზე, რომელშიც არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს. ეს ხომ ჩვენ მიგვყავს ჩვენი ბავშვები სკოლაში, სადაც არაფერს ასწავლიან გარდა იმისა, თუ როგორ იმუშაონ — როგორ იმუშაონ სისტემაზე, სადაც არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს. ეს ხომ ჩვენ მივდივართ ექიმებთან, რომლებიც აღარ იღებენ ჩვენზე პასუხისმგებლობას, თუკი მკურნალობის დროს ჯანდაცვის სისტემის ყველა ინსტრუქციას შეასრულებენ. გამოდის, რომ გვმკურნალობს არა ექიმი, არამედ ჯანდაცვის სისტემა. გამოდის, ჩვენს ბავშვებს ასწავლის არა მასწავლებელი, არამედ განათლების სისტემა. გამოდის, ქვეყანას მართავს არა მმართველი, არამედ სახელმწიფო სისტემა თავისი კონსტიტუციით.

მთელი თანამედროვე საზოგადოება სისტემით იმართება. ამის დაჯერება რთულია, მაგრამ ე ასეა.

სისტემა იმდენად ძლიერი გახდა, რომ მისი შეცვლა ცალკეული ქვეყნის პრეზიდენტსაც კი არ შეუძლია. პრეზიდენტი ხომ მსოფლიო სისტემას ემორჩილება. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაბედავს მსოფლიო სისტემის საწინააღმდეგოდ წასვლას. და არც უნდა ეს, უბრალოდ იმიტომ, რომ კომფორტულია სისტემაში ყოფნა. იგი გვაჭმევს და გვასმევს, გვაძლევს განათლებას და წამლებს, უზრუნველგვყოფს ფინანსებით და ენერგო-რესურსებით, უზრუნველყოფს ჩვენს დაცვას და გვპირდება სტაბილურობის გარანტიას. სისტემისადმი მსახურებამ ჩვენს მმართველად, ჩვენს ღმერთად აქცია იგი.

მაგრამ ვერც ერთი სისტემა ვერ იარსებებს ცოცხალი სულის გარეშე. ის, თუ როგორი სული მართავს სისტემას, შეგვიძია დავინახოთ ამ სისტემის თვისებებით,

როგორია მასშჳ ყველა ელემენტის (ადამიანების) ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი, რამდენად ჯანმრთელია ეს სისტემა, რამდენად ლამაზია, ჰარმონიულია, მშვიდობიანია. სისტემა — ეს ხომ რომელიღაც სულის სხეულია. ნათელი სული თავის გარშემო სინათლის სხეულს ქმნის. იქ, სადაც სინათლეა, ყოველთვის ჩანს მისი წყარო — მმართველი, რომელიც ამბობს: «მე ვაგებ პასუხს ყველაფერზე».

ჩვენი სისტემაც არსებობს, შესაბამისად მასაც აქვს სული. მაგრამ როგორი ბუნებისაა ეს სული? თუ იგი სინათლეა, მაშინ უნდა ვხედავდეთ იმას, ვინც იღებს პასუხისმგებლობას. თუ მას ვერ ვხედავთ, ე.ი. ეს სიბნელეა. სიბნელის წყაროს ვერავინ ვერ ხედავს. სიბნელის მმართველს ვერავინ დაინახავს. «ბნელი» — ამ სიტყვით შეგვიძლია შევცვალოთ სიტყვა «უმრავლესობა». როცა ბევრი (უმრავლესობა) იწყებს მართვას — რეალურად სიბნელეა მმართველი, რომელშიც **არავინ** იღებს საკუთარ თავზე მმართველობას. ჩვენი სისტემის ცენტრში იმყოფება დიადი სიცარიელე — ცარიელი ადგილი, რომელსაც ჩვენ ყველანი ვემსახურებით. ამ ცარიელ ადგილას პირობითად შეგვიძლია ნებისმიერი ადამიანი დავაყენოთ, მიუხედავად მისი სულიერი და მორალური თვისებებისა, რომელიც მხოლოდ ფორმალურად უნდა იყოს მმართველი, სინამდვილეში კი სისტემას, მის სტაბილურობას და საიმედოობას უნდა ემსახუროს. ადამიანები შეგვიძლია შევცვალოთ, სისტემა კი ურღვევი და უცვლელია. ამასთან სისტემისთვის სულ ერთია, ვინ შეავსებს მას — მამაკაცები თუ ქალები, ძლიერები თუ სუსტები, გონიერები თუ სულელები. მთავარია, რომ სისტემა შენარჩუნებული იყოს ცოცხალი ადამიანებით. რაც მეტია ჩართული სისტემაში, და რაც ნაკლებად იციან მათ ცხოვრების კანონების არსებობის, და არა სისტემის კანონების შესახებ,მით უფრო მნიშვნელოვნად და ძლიერად გრძნობს თავს სისტემა.

ცარიელ ადგილს თავისი დამხმარე ცარიელი ადგილები ჰყავს, მათ თავის მხრივ სხვა დამხმარე ცარიელი ადგილები, და ასე იზრდება სისტემა მრავალ ცარიელ ადგილად. ჩვენ მათ ვუწოდებთ «თანამდებობებს», ან «სამუშაო ადგილებს», ან «ვაკანსიებს». ყოველი ეს ცარიელი ადგილი ელოდება თავის თაყვანისმცემლებს, რომლებიც იცვლებიან და მთელი ძალით იბრძვიან, რომ საჭირო ცარიელ ადგილას მოხვდნენ, ცხოვრების მთავარ მიზნად თვლიან მას. ცარიელი ადგილი ხომ ძალაუფლებას, სიმდიდრეს, ძალას, შესაძლებლობებს და უფლებამოსილებებს იძლევა სისტემაში.

სისტემა განადიდებს თავის მნიშვნელობას და აკნინებს სულის, ანუ არსის ფასეულობას. ფორმის ძალა დომინანტი ხდება არსის ძალაზე. სხეული სულზე მნიშვნელოვანია, მატერია ღმერთზე მნიშვნელოვანია, პროფესია პროფესიონალზე მნიშვნელვანია, სახელმწიფო ხალხზე მნიშვნელოვანია, პასპორტი ადამიანზე მნიშვნელოვანია, ფული ადამიანურ ურთიერთობებზე უფრო მნიშვნელოვანია.

მმართველობა ცარიელია, ფული ცარიელია, განათლება ცარიელია, კულტურა ცარიელია, მსოფლმხედველობა ცარიელია, ადამიანები ცარიელნი არიან — აი შედეგი ცარიელი მოვლენის — სისტემის მმართველობისა.

ოლეგ ბოკაჩოვი

მამაკაცი და ქალი[1]



მამაკაცები და ქალები რატომ განსხვავდებიან ასე?

მგონი ჩვენ არ გადაგვიწყვიტავს, ვყოფილიყავით თუ არა განსხვავებულნი, ვყოფილიყავით თუ არა ორი სქესი დედამიწაზე. მამაკაცები და ქალები უბრალოდ არსებობენ. და რატომღაც არ არსებობს სამი ან ოთხი სქესი. ისინი მხოლოდ ორნი არიან. ჩვენი სამყაროს შემოქმედმა გადაწყვიტა ასე; მას უნდოდა, რომ განსხვავებულნი ვყოფილიყავით. ჩვენს განსხვავებულობაშია ჩვენი ძალა. მამაკაცის ძალა იმაშია, რაშიც ქალი სუსტია. ქალის ძალა იმაშია, რაშიც მამაკაცია სუსტი.

მამაკაცს და ქალს არ სურთ გაერთიანდნენ, რომ დანაკლისი ძალები შეავსონ ერთმანეთში და ერთიანობის ძალა მოიპოვონ. ეს ის ძალაა, საიდანაც გამოვლინდნენ მამაკაცური და ქალური ძალები და ისინი კვლავ ცდილობენ მის

[1] მთარგმნელი: Atman.

მოპოვებას. მასში ყველა ურთიერთწინააღმდეგობა ერთიანდება. ეს — შემოქმედის მდგომარეობაა. მამაკაცი და ქალი ცდილობენ შემოქმედის მდგომარეობა მოიპოვონ. ამისათვის თვითოეული მათგანი ცდილობს გაერთიანდეს მეორე ადამიანთან — იმ ძალის წარმომადგენელთან, რომელიც მას აკლია. ჩვენ ყველანი ძალისკენ მივიწევთ. რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ ცხოვრებაში, ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებთ, რომ უფრო ძლიერები გავხდეთ, ანუ ძალა მოვიპოვოთ. ჩვენ საკუთარ არსს სხვა არსებებს ვუერთდებთ, რათა მათ გაგვაძლიერონ. უფრო მეტად განსხვავებული (საწინააღმდეგო) არსებას საპირისპირო სქესის არსება წარმოადგენს. ანუ უფრო მეტად განსხვავებული ადამიანები საპირისპირო სქესისანი არიან. სხვა არჩევანი არ არის. შემოქმედმა ყოველი სქესისთვის მხოლოდ ერთი საწინააღმდეგო სქესი შექმნა. რაც უფრო მეტად განსხვავებული იქნება საპირისპირო სქესი, მით უფრო ძლიერი იქნება ურთიერთობები. ურთიერთობების ძალა სქესთა სხვაობაშია. რაც უფრო მეტად განსხვავდება მამაკაცი ქალისგან, მით უფრო მეტია მათ შორის კავშირი.

როგორ ჩნდებიან მამაკაცი და ქალი? საიდან ვლინდებიან ისინი?

თუკი ღრმად ჩავიხედავთ საკუთარ თავში, დავინახავთ, რომ მთელი ჩვენი არსებობა, ჩვენი ცნობიერების ფონზე მიმდინარეობს. ჩვენი ცნობიერებაა იმ ყველაფრის შემოქმედი, რაც ჩვენშია, ყველაფრის, რასაც სიცოცხლეს ვეძახით. პირველი შეგრძნება, რომელიც ჩვენი ცნობიერებისგან ჩნდება, არ ის შეგრძნება — «მე ვარ, მე ვარსებობ». თუ საკუთარ თავს ჩავუღრმავდებით, შეგვიძლია ვიგრძნოთ, რომ ჩვენი «მე» სადღაც ძალიან ღრმად, ცენტრშია, კონცენტრირებულია, ცოცხალია, ჩვენი არსებობის წყაროს წარმოადგენს, ცხელია, ძლიერია, მუდმივია, უნიკალურია, დიდებულია და ყველაზე მთავარია ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენს ცხოვრებას ჩვენი «მე»-ს გარშემო ვაწყობთ. იგი გვაძლევს არსებობის აზრს და შთაგვაგონებს, რომ უფრო და უფრო ძლიერი გავხადოთ იგი. თუ ღმერთი არსებობს, იგი ჩვენი «მე»-ს სიღრმეშია, როგორც ჩვენი მმართველი. ჩვენი «მე» მისი წარმომადგენელია აქ, დედამიწაზე. რა თქმა უნდა, ჩვენი «მე» — ეს თავად ღმერთი არაა. იგი ჩვენი «მე»-ს, ადამიანის არსია. ადამიანი უღრმავდება საკუთარ «მე»-ს ღმერთის შეცნობის სურვილით.

ჩვენი პირველი შეგრძნება, რომლის გარშემოც ვაგებთ ცხოვრებას, არის შეგრძნება «მე ვარ». მეორე ბუნებრივი შეგრძნება, რომელიც «მე»-დან მოდის — ესაა შეგრძნება «აღვიქვამ, ვგრძნობ». ჩვენი «მე» აღიქვამს, გრძნობს. ეს შეგრძნება «მე»-სგან პერიფერიაზე იმყოფება. იგი ეხმარება ჩვენს «მე-»ს რომ უკეთ იგრძნოს თავი. იგი მრავალმხრივია, ნატიფია, რბილია, ნაზად ახვევს გარს ჩვენს «მე»-ს მრავალ შეგრძნებას, ქმნის სასიამოვნო და რბილ გარსს. ამგვარად, თუკი დავაკვირდებით ნებისმიერ არსებულ მოვლენას, შევძლებთ დავინახოთ, რომ მას შინაგანი ცენტრი აქვს, ერთადერთი, ცენტრში განლაგებული, ამ მოვლენის წყარო. იქნება ეს ატომი, ცოცხალი უჯრედი, პლანეტა ან მზის სისტემა, ყოველ არსებულ მოვლენაში არის შინაგანი ცენტრი — ამ მოვლენის არსი. და არის ის, რაც ამ არსს გარშემო აკრავს. ელექტრონები ატომის ირგვლივ, ციტოპლაზმა უჯრედის ბირთვის ირგვლივ, პლანეტები მზის ირგვლივ. თუკი განვიხილავთ ჩვენს სხეულს, ასევე შეგვიძლია

დავინახოთ ცენტრალური სტრუქტურა — ხერხემალი, ძვლები, და პერიფერიული სტრუქტურები — სხეულის რბილი ნაწილები. ნებისმიერ მოვლენაში ჩვენ ვხედავთ ორი ფუნდამენტალური ძალის გამოვლინებას, რომლებიც ნებისმიერ არსებულ მოვლენაში მსგავსი თვისებებით ვლინდებიან. ცენტრში — რაღაც ერთია, კონცენტრირებული, ცხელი, სტაბილური, ძლიერი. პერიფერიაზე — რაღაც რბილია, მრავალფეროვანია, ცვალებადია, ერთიანი ცენტრისგან ზემოქმედების მიმღებია. უძველესი ბრძენები ამ ძალებს — სურიას (მზე) და ჩანდრას (მთვარე) უწოდებდნენ. იგივე ორი ძალა ვლინდება კაცობრიობაში — ორი სქესის სახით. მთელი სამყარო გამსჭვალულია ამ ორი ძალით. არავის ძალუძს ამ ძალების წინააღმდეგ წასვლა. სწორედ სურიას და ჩანდრას ძალები აძLევენ არსებობას და განვითარებას მთელ ჩვენს სამყაროს. ისინი, ვინც ამ ძალებს პატივს სცემენ, ყველა შესაძლებლობას იყეებენ. ხოლო ისინი, რომლებიც პატივს არ სცემენ მათ, თანდათანობით განიცდიან უკმარისობას, დათრგუნულობას, წარუმატებლობას, წინააღმდეგობებს და დარდს.

მამაკაცი და ქალი ყოველ ჩვენგანშია. მამაკაცი — ჩვენი «მეა». ქალი — ესაა ჩვენი «აღვიქვამ, ვგრძნობ». ისინი ჩვენს ცნობიერებაშI იმყოფებიან, განმსჭვალავენ ჩვენს პიროვნებას და ქმნიან ჩვენს ფიზიოლოგიას დამ თელ ჩვენ გარემოცვას. მამაკაცებში სურიას (მზის) ძალა უფრო ძლიერად ვლინდება, ქმნის უფრო ძლიერ სულს (Дух), და სხეულის უფრო მეტად ძლიერ ცენტრალურ სტრუქტურებს — ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ხერხემალს და ძვლებს. ქალებში ჩანდრას (მთვარის) ძალა უფრო ძლიერად ვლინდება, ქმნის რა უფრო რბილ პიროვნებას, მგრძნობიარეს და ინტუიტიურს, აძლევს უფრო რბილ და ფაქიზ სხეულს, რათა შეგრძნებები გაუძლიერდეს. შესაბამისად ჩვენში არსებობს იდეალური მამაკაცი და ქალი, რომლებსაც იდეალური ურთიერთობა აქვთ. ისინი ცდილობენ, რომ ჩვენი პიროვნების და ჩვენი ცხოვრების ყველა საფეხურზე გამოავლინონ თავი. მაგრამ ცხოვრების ყველაზე ზედაპირულ დონეზე — სოციუმის დონეზე, ჩვენ მოვახერხეთ, რომ დაგვეკარგა კავშირი ცხოვრების ამ ორ მთავარ ძალასთან, და ჩავიძირეთ რთულ კონცეფციებში იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური ურთიერთობები. ამაზე კამათს აზრი არა აქვს. საკმარისია დავაკვირდეთ ჩვენი სულის და ჩვენი სხეულის ურთიერთობას. ასეთივე უნდა იყოს მამაკაცის და ქალის ურთიერთობაც. თუ გვინდა, რომ ეს ურთიერთობები უფრო სრულყოფილი გავხადოთ, უნდა ვიცოდეთ, თუ სად ვეძებოთ სრულყოფილება. ჩვენი სული სურიას ძალის წარმომადგენელია, ჩვენი სხეული კი — ჩანდრას ძალის. შესაბამისად მამაკაცი სულის წარმომადგენელია, ხოლო ქალი სხეულის ფუნქციას იღებს თავის თავზე. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მამაკაცი ყველა ქალისთვის სულის წარმომადგენელია, ხოლო ყველა ქალი ყველა მამაკაცისთვის სხეულის წარმომადგენელი. მამაკაცი მხოლოდ თავისი ქალისთვის ასრულებს სულის როლს, ქალი კი მხოლოდ თავისი მამაკაცისთვის ასრულებს სხეულის ფუნქციას მათ ურთიერთობებში.

სადაც სული, იქაც სხეული. სხეული სულის გარეშე დაიშლება. სულს შეუძლია სხეულის გარეშე, რადგანაც ის თავად წარმოადგენს ღმერთის სხეულს.

ღმერთი ინდივიდუალური სულებით იმოსება, რათა საკუთარი თავი ჩვენს სამყაროში გამოავლინოს. სხვაგვარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი სული ჩვენი ცნობიერების სხეულია. სანამ ინდივიდუალურ სულშI ცნობიერება არსებობს, სული ყოველთვის იარსებებს. სანამ სხეულში სული არსებობს, სხეულიც იარსებებს. ქალისთვის ძნელია მამაკაცის გარეშე არსებობა, რადგანაც ის მისი სულია. იგი აძლევს მას არსებობის ძალას. თუ გვერდით მამაკაცი არ ჰყავს, ქალმა არ იცის რა აკეთოს, რისთვის არსებობს საერთოდ. თუ მამაკაცში სული არაა, მან არ იცის რა აკეთოს, რატომ არსებობს. მამაკაცი ღმერთთან (სურიასთან) მიმართებაში მიმღები მხარეა (ჩანდრაა). მამაკაცი თავის სულში იყურება ღმერთის პოვნის იმედით. ქალი თავის მამაკაცს უყურებს ღმერთის პოვნის იმედით. ორივე, ქალიც და მამაკაციც, ღმერთს მამაკაცის სულში უსმენენ.

მამაკაცი მიმართულია იმაზე, რომ საკუთარი თავი უფრო ძLიერად გააცნობიეროს, საკუთარი არსებობა გააძლიეროს, და საერთოდ უფრო ძლიერად იგრძნოს თავი. მამაკაცს სურს დაამკვიდროს საკუთარი «მე» დათავი გაავრცელოს ყველაფერზე, რაც გარშემოა, რათა უფრო ძლიერად იგრძნოს თავი. ქალი მიმართულია იმაზე, რომ შეიწოვოს საკუთარ თავში ყველაფერი, რასაც მამაკაცი ასხივებს. ცდილობს მთელი მამაკაცი შეიწოვოს. ქალი წარმოადგენს იმ გარემოს, რომელშიც მამაკაცი ცდილობს თავის გავრცელებას. ქალის გარდა მამაკაცი გარეგნულ ცხოვრებაშიც ცდილობს გავრცელდეს. ქალი — ესაა მამაკაცის ცხოვრება მინიატურაში, რომელშიც იგი ცდილობს გაავრცელოს საკუთარი თავი, საკუთარი წესები, კანონები და პრინციპები, მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება, მიაღწიოს ყველა შესაძლებლობას, სრულ თავისუფლებას და ჰარმონიას საკუთარ თავთან. ქალი ეხმარება რომ განახორციელოს ეს ყველაფერი, ისე რომ არ ავლენს თავის პირად «მე»-ს. ქალი მსხვერპლად სწირავს თავის პირად «მე»-ს მამაკაცს, როგორც სხეული სწირავს თავს სულისთვის. მამაკაცებისთვის დამახასიათებელია მსხვერპლად შესწირონ თავისი სხეულის ინტერესები იმ იდეისთვის, რისი მიღწევაც უნდათ. სხეული მორჩუილად მიჰყვება სულს, მისითაა სრულად გაჟღენთილი. ქალი იჟღინთება მამაკაცით, მისი მსგავსი ხდება, მისი ჩვევების და ინტერესების ქვეშ ეწყობა, იმაშიც კი ეხმარება, რამაც შეიძლება თავად ავნოს (ქალს). მას აინტერესებს მხოლოდ ის, რომ მუდმივად გრძნობდეს თავის მამაკაცს, ბოლომდე იყოს მისი — საკუთარი სულის — მორჩილი. სწორედ ასევე სხეული ცდილობს ბოლომდე შეეწყოს საკუთარ სულს, იგრძნოს ყველაფერი, რაც მისგან გამოდის. სწორედ ასევე სული ცდილობს შეეწყოს თავის წყაროს — შემოქმედს, იყოს მისი მორჩილი. ქალი მთელი თავისი სხეულით უსმენს მამაკაცს. მისგან გამომავალი იმპულსებით ვიბრირებს. ქალი მამაკაცის ყველაზე ნატიფი იმპულსებითაც კი იმსჭვალება. ამის გამო მამაკაცისგან გამომავალ იმპულსებს უფრო მეტი წონა ეძლევა, უფრო გამოვლენილი და მყარი ხდება. მამაკაცი უკეთ გრძნობს იმას, თუ რა გამომდინარეობს მისგან და რას წარმოადგენს თავად. ქალი ჩანდრას ძალით ეხმარება რომ უკეთ იგრძნოს საკუთარი თავი, საკუთარი ძალა — სურია. მამაკაცი, ქალს აძლევს არსს, რომლის გარშემოც აწყობს თავის ცხოვრებას. აძლევს იდეას, და ქალი თავის აზრებს ამ იდეის გარშემო განალაგებს. იგი მამაკაცი

იძლევა შთაგონებას; ქალი თავის გრძნობებს და ემოციებს ამ შთაგონების გარშემო განალაგებს. მამაკაცი ქალს აძლევს სხეულიან არსს მომავალი ბავშვის სახით, ის კი განაწყობს თავის სხეულს ამ ბავშვის გარშემო და კვებავს მას. ყველაფერს, რაც მამაკაცის სხეულისგან გამოდის, ქალი იტაცებს და სხეულს — ცოცხალ გარსს — ანიჭებს. ხდება განხორციელება — სულის შესვლა ხორცში, ცხოვრების უფრო მყარ სფეროებში. ასევე ბუნება აძლევს გამოვლინებას ჩვენს სამყაროში მოვლენილ სხვადასხვა სულებს. დედამიწა მიმღები მხარეა, რომელიც ამა თუ იმ სულის ცეცხლოვან ბუნებას იწვევს თავისთან. დედამიწა, როგორც კვერცხუჯრედი, ელოდება მამაკაცის თესლს, ელოდება თავის სულს, რათა განახორციელოს იგი და შემდეგ ძალა მისცეს, რათა წინ იაროს, სულის უფრო მაღალ მდგომარეობამდე, უფრო მაღალ სამყაროებამდე. ეხმარება რა თავის მამაკაცს სულის განვითარებაში, ქალი თავადაც იზრდება სულიერად. ქალის სულიერი პრაქტიკა მისი მამაკაცია. უმჯობესია, თუ ქალი არ დაკავდება სხვა სულიერი პრაქტიკით გარდა თავისი მამაკაცისა. სულიერ პრაქტიკას წარმოადგენს საკუთარი სულის უკეთ შეგრძნების უნარის განვითარება. ქალის სული მისი მამაკაცია. ქალის სულის განვითარების პრაქტიკა მამაკაცის სულის მორჩილება უნდა იყოს. იგი ყველა თავისი შესაძლებლობით ეხმარება თავის მამაკაცს (სულს) უფრო მეტი ძალისკენ წინსვლაში. ასევე სხეული გვეხმარება რომ ჩვენი სულის მისწრაფებების რეალიზაცია მოვახდინოთ. ქალი სიხარულს პოულობს თავის დანიშნულებაში — დაეხმაროს მამაკაცს უფრო ძლიერად შეიგრძნოს თავის სული, ისევე როგორც მამაკაცი პოულობს სიხარულს იმაში, რომ შემოქმედის არსის გამგრძელებელი იყოს, დაეხმაროს მს საკუთარი არსის უკეთშეგრძნებაში. უმეტესწილად ასეთია ქალის დანიშნულება. მისი უფრო დეტალური ფუნქციები ამ ძირითად ფუნქციას ექვემდებარება.

როდესაც ჩვენ ვიყენებთ «ქალის» ცნებას, სინამდვილეში ვგულისხმობთ ადამიანს, რომელიც მიმღებ ფუნქციას ასრულებს. «ქალის» ცნებით ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ მხოლოდ ამ სულის (ატმას) დანიშნულება ჩვენს სამყაროში სხვა სულთან დამოკიდებულებაში, რომელიც «მამაკაცის» ფუნქციას ასრულებს. როცა საზოგადოებამ მუშაობისთვის შეამზადა ქალი, ანუ იმისთვის, რომ «საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო», მან დაკარგა თავისი დანიშNულება თავისი ერთადერთი მამაკაცის წინაშე. მან მრავალი სხვა «მამაკაცის» მსახურება დაიწყო. მაგალითად ემსახურება თავის ხელმძღვანელს (მაშინაც კი, თუ ეს «მამაკაცი»ქალია), ანუ თავის საქმეს (მაშინაც კი, თუ ის ადამიანიც კი არაა). ყველა შემთხვევაში მან განაცალკევა თავი თავისი მამაკაცისგან და კიდევ სხვა რამეს დაუწყო მსახურება. მამაკაციც ასევე ემსახურება არა მხოლოდ შემოქმედს, არამედ კიდევ მრავალ «ღმერთს» — იმავე სამუშაოს, უფროსს, სახელმწიფოს ან კიდევ სხვა რამეს. შედეგად ქალი გაიჟღინთა არა მხოლოდ თავისი მამაკაცით, არამედ კიდევ სხვა მრავალი არსებით. მამაკაცი გაიჟღინთა არა მხოლოდ შემოქმედით, არამედ მრავალი სხვა არსებით, რომლებმაც შეიპყრეს იგი და სულიერ გზას ააცდინეს. სულიერი გზიდან გადახვევა თანდათანობით მოხდა, როცა მამაკაცი სულ უფრო მეტად გადაერთო სიამოვნებებზე, იმაზე, რამაც

დამხმარე ფუნქცია უნდა შეასრულოს. მან სიამოვნება დააყენა თავის ღმერთად, და ყურადღება მოწყვიტა თავის წყაროს — შემოქმედს. იგი სულ უფრო და უფრო ნაკლებად გრძნობდა შემოქმედს, შემდეგ კი მთლიანად დაკარგა ხედვის არედან. ქალი, ხედავდა რა, რომ მამაკაცი სუსტდებოდა, ცდილობდა მეტად დახმარებოდა იმით, რომ თავის ბუნებრივ ხასიათს ავლენდა — სიამოვნების მინიჭებას, რითაც უფრო მოწყვიტა მამაკაცი სულს. მაგრამ ქალი მხოლოდ და მხოლოდ თავის ბუნებრივ ნატურას ავლენს. მას შეუძლია მხოლოდ ის მისცეს მამაკაცს, რასაც წარმოადგენს. რაღაც მომენტში მამაკაცი დანებდა თავის სისუსტეს; და მაშინ დამხმარე (ქალი) ღმერთად იქცა მისთვის. სექსუალური ძალის თაყვანისცემა — ეს ქალის თაყვანისცემაა. სექსუალური ძალა — ეს სიამოვნების ძალაა. ჩვენ მას ვღებულობთ ასევე საჭმლისგან, სილამაზის და კომფორტის შეგრძნებისგან. როცა მამაკაცი ამ ყველაფერს პირველ ადგილზე აყენებს, იგი თავისი გზიდან უხვევს. სინამდვილეში ქალისთვის სრულიად ბუნებრივია ამ ყველაფერს დიდი მნიშვნელობა მისცეს, მაგრამ მხოლოდ თავის მამაკაცთან კონტექსტში. ქალი დაკავებულია კომფორტით, საჭმლის მომზადებით, იმ საგნების შექმნით, რომლებსაც სილამაზე და სიამოვნება მოაქვთ თავიანთი მამაკაცისთვის. ის, რაც ქალისთვის კარგია, მამაკაცისთის მავნეა. და ის, რაც მამაკაცისთვის კარგია, ქალისთვისაა მავნე. მამაკაცი და ქალი თვისობრივად სრულიად განსხვავებულ ძალებს წარმოადგენენ, რომლებიც მხოლოდ ერთნმანეთისთვის არიან განკუთვნილნი, მაგრამ საპირისპირო ფუნქციებს ასრულებენ.

სულით სუსტი მამაკაცი გაღიზიანებას იწვევს ქალში. ქალურ თვისებებში დასუსტებული ქალი კი მამაკაცს აღიზიანებს. როცა ასეთი სუსტი მამაკაცი და ქალი შედიან ურთიერთობაში, გაღიზიანება მათი ჩვეულებრივი მდგომარეობა ხდება.

თანამედროვე საზოგადოება მკაფიო მაგალითია სულიერად დასუსტებული ადამიანებისა, რომლებმაც პრაქტიკულად ყველა ორიენტირი დაკარგეს. მასში ყველაფერი უკუღმაა ამოტრიალებული. ის, რაც ხრწნის და ანგრევს ადამიანებს, მათ ურთიერთობას და ჯანმრთელობას, იდეალად აღიქმება. «თანასწორობა! თავისუფლება! დემოკრატია!» — მოგვიწოდებს საზოგადოება. თუმცა კონკრეტულად ვინ მოგვიწოდებს, გაუგებარია. რომელიღაც «საზოგადოება» მოგვიწოდებს. მაგრამ თუ თვითოეულ ადამიანს ცალ-ცალკე გამოვკითხავთ, თითქმის ყველა ლანძღავს «დემოკრატიას», ყოველი აცნობიერებს, რომ სიცოცხლის ფორმების მრავალფეროვნებათა ამ სამყაროში ვერანაირი თანასწორობა ვერ იქნება. ვერანაირი თავისუფლება საზღვრების სამყაროში ვერ იქნება.

მაშ ვინ იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას იმ გზის გამო, რომელზეც საზოგადოება დგას?

— არავინ.

«არავინ» მოგვიწოდებს თანასწორობისკენ. სიბნელე. ვერავინ ხედავს სიბნელეს. შეუძლებელია სიბნელის დანახვა, რადგანაც ეს სინათლის არ არსებობაა. მაგრამ ყველას შეუძლია დაინახოს სინათლე. ის კაშკაშა და მკაფიოა.

ჩვენს დროში ის ადამიანები, რომლებმაც საკუთარ პასუხისმგებლობაზე უნდა განაცხადონ, დაბნეულნი მოუწოდებენ დემოკრატიისკენ და თანაბრობისკენ.

თანასწორნი არიან თუ არა მამაკაცი და ქალი? თანასწორნი არიან თუ არა ზრდასრული ადამიანი და ბავშვი? თანასწორნი არიან თუ არა სულით ძლიერი ადამიანი და ის ადამიანი, ვინც ფიქრობს მხოლოდ საჭმელზე, სექსზე და სიამოვნებებზე?

რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი სამყაროს ერთი სისტემის არსებები ვართ. მაგრამ ყოველი სისტემა მხოლოდ იერარქიული პრინციპით მუშაობს, ერთიანი ცენტრისგან მართული. უნდა არსებობდნენ სისტემის ელემენტები, რომლებიც სისტემის ამა თუ იმ დონის მმართველის პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე. არანაირი თანასწორობა და არანაირი დემოკრატია არც ერთ ცოცხალ სისტემაში არ ყოფილა და არც იქნება. სისტემა ემორჩილება იმ პრინციპებს, რომლებიც არ ირჩევა არჩევნების გზით. სამყაროს კანონებზე არჩევნებს არ ატარებენ, მათ უბრალოდ ასრულებენ. თუკი ცდილობენ ამ კანონებისგან დარღვევას, მაშინ საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებიან, რომ ამის გაკეთება არ ღირდა. ასე იცავს სიცოცხლე თავის თავს დანგრევისგან. იმის ნიშნები, რომ ჩვენი საზოგადოება და მისი წევრები დაშლის პირას არიან, თვალნათელია.

მაშ როგორ მოვიქცეთ?

— დავბრუნდეთ სახლში, იქ საიდანაც მოვედით, ჩვენი ცნობიერების და ურთიერთობების ძალიან უბრალო მდგომარეობაში. ეს — ძალების გზაა. მამაკაცი თავისი ძალისკენ უნდა მოძრაობდეს, ქალი თავისი ძალისკენ. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ძალა ვიცნოთ იმ სხეულით, რომელიც ამ ცხოვრებაში მივიღეთ. თუ მამაკაცის სხეული გვაქვს, იგი მამაკაცის ფუნქციის (სურიას) შესრულებაში დაგვეხმარება. თუ ქალის სხეული გვაქვს, მაშინ ქალის ძალაში (ჩანდრა) ვართ. ჩვენი სხეულები იმ ძალების გამოვლინებაა, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ და რომლებიც გვაცოცხლებენ. რატომ უნდა მოვიგონოთ ის, რაც არ არსებობს, როცა უკვე არსებობენ სიცოცხლის ძალები, რომ სიცოცხლეში დაგვეხმარონ? იმისათვის, რომ სიცოცხლის ძალების დახმარებით ვისარგებლოთ, საკმარისია რომ უბრალოდ არ შევეწინააღმდეგოთ მათ. მამაკაცის დანიშნულებაა უსმინოს საკუთარ სულს, საშუალება მისცეს სულს, რომ მისი გავლით გამოვლინდეს, გაავრცელოს თავისი გავლენა ქალზე (თავის გარემოცვაზე) და აიღოს მასზე (მთელ თავის გარემოცვაზე) პასუხისმგებლობა. ეს მისგან არ მოითხოვს ძალისხმევას. სიამოვნებით აკეთებს ამას და ძალის მომატებას გრძნობს. ქალის დანიშნულებაა განიმსჭვალოს მამაკაცით, მისი სულით. მას ეს სიამოვნებს. ეს მისგან არ მოითხოვს ძალისხმევას. პირიქით, რაც უფრო მეტად ივსება მისით, მით უფრო მეტ ძალას გრძნობს. რა თქმა უნდა ასე მაშინ ხდება, თუ მამაკაცი და ქალი შეესაბამებიან ერთმანეთს.

მაშინ ბუნებრივია ჩნდება კითხვა. როგორ ვიპოვოთ ჩვენი მამაკაცი ან ჩვენი ქალი?

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მამაკაცი და ქალი სრულიად განსხვავებული, თვისებებით საპირისპირო არსებები არიან. შესაბამისად პარტნიორის არჩევის მეთოდი ცხოვრებაში მათთვის განსხვავებულია. მაგრამ არის რაღაც საერთო, რაც

აერთიანებს მამაკაცს და ქალს სოციალურ დონეზე. ეს საეთო ცნებაა — ეთნოსი (Род).

იდეალური ურთიერთობები მამაკაცსა და ქალს შორისიდეალური ურთიერთობების განხილვა კარგი იქნება საზოგადოების ყველაზე იდეალური ადამიანების — იდეალური მეფის და დედოფლის მაგალითზე. ყოველი ადამიანი თავისი ცხოვრების მეფეა. ამიტომ თუ მისი ურთიერთობები არაა იდეალური, ე.ი. ის ცუდი მეფეა. ყოველი მეფე ამსახურება მხოლოდ ღმერთს. თუ ადამიანი ღმერთის (საკუთარი სულის) გარშემო მოაწყობს თავის ცხოვრებას, მაშინ ის ბოლოს და ბოლოს შემოქმედის მიერ ბოძებულ თავის ადგილს დაიკავებს. მამაკაცი დანიშნულია ღმერთის მიერ ოჯახის სულად. მისმა ცოლმა იგივე მდგომარეობა უნდა დაიკავოს თავის ქმართან მიმართებაში. ცოლმა თავისი «მე»-თი არ უნდა მოწყვიტოს სხვა ადამიანების ყურადღება თავისი ქმრისგან. ის იმდენად გამჭვირვალე უნდა გახდეს, რომ პრაქტიკულად არ უნდა ჩანდეს მისი ქმრის გვერდით. მისი გვერდით ნატიფად ყოფნა შთაგონებას აძლევს მეფეს, რომ სრულად შეიგრძნოს თავისი ძალა. მისი ცოლი არა მხოლოდ არ ამჟღავნებს არავითარ აქტივობას, ის მხოლოდ ისრუტავს მისი ქმრისგან გამომავალ ყველა იმპულსს. მასში მეფის კაშკაშა შუქი ნატიფ, ფაქიზ ნაკადებად, ვიბრაციებად იშლება, ისე, რომ რბილ და სასიამოვნო სინათლეს ასხივებს. ის არ საუბრობს თავის ქმარზე მეტს და ხმამაღლა. იგია, ვისაც შეუძლია მუდმივად იმყოფებოდეს მეფის გვერდით. რა შეიძლება აინტერესებდეს ქალს, როცა იგი თავად მეფესთანაა? ის ყოველთვის მის უკან დგას და ვერც კი გაბედავს თუნდაც ფიქრებით დაუდგეს წინ. ის არ ესაუბრება სხვა ადამიანებს ქმრის თანდასწრებით, და თავს ნებას აძლევს ისაუბროს მხოლოდ მაშინ, როცა ქმარი მიიწვევს ამის გასაკეთებლად. სწორედ ქალის ასეთი ქცევა მისი ქმრის თანდასწრებით ამაღლებს მას დედოფლის სტატუსამდე. ქალია პასუხისმგებელი იმაზე, რომ არ დაფაროს თავისი არსებობით თავისი ქმარი, არამედ დაეხმაროს ქმრის სულს უფრო ძლიერად, ღმერთის მსგავსად გამოვლინებაში. გაღმერთება ნიშნავს ვინმეს ღმერთის სტატუსამდე დაყენებას. ქალი უნდა აღმერთებდეს თავის ქმარს. იგი თავის მხრივ მთელი ძალით შეეცდება, რომ შეესაბამებოდეს ამ სტატუსს. თუ ყველაზე ახლობელი ადამიანი არ დაუდგება გვერდით მეფეს, მაშინ ვინღა დაუდგება? ყველა დაინახავს, რომ ცოლი არ უდგას გვერდში თავის ქმარს. არადა ის ხომ თავის ქმარს ყველაზე უკეთ იცნობს. ე.ი. მისი პატივისცემა მართლაც არაა საჭირო. დედოფალს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რომ ერთი მილიმეტრითაც კი არ დადგეს ქმარზე წინ, შემთხვევითაც კი. მეფე სულით არ უნდა დაეცეს. ისევე, როგორც სხეული ახსენებს სულს, რომ იგი ცოცხალია, ძლიერია და უნიკალურია, ცოლიც იგივეს ახსენებს თავის ქმარს. და ამას იმით ახსენებს, რომ გამუდმებით უსმენს და ემორჩილება. იგი სხვას არავის ემორჩილება გარდა თავისი ქმრისა, საკუთარ თავსაც კი, საკუთარ «მე»-საც არ უსმენს. მისი «მე» მისი ქმრის გაგრძელებაა. მაშინაც კი, თუკი ქმარი სადმე წავა საქმეებზე, იგი გრძნობს მას საკუთარ «მე»-ში, საკუთარ გულში. მისი «მე» და მისი ქმარი ერთი და იგივეა. სანამ იგი თავის ქმართან იმყოფება, არაფერი დაემართება. მან ეს ზუსტად იცის. ის არც ერთი

წამით არ აშორებს ყურადღებას თავის ქმარს, რადგანაც ის მეფეა, მასზე უკეთესი ვერავინ იქნება. თავისი ყურადღებით მასთანაა მაშინაც კი, როცა ის გამგზავრებულია. ქმარმაც იცის, რომ მისი ცოლი თავისი ყურადღებით ყოველთვის მის გვერდით იმყოფება. ამიტომ ყოველთვის გრძნობს პასუხისმგებლობას მის მიმართ. ქმარი ყოველთვის ცოლშია, ცოლი კი ყოველთვის ქმრის გვერდითაა. ის ყოველთვის ყურადღებითაა, რომ არ შევიდეს ქმარში. ის, ვინც სხვაში შედის, სულის — მმართველის პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე. ცოლი არ ერევა ქმრის საქმეებში, არ აძლევს რჩევებს, არ ასწავლის, არ ცდილობს თავის უკან ატაროს. ის ქმარს მიჰყვება უკან. არ ჩამორჩება მას, მაგრამ არც მის ტერიტორიაზე, მის ადგილზე, მის ტახტზე შეჭრას ცდილობს. იმიტომ, რომ ის — მეფეა. ის ცდილობს ისეთი რბილი გახდეს, რომ ქმარი იოლად შევიდეს მასში სადაც მოუნდება. ცდილობს გახსნილი იყოს ყველაფერში გახსნილი იყოს მისთვის. ქმარი გრძნობს, რომ მას შეუძლია შეაღწიოს მასში და იმოქმედოს უფრო ღრმა დონეზე მხოლოდ მაშინ, თუკი თავის ძალას იმდენად გაანატიფებს, რომ ის სინათლესავით გახდეს, რომელიც ყველაზე ნატიფ ქსოვილებშიც შედის. როცა მამაკაცი ასეთი ნატიფად ძლიერი გახდება, რომ ქალი სულ მცირე ზეწოლასაც კი არ იგრძნობს მისი მხრიდან, მაშინ ის შეძლებს მისი არსების ყველა ასპექტში და ყველა დონეზე შეაღწიოს, და ის ბუნებრივად გახსნის ქმარს საკუთარ თავში. როცა ცოლი ისეთი რბილი და მგრძნობიარე გახდება მის მიმართ, რომ მთლიანად გაიხსნება მასში, ის (ქმარი) ბუნებრივად შეუშვებს მას საკუთარ თავში. ქალი ისწრაფვის, რომ მთელი მამაკაცი შეიწოვოს. მამაკაცი ცდილობს გაიხსნას, ანუ მაქსიმალურად გავრცელდეს ქალში. მაშინ ისინი ერთი მთლიანი ხდებიან — ღმერთი!ურთიერთობების ასეთი აღწერილობა ჩვენი რეალობისგან ძალიან მოწყვეტილად გვეჩვენება. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, თუკი არ ვიქნებით მომართულნი ურთიერთობების ყურადღებით შესწავლისკენ. ნებისმიერი ჩვენი ურთიერთობა დაიყვანება შეგრძნებებამდე — «მსიამოვნებს — არ მსიამოვნებს». სწორედ შეგრძნება აყალიბებს ჩვენს აზრებს, გადაწყვეტილებებს და მოქმედებებს ერთიმეორესთან დაკავშირებით. მამაკაცის შეგრძნებები აჩვენებენ მას, რომ ის თავის გავლენას ავრცელებს ქალზე, შედის მასში. ქალის შეგრძნებაა — ის საკუთარ თავში უშვებს მამაკაცს. თუკი შეგრძნებებს პირველ ადგილზე დავაყენებთ პრიორიტეტში მოქმედებებს, გადაწყვეტილებებს, აზრებსა და შეგრძნებებს შორის, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. მაშინ ასეთ განსხვავებულ მამაკაცისა და ქალის იდეალური ურთიერთობების აღწერა აღარ იქნება რეალობას მოწყვეტილი. შეგრძნებების დონეზე ჩვენი ურთიერთობები ღია და ნათელი ხდება. ეს იმაში მდგომარეობს, რომ შეგრძნებებში მაშინვე ჩანს, ვინ ვისში შედის და ვინ იღებს ზეგავლენას. თუ მამაკაცი განაწყენდება ქალზე, ე.ი. მან საკუთარ სულში შეუშვა იგი, იმიტომ რომ არც თვითონ იყო მზად ამისთვის და არც ქალი ჰყავდა მომზადებული. ქალი შევიდა მასში და უხეშად იმოქმედა. თუ ქალი ნაწყენდება მამაკაცზე, ე.ი იგი თავის «მე»-ს იცავს მამაკაცისგან.

ოლეგ ბოკაჩოვი

ქალი — ანგელოზთა სამყოფელი[1]

სიცოცხლე მიეცათ ადამიანებს იმისთვის, რომ დანიშნულებისამებრ გამოიყენონ.

სიცოცხლე — ეს პროცესია, რომელშიც თვითოეული ჩვენგანი იმყოფება. სანსკრიტზე «სიცოცხლის პროცესი» — ნიშნავს»დევატა», რაც ასევე ითარგმნება, როგორც»ღვთაება». მაგრამ სიცოცხლე — ესაა ყველაფერი ჩვენს გარშემო, გარემოცვა, ანუ ბუნება, რომელიც ასევე სავსეა სხვადასხვა სახის არსებებით — გამოვლენილით და გამოუვლენელით.

ადამიანის შინაგანი ცხოვრება ღვთაებებითაა სავსე, გარეგანი ცხოვრება კი არსებებით. შინაგან და გარეგან სამყაროს შორის იმყოფება ჩვენი პიროვნება — რაღაც ერთი და განუმეორებელი.

ჩვენი პიროვნება აერთიანებს ორ სამყაროს, რომლებიც ერთმანეთის პროექციას წარმოადგენენ. სხვაგვარად როგორ გავიგებთ, რომელი ღვთაებები არიან აქტიურნი ახლა ჩვენს შინაგან სამყაროში? — მხოლოდ იმით, რაც გარშემო ხდება. ამა თუ იმ განწყობის ან შეგრძნების გაღვიძება შინაგან სივრცეში იწვევს შესაბამის გავლენას ან მოვლენას გარე სივრცეში.

[1] მთარგმნელი: Atman.

მამაკაცი ყველა ენაზე ნიშნავს «ადამიანს» (Man). და ვინაა მაშინ ქალი? — ეს მისი სიცოცხლეა (ცხოვრებაა).

მამაკაცის ცხოვრების მდგომარეობა შეგვიძლია შევაფასოთ მისი ქალის მდგომარეობით, რამეთუ ისაა მისი ცხოვრება. ქალი თავისთავად მრავლობითია, ამიტომ შეუძია ერთდროულად იმყოფებოდეს წინააღმდეგობრივ განწყობებში, შეგრძნებებში და ფიქრებში, რაც ხშირად გაუგებარია მამაკაცისთვის. ქალის მრავლობითობა აჩვენებს, რომ ის — დევატების ველია — ანგელოზების, სულების ან არსებების, სახელი შეგვიძლია ბერვნაირი ვუწოდოთ. ამ არსებების ბუნებაც ასევე მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. თუ ქალში ანგელოზები არიან გაღვიძებულნი, მისი მამაკაცი წარმატებული, მდიდარი და ჯანმრთელი იქნება. თუ მასში «დემონური» არსებები არიან, მისი მამაკაცის ვერ შეგშურდებათ.

რა იქნება გაღვიძებული ქალში — დამოკიდებულია მის ცხოვრებაზე მამაკაცთან შეხვედრამდე, და შემდეგ თავად ამ მამაკაცთან ურთიერთობაზე. ამიტომ მცოდნე მამაკაცები ცდილობდენ ცოლად მოიყვანონ უბიწო ქალები ღირსეული ოჯახებიდან. მიზეზი მარტივია — ესაა ქალიშვილის სისუფთავე, რათა მამაკაცმა მასშ ის ღვთაებები გააღვიძოს, რომლებიც სჭირდება. ამ შემთხვევაში მისი ქალი მისი მფარველი ანგელოზი ხდება. რაც უფრო სუფთაა იგი თავის მამაკაცთან დამოკიდებულებაში, მით უფრო მეტ წარმატებას აძლევს მას. სუფთა — ნიშნავს, რომ ყველა არსება მასში ბოლომდე ეკუთვნის მამაკაცს და ეხმარებიან მას, და მასში არაა არც ერთი არსება, რომელიც არ შეესაბამება, ეწინააღმდეგება ან აზიანებს მამაკაცს.

ანგელოზი — ეს ქალის ბუნებრივი სტატუსია. არაა რეკომენდებული მისი გაადამიანურება — მასში პიროვნების განვითარება, რათა ქალმა არ დაკარგოს თავისი მთავარი ღირებულება.

მაგრამ ბევრ თანამედროვე მამაკაცას არ შეუძლია იურთიერთოს ქალ-ანგელოზთან ისე, რომ არ დაკარგოს იგი, ან დემონად არ აქციოს.

თანამედროვე პირობებში ძნელია გოგოსგან აღვზარდოთ ანგელოზი. ამისთვის საჭიროა სასიკეთო პირობები — ღირსეული მშობლები, სადაც ქალი — ანგელოზია, მამაკაცი კი — ძლიერი სული (сильный Дух).

ფიზიოგნომიკა — სახის ფორმა[1]

ნაწილი I

სახის ფიზიოგნომიკა ეფუძნება ამ მიმართულებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, სახის ხუთ თვისობრივ მახასიათებელს, რომელიც სახეზე ინფორმაციის კითხვის ფუძედ და მიმდინარეობად ითვლება. სახეზე კითხვა შეიძლება განვახორციელოთ რამოდენიმე მეთოდით: საუბრისას გვერდიდან დაკვირვებით და თვით საუბრის პროცესში. მეორე მეთოდი უკეთესია. ორივე შემთხვევაში, თავდაპირველად, განისაზღვრება სახის ფორმა: ანსხვავებენ წაგრძელებულ, სამკუთხა, ტრაპეციულ და მრგვალ სახის ფორმებს.

წაგრძელებული ფორმა — იგივე მართკუთხედი. სახის სიგანე დაახლოვებით იგივეა, რაც ნიკაპის. ესაა ეგრეთწოდებული არისტოკრატული ტიპაჟი. წაგრძელებულობა მიუთითებს ინტელექტზე, მგრძნობელობაზე, გაწონასწორებულობაზე. ხშირად ასეთი სახის ფორმის ადამიანი ანგარიშიანი და გონიერია. ამბობენ, რომ ასეთი ადამიანები დაჯილდოვებულნი არიან ორგანიზატორული ნიჭით და გამოირჩევიან მიზანსწრაფულობით.

სამკუთხა სახე — ხასიათდება მაღალი და ფართე შუბლით, გამოკვეთილი ყვრიმალებით, პატარა ძვლოვანი ცხვირით, ღრმად ჩამჯდარი თვალებით, პატარა ზომის და ოდნავ წინ წამოწეული ნიკაპით. ამ ტიპის სახეზე, ყვრიმალებსა და ნიკაპს შორის ცოტა ხორცია. ითვლება, რომ ასეთი სახის ადამიანი დაჯილდოვებულია მაღალი მგრძნობელობით. სამკუთხა სახე აღიქმება, როგორც დიდი ნიჭიერების მახასიათებელი. ამავდროულად, სამკუთხა სახის ადამიანებში ფიზიოგნომისტები აღნიშნავენ ისეთ თვისებებს, როგორებიცაა ეშმაკობა და შეუგუებლობა. ასეთი ადამიანები არ არიან მიდრეკილნი მიჩვევისკენ და ერთგულებისკენ. ამბობენ, რომ ჯაშუშებსა და მოღალატეებს შორის ყველაზე მეტია სამკუთხა სახის ადამიანი.

ტრაპეციული ფორმის სახეს — ბევრი საერთო აქვს სამკუთხა სახესთან. ამ სახისთვის დამახასიათებელია ფართე შუბლი და ოდნავ ვიწრო (მაგრამ არა წაწვეტებული) ნიკაპი. ითვლება, რომ ასეთი სახის ფორმის ადამიანი არის ინტელიგენტი, მგრძნობიარე, არტისტული, ამავდროულად მას საეთოდ არ აქვს მებრძოლი სული. ქალბატონები მკვეთრად გამოხატული ტრაპეციული სახის ფორმით, გამოირჩევიან ოპტიმიზმით. ისინი ცხოვრობენ ბედნიერად ქმნიან რა სასიამოვნო ატმოსფეროს გარშემომყოფთათვის.

---

[1] GeoAstro.

ოთხკუთხედი ფორმის სახე — ჩვეულებრივ ეკუთვნის მკაცრ, მამაკაცურ, ხშირად უგულო ტიპაჟს. ითვლება, რომ ასეთი ადამიანები, როგორც წესი, ცუდად აზროვნებენ, ხშირად არიან უხეშები, ჯიუტები. მათი ხასიათის უფრო გამოხატული თვისებაა გამბედაობა. ურთიერთობაში ისინი არიან სწორხაზოვანნი და გულახდილნი. ოთხკუთხედი სახის ფორმის ადამიანებს აქვთ წარმატების მიღწევის დაუოკებელი სურვილი. მათგან ყალიბდებიან კარგი შემსრულებლები, თუმცა თვითონ ისინი ჯიუტად მიიწავენ ლიდერობისკენ. ასეთი სახის ფორმის ქალბატონები გამოირჩევიან დომინირებისკენ სწრაფვით.

სახის მრგვალი ფორმა — ასოცირდება კეთილგანწყობასთან, ხასიათის სირბილესთან, სამყაროს სიყვარულთან. ხშირად, მრგვალსახიანი ადამიანები გურმანები არიან. უყვართ კომფორტი, კარგი კამპანია და არ მიისწრაფვიან დიდებისკენ, თუმცა, მათთვის არც ამბიციაა უცხო ხილი. თუ მრგვალსახიან ადამიანს აქვს ცხვირის მაღალი ხიდი, მკვეთრი ყვრიმალები და ამას დამატებული — ცეცხლოვანი თვალები, მას თვლიან მიზანსწრაფულად. ასეთი ადამიანები ხდებიან შესაშური ლიდერები და მეთაურები.

ნაწილი II

თმის ფიზიოგნომიკა

თეთრი თმა — სუსტ და მშიშარა, მაგრამ კეთილ ნატურაზე მიუთითებს.

წითური თმა — ნიშნავს, რომ ადამიანი ბრაზიანი და ფლიდია.

ქერა თმა — დამახასიათებელია ღრმადმოაზროვნე, სამართლიანი, ერთგული და, ამასთანავე, ჯანმრთელი ადამიანებისთვის.

შავი იშვიათი თმა — მიუთითებს მელანქოლიკებზე.

შავი ხუჭუჭა თმა — დამახასიათებელია მიმწოლი, ვნებებში ადვილად გამხვევი, სიბრაზისკენ მიდრეკილი ადამიანებისათვის.

თუ თმა ხისტია — ნიშნავს კარგ აღზრდას, ენაწყლიანობას და ფეთქებად ხასიათს.

თუ თმა თხელია — მიანიშნებს ქედმაღლობას, სიჯიუტეს, ზომიერების არ ქონას.

დაკულულებული (ხუჭუჭა) თმა — ადასტურებს ადამიანის მშიშარა ხასიათს მატყუარობის სინთეზთან ერთად.

ხშირი და ხისტი თმა — მიუთითებს მელანქოლიისა და ეპილეფსიისკენ მიდრეკილ, ველურ და ჯიუტ ადამიანზე.

როცა თავზე თმა ყალყზე დგას როგორც ჯაგარი, ხოლო სხეული სულმთლად თმიანია — ეს პირდაპირი მახასითებელია ფიცხი, თავხედი და ჯიუტი ადამიანისა.

რბილი თმაც რაღაც დოზით მშირარა ადამიანზე მიუთითებს.

სახის ფიზიოგნომიკა — წარბები

წარბი ითვლება იდეალურად, თუ იგი ფართე და გრძელია. წარბის პროპორციულობა (ფორმა, ფერი, სიხშირე) დაბალანსირებული ემოციების, გონების და ხასიათის ნიშანია.

ქალბატონების შემთხვევაში, აჯაგრული წარბები საწინააღნდეგოს ამტკიცებს. ფიზიოგნომისტების აზრით, წარბები ირეკლავენ უახლოვეს გარემოცვასთან დამოკიდებულებას. წარბების სასიამოვნო ფორმა იძლევა იმის სიგნალს, რომ მისი მფლობელი გარშემომყოფებთან კარგ დამოკიდებულებაშია.

როცა ხშირი წარბების დაბოლოებები ყალყზე დგას, ამბობენ, რომ ეს ხელგაშლილობისა და ვაჟკაცობის ნიშანია. ასეთ ადამიანს წარმატებისათვის დაბადებულად თვლიან. წარბების დახრილი ბოლოები მიუთითებს სიმორცხვეზე. ხოლო როცა ასეთი ტიპის წარბების სტრუქტურა და ფერი უსუცოცხლო გვეჩვენება, ითვლება, რომ ეს შინაგანი ენერგიის გამოფიტვითაა გამოწვეული.

თუ მამაკაცს აქვს სწორი და გრძელი წარბები, და თუ ისინი სასიამოვნი ფერის სახეზე იკვეთებიან, მაშინ ეს ადამიანი შეიძლება ინტელექტუალურად ჩავთვალოთ. ქალბატონი, ასეთი წარბებით ითვლება პრანჭიად და მისგან ყველანაირი გამოსვლებია მოსალოდნელი. მოკლე წარბები ადასტურებს მფლობელის არასერიოზულ ნატურაზე. თუ წარბები ხშირი და აჯაგრულია, ამ შემთხვევაში, მათი მფლობელი «ჯოჯოხეთური ბუნების» ადამიანია: ჭირვეული, ჯიუტი და უკომპრომისო.

ხშირი, მძიმე, შეერთებული წარბები მიუთითებს დომინირებისკენ სწრაფვის დაუოკებელ სურვილზე. ქალბქტონს ასეთი წარბებით, აქვს ძლიერი ხასიათი და ის ნაკლებად გამოდგება ტრადიციული დიასახლისის როლზე. მაღლა განთავსებული წარბები მიზანსწრაფულობის ნიშანია, დაბლა განთავსებული კი პირიქით.

სახის ფიზიოგნომიკა — თვალები

ოდითგანვე თვალები «სულის სარკედ» ითვლებოდა. თვალებში ყოველთვის ჩანს ადამიანთა მდგომარეობა და განცდები. ითვლება, რომ ადამიანი ლამაზი, მიმზიდველი თვალებით ჯამრთელობის, ნების, გონებისა და ტემპერამენტის მფლობელია. ასეთი თვალები სინათლესა და სითბოს ასხივებენ, კარგად არიან წამწამებით დაცულნი და აქვთ გამომსახველი გუგა. ამ წესიდან გადახვევა, ადამიანის ხასიათში და ინტელექტში ხარვეზის მაჩვენებელია.

დიდი თვალები ჩვეულებრივ მგძნობიარე, ხშირად მამაკაცურობისა და ლიდერობისკენ მსწრაფველი ბუნების მაჩვენებელია. პატარა თვალები კი ეკუთვნით საკუთარ თავში ჩაკეტილ, თვითკმაყოფილ და ჯიუტ ადამიანებს. ხშირად ასეთი ადამიანები გამოირჩევიან საოცარი თანმიმდევრულობით. ფართე თვალის გუგა ხასიათის სირბილისა და სიმშვიდის ნიშანია, ვიწრო კი — შინაგანი პროცესების დისბალანსზე მიუთითებს, რაც არასასიკეთოდ აისახება გარშემომყოფებთან ურთიერთობაზე. თვალის გუგის ფერი მიუთითებს

ცხოვრებისეული ძალების ქონა-არქონაზე: შავი, ყავისფერი და მწვანეგუგა ასახვს ენერგიულობას, ცისფერი- მრძნობიარობას, ხოლო ღია ყავისფერი — სიმორცხვეს.

თვალების მდებარეობა სხვადასხვაგვარია. თუ ორივე თვალიერთ ჰორიზონტალურ ხაზზეა განლაგებული, ეს სასიკეთო ნიშანია. ქვემოთ წაკვეთილი თვალები: მამაკაცებში გამბედაობას ნიშნავს, ქალბატონებში გაუფრთხილებლობას. თუ ზედა ქუთუთო ოდნავ დახრილია, ეს სიმწიფის ნიშანია: მამაკაცებში ძლიერად დახრილი ზედა ქუთუთო მიუთითებს ენერგიის დაშრეტას. დახრილი ქუთუთოს უსიამოვნო ფერი კი ფიზიოლოგიურ გადახრებს ადასტურებს.

შესიებული ქუთუთო მშფოთვარე ცხოვრების ნიშანია, ზედმეტად დაკიდებული ქვედა ქუთუთო კი მუდმივ მიჯაჭვულობებზე მიანიშნებს. შესიებული ქუთუთოები (ზედა და ქვედა) ცხოვრებისგან დაღლას ნიშნავს და თუ თვალების შიდა კუთხეები ჩაძირულია ნაოჭების ბადეში, ეს ადამიანის მიხვედრილობას უსვამს ხაზს.

აღმოსავლეთში, გამოყოფენ თვალის 40 ტიპს. ყველა მათგანი იდენტურია ცხოველთა თვალებისა და შეუძლიათ ადამიანის კარმული ინფორმაციის ტარება. თვითოეული ცხოველისათვის დამახასითებელი ქცევა, მიეწერება შესაბამისი ტიპის თვალების მფლობელ ადამიანებს.

დიდი, ცოცხლი, მანათობელი თვალები — ესაა დრაკონის თვალები. ასეთი თვალები აქვს მმართველს.

საოცარი ფორმის თვალებია სფინქსის თვალები, ზემოთ აპრეხილი კიდეებით. ის აქვთ დახვეწილი ბუნების ადამიანებს.

ლიდერები დაჯილდოვებილები არიან ლომის თვალებით — ესაა დიდი თვალები, უამრავი ნაოჭებით ქუთუთოებზე. სპილოს, როგორც წესი, აქვს წვრილი თვალები, ორმაგი, სამმაგი ქუთუთოებით. ასეთი თვალების მფლობელები , როგორც წესი, არიან მოქუფრული ხასიათის მაგრამ, ამვდროულად, მშვიდი ადამიანები. მრგვალი, მოყვითალო მანათობელი სხივით — ვეფხვის თვალებია; წვრილი, პატარა თვალები, შავ-ყვითელი ფერის გუგით — ცხვრისაა; თვალები სამკუთხა ჭრილით და ჩამოწეული ქუთუთოებით კიცხენის; თვალები ზედა, გატეხილი ქუთუთოთი და ბაცი გუგით — ტახისაა; თვალები უსაზღვროდ დიდი გუგებით კი მგლისა.

ადამიანთა ბედისა და ხასიათის შეფასებისას, თვალებს უჭირავს ცენტრალური ადგილი. ფიზიოგნომიკის ტრაქტატების კითხვის დაწყება, სწორედ თვალების თემატიკიდანაა რეკომენდებული.მაგრამ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფაქტიც, რომ უფრო სწორი ინფორმაცია იკითხება 40 წელს გადაცილებული ადამიანის თვალებიდან, ანუ როცა ამისათვის საჭირო ყველა მახასიათებელი უკვე ჩამოყალიბებულია.

«მისი თვალები არ იტყუებიან, ისინი მართალს ამბობენ იმის შესახებ, რომ მათი პატრონი მატყუარაა» და მართლაც — მზერა ამჟღავნებს ადამიანის ხასიათს, გრძნობებსა და ბუნებას. ტყუილად არ ამბობენ: «თვალები არ იტყუებიან». მათი ფორმა და ფერი ზუსტად გამოხატავენ ადამიანის სულიერების ხარისხს. გირჩევთ თავდაპირველი ექსპერიმენტები ჩაატაროთ საკუთარ თავზე და, თუ ეს ყველაფერი

სიმართლე აღმოჩნდება, შემდგომ შეაფასოთ სხვები პირდაპირ თვალებში ყურებით.

ნაწილი III

თვალები — თვალის ფერი

მწვანე თვალები — ესაა ერთგული და საიმედო ადამიანების ნაზი თვალები (რაც უფრო ზუსტია მანდილოსნებთან მიმართებაში). ამავდროულად, ესაა სიყვარულსმოკლებული ადამიანების თვალებიც.

მუქი ყავისფერი თვალები — ძირითადად სპონტანურად (გრძნობების ზემოქმედებით) მოქმედი ადამიანების თვალებია, რომლებსაც საეთოდ არა აქვთ წარმოდგენა იმისა თუ რა უნდათ ცხოვრებაში და სიყვარულში.

ნაცრისფერი თვალები — ესაა თვალები სიტუაციის ცვლილებაზე სწრაფად რეაგირებადი და ყველანაირი სიძნელის გადამლახველი ადამიანებისა. ეს თვალები ცნობისმოყვარეებს ეკუთვნით, რომლებიც ადვილად აჯადოვებენ ყველას, თუ ამას მოინდომებენ.

ღია ყავისფერი თვალები — იმ ადამიანთა თვალებია, რომლებიც გონებას უფრო ემორჩილებიან, ვიდრე გრძნობებს. ჩვეულებრივ, ასეთი ფერის თვალები

ძლიერ პიროვნებებს აქვთ. მაგრამ, ძალიან ხშირად, მკაცრი გარეგნობის მიღმა იმლება ნაზი, მგრძნობიარე ბუნება და უდიდესი გულისხმიერება.

ლურჯი თვალები — ესაა შეცდომაში შემყვანი თვალები. მათში ყველაზე ხშირად გვინდება ვიპოვოთ მეოცნებეობა და გულუბრყვილობა, სინადვილეში კი, ყველაფერი პირიქითაა: ლურჯი თვალები ჯიუტად მიზანსწრაფული ადამიანების თვალებია, რომლებიც ეყრდნობიან უფრო გონებას, ვიდრე ინტუიციას. მაგრამ, სიყვარულში ასეთ თვალებს დიდი მიზიდულობა აქვთ და მათი დავიწყება შეუძლებელია.

შავი თვალები — ძლიერი ტემპერამენტის მაჩვენებელია და, ხშირ შეთვევაში, ეკუთვნით საკმაოდ ნერვიულ ადამიანებს. ისინი მბრძანებლობენ, მაგრამ სიუხეშის გარეშე. თუ მათ რაიმე უნდათ, ვერაფერი ვერ შეაჩერებთ, რადგან პირადი ბედნიერებისა და სიყვარულის დასაცავად ყველაფრისთვის მზად არიან.

თვალები — თვალის ფორმა

მრგვალი თვალები — ფეთქებადი ბუნების ადამიანების მახასიათებელია, მაგრამ ასეთი აფეთქებები მოკლევადიანია. არც ერთ სიტუაციაში, მრგვალი თვალები არ აქვთ შურისმაძიებელ ადამიანებს. და თუ მრგვალი თვალები ფართოდაა გაღებული, მაშინ ეს მიუთითებს ხასიათის იმპულსურობაზე და გულწრფელობაზე.

წაგრძელებული, ნუშისებური თვალები ზეაწეული წვეტიანი ბოლოებით — გვამცნობს ქალურობის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ძველად ასე თვლიდნენ. ჩვენს ეპოქაში კი, დაშვებულია მათი გაიგივება ადამიანის სულის სიფაქიზესთან, სიყვარულთან და მგრძნობელობასთან.

წაგრძელებული ნუშისებრი თვალებიქვემოთ დახრილი ბოლოებით — გვიჩვენებს ადამიანის მიდრეკილებას კამათისა და მელანქოლიისაკენ.

ღრმად ჩამჯდარი თვალები გვიყვება ადამიანის მდიდარი შინაგანისამყაროს შესახებ. მისი მფლობელები ყველაფერს აანალიზებენ და გარშემომყოფებს არ ენდობიან.

დაჭყეტილი თვალები (ე. წ. თვალები გადმოყრაზე) — ადასტურებენ მკაფიოდ გამოხატულ მგრძნობელობას და ძლიერად განვითარებულ საღ გონებას. ასეთი თვალების მფლობელებს, როგორც წესი, გასახსენებელი ბევრი აქვთ.

სახის ფიზიოგნომიკა — ცხვირი

ფიზიოგნომისტების მტკიცებით, ადამიანის ცხვირიასევე, მისი ხასიათისთვისებების, სულიერი განვითარების და ცხოვრების ხარსხის მაჩვენებელია. ცხვირის ფორმა, ისევე როგორც თვალების ფორმა, სტაბილურდება 40 წელს ზემოთ ასაკში. თუმცა ითვლება, რომ იდეალურია ცხვირი მომრგვალებული წვერითა და ფორმირებული ფრთებით.

ცხვირის საკმაოდ დიდი ნესტოები — მიგვითითებენ პირად დეფექტებზე. ადამიანს იდეალური ცხვირით აქვს ლომის ნატურა და გამოირჩევა ვაჟკაცობით, ვნებიანობით, უხეში მიზანსწრაფულობით. გარშემომყოფებს მოსწონთ ხალხი იდეალური ცხვირით. აქედან კი გამომდირარეობს შედეგი-იდეალური ცხვირის პატრონი ხდება ძლიერი პიროვნება.

გრძელი ცხვირი — როგორც წესი, ასახავს მკაფიოდ გამოხატულ ინდივიდუალურობას. აქ იკვეთება სრულიად განსხვავებული ნიუანსები: გრძელი ცხვირი კარგად დაბალანსირებული თვალებთან, პირთან და ნიკაპთან ასახავს ძლიერ ბუნებას; მოკლე ცხვირი კი გულღიაობასა და ოპტიმიზმს. ძვლოვანი, გრძლი ცხვირი- სიამაყის, ქედმაღლობის, არასტაბილურობის მაჩვენებელია.

ძვლოვანი გრძელი ცხვირი — მკაფიოდ გამოხატული კეხით, ხშირად ეკუთვნით მოქუფრულ ადამიანებს. თუ ხიდი ასეთ ცხვირს საკმაოდ ჩავარდნილი აქვს და იგი დეფორმირებული ანდაღარულია ჰორიზონტალურიხაზებით, მაშინ ეს ადამიანის შეუძლოდ ყოფნის ნიშანია. თუმცა, სახის მთლიანი ბალანსის შემთხვევაში, შეუძლოდ ყოფნა არ დომინირებს.

იდეალურად ითვლება ცხვირის მაღალი და სწორი ხიდი, რომელიც ჯანმრთელ ადამიანებს ახასიათებთ.

ცხვირის წვერი ბევრ ინფორმაციას იძლევაპიროვნების შესახებ. ადამიანი ცხვირის წვერით, რომელიც წააგავს «დაკიდებულ წვეთს», ჩვეულებრივ სიცოცხლის მოყვარულია რის შედეგადაცის ყვავის.

თუკი ცხვირის წვერი გვაგონებს არწივის ნისკარტს-ითვლება რომ ასეთი ადამიანი არის გამჭრიახი, ეშმაკი და შურისმაძიებელიც კი. სავსე, დიდი, ხახვის მაგვარი ცხვირის წვერი — გულითადობის და სითბოს მაჩვენებელია.

ზემოთაწეული, ნესტოებდაბერილი ცხვირი — თვითნებობის, თავშეუკავებლობისა და უდისციპლინობის ნიშანია. ცხვირის წვერის გაორება გაუბედაობის ნიშავს. ზედმეტად პატარა ნესტოები მიანიშნებენ, რომ ადამიანი დამთმობია. ცხვირის განიერი ფრთები კი მაღალ თვითშეფასებაზე მიუთითებს. წითლი ცხვირი — მფლობელის უსინდისობაზე ლაპარაკობს, წითლი ფორებიანი ცხვირი (ე. წ. «გაფუჭებული ფორთოხალი») კი ხშირად აქვთ ლოთებს.

ცხვირზე შავი ლაქები ფიზიკური პრობლემების ნიშანია. როგორც წესი, ქალბატონის სახეზე მკვეთრად გამოყოფილი ცხვირი, მიუთითებს ახალგაზრდობის ასაკში განვლილ ცხოვრებისეულ სირთულეებზე. თუმცა ეს ნიშნები მკაფიოდ მხოლოდ 35-40 წლის ასაკის შემდგომ ვლინდებიან.

სახის ფიზიოგნომიკა — პირი

პირი, მისი ფორმა და სიდიდე, იძლევა ადამიანის შინაგანი ენერგიის ძალის განსაზღვრის საშუალებას. ჩვეულებრივ, მამაკაცებს აქვთ დიდი პირი, ქალებს კი პატარა. დიდ პირიანი ქალი ვაჟკაცურ ქალად ითვლება, მაგრამ ის არ მოსწონთ კაცებს. საერთო წესი: პატარა პირიანი სახის ადამიანები დაკავებულნი არიან თვითგადარჩენისათვის ბრძოლით და აქვთ სუსტი ხასიათი.

დახურული ტუჩების წვრილი ხაზიმეწვრილმანე ხასიათის სიგნალია. ადამიანი დიდი პირითა და ოდნავ დაშვებული ტუჩებით ძლიერი ნების მატარებელია და მასზე გავლენის მოხდენა ძნელია. მუდამ მოძრავი პირი (ე. წ. «ცხენის პირი») ნევროზის ნიშანია. საშუალო ზომის რკალის ფორმის პირი (ტუჩების ბოლოებს აქვთ ქვემოთ დაშვების ტენდენცია) ეკუთვნით მგრძნობიარე ტიპაჟებს.

გაბერილი, დიდი ტუჩები — წარმატების ნიშანია. გაღებისას სიმეტრიული (გამრუდების გარეშე) პირი მიუთითებს ემოციების ბალანსზე. თუ პირის ორივე მხარეს ეშვება პარალელური ნაოჭები — ესაა მძიმე ცხოვრების შედეგი. თუ ნაოჭები ეშვება ცხვირის ფრთებიდან ტუჩის კუთხეებამდე (იქმნება რგოლი, პირი — ცხვირი) ეს მიანიშნებს მფლობელის მზაკვრულ ბუნებაზე.

პირი, რომლის ერთი მხარეც დაშვებულია ქვემოთ, ხშირად ჯიუტ ადამიანებს აქვთ. თუ ზედა ტუჩი ქვედაზე მნიშვნელოვნადაა წინ გამოწეული, ეს გაუბედაობის ნიშანია. თუ ქვედაა ზედაზე მეტადაა გამოწეული — ეგოისტურობის.

ტუჩსზედა ნაოჭები სიბერის ბუნებრივი ნიშანია. ხშირად წვრილი ნაოჭები სუსტი ჯანმრთელობის სიგნალია. ტუჩებში ღრმადჩამჯდარი ნაოჭები, ზოგჯერ მოგვითხრობენ ახალგაზრდობის დროინდელ აყვავებასა და ზრდასრულასაკშიგაჭირვებაზე. გაფუჭებული კბილები და დაზიანებული ენა ცუდი ჯანმრთელობის მაჩვენებელია.

ნაწილი IV

სახის ფიზიოგნომიკა — ყურები

ფიზიოგნომიკა ყურებს ოთხ ნაწილად ყოფს: ყურის ნიჟარის გარე რკალი, ნიჟარის შუა რკალი, ნიჟარაში მდებარე რკალები და ყურის ბიბილო. ჩვეულებრივ, ყურებით ადგენენ ადამიანის ცხოვრების გზის ბავშვობისდროინდელ თვისებებს. სახის კითხვას გააჩნია გარკვეული წესები:

კარგი ფორმის ყური ბედნიერი ბავშვობის დამადასტურებელია.

ზომაზე დიდი ყურები, თითქმის ყოველთვის ნიშნავს პიროვნულ დეფექტებს.

ზომაზე პატარა ყურები, ასევე შეჭირვების მაჩვენებელია.

ამას გარდა, ყურადღება ექცევა ყურების განლაგებას თავზე. ყურების ზედა ზონა: ა) წარბის დონეზე მაღლა — მაღალი ინტელექტი; ბ) თვალების დონეზე — საშუალოზე მაღალი ინტელექტი; გ) თვალების დონეზე დაბლა — საშუალო ან დაბალი ინტელექტიც კი.

ყურები უფორმო ბიბილოებით მიუთითებენ პიროვნულ დისბალანსზე. თუ ბიბილო გრძელია — დაუდევრობაზე, ნაკლებად გამოხატული ბიბილოები — მეწვრილმანეობაზე, ძალიან დიდი ყურის ბიბილოს მქონე ადამიანები ბრძენებად

ითვლებიან. თუ ყურის ბიბილო ოდნავ წინაა გამოწეული, ეს გულისხმიერების ნიშანია.

ყურის ნიჟარის შუა რკალი ემოციური განცდების მაჩვენებელია. თუ რკალი ნაკლებგამოხატულია, პიროვნება თავშეკავებულია. თუ გამოკვეთილია — თავშეუკავებელი. უპირატესობა ეძლევა ვარდისფერი შეფერილობის ყურებს.

მოყვითალო ან მოცისფრო შეფერილობის ყურები ფარულ ავადმყოფობაზე მიუთითებს. ყურსშიდა ხალები კი არაკეთილდღეობაზე.

სახეზე კითხვის ხელოვნების, ისევე, როგორც ხელოვნების ნებისმიერი სხვა სახეობის შესწავლას, სჭირდება გრძელვადიანი მოთმინება და სიჯიუტე. ძველად ფიზიოგნომიკას დიდ ყურდღებას უთმობდნენ. აი, მაგალიათად, რამოდენიმე პოსტულატი, რომელიც არისტოტელემ ალექსანდრე მაკედონელს ასწავლა და ზოგიერთი ამონარიდი უძველესი ფიზიოგნომიკიდან:

თვალები. ყველაზე უარესი თვალებია ის თვალები, რომელთა ფერიც გავს ფირუზის სიცისფრეს. ვისაც აქვს დიდი და ორბიტიდან გადმოვარდნილი თვალები, ის შურიანი და ზარმაცი, ურცხვი და მატყუარაა. ვისაც თვალები სწრაფად დაურბის, ის ფლიდი და ეშმაკია.

თმები. ხისტი — გონებისა და გულის სიმტკიცის ნიშანია. რბილი — გულჩვილობის. ასევე, მხრებზე და კისერზე ბევრი თმის არსებობა მიუთითებს პირუტყვობაზე და ასეთი ადამიანი ბრიყვია. გულმკერდის არეში თმის სიჭარბე მიუთიებს ცხოველურ ნატურაზე, სიმართლის სიძულვილზე და შესაბამისად ტყუილის სიყვარულზე. მუცელზე თმიანობა — ამბობს არისტოტელე — ნიშნავს ლაყბობას. ეს ჩვევა ფრინველთა ჯიშისგანაა აღებული, რადგან ფრინველებს ახასიათებთ მუცლზე თმიანობა და ხასიათში ლაყბობა.

პირი. ფართე — სიმამაცისა და ჭამის სიყვარულის ნიშანია. ფართო ტუჩები კი — სიბრაზისა და სიბრიყვის.

კბილები. გამოწეული და ხშირი — სიმყარისა და სიეშმაკის ნიშანია, ასევე არაერთგულების. სწორი და მეჩხერი კბილები — გონიერებისა და ერთგულების.

ყურები. ვისაც ის დიდი ზომის აქვს, უხეშია და აზროვნების უნარს მოკლებული. თუ ყური პატარაა — მის პატრონს სხვის ხარჯზე უყვარს ყოფნა.

კისერი. ვისაც გრძელი და წვრილი კისერი აქვს, ის არასერიოზული და გულჩვილია. ამავდროულად, თუ თავიც პატარა აქვს, ეს უკვე სულმთლად ცუდია. სქელი კისერი ეკუთვნით უზომოდ მჭამელებს, ლოთებს, ვიწრო გაქანების ადამიანებს.

მუცელი და მკერდი. დიდი მუცელი სიბრიყვის და უზომო ჭამის ნიშანია. პატარა მუცელი და ვიწრო მკერდი — ღრმა აზროვნებისა და კეთილი გულის.

იმდენად, რამდენადაც გარშემომყოფებს ვაკვირდებით, თვითონაც ჩავიხედოთ სარკეში და გამოვიტანოთ დასკვნები. მაგრამ, ამ დროს, ნუ ვიქნებით ძალიან სერიოზულები, რადგან ზოგიერთი დიდი ადამიანის აზრით, სერიოზული სახე ყოველთვის არ ნიშნავს ჭკუას.

ფიზიოგნომიკის წარმოშობა

სიტყვა ფიზიოგნომიკა მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან «physiognomike» ან «physiognomonike» — მეცნიერება ფიზიკური მახასიათებლებით ბუნებრივი მიდრეკილებების ამოსაცნობად, სიტყვისგან «physis» — ბუნება, ბუნებრივი მიდრეკილებები და სიტყვისგან «gnomonikos» — გათვიცნობიერებული, გამჭრიახი. უძველესი და შუა საუკუნეების ზოგიერთ მეცნიერებებში, ესაა სწავლება ადამიანის (და ყველა ცხოველის) გარეგნობასა და ხასიათს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ფიზიოგნომიკა ფესვგადგმულია ადამიანთა ტრადიციებში, უძველესი დროიდან ილექებოდა რა ფოლკლორში, სხვადასხვა ტიპის მკურნალებისა და მკითხავების თქმულებებში.

ფიზიოგნომიკური დაკვირვებები ფიქსირდებოდა ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურებში, სადაც მათ ანტიკურ ხანაში მიიღეს თავისებური სახე, რაც ანალოგიური იყო იმ შორეული ეპოქის სამეცნიერო დისციპლინებისა. კლასიფიციური აღწერის საგანი იყო როგორც ადამიანის სახის პროპორციები, ასევე მისი სხეულის მახასიათებლები: ჟესტები, პოზა, ანუ სხეულის კონფიგურაცია და მისი ფლობის კულტურტურა. ფიზიოლოგიასთან მჭიდრო კავშირში იყო სხვა უძველესი თეორიები როგორც ადამიანის, ასევე მთელი ერების სხეულის აღნაგობისა და ფსიქოლოგიური წყობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ფიზიოგნომიკის წინაპირობა ანტიკური შეხედულებებისათვის იყო დამახასიათებელი, რომლის მიხედვითაც, ყველა ადამიანი მკაცრად დეტერმინებულია თანდაყოლილი ბუნების გამოვლინებაში. ჰერაკლიტეს თქმით, ადამიანის ხასიათი მისი «დემონია», ანუ სწორედ ისაა მისი ბედისწერა. აქედან გამომდინარე, ადამიანის მიკუთვნება გარკვეული მორალის ტიპაჟთან, მოიაზრებოდა ისევე ნათლად და გამომსახველად, ისევე საგნობრივად და ბიოლოგიურად, როგორც მისი ფიზიკური მახასიათბლები.

სიბრძნის გზაზე, შესაძლოა, არაა საფრთხე სასიკვდილოზე მეტი, არაა შხამი მომწამვლელზე მეტი, და ცდუნება მცირე, ვიდრე სულიერი სიამაყე. მზესავით ნათელი, ის მოქმედებს პირდაპირ გულში, ამის გარდა, ის იძრდება და აძლიერებს ეგოს, ამიტომ მის მსხვერპლს შავ გუბეში ჩავარდნისა და სამუდამოდ იქ დარჩენის საფრთხე ემუქრება.

ეს საფრთხე შეუძლია მოსპოს ორმა ანტიდოტმა:

სალმა აზრმა და იუმორის გრძნობამ.

როცა გამოფიტული წევხარ ვიშვარუპადარშანის შემდეგ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ «ახლა ყველაზე წმინდა ადამიანი ვარ მსოფლიოში, რა თქმა უნდა, ჯონ მ. ყოტკინსის შემდეგ». ჯობია გაიხსენო სიტყვები საკმაოდ სკეპტიკური მსაჯულისა «წმინდა ტუპიკში», ა.პ გერბერტის, მან მათგან მანტრა შექმნა:

«გეუბნებით თქვენ —
გეუბნებით თქვენ —
გეუბნებით თქვენ —
გაიგრილეთ თავი».

ალისტერ კროული,
«მაგია ცრემლების გარეშე», თავი 44

დამფუძნებელი: თეთრი მაიმუნის ორდენი (http://vk.com/obezjanki), 2003
გამომცემელი: მაგიური სალონი «კასანდრა»
რედაქციის ადრესი: 0101, ქ. თბილისი, რუსთაველის ქუჩა 36.
ჟურნალის ელექტრონული ვერსიები:
http://kat.apokrif93.com, http://vk.com/apokrif93kat, http://imago-666.livejournal.com